# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 23 (268) ◆ 5-11 ივნისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## რა მოსწერა კლინტონმა შევარდნაძეს?



— „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული ჩვენი საუბრის შემდეგ დამირეკეს უნივერსიტეტში „კეთილისმყოფელებმა" და გამაფრთხილეს — გაჩერდი, თორემ გაგსრესენო! გვ.3

— საქართველოს სჭირდება 18 „თავზე ხელაღებული" მინისტრი, რომლებიც დაწყვეტენ მაფიოზური კლანების არტერიებს!

— თუ ამ სამ თვეშიც არ გადაიდგა რადიკალური ნაბიჯები, შემოდგომა შეიძლება კატასტროფით დაუმთავრდეს ხელისუფლებასაც და ხალხსაც.

*აკაკი ყულიჯანიშვილი*

### სამხედრო თემაზე:

...სავარაუდოა, თევზაძის „ფიატს" 50-100მ-ის დაშორებით მიჰყვებოდა ქილერების მანქანა...

...თავდამსხმელებმა ტროტილთან ერთად ლურსმნებიც გამოიყენეს გვ.9

პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა მკითხველთა 68%-ს არასწორად მიაჩნია გვ.27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## ჩემს „სინიაკებს" ხომ ხედავთ? სხვები უარეს დღეში არიან...



**თურმე** — „საამურია" ცხინვალის ციხის პატიმართა ყოფა...

**თურმე** — კარგს ჭამენ, კარგს სვამენ...

**თურმე** — ფერად ტელევიზორს უსხედან და დანა-ჩანგლით ნუგბარ კერძებსაც მიირთმევენ...

**თურმე**... და კიდევ თურმე... გვ.5

### რა ხდება, ბატონებო?

**სიმართლე თუ გინდათ, ჩვენ კვლავ სიმართლეს ვწერთ...**

## კაცი კაცს პკოცნის, ქალი ქალს — უფსკრულამდე მიიყვანეს საქართველო...



— ყველა უნდა დაისაჯოს... სანამ ისინი მთავრობაში იქნებიან, საქართველო არ იქნება და არც არის...

— სპეცრაზმის განადგურება შეგვეძლო, მაგრამ დავინდეთ... მინისტრები ან პარლამენტის წევრები რომ ყოფილიყვნენ, სიამოვნებით ვესროდით... გვ.7

პოლიციამ უნდა იცოდეს, თუ იმ უბნებში შევლენ, სადაც ჩვენ ვიყავით, ცოცხლები ველარ გამოვლენ უკან!

— ჩვენი ბიჭების გათავისუფლებას ველოდები და ვაი მთავრობას, თუ მოგვატყუეს...

**ინტერვიუ აკაკი ელიავასთან**

**— ამიტომაც მოხვდათ ქართველებს აფხაზეთში მსუქან უკანალზე;**

— ბოდიში მომიხადეს ქართველებმა დევნისათვის... თავად დაინახეს თავისი დეგრადაციის ზღვარი... იქურდეს, გამოძღნენ... გვ.12

*ვიქტორ ასტაფიევი*



მამუკას ცხედარი აეროპორტიდან შინ რომ მოვასვენეთ, ვიგრძენი, ჩემთვის ცხოვრების ნაწილი გაქრა. მისგან განსხვავებით, ცოცხალი დავრჩი. უცებ მამუკას ცემა მომინდა, ასე სასტიკად რომ მომექცა... გვ. 20-26

## „თქვე ბოზებო, დაანებეთ ჩემს შვილებს თავი!"

— როდის შეიძლება გოგონამ დაიწყოს სექსუალური ცხოვრება? გვ.7-8

— რა არის სექსი?

— რა არის ონანიზმი? — უსაშველოდ ნათლდებიან მეექვსე-მერვე კლასელი გოგონები;

— ჩვენ გავყიდეთ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, სხეულიც კი.

## ბრემლის მზარეულთუხუცესის საიდუმლოებანი...

მის თვალწინ უამრავმა პრეზიდენტმა, მეფემ, იმპერატორმა, პრემიერმა ჩაიარა... მას მათი ჭირვეული მეუღლეებიც ახსოვს...

ბერიას ხელით დახვრეტილი მზარეულებიც ახსოვს და სტალინის საყვარელი ბატკნის მწვადიც... გვ.19


**შპს „ევროამერიკან"-ი**



**ხმარებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ტიპის კომპიუტერები**

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

**IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 110$**

**Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 190$**

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎94-28-33

ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ☎2-21-16

ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11


დედაქალაქში გველები მოძრავლდნენ — წაიკითხეთ საჭირო ცნობები; გვ.12




**საქორწილო კაბების უახლესი კოლექცია პარიზიდან**

საქორწილო სალონი „ლ'ამური"

მის. ჯავახიშვილის (მოფ. მ...

ტელ: ...


### ვერსია
## სტალინის მიერ ნაჩუქარი დამბაჩა მჟავანაძეს შევარდნაძემ დაუბრუნა

...ძლევამოსილი კგბ-ს თავმჯდომარეს თბილისის ცენტრში პირადი ნივთები მოჰპარეს!

...კიდევ უფრო სენსაციური ამბავი — საქართველოს კომპარტიის თავკაცის მჟავანაძის აგარაკიც გაქურდეს...

...ოღონდ ჩემს დას ხელს ნუ ახლებთო და ქურდმა უმალ დაიწყო ჩვენებების მიცემა, თანაც ისე, რომ უკვე ველარ ვაჩერებდით.

თქმით, შესაძლოა, იოლიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ დანაშაულის გახსნაზე მუშაობისას ზოგჯერ ინფარქტის პირამდეც მივდიოდი... გვ.10


**ფირმა „ბერმუხა"**



**ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.**

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



ALLIGATOR
EXCALIBUR
APS
MAGNUM



**დისტანციური სიგნალიზაციის, შუშების ამწევის მონტაჟი**

შეღავათიან ფასად

გარანტია 1-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

ტ: 899-50-31-52


### საკვირაო



ტელეკინოპროგრამა 5-11 ივნისი

გვ. 14-15

Неделя · КОММАНДОС · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Focus · Общая газета · DER SPIEGEL · Комсомольская правда · Stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Paris Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · Daily · Le nouvel Observateur · Итоги

**გილოცავთ, „კვირის პალიტრის" შემდეგი ნომერი 32 გვერდიანია!**

## აფეთქების კვალი, შესაძლოა, საქართველოს გასცდეს...

დიდი ხნის „შესვენების“ შემდეგ თბილისში კვლავ აფეთქდა ბომბი, რის შედეგადაც თავდაცვის მინისტრის, დავით თევზაძის ძმა, გურამ თევზაძე საკუთარ მანქანაშივე დაიწვა ცოცხლად. იმთავითვე გაჩნდა უამრავი ვერსია, რომელთაგან გამოძიებამ დასამუშავებლად ორი გამოყო: კომერციული და, შესაბამისად, პირადი ანგარიშსწორება, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთან ადრე არსებული და გურამ თევზაძის ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაციის „ქართული არმიის თანადგომა“ ფინანსურ სკანდალებთანაა დაკავშირებული, და მეორე, — თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (მის დასაშინებლად) მიმართული ტერაქტი. საბაბი და მოტივი ამ ვერსიისა არის მინისტრის მკვეთრად პროდასავლური ორიენტაცია და ისიც, რომ იგი ქართული არმიისათვის იარაღს ყიდულობდა და დღესაც ყიდულობს არა რუსეთისგან, არამედ ჩეჩნეთის, უნგრეთისა და ბულგარეთისაგან. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა მტკიცებით, ტერაქტი პროფესიონალების მიერაა მომზადებულ-ჩატარებული და კვალი შეიძლება გასცდეს საქართველოს ფარგლებს.

## „ცოტათი გამოიბერტყეს ყური...“

ფრაქცია „აფხაზეთმა“ საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლით მოქკავშირს საკონსტიტუციო უმრავლესობა დააკარგვინა. ფრაქცია „აფხაზეთის“ ეს ნაბიჯი პირდაპირ დაუკავშირეს ბაკურ გულუას კანდიდატურის ჩაგდებას, რომლის მინისტრად დამტკიცებისთვისაც აფხაზეთის დეპუტაციამ ბოლომდე ამაოდ იბრძოლა. თუმცა, ფრაქციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ გამოხატეს პროტესტი პარლამენტის მიმართ, რომელიც არა და არ იღებს სათანადო დადგენილებას და არ აძლევს შეფასებას აფხაზეთში განხორციელებულ ქართველთა გენოციდს, არ აფიქსირებს, რომ აფხაზეთის ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და ა.შ. თამაზ ნადარეიშვილმა დაადანაშაულა ხელისუფლება იმაშიც, რომ „აფხაზეთის საკითხი მეცხრეხარისხოვან პრობლემათა ნუსხაშია მოქცეული და ამ მიმართულებით ხელისუფლების ძალისხმევა უტოლდება ნულს.“ მეტიც, ნადარეიშვილი აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგა. დევნილი უზენაესი საბჭოს სესიამ არ დააკმაყოფილა მისი გადადგომა... ერთადერთი, რისი მიღწევაც შესძლეს მთელი ამ შეხლა-შემოხლით, ნადარეიშვილის თქმითვე, არის ის, რომ პარლამენტმა და ხელისუფლებამ „ცოტათი გამოიბერტყეს ყური და კვლავ გაიხსენეს, რომ აფხაზეთი დასაბრუნებელია...“

## ჩხობაძეს იმპიჩმენტით ემუქრებიან

ჯერ ვერ მოენელებინა მმართველ უმრავლესობას ფრაქცია „აფხაზეთის“ ამბები, რომ ახალი „მეხი“ დაატყდათ თავს. ნინო ჩხობაძის ხელმეორედ გამინისტრებით აღშფოთებულმა მოქკავშირის ერთ-ერთმა უერთგულესმა წევრმა, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ და მისმა მოადგილემ დავით საგანელიძემ ხელი დაუქნიეს მშობლიურ ფრაქციას და პროტესტის ნიშნად დატოვეს იგი. კობა დავითაშვილმა და სხვებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ჩიტაიას და დაიმუქრნენ ჩხობაძის იმპიჩმენტით. ჩიტაია კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლომდე გამოიკვლიოს გარემოს დაცვის სამინისტროს სკანდალური საქმეები! რაც შეეხება ავადსახსენებელ პიროლიზებულ ფისს, ფირმა „გაორი“ მას უკვე ინტენსიურად იყენებს „ქართული ბენზინის“ საწარმოებლად და ამტკიცებს, რომ მიღებული პროდუქცია „უწყინარია“ ადამიანის ჯანმრთელობისათვისაც და ავტომობილების ძრავებისთვისაც...

## რა ელის მოქკავშირს?!

მოქალაქეთა კავშირში დაიწყო მორიგი დიდი და ამჯერად აშკარა განხეთქილება. გია ბარამიძემ შექმნილ ვითარებას უწოდა ბრძოლა მოქკავშირელ რეფორმატორებსა და კონსერვატორებს შორის. ჩიტაია-საგანელიძის ფრაქცია „მოქკავშირიდან“ გასვლით რეფორმატორთა გუნდი დასუსტდა... ფრაქციის ლიდერი მიშა სააკაშვილი კი არც ახლა იტეხს გულს და აცხადებს, რომ იგი გაგებით მოეკიდა თანამებრძოლთა პოზიციას და რომ ისინი კვლავ რჩებიან ერთი პოლიტიკური გუნდის წევრებად. მას იმედი აქვს, რომ ფრაქციის რიგები არ შეთხელდება, არამედ გაიზრდება. თურმე, უკვე შესულია რამდენიმე განცხადება აფხაზეთის დეპუტაციიდან „მოქკავშირში“ გაწევრების თაობაზე! სააკაშვილმა ერთი ფრიად საგულისხმო განცხადებაც გააკეთა — თუ ქვეყანა არ ამოვა ჭაობიდან, არ გადაიდგმება რადიკალური რეფორმატორული ნაბიჯები, მაშინ მე თანამოაზრეებთან ერთად მივიღებ გადაწყვეტილებას, თუ რა გზას დავადგეთ. ეს განცხადება ადასტურებს მოარულ ხმებს, რომ უკვე შემოდგომაზე შეიძლება ფრაქცია და მოქკავშირიც არათუ შეიცვალოს, კონსერვატორებმა და რეფორმატორებმა, არამედ რამდენიმე ნაწილად გაიხლიჩოს და დაიშალოს!

## გაგებით შეეხვდით ფასების ზრდასო...

თბილისში კვლავ და კვლავ დადის ხმები სასმელი წყლის დაბინძურების საშიშროების შესახებ. დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემის შეფმა იუზა ცარციძემ ამ ხმებს „ჭორი“ უწოდა — წყალმომარაგებაში მდგომარეობა არათუ უარესდება, არამედ უმჯობესდებაო, — თქვა. ბატონმა ცარციძემ ისიც ბრძანა, რომ ამ საკითხისადმი უდიდეს ყურადღებას იჩენენ დედაქალაქის მერიის თავკაცები და თვით პრეზიდენტიც. თბილწყალკანალის ხელმძღვანელობა გარანტიას გვაძლევს, რომ წყლის დალევა ონკანებიდან შეგვიძლია უშიშრად, ყოველგვარი გადადუღების გარეშე! და კიდევ, როგორც ცნობილია, წყლის გადასახადი თვეში ერთ სულ მოსახლეზე 60 თეთრია, მაგრამ საფასურის გაზრდა, იუზა ცარციძის თქმით, გარდაუვალი იქნება... და მოსახლეობა ამას გაგებით უნდა შეხვდესო(?!).

## „ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავს“(?!)...

საბურთალოს რაიონის სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორმა ვახტანგ თიგიშვილმა №61 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, აფხაზეთიდან ლტოლვილი, აფხაზეთის ომის მონაწილე და ორი შვილის მამა ჯიმშერ ჯანჯღულია მოკლა. ინსპექტორი დანაშაულის ჩადენისას ისე იყო მთვრალი, რომ პოლიციამ მისი დაკითხვა მეორე დღესღა მოახერხა. თვითმხილველთა თქმით, მთვრალი ინსპექტორი სიგარეტით მოვაჭრე ორ ქალს ედავებოდა და შეურაცხყოფდა. სწორედ ამ ქალებს გამოესარჩლა ჯანჯღულია, რომელსაც თიგიშვილმა ტყვია დაახალა. ნასვამ სამართალდამცავი მხოლოდ იმასღა აცხადებს, რომ ტყვია შემთხვევით გაუვარდა და კონფლიქტი ჯანჯღულიასთან კი არა, ვიღაც ორ უცნობ პიროვნებასთან მოუვიდა, რომელთა შესაშინებლადაც დაძრო იარაღი და ორჯერ გაისროლა(!). მკვლელობით აღშფოთებულმა სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა გაფიცვა გამოაცხადეს და იმუქრებიან, რომ თუ თიგიშვილს სასტიკად არ დასჯიან, თვითონვე გამოუტანენ განაჩენს...

## „გადაეცით ყველას, რომ არაფერი გამოუვათ!“

ბათუმის საოლქო სასამართლომ აჭარაში მოქმედი მასმედიის ერთადერთი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ტვ-25-ის საქმის განხილვა დაიწყო. ტელეკომპანიას რამდენიმე თვის წინ აჭარის ხელისუფლება დაეპატრონა. სწორედ ამის გამო იჩივლეს ტელეარხის მფლობელებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ნაჩუქრობის“ დოკუმენტი, რომელსაც მათ ხელი მოაწერეს, მუქარისა და ზეწოლის შედეგადაა შედგენილი. მოსარჩელეები არ დასწრებიან სასამართლოს სხდომას და ამის მიზეზად დაასახელეს მოსალოდნელი საშიშროება, რომელიც მათ ემუქრებოდათ ბათუმში, კერძოდ, ფიზიკური ანგარიშსწორება! შედეგად, მოსამართლემ მიზანშეუწონლად ჩათვალა სასამართლო სხდომის გაგრძელება მოსარჩელე პირების გარეშე, თუმცა მანამდე სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოსარჩელე მხარის მოწმეები, რომლებიც ტელეკომპანიის ყოფილ ხელმძღვანელებზე ასლან სმირბას მხრიდან ზეწოლას და მუქარას ადასტურებენ. მაგრამ მოპასუხე მხარე კატეგორიულად მოითხოვს სასამართლომ მტკიცებულების სახით გამოიყენოს ტელეკომპანიის ყოფილი კომერციული დირექტორის ავთო გვასალიას მიერ აჭარის ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუ, სადაც ის ზეწოლას უარყოფს. ამჯერად ავთო გვასალია ამტკიცებს (იგი თბილისშია), რომ მას ნამდვილად მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრნენ კიდეც (თავის დროზე, თვითმხილველები იმასაც ამბობდნენ, რომ სმირბამ ხელიც გაარტყაო გვასალიას...), მაგრამ გვასალია ბათუმში სასამართლოზე ვერ ჩადის... სკანდალს „წერტილი დაუსვა“ ასლან აბაშიძემ, რომელმაც პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ვიღაცა ცდილობდა აჭარაში შეექმნა საკუთარი ტელეარხი და შეეტანა დისონანსი აჭარის ცხოვრებაში. გადაეცით ყველას, რომ არაფერი გამოუვათ!“ ის, რომ მართლა არავის არაფერი გამოუვიდოდა ამ საქმეში, მოწმობს ის ფაქტიც, რომ გავრცელებული ინფორმაციით, დაპირისპირებული მხარეები „რაღაც“ კონსენსუსამდე მივიდნენ...

## კიტოვანი კვლავ ასპარეზზეა

კვლავ აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-სამხედრო ასპარეზზეა ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. მისი ყურადღება პანკისის ხეობაში შეხიზნული ჩეჩნებისკენაა მიპყრობილი. მისმა ეროვნული გვარდიის კავშირმა გააკეთა განცხადება პანკისში შექმნილი ვითარების გამო და მოსთხოვა ხელისუფლებას „სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება“. ამასთან, კატეგორიულად მოითხოვეს, რომ „შეწყდეს ეროვნული გვარდიის კავშირის დისკრედიტაციის მცდელობები, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავშირი სამართლებრივი გზით დაიცავს საკუთარ უფლებებს.“ თავად კიტოვანი აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ შეიძლება საქართველოში შემოჭრილმა ჩეჩენმა და თალიბმა ბოევიკებმა იმდენი ქნან, რომ ჩვენი ტერიტორია დააბომბინონ რუსებს. კიტოვანმა დაადანაშაულა მესაზღვრეები — საქართველოში ჩეჩნების შემოყვანაში ქრთამს იღებენო.

## „სასიხარულოც და სასეიროც“...

ერთი „სასიხარულო“ და „სასეირო“ ინფორმაციაც: 1 ივნისიდან ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საშუალება აქვს, უკვე სულ რაღაც 10 თეთრის საფასურად, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში შეიძინოს „მშობლიურ“ ხელისუფალთა მიერ შევსებული ახალი ქონებრივი დეკლარაციების ქსეროასლები! საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით დეკლარაცია არ შეუვსია 64 თანამდებობის პირს და საინფორმაციო ბიურომაც მათ შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები დაუყოვნებლივ შეადგინა და ვაკე-საბურთალოს რაიონების სასამართლოებს გადასცა. საინტერესოა ისიც, რომ ხელისუფალთა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობით ჩვენი მოქალაქეების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაინტერესება არნახულად გაიზარდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ინფორმაციები დეკლარანტების საწინააღმდეგოდ არავის გამოუყენებია! „სასეირო“ კი ის არის, რომ დეკლარანტების უდიდეს უმრავლესობას ხაზგასმით აქვს მითითებული, თუ როგორი „მოკრძალებული“ ქონების და შემოსავლების პატრონები არიან...

## რა მოხდა ფოკაში?!

***(საქართველოს საპატრიარქო)*** ა.წ. 1 ივნისს ნინოწმინდის რაიონის სოფ. ფოკაში იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად, რათა წირვა აღევლინა იმ ადგილას, სადაც წმინდა ნინო პირველად შემოვიდა საქართველოში საქადაგებლად. წირვის დასასრულს მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა ინციდენტი სომეხ და ქართველ ორ ახალგაზრდას შორის კონკრეტულ საკითხზე, რამაც შემდეგ უფრო სერიოზული სახე მიიღო და გარკვეულ დაძაბულობაში გადაიზარდა. სიტუაცია რომ განმუხტულიყო, ჩასული სტუმრები კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევით გამოემგზავრნენ ფოკიდან.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ ეს ფაქტი გააშუქა ისე, თითქოს იქ მოხდა დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და ეკლესიის წარმომადგენლებს შორის, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეკლესიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სიტუაციის განმუხტვაში და ბუნებრივად ჩაერთვნენ შექმნილ მდგომარეობაში, თორემ კონფლიქტი არავისთან არ მოსვლიათ.

უნდა ითქვას, რომ ფოკის ადგილობრივი სომხური მოსახლეობა მუდამ გულთბილად ხვდებოდა და ხვდება როგორც კათოლიკოს-პატრიარქს, ისე ჩვენს სასულიერო პირებსა და მრევლს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ფოკაში, ორ მონასტერში, მოღვაწეობენ ჩვენი დედები და მამები, რომელთაც მეტად თბილი და კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც თანასოფლელებთან, ისე მთელი რაიონის მოსახლეობასთან. გამოვთქვამთ იმედს, რომ მომხდარი ინციდენტი ხელს საერთოდ არ შეუშლის ჩვენს ტრადიციულ კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას.

## კონტრაბანდასთან ბრძოლა გრძელდება

პარლამენტმა მიიღო კანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომელიც 1 ივნისიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვნად გაზრდილი საჯარიმო სანქციების გარდა, კონფისკაციის მექანიზმის ამუშავებასაც გულისხმობს. კანონის თანახმად, დაკავებას ექვემდებარება კონტრაბანდული გზით შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები (რომლითაც საქონლის ტრანსპორტირება ხდება). დაკისრებული ჯარიმების ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში მფლობელს დაკავებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ჩამოერთმევა. რაც შეეხება ბრიტანულ კომპანია ეი-თი-ეს-ს, შემოსავლების მინისტრისა და ამ კომპანიის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, მისი საქართველოში მუშაობის სპეციფიკაში იქნება გარკვეული ცვლილებები. კერძოდ:

— წინასწარ ინსპექტირებას დაქვემდებარებული საქონლის მინიმალური ღირებულება 5000 დოლარიდან შემცირდება 2500 დოლარამდე;

— ინსპექტირების საზღაური საქონლის ღირებულებიდან 1,19%-ის ნაცვლად, იქნება 1,09%, მინიმალური გადასახადი კი იმპორტირებული საქონლის პარტიაზე 260 დოლარი — 350 დოლარის ნაცვლად.

რუსეთში, თურქეთსა და სომხეთში გაიხსნება ეი-თი-ეს-ის ფილიალები. კომპანია ინსპექტირების ორდერს გასცემს 3 სამუშაო დღეში (ნაცვლად 7 დღისა).

## „პალეზნაია ვსტრეჩა“!

***(საკუთარი კორესპონდენტი ზუგდიდიდან)*** დსთ-ის აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი ერთი დღით ჩავიდა თბილისიდან სოხუმში, სადაც იგი არძინბას გარდა, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ კორობკოსაც შეხვდა. როგორც ცნობილია, დსთ-ის 21 ივნისის სამიტის დღის წესრიგში აფხაზეთის საკითხი არ განიხილება. მაშ, რა საჩქარო იყო იაროვის ვიზიტი კონფლიქტის ზოლში? საინფორმაციო ხასიათის ვიზიტის მიღმა უფრო კონკრეტული დეტალები და მიზნები იკითხება. 31 ივნისს რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში მანდატი ეწურებათ. იაროვს და, შესაბამისად, მოსკოვს კონკრეტული გადაწყვეტილება აინტერესებს. თუმცა აფხაზური მხარის პოზიცია, როგორც წესი, გარკვეულია. არძინბას მანდატის ყოველი ამოწურვისას სჯერა, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი არც თბილისს აძლევს ხელს, რადგან იგი დიდი პროექტების განხორციელებას აპირებს, რომლისგანაც არძინბა დიდ შემოსავალს ელის. იგი გულისხმობს ევრაზიურ დერეფანს, სატრანსპორტო მაგისტრალს, ნავთობსადენს. მოკლედ, ულტიმატუმის მსგავს ფორმულას აყალიბებს: ან ომი, ან ეკონომიკური პროექტებიდან ეკონომიკური მოგების მიღება. შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის სამშვიდობო მისიის მანდატის ამოწურვამდე დარჩენილ მცირე დროში, აფხაზურმა საინფორმაციო საშუალებებმა სულ უფრო გაახშირეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ნატოში გაწევრებაზე საუბარი. აფხაზი მიმომხილველების კომენტარით, რუსეთი არასოდეს დაუშვებს, რომ ნატოს საზღვარი ფსოუზე გადიოდეს. ასეთივე მკაცრნი არიან აფხაზეთსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის პერსპექტივების მიმართ. კარგ ურთიერთობას მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტორი განაპირობებს, რომ საქართველომ აფხაზეთის სუვერენიტეტი სცნოსო. ამას კი საქართველო არ აპირებს, —აცხადებს არძინბა.

მაშ ასე, სოხუმი იაროვზე დიდ იმედს ამყარებდა. იაროვის ვიზიტის წინა დღეებში ასტამურ ტანია ორაზროვნად აცხადებდა, — იაროვი ჩამოვა, მოგვისმენს და მერე ვნახოთო. ეტყობა, იაროვმა იმედი არ გაუცრუა სოხუმს. რა საუბარი შედგა დახურულ კარს მიღმა არძინბასა და იაროვს შორის, არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია. ჟურნალისტებს კომენტარის ნაცვლად, არძინბას კმაყოფილი, გაბადრული სახე შერჩათ, ორიოდ სიტყვითურთ —„პალეზნაია ვსტრეჩა“, ხოლო იაროვის მოსკოვში გამგზავრებას იმავე დღესვე მოჰყვა გულრიფშის რაიონის სოფელ ლათაში გაეროს სოხუმის ოფისის 4 წარმომადგენლისა და 1 აფხაზი თარჯიმნის გაქრობა. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია მოსკოვს აფხაზურმა მხარემ მიაწოდა. რადიო „იუნოსტმა“, კერძოდ, გადასცა, რომ ეს ინციდენტი კოდორის ხეობაში მოხდა. კოდორის ხეობა კი ცნობილია, რომ ერთადერთი ადგილია აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ქართული იურისდიქცია ვრცელდება, ლათაში კი — აფხაზური იურისდიქციაა და, შესაბამისად, სიტუაციაზე კონტროლიც მას ევალება.

## თუ ჭკვიანად იქნებით...

გასულ კვირას ბრაზილიიდან დაბრუნებულმა ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ შთაბეჭდილებები გაუზიარა ჟურნალისტებს. თურმე რიო დე ჟანეიროში ჩატარებულ სამდღიან ფორუმზე ძალზე დაინტერესებულან დმანისის აღმოჩენით. დმანისთან დაკავშირებით ქართლის გუბერნატორს ბევრი გეგმა აქვს, ხოლო რაც შეეხება ბრაზილიას, ლევან მამალაძეს კარნავალების ქვეყანა ძალიან მოსწონს, რადგან წელიწადში ორჯერ ჩადის. იქაური კერძებიდან შემწვარი ბანანი შეჰყვარებია, მისი მომზადების რეცეპტიც ჩაუწერია და ჟურნალისტებს დაჰპირდა, თუ ჭკვიანად იქნებით, თქვენც გასწავლითო.

## მძევლებში 300.000 დოლარს ითხოვენ

კოდორის ხეობაში (უკვე მეორედ) მომხდარმა გაეროს დამკვირვებელთა მძევლად აყვანის ფაქტმა კიდევ ერთი წიხლი ჩააზილა ისედაც იმიჯდაკარგულ ჩვენს ქვეყანას და ახლა იმაზე კამათი, მძევლების აყვანა აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა, თუ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადზეო, საქმეს ველარ უშველის. მით უმეტეს, რომ თავად ქართულ მხარეს აქვს სერიოზული ეჭვი, რომ გაეროს დამკვირვებლები იმავე ადგილობრივმა ბანდამ აიყვანა მძევლად, რომელმაც შარშანაც „ისახელა“ თავი.

პრობლემის გასარკვევად და მძევალთა გასათავისუფლებლად უმალ ამუშავდა „ცხელი ხაზი“ თბილისსა და სოხუმს შორის. სატელეფონო საუბარში შევარდნაძემ და არძინბამ დასახეს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა... უკანასკნელ საათს კი ცნობილი გახდა, რომ ბანდიტები მძევლებში გამოსასყიდის სახით ითხოვენ... 300 ათას დოლარს.




## დიდი დანაკლისი მსოფლიო მედიცინისათვის

ავიაკატასტროფაში დაიღუპა მსოფლიოში სახელგანთქმული რუსი ოფთალმოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე სვიატოსლავ ფეოდოროვი. ხუთადგილიან შვეულმფრენს, რომელიც ფეოდოროვის კლინიკას ეკუთვნოდა, ტამბოვის სამეცნიერო კონფერენციიდან მოსკოვში მოჰყავდა ფეოდოროვი და მისი კოლეგები, რომლებიც ასევე დაიღუპნენ მფრინავთან ერთად. კატასტროფა მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთ ადმინისტრაციულ ოლქში მოხდა გვიან ღამით. წინასწარი მონაცემებით, ავარიის მიზეზი შვეულმფრენის გაუმართაობაა... რუსეთის პრემიერმა მიხაილ კასიანოვმა ფეოდოროვის დაღუპვას რუსეთის მედიცინისათვის აუნაზღაურებელი დანაკარგი უწოდა! ფეოდოროვმა ოფთალმოლოგიაში მრავალი სიახლე დანერგა და 70-იან წლებში პირველი უნიკალური თვალის ოპერაციებიც გააკეთა, რითაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. შემდეგ კომუნისტებმა მას ნება დართეს საკუთარი კლინიკაც შეექმნა. მოგვიანებით მისი ფილიალები გაიხსნა მრავალ ქვეყანაში.

ერთ-ერთი ვერსიით, ეს ფეოდოროვის წინააღმდეგ განხორციელებული დივერსიული აქტია.

## ლაზარენკოს — 140 წლის პატიმრობა?

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პ. ლაზარენკო, რომელიც მეორე წელია, სან-ფრანცისკოშია დაპატიმრებული, აშშ-ის პროკურატურამ ოფიციალურად დაადანაშაულა ამერიკული ბანკების საშუალებით 20 მლნ დოლარის „ჩამორეცხვაში“. იმ შემთხვევაში, თუ ლაზარენკოს ბრალეულობა დაუმტკიცდება, ამერიკის კანონების მიხედვით, ბრალდების 7 პუნქტის ერთობლიობის თანახმად, მას 140 წლიანი პატიმრობა ელის.

# ᲠᲐ ᲔᲬᲔᲠᲐ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲨᲘ?

*„ადგილობრივი თუ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით ეფექტური მართვის სისტემამ გასაქანი მისცა უპატიოსნო გზებით ფულის დაგროვების გრანდიოზულ მასშტაბებს. ამან ხელი შეუწყო უზომოდ მდიდართა მცირე კლასის ჩამოყალიბებას, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა დიდი ეკონომიკური ძალა და რომელთა ერთადერთ მიზნად რჩება ძალაუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. ამიტომ, უპირველეს აუცილებლობას წარმოადგენს იმ გარემოს შეცვლა, რომელიც საშუალებას აძლევს ამ ადამიანებს, მოიპოვონ ძალაუფლება და რომელიც არ არის მიმართული საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ... ჩვენ არავის ვაყვედრით სიმდიდრეს, თუ ის პატიოსანი და ქვეყნისთვის არასაზიანო გზითაა მოპოვებული, მაგრამ უნდა გავიაზროთ იმისი აუცილებლობაც, რომ სახელმწიფო გაცილებით აქტიურად ჩაერიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და გავაძლიეროთ კონტროლი. პარალელურად, ჩვენი უდიდესი და უპირველესი ამოცანაა — მივცეთ ადამიანებს სამუშაო! ვითარების გაუმჯობესებას კი უნდა მივაღწიოთ მხოლოდ ნაციონალური ხელისუფლების მეშვეობით. ერი მართებულად ითხოვს ახალ ნაციონალურ იდეას, რომლის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება განიხილება, როგორც მსახური საზოგადოების კეთილდღეობისა; იგი მაღლა აყენებს ნაციონალურ მოთხოვნილებებს ცალკეული ჯგუფებისა და პიროვნებების კერძო მოთხოვნილებებზე; ეს იდეა სასამართლოებისგან მოითხოვს მზრუნველობას უწინარესად ადამიანთა კეთილდღეობაზე და შემდეგ საკუთრებაზე. ამავე იდეის საფუძველზე წარმომადგენლობითი ორგანოები უნდა წარმოადგენდნენ მთელ ხალხს და არა რომელიმე ცალკე კლასს, ან ადამიანთა ჯგუფს... დიახ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საკუთრების დაცვაც და ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობაც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საქმე არჩევანზე მიდგება, მე დავდგები ხალხის კეთილდღეობის მხარეზე და არა საკუთრების მხარეზე...“*

**თეოდორ რუზველტი**

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ 1910 წელს წარმოთქმული ეს სიტყვები და მასში ჩადებული იდეა, რომელიც გასაოცრად ესადაგება საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებას და პირდაპირი რეკომენდაციაცაა, თუ რა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს მდგომარეობის გამოსწორებისთვის მიმართული ძალისხმევა, თავად ამერიკელებმა სრულად 30-იან წლებში განახორციელეს. თეოდორ რუზველტის „კუზენმა“ ფრანკლინ დელანო რუზველტმა 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ კატასტროფული შედეგების დასაძლევად შემუშავებული „ახალი კურსის“ პოლიტიკას სწორედ თავისი წინაპრის ზემომოყვანილი პრინციპები დაუდო საფუძვლად, რამაც არათუ მილიონობით ამერიკელი გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს, არამედ მათი კეთილდღეობის ამაღლებასაც შეუწყო ხელი და ეკონომიკურად გაპარტახებული ქვეყანაც რეკორდულად მცირე დროში მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია...

ეს ვრცელი შესავალი შეიძლება „მგლის თავზე სახარების კითხვად“ ჩანდეს დასავლეთზე „ორიენტირებული“ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, ამიტომ, ამჯერად თავად ფრანკლინ რუზველტის სიტყვებს შევახსენებ მათ: „1929-1933 წლებში შეიძლება მომხდარიყო ისე, რომ ჩვენს ხალხს უცხო იდეოლოგია — კომუნიზმი ან ფაშიზმი — აეღო მოქმედების საფუძვლად, მაგრამ იმ უმძიმეს წუთებში ჩვენი ნაციონალური იდეა და დემოკრატიული მრწამსი აღმოჩნდა იმდენად მყარი, რომ ხალხიც და ხელისუფლებაც ითხოვდა არა დემოკრატიის შეკვეცას, არამედ კიდევ უფრო გაფართოებას. სწორედ, ამან დაგვაძლევინა უსაშინლესი კრიზისი...“

კომუნიზმისა და ფაშიზმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მყიფე ქართული დემოკრატიისა და ნაციონალური იდეის არარსებობის პირობებში, იმავდროულად, დღეს მძვინვარე კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში, სულ მცირე, ქაოსი რომ გარდაუვალია, ამის სავალალო ნიშნები უკვე სახეზე გვაქვს — კორუფციის, საბიუჯეტო კატასტროფის და, ჯერჯერობით, ლოკალური საპროტესტო გამოსვლების კვალდაკვალ საქართველოში განახლდა ტერაქტები და შეკვეთილი მკვლელობებიც... ამ ფონზე სულაც არ გამკვირვებია ის „სიურპრიზიც“, რომელიც დღევანდელმა რესპონდენტმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა, პოლიტოლოგმა **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲥᲣᲚᲘᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** დამახვედრა. „სიურპრიზის“ შესახებ ცოტა ქვემოთ, ახლა კი მთავარზე:

— ნაციონალურ სახელმწიფოებს აქვთ სამსაუკუნოვანი ისტორია, ანუ ის პერიოდი, რომელიც ქართველებმა გამოვტოვეთ მრავალი მიზეზის გამო. მე-17 საუკუნეში ჯერ ჰოლანდიასა და ინგლისში, შემდეგ კი საფრანგეთში მომხდარმა 1789 წლის დიდმა რევოლუციამ დაუდო საფუძველი ეროვნული, ანუ ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობას. მანამდე კი, ისტორია აღიქმებოდა, როგორც წარჩინებულ გვართა, პიროვნებათა ცხოვრება-მოღვაწეობისა და რელიგიათა ისტორიად. ნაციონალური სახელმწიფოები კი შეიქმნა იდეით — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, როცა მაგალითად, იგივე ფრანგები შეთანხმდნენ, რომ ექნებოდათ შემოსაზღვრული სახელმწიფო, სადაც გავრცელდებოდა თამაშის ის წესები, რომელიც ფრანგი ხალხის ინტერესებს გამოხატავდა და არა ბურბონებისა! ეს პერიოდიც გამოვტოვეთ. ნაციონალური და სახელმწიფოებრიობის იდეა ჩვენში მიინავლა და მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ შვა იგი ხელმეორედ, რომელიც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე მეტასტაზივით გავრცელდა ქართველობაში, მაგრამ, საუბედუროდ, თვით 1918-1921 წლებშიც კი, ჩვენ მხოლოდ ილუზია გაგვიჩნდა ნაციონალური იდეის არსებობა-რეალიზაციისა. ილუზია იმიტომ, რომ არ გვქონდა რეალური სახელმწიფო და გვქონდა მხოლოდ სურვილი რეალური სახელმწიფოებრიობისა... შემდგომი კომუნისტური ეპოქა არავითარ ანალიზს არ ექვემდებარება და აი, ბოლო ათწლეულია, რაც გვერგო თავისუფლება... მიუხედავად იმისა, რომ ილიას დამსახურებით ეს იდეა რაღაცნაირად მაინც მუშაობდა და გვეგონა, რომ მზად ვიყავით სახელმწიფოს შესაქნელად, საუბედუროდ, ესეც ილუზია გამოდგა: ამ იდეით გამსჭვალული არ აღმოჩნდა ქართველი საზოგადოების უმრავლესობა და ის პოლიტიკური ელიტაც, რომელიც ათი წლის მანძილზე მართავს ქვეყანას. შედეგად, ხალხი ცხოვრობს საშინელ რეალობაში, პოლიტიკური ელიტა კი ცხოვრობს სიურეალისტურ გარემოში, დახურულ სამყაროში. დარწმუნებული ვარ, ეს ელიტა ფსიქოლოგიურად კვლავ კოლონიური ქვეყნის მენტალობის ტყვეობაშია მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეს და სხვა პოლიტიკოსებს გაცნობიერებული აქვთ საქართველოს, როგორც პოლიტიკურად თავისუფალი ქვეყნის, ფაქტი; მაგრამ, ვიმეორებ,



ფსიქოლოგიურად, არაცნობიერად, მათ მაინც განცდა აქვთ, რომ სხვა ქვეყნის ქვეშევრდომები არიან! აბა რას მივაწეროთ, რომ არანაირი რადიკალური ძვრები, რეფორმები არ მიმდინარეობს, არანაირი ნაციონალური იდეის აღზევება არ ხდება...

*— აქვე შევახსენოთ მკითხველს, რომ ნაციონალურს და ნაციზმს, ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ...*

— რა თქმა უნდა. ნაციონალური იდეა, როგორც თეოდორ რუზველტის სიტყვებშიცაა მოცემული, ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს, თითოეულ ადამიანს ჰქონდეს კეთილდღეობის უფლება, იმისი შეგნება, რომ ჩვენ ვქმნით ერთიან სახელმწიფოს, რომლის კარგად ყოფნა პირდაპირპროპორციულია ჩვენი ოჯახის, შვილების, კულტურის კარგად ყოფნასთან, რომ ჩემი კარგად ყოფნა დამოკიდებულია ქვეყნის კარგად ყოფნაზე. ამას კი, სწორედ ნაციონალური იდეა ასაზრდოებს და მე შეგახსენებთ რიჩარდ ნიქსონის სიტყვებსაც: „ყოველი ამერიკელი იმას კი არ უნდა ფიქრობდეს, რას მაძლევს სახელმწიფო და რაც შეიძლება მეტი წავგლიჯო მას, არამედ იმას, რა შემიძლია მივცე მე ამერიკას. თუ ამ იდეით ვიქნებით გამსჭვალული, ამერიკა იქნება უძლიერესი!“ ჩვენ კი, დღეს ვართ რაღაც ამორფული მასა, რომელსაც არანაირი ნაციონალური იდეა აღარ აერთიანებს...

*— არადა, თითქოს იყო შესაბამისი პირობებიც და ჩვენი დიდი სურვილიც, განგვეხორციელებინა ეს იდეა...*

— დიახ, არ აღმოვჩნდით ბალტიისპირელების დონეზე, ანუ არ გვქონდა პოლიტიკური გამოცდილება და დავცილდით იმასაც, რასაც ჰქვია ტრადიციებზე დაფუძნებული საზოგადოება და რაც გამჯდარია ჩეჩნებში... არ გვქონდა პოლიტიკური ცნობიერებაც და, შესაბამისად, გამსახურდიას დროს ჩანასახშივე მყოფი ნაციონალური იდეის დისკრედიტაცია მოხდა. ხოლო ეს თავისუფლებაც მხოლოდ იმაში დაგვეხმარა, რომ თუ ადრე სხვებს ვაბრალებდით ჩვენს თავს დამტყდარ ყველა უბედურებას, შევარდნაძის პერიოდში დავიწყეთ ლაპარაკი — აი, რა ცუდები და არაფრისმაქნისი ვყოფილვართ ქართველები, რომ არ შეგვიძლია ქვეყნის მართვა და ა.შ. ამას კი მოჰყვა სრული ნიჰილიზმი და, ფაქტობრივად, ქართული საზოგადოება ისეთ ყოფაშია, რომ ფიქრობს, ოღონდ ვიცხოვრო, ვიარსებო, გადავრჩე და აღარც სახელმწიფოებრიობა მინდა და აღარც არაფერიო! აი, სადამდე მიიყვანეს ქართველი ადამიანი...

*— სხვათა შორის, ამ ფონზე დიდი ხანია გამოიკვეთა ჩვენი საზოგადოების სოციალური ყოფის ერთი ნიშანდობლივი დეტალი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ გაღატაკებული და მშიერი ქვეყნებისთვის: ასეთი ქვეყნების ხელისუფალნი, გავლენიანი კლანების წარმომადგენელთა უმრავლესობა, როგორც წესი, ჩათქვირულ-ჩასუქებულია...*

— ეს არა მარტო სოციალური, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაცაა და იგი მშიერი კაცის ფსიქოლოგიიდან მომდინარეობს. შეიძლება ის თავად არ არის მშიერი, მაგრამ იმისი განცდა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა არის დროებითი, რომ შეიძლება ნებისმიერ დროს მოისროლონ პოსტიდან და შეიძლება მოშივდეს, რადგან ხედავს, რომ მის გარშემო ბევრს შია! მართლაც, დააკვირდით, თუ რაღაც ბიოლოგიური, ან ფიზიოლოგიური გართულება არა აქვთ, უწინარესად, კუჭზე, მაღალ ეშელონებში და კლანებში ყველა ისეა მოკეთებულნაპატივები, რომ უბრალოდ, სამარცხვინოა მათი გარეგნობა. ისე არიან გაზულუქებულნი, როგორც ჩვენი „დიდი წინაპარი“ ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც იმით იმშვიდებდა თავს — „თუ წიგნი არ ვიცი, ფერ-ხორცი და კაცობა ხომ მაინც არ მაკლიაო...“ შეიძლება დღეს თათქარიძის მემკვიდრეები ბუზებს არ ითვლიან და „მერსედესებში“ სხედან, მაგრამ ლუარსაბის მენტალობასა და მათ მენტალობას შორის დიდი სხვაობა არ არის...

*— კვლავ ნაციონალურ იდეას დავუბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, თუ რატომ ვერ ხერხდება დღეს არსებული ნიჰილიზმის დაძლევა. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ხელისუფლებით არ იწყება და არ მთავრდება საქართველო, ქართველი ერი...*

— დღეს, მთელ მსოფლიოში არის ტენდენცია, ყოველ შემთხვევაში, აზრობრივად, ფილოსოფიურ ენაზე ამტკიცებენ, რომ თანამედროვე კაცობრიობაში პოსტმოდერნული მდგომარეობა მძლავრობს. პოსტმოდერნული ყოფიერება კი აფიქსირებს იმას, რომ ნაციონალური იდეა იყო 300 წლოვანი იდიოტიზმი! ამას ასაბუთებენ ნაციონალიზმის, ნაციზმის, შოვინიზმის, ფაშიზმის ფაქტებით, რომლებმაც ხელი შეუშალა კაცობრიობის განვითარებას, მაგრამ ევროპამ თავის გზა, ყველა ისტორიული ეტაპი გაიარა და იქ მართლაც რომ მოხდეს ერთიანი ევროპის შექმნა ყოველგვარი საზღვრების გარეშე, ისინი თავიანთ ნაციონალურ იდეას არ დაკარგავენ. ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ არასახელმწიფოებრივი ცნობიერებიდან პირდაპირ გადავეშვით პოსტმოდერნულ მდგომარეობაში, ანუ რასაც დღეს ევროპელი ინტელექტუალები ამბობენ, ჩვენი პოლიტიკოსები ახორციელებენ საქართველოში. შედეგად, არანაირი ატრიბუტიკა აღარ გვრჩება ხელთ, რათა გავამართლოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში დღეს არ არის ზნეობრივი გმირი, ერის კაცი! ვიცი, ეწყინებათ, მაგრამ არ არის არც საზოგადო მოღვაწე, რომელიც პირად ინტერესებზე მაღლა დააყენებს ქვეყნის სატკივარს და საამისოდ რაღაცას, თუნდაც ქონებას გაწირავს... რაც შეეხება ხელისუფლებას, პირდაპირ ვიტყვი: რომ გაიძახიან, „ვერ მოვნახეთ ერთდროულად პატიოსანი და პროფესიონალი მინისტრებიო, ბლეფია, რადგან რამდენი „პროფესიონალიც“ არ უნდა დააყენო, შედეგი არათუ ნულია, არამედ ნულს ქვემოთ ვეშვებით კარგა ხანია. ამიტომ, საქართველოს დღეს სჭირდება 18 „თავზეხელაღებული“ ადამიანი მინისტრების პოსტებზე, რომლებიც დაწყვეტენ მაფიოზური და სახელისუფლებო კლანების არტერიებს და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანას მისცემენ ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას. დიახ, საჭირონი არიან ნაღდი ბიჭები, კაცები, რომლებიც დამძიმებულნი არ არიან წარსულით, ვალში არ არიან სხვებთან! დავიღალეთ და უკვე ალერგიას იწვევს ჩემში სიტყვა „თამაში, თამაშის წესები“, რადგან ვხედავთ, როგორ გაცვდა ეს სიტყვა ჩვენი პოლიტიკური ელიტის ხელში. ეს სიტყვა შეიძლება პოლიტოლოგებმა გამოიყენონ და იყენებენ კიდეც მაღალ დონეზე, მაგრამ, დალოცვილო, პოლიტიკოსებს რა გეთამაშებათ, როცა ქვეყანა თქვენი გამოისობითაა უფსკრულში...

*— თამაში ახსენეთ და, იაროვის ვიზიტი თბილისსა და სოხუმში თითქოსდა დსთ-ის ძალისხმევის გასააქტიურებლად, კონფლიქტის „მოსაგვარებლად“, მოსკოვსა და კიევში კლინტონის ვიზიტი, სადაც ალბათ განიხილეს კავკასიის პრობლემატიკაც, როგორც ჩანს, გლობალური პოლიტიკური თამაშის წესებით წარიმართა, ანუ, საქართველოსთვის არავინ აიტკივა თავი... სხვათა შორის, ამ ვიზიტამდე კარგა ხნით ადრე აზერბაიჯანის უმაღლესი ეშელონების კულუარებში მუსირებდა ხმა, რომ კლინტონი შეიძლება სამხრეთ კავკასიასაც სწვეოდა, უწინარესად, ბაქოს, ან თბილისს...*

— ვფიქრობ, ჯორჯ ტენეტის ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, დაეზუსტებინა — ღირდა თუ არა კლინტონის ჩამოსვლა სამხრეთ კავკასიაში. გავიხსენოთ შევარდნაძისადმი კლინტონის მისალოცი დეპეშაც, სადაც მილოცვის გარდა აშშ პრეზიდენტი სწერს: „იმედი მაქვს, კორუფციას აღმოფხვრით, გაითვალისწინებთ არჩევნებში დაშვებულ დარღვევებს...“ ასეთი რამ, მგონი, არსად არ მომხდარა, რადგან დიპლომატიურ ენაზე პირდაპირაა ნათქვამი — რას აკეთებთ?! რა გინდათ?! ჩანს, თქვენ არ გინდათ კარგი ცხოვრება! ეს რომ ასეა, ამის საგანგაშო ნიშნები, ანუ გულაცრუება საქართველოზე უკვე შეიმჩნევა დასავლეთის ოფიციალურ წრეებსა და მასმედიაშიც. დასავლეთის მიერ ჩვენთვის დახმარების სახით გამოყოფილი უზარმაზარი სახსრები იყო საქართველოსადმი გაცემული ავანსები, რითაც დიდი საქმეების გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ სამთავრობო კერძო სასახლეების აშენებას და უცხოეთის ბანკებში ანგარიშების გახსნას მოხმარდა... ამასთან, საქართველო ამ წლებში იდგა შევარდნაძის ავტორიტეტზე, ეს ავტორიტეტიც დაცემულია უკვე ყველაზე თავგამოდებული დასავლელი „შევის“-სტების თვალში. უკვე გამოითქმება პროგნოზი, რომ საქართველო და მთელი რეგიონი შეიძლება მოიცვას ქაოსმა. ეს რომ არ მოხდეს, შეიძლება ვაშინგტონი, თავის მოკავშირეებითურთ, გარიგებაზე წავიდეს თავის მოწინააღმდეგე რუსეთთან და შეთანხმდნენ — იყოს ქაოსი, ოღონდ მართვადი ქაოსი და რაღაც საერთაშორისო კონტროლი დავაწესოთ ამ ტერიტორიაზე. მორჩა! იაროვის ვიზიტიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ინფორმაციის მოგროვება და უშუალოდ პუტინისთვის მიწოდება კლინტონთან შეხვედრის წინ. არადა, ხომ ვხედავთ და ვგრძნობთ ყველა — პრეზიდენტიც, პარლამენტიც, ხალხიც, რომ უკვე ხდება სოციალური აფეთქებები. ლტოლვილთა უზარმაზარი მასები აპირებენ ქუჩებში გამოსვლას. ეს ფეთქებადსაშიში კი არა, უკვე აალებული პროცესია და ერთადერთი, რაც ამ გამწარებული ხალხის მოძრაობას აკლია, არის ორგანიზება. აი, თუ მოხდა მათი დარაზმვა, გაერთიანება და ამ მხრივ გარეშე ძალებიც რომ აქტიურად მუშაობენ, უკვე უეჭველია, ეს იქნება ჩვენი საბოლოო კატასტროფა და დაღუპვა... არადა, ყველა პირობა იყო, რომ საქართველოში ნორმალურად განვითარებულიყო მოვლენები. იმ ავანსის შესაბამისად, რაც დასავლეთმა მოგვცა და ვფიქრობ, კლინტონი ისე არ შემოივლიდა რუსეთს და უკრაინას, რომ საქართველოშიც არ ჩამოსულიყო. აზერბაიჯანშიც ამ მიზეზების გამო არ ჩავიდა; მეტიც, იქ გაცილებით უარესი მდგომარეობაა... ისეთივე, როგორც მთელ ამ გაუბედურებულ რეგიონში. აი, ასეთ ფონზე სასაცილოა ლაპარაკი დსთ-ის ყოფნა-არყოფნაზე. რუსეთს დსთ იმ „შავი დღისთვის“ სჭირდება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ანუ კავკასიაში და შუა აზიაშიც მოსალოდნელი ქაოსისთვის. დსთ-ს გააჩნია იურიდიული მექანიზმები, რის საფუძველზეც რუსეთი იტყვის — მე შემიძლია ვმართო ეს ქაოსი და დასავლეთს ავაცილო პრობლემები, რაც ამ რეგიონებიდან შეიძლება დაემუქროსო. ამ მიზეზებით იქნება კიდევ კარგა ხნით დაკონსერვებული აფხაზეთის კონფლიქტიც! დარწმუნებული ვარ, რომ კლინტონის ვიზიტისას სიტყვიერად მაინც შეთანხმდებიან, რომ კავკასიაში შეინარჩუნონ სტატუს-კვო!

*— და ბოლოს, ბატონო აკაკი, შეპირებული „სიურპრიზის“ შესახებაც გვიამბეთ...*

— 9 აპრილის არჩევნების თემაზე „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ჩვენი საუბრის შემდეგ დამირეკეს უნივერსიტეტში „კეთილისმყოფელებმა“ და მითხრეს, — იქნებ გაჩერდეთო! ამასთან, „კეთილისმყოფელი“ რისი „კეთილისმყოფელი“ იქნებოდა, რომ არ „შეემკო“ ჩემი ანალიზის უნარი. მითხრეს, ბედნიერებაა, რომ ჩემისთანა შვილი ჰყავს ერს, გამოიკვლიეს და იციან, რომ ჩემს უკან არანაირი ძალა არ დგას(!) და ბოლოს დააგვირგვინეს, — გაჩერდი, თორემ... გაგსრესენო! ის კი არ მითხრეს, ჩვენ გაგსრესთო, არა, ამას „ვიღაცები“ გააკეთებენო (!!!).

*— თქვენ რა უთხარით?..*

— დიდი მადლობა, „კეთილი სურვილებისთვის“, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს აზრს ყოველთვის გამოვთქვამ-მეთქი... დასასრულ, ვიტყვი ხელისუფალთა გასაგონად: ზაფხული პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც არააქტიური პერიოდია და „სეკვესტრ-მეკვესტრებით“ კი არა, თუ ამ სამ თვეშიც არ გადაიდგა რადიკალური ნაბიჯები, არ არის გამორიცხული, რომ შემოდგომაზე მოხდეს ისეთი რამ, რაც კატასტროფით დაუმთავრდება ხელისუფლებასაც და ხალხსაც... პირველი აზრი, რაც გურამ თევზაძის მკვლელობის გამო გამიჩნდა, გახლავთ ის, რომ ეს არის თავდაცვის მინისტრის დაშინების მცდელობა მისი ნატოზე ორიენტაციის გამო. შეიძლება მისი ძმის ლიკვიდაციით დაინტერესებული იყო ვინმე კონკრეტული პირი, რომელთანაც გარდაცვლილს პრობლემები ჰქონდა და ვინ გამორიცხავს, რომ ამ პირსა და უცხოეთის სპეცსამსახურებს შორის არ შედგა ალიანსი? ეს ვანდალობაა და, საუბედუროდ, ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება ბოლო...

**ზურაბ მჭედლიშვილი**

# ᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲕᲔᲡ!

3 ივნისს, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ვანდალური აქტი მოხდა — ადგილობრივ ეკლესიაში ხანძარმა შთანთქა სოფლის მცხოვრებთა მიერ სალოცავისათვის შეწირული წმინდა ხატები. მოსახლეობა მღელვარებამ მოიცვა. ისინი გამორიცხავენ პოლიციის ერთ-ერთი ვერსიის — ანთებული სანთლიდან ხანძრის გაჩენის რეალობას. მათი თქმით, ამის მიზეზი ხოვლეში მცხოვრები იეღოველები არიან, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 20%-ია.

როგორც კასპის რაიონის პოლიციის უფროსმა, ბატონმა ალეკო პაპინაშვილმა ჩვენთან საუბარში ბრძანა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის (ხელოვნების ნაწარმოებთა და კულტურის ძეგლთა დაზიანება) მიხედვით. როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა ნოდარ დალაქიშვილმა აღნიშნა, არ არის გამორიცხული სულიერად ავადმყოფი ადამიანის მიერ ეკლესიის დარბევის ვარიანტიც. სამართალდამცავთა თქმით, ხოვლეში მუდმივად იმყოფება ხუთი კასპელი პოლიციელი, რომლებსაც მოკვლევის ჩატარებასთან ერთად, აღელვებული მოსახლეობის გაკონტროლებაც ევალებათ. პოლიციელებს, მათივე დასტურით, „იეღოვას მოწმეთაგან“ ჯერ არც ერთი მოწმედაც კი არ დაუკითხავთ. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას ჯერ არა აქვს არჩეული კონკრეტული „მუშა ვერსია“, მართლმადიდებელი მოსახლეობა ბრალს იეღოველებს სდებს, რადგან ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა — მსგავს ფაქტებს რამდენჯერმე ჰქონია ადგილი ხოვლეს მეზობელ სოფლებში, სადაც არა მხოლოდ ხატები დაუწვავთ, არამედ თაბაშირისა და ქვის ჯვარცმებიც დაუმსხვრევიათ; სხვა ისეთი ნიშნებიც ყოფილა, რაც დარბევაზე მიუთითებდა და არა შემთხვევით ხანძარზე. ხალხს ამ დარბეული სალოცავების გადარჩენილი ხატებიც ხოვლეს ეკლესიაში გადმოუტანია და იქ კი, ჯერ დაუდგენელმა პირმა თუ ჯგუფმა, ყველას ერთად მიასხა ბენზინი და დაწვა. ასე რომ, ვითარება დაძაბულია. ხოვლელი მართლმადიდებლები იმუქრებიან, — თუ პოლიცია ოპერატიულად ვერ იპოვის დამნაშავეებს, იეღოველებს შავ დღეს დავაყენებთო. მოკლედ, სოფელი ორ ბანაკადაა გაყოფილი და თუ საქმე მართლაც შეტაკებამდე მივიდა, ვფიქრობთ, პოლიციის ხუთკაციან ჯგუფს გაუჭირდება სიტუაციის გაკონტროლება.

როგორც საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილემ, ზურაბ ცხოვრებაძემ გვითხრა, — იგი საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჯერ კიდევ 18 მაისს ყოფილა ხოვლესა და მეზობელ სოფლებში, როდესაც იქ პირველად მოხდა მსგავსი ვანდალური აქტები და ნანახის საფუძველზე აბსოლუტურად გამორიცხავს სანთლისაგან შემთხვევით გაჩენილი ხანძრის, ან ერთი ადამიანის (თუნდაც სულიერად დაავადებულის) მიერ ასეთი დარბევის განხორციელებას.

ასეთ ვანდალიზმს იეღოველებს მათივე სწავლება ავალებს და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არათუ ხატებსა და ჯვარცმებს, არამედ თვით ეკლესიებსაც ანგრევენო, — აღნიშნა ზურაბ ცხოვრებაძემ და გაიხსენა მწერლისა და კინორეჟისორის, გოდერძი ჩოხელის ნაამბობი, რომელსაც დუშეთის რაიონში, თავის მშობლიურ სოფელში აუგია პატარა სამლოცველო — თურმე ფილმისთვის სჭირდებოდა. ცხადია, გადაღებების დამთავრების შემდეგ სოფლის მოსახლეობა ამ სამლოცველოში დადიოდა, ხატები და საკულტო ნივთებიც შეუწირავს სოფელს საყდრისათვის. იეღოველები იქაც კი ავიდნენ და სამლოცველო მიწასთან გაასწორესო — უთქვამს გულნატკენ მწერალს.

ჩვენ ერთს დავამატებთ: სახეზეა მორალური დივერსია საქართველოსა და მართლმადიდებლობის მიმართ. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ხოვლეს ინციდენტს, ვფიქრობთ, სისხლის სამართლის საქმე არა კულტურის ძეგლთა დაზიანების, არამედ რელიგიური შეუწყნარებლობისა და საკულტო ნაგებობის დარბევის მუხლით უნდა აღძრულიყო.

**ზვიად გურული**



ფპკპჭქშთ Ⴖუქკპჭქ ქფსჩჭმფკშ ნჭმუდვპუ ქჭცფაუუიპფტ შნჭ ვფ ფოცფმდშვფ კპეშთ თფთგაუმდშთ Ⴖუთფჩუიყ ქუჭკქჭსუ ვპუთ გლფტფთლტუდფვ პფქჭუსჩფვფ ქჭსშლგდუითბ კჭქდუიშს Ⴖულკუიშდშ შნმტუტ შუკგთფდშქႮშ ვფ გპჩკფბ ვფკსშე შუკგთფდშქႮშ თგდშცქშვშთ პფკვფქჭთმ-დფქვუჭყ ფქშთ Ⴖუქკუპ ცფშნმფტფ შთშტშ ჭუეშთჩშდშთ ქეფჭუყ ფპფზნკჭ ჩუდუიშბ ფლგკპჩფ ქჭცფაუტშ ვფ ფქფპდვფ ჭუსფვ ვფ ვფოვფ ქფქშთ ქფკომტშმყ ქჭსშლგდუიშ ვშჩფტთ Ⴖურნგკუივტუტ სფთუყ ფქ ვკჭთ ქფე პფქჭუსჩფვფ ჭკშ ეუეკშე ქჭთშდშ ფტპუდჭჭშ ვფ გპჩკფ ლკშთეუთ ქჭცფაუუითპ Ⴖ ლფსტჭ პფდშდუმუდტჭბ კფთ ვპფჩფკე ვფ გნგკუიე ჭუსფთპ შუთჭბ კჭქუდშს ეღმუტპფტ ფქფპდვფბ შთუმუ ქჭმფბ კჭპჭკშს ჭუსფვ ფპქფმფდშ შჩშდუეყ

პფჩფკუიგდქფ ქჭსშლგდუიქფ ეფნმფტშ თსუთ ფქფპდუიგდ გაფდთ ვფ ვფიკგტვტუტ შუკგთფდშქႮშბ მშკუ ფკ ქჭგცჭვუივფ გაფდშთჩმვვფთჩმფლმუნფვტფႮშთფლფვფპუდფვ ცფთმდფთუ

ქშგჩუვფმფვ შქშთფბ კჭქ ქჭსშლგდუიშ თფნმფკუდ ქჭჭკმფკეფტ პფტႮჭკუიშე ქკფვალი განსაცდელით მოცულ გარემოში აღმოჩნდნენ, დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს, ვინაიდან სწორედ ამ დროს ფუჩშდფე პჭტუიშთ ეშფდშ ვფ ქშჩმვტუტბ კჭქ ქფსჩჭმფკშ თფქგვფქჭვ ლშ ფკ პფტუႮჭკფებ ფკფქუვ ვკჭუიშე ვფ პგდშე პკჭტჭივტუტ შთუე თშფჩდჭმუთ ქფთეფტბ კჭპჭკშს ფკფთჭვუთ პფტუსფვფეყ თფტგპუႮჭვ ლშ უთ თშენმუიშ ვფრნმუიჭვფე ეფტპ )ვფ ფრფ უთუკფ ქუ ეღმუტეფტფ მფკ ნჭმუდეფ ვპუეფ ვფ მშვკუ ფპთკგდუიფქვუ თჭადშთფ( ზქფეუბ —.ბ —?9ყ

შუთჭ ლკშთეუთ ჭუსფვ ფქფპდუიფ ფპკპჭქშვფტ ქუჭკქჭსუ ვპუთ ფპშტႮტუიფბ ფქშეჭქ ფქფპდუიშთ ვპუთფთცფგდშ ქჭჭკფმშფ ვფ ცუდთ ჩგႮფიფე ვპუთ გცუმთყ

tropari

**ფქფპდვშ ვშვუიშებ ლკშთეუ პქუკეჭ სმუტჭბ ვფ ქჩშფკგდ რნმუტ ქჭცფაუტშ ფპეღქშეფ ქშებ თგდშთფ ცქშვშთფეფბ პფტფქელშსუტ კფ შპშტშ ლგკეჩუმშეფ ქშებ კფქუეგ Ⴖუტ ჩფკ ჭუ პქკეშთფ ქჩთტუდშ თჭადშთფყ**

*ფტფ სჩუშჭუ*

გთხოვთ გამოაცხადოთ კონკურსი, ვინ რამდენ სანაგვე ყუთს ნახავს თბილისის ქუჩებში. თუ ნახავს, მისამართი გაზეთში დაბეჭდეთ და ჩვენ, ბედნიერი თბილისელები, რომლებსაც ჯერ კიდევ შემოგვრჩენია კულტურა და ჩვენი დედაქალაქის სიყვარული, გავიქცევით და მცირე-მცირე ნაგვისგან მაინც გავითავისუფლებთ ხელს.

***ჯ. ჯორბენაძე***

**გაზეთ „კვირის პალიტრას“**

თქვენი გაზეთის მე-19 ნომერში (8-14 მაისი) გამოქვეყნდა წერილი ჩემი ოჯახის შესახებ, სადაც ჩემს მიერ ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნის გამო დაშვებული იყო ორი უზუსტობა: 1. მე ველოდდი არა საქართველოს მოქალაქეობის, არამედ ორმაგი მოქალაქეობის კანონის მიღებას; 2. ძეგვის ბავშვთა სახლში უხელფასოდ ვმუშაობ.

***პატივისცემით იულიან რაბიუსი***

**მკითხველის შეკითხვა-გამოცანა**
**გაზეთ „კვირის პალიტრას“**

მოხმარებული ელექტროენერგიისათვის უნდა გადაიხადო მისი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეი-ეს-თელასი გადაუჭრის მომხმარებელს ელექტროსადენებს და დაადებს პლომბს.

მთავრობა იხმარს ადამიანთა შრომას, მაგრამ არ უხდის ხელფასს. ლოგიკის კანონების თანახმად, რა უნდა გადაეჭრას მთავრობას (მთავრობის წევრებს) და სად უნდა დაედოს პლომბი?

***ს. წინწავა, თბილისი***

# 1848 წლის გაზაფხულზე...



დარეჯანის სასახლე

უცხოელებს მუდამ ხიბლავდათ თბილისის კულტურის სიძველენი. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი 1671 წელს წერდა: თბილისში 14 ეკლესიაა, რაც ამგვარი ქალაქისათვის ძალიან ბევრიაო. მისი თანამემამულე, მარი ბროსე, რომელიც თბილისში 1848 წელს ჩამოვიდა, აღტაცებული დარჩა ქალაქითა და ეკლესიათა სიმრავლით.

თბილისის ეკლესიები იყო ქალაქის მარგალიტი, ისინი ანიჭებდნენ საქართველოს დედაქალაქს სიმშვიდესა და სიმყუდროვეს. მოდით, მარი ბროსესთან ერთად მოვიაროთ XX საუკუნის 40-იანი წლების თბილისის ქუჩები და შევიგრძნოთ მისი სურნელი... ტყემლები და ნუშები თეთრად აფეთქებულან ყოველ კუთხე-კუნჭულში და ქალაქი ერთ დიდი თაიგულს ჰგავს. ნორჩი სიმწვანე და თბილისური ვარდების სურნელი აბრუებს ყნოსვას... ჩრდილოეთით, მაღლობზე, არტილერიის პარკის შემდეგ უგუმბათო ეკლესიაა. აქ თოფის წამლის საწყობია.

ქალაქის შუაგულში, ქვითკირის გალავნით გარშემორტყმული ქაშვეთის ეზოში მონასტერია. ეკლესიის გუმბათის სარკმლებს შორის, თორმეტი მოციქულის თავებს ზემოთ მოჩანს ზოდიაქოს ნიშნები, თვეთა სახელწოდებით. გრაფისა და ბარონის ქუჩებს შორის დგას სამების ეკლესია. იგი არ გამოირჩევა არქიტექტურული სიდიადით, მის კედლებს არც წარწერები ამშვენებს, რადგან თანამედროვეა, ახლახან აუგიათ.

ალექსანდრეს მოედანზე, სამხედრო კორპუსის პატარა ხის რუსული ეკლესიაა. 1848 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის ეგზარქოსმა მიტროპოლიტმა ისიდორე ნიკოლსკიმ საძირკველი ჩაუყარა ახალ ტაძარს. მას ღირსეულად უნდა დაემშვენებინა კავკასიის დედაქალაქი. ორბელიანის გრძელი ქუჩა მტკვარს მისდევს. აქედან შეიძლება თვალი შევავლოთ ვანქის ეკლესიას. მის გალავანში ცხოვრობენ სომეხი სასულიერო პირები. სამრეკლო აგურისაა და წაწვეტებული. ჩაივლი კიბეებს, გაივლი სომხურ სასაფლაოს და მიადგები მთავარ ტაძარს. წმიდა თომას სამლოცველო ანუ კვირაცხოველი დგას ერთ-ერთ პატარა შესახვევში, რომელიც უერთდება პოლიციის ქუჩას. იგი მიტოვებულია. მის კედლებზე ბროსემ ვერანაირი წარწერა ვერ ამოაჩინა.

ვერცხლის რიგში, საცხოვრებელი სახლების ეზოში დგას სურბნიშანის ეკლესია.

ერევნის მოედანთან, სომხური ბაზრის შესასვლელში დგას ჯიგრაშენის ეკლესია. იგი ერთ სომეხ ვაჭარს გაბრაზებულ გულზე აუშენებია — თურმე, დიდებულებს არ სურდათ ტაძარში მის გვერდით ლოცვა. ვაჭარმა შური იმით იძია, რომ თავისთვის და თავისი ახლობლებისთვის აიგო საყდარი.

ჯიგრაშენის მახლობლად მშვენიერი კათოლიკური ეკლესიაა, შიგნით ლამაზად მოხატული. მის დასავლეთის ფასადზე ორი კოშკია აზიდული. ბაზრის ქუჩაზე ნარაშენის დიდი ეკლესიაა. აქვეა ბერძნული ამაღლების ტაძარი და ჯვარის მამა. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ეკლესიაში ქართველი მღვდელი წირავს.

ანჩისხატი და სიონი — თბილისის უმნიშვნელოვანესი ტაძრებია. ანჩისხატის ინტერიერს სახარების სიუჟეტებზე მოხატული ფრესკები ამშვენებს. ფერწერა აშკარად დახვეწილი გემოვნების მქონე ოსტატის ნამუშევარია. განსაკუთრებით ნატიფია ორკარედის მაცხოვრის გამოსახულება წარწერითურთ: „მადლით დაილოცოს მანდატურთუხუცესი ბექა“.

მძლავრი, მრისხანე მეტეხის ციხე... ყველა სახელმწიფოს დედაქალაქს აქვს თავისი მეტეხი. ოდესღაც ციხის ადგილას ბაგრატიონების ბრწყინვალე სასახლე იდგა, აქ იყო თბილისის ქრისტიანული ცენტრი. მეტეხის ტაძრის მდიდარი, დახვეწილი არქიტექტურა, ბროსეს აზრით, მეტყველებს ქართველთა ასევე დახვეწილ გემოვნებაზე. ფრანგი მეცნიერი გააოცა ავლაბრის ეკლესიებმა.

მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიდის წმიდა დავითის ეკლესიისაკენ. გრიბოედოვის ქვრივი, ნინო ჭავჭავაძე, ჯერაც დასტირის მეუღლეს — „გონება და საქმენი შენი უკვდავია რუსეთისათვის, მაგრამ უშენოდ ვით გასძლოს ჩემმა სიყვარულმა...“ მთაწმინდიდან დასცქერის ქალაქს ფრანგი მეცნიერი და იხსენებს გრიილს: „ჩემი ნინო მურილიოს მადონას ჰგავს“...

მამა დავითის ეკლესიის სამხრეთ კარებზე მარი ბროსემ დიდი მღელვარებით ამოიკითხა რამდენიმე სტრიქონი, რუსულ ენაზე: „აქ განისვენებს გვამი თავადის ზაქარია ფალავანდიშვილისა. დაიბადა 22 სექტემბერს 1815 წლისა, აღესრულა 9 ივნისს, 1845 წელს“.

„რა სამწუხაროა, რომ უეცარმა სიკვდილმა გამოაცალა ხელიდან საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი შვილი. ზაქარიამ იცოცხლა სულ 30 წელი და მოასწრო დაემთავრებინა მოსკოვის და პეტერბურგის უნივერსიტეტები. რამდენი რამ შეეძლო მას სამშობლოსათვის გაეკეთებია!.. 32 წლისა გარდაიცვალა ზაქარიას მამაც. ორივე ერთად წვანან... რამდენი ახალგაზრდა და მომავალი შთანთქა ამ.... მარმარილოს ფილებმა!“ — გულისტკივილით ჩაიწერა მარი ბროსეს დღიურში. აქვე ნახა ბოროდინოს ბრძოლის გმირის, პეტრე ბაგრატიონის უმცროსი ძმის, რომანის საფლავი.

ფრანგი მეცნიერი მოხიბლა მთაწმინდის წყაროს სახელმა: „წმიდა დავითის ცრემლები“. მან შესვა ანკარა, გემრიელი წყალი და ამით დაასრულა თბილისის დათვალიერება...

1880 წლის 22 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქ შეტელროში გარდაიცვალა მარი ბროსე. 2 სექტემბერს კი სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ამ ადამიანის წყალობით ჩვენი სახელი... სამუდამოდ დამკვიდრდა ევროპაში“.

ჩვენ კი დავძენთ, რომ არა მარი ბროსე, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, როგორი იყო თბილისი 1848 წლის გაზაფხულზე...

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***







# თურმე არავისაც არ სცემენ

**სამწუხაროდ, ვუბრუნდებით ჩვენივე გაზეთის მიერ დასმულ ცხინვალის ციხის პრობლემას. რაც არა მარტო ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ ჩვენი კოლეგის კომენტარმა, არამედ იქიდან მოსულმა ახალმა ინფორმაციამაც გვაიძულა**

***მკითხველს ალბათ ახსოვს, ჩვენი კორესპონდენტების თავგადასავალი ცხინვალის ციხეში და შემდგომში მასთან დაკავშირებული ამბები.***

მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: 8 მაისს, სარედაქციო დავალებით, ცხინვალის მიმდებარე სოფელ ერგნეთში ჩასული ჩვენი თანამშრომლები ოსმა „სამართალდამცავებმა" უმიზეზოდ დააკავეს, ერთი დღე-ღამით ცხინვალის ციხეში გამომწყვდეულებს სასტიკად სცემეს, აბსურდული ბრალდებები წაუყენეს და, რომ არა ჩვენი გაზეთის მესვეურთა აქტიურობა და შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა, საქმე, ალბათ, ცუდად იქნებოდა.

საქართველოს პრესამ ფართოდ გააშუქა ეს ინციდენტი და, რაც მთავარია, გიორგი აბდალაძის მონათხრობი — ცხინვალის ციხეში არსებული აუტანელი პირობებისა და ქართველი პატიმრების მიმართ ციხის ადმინისტრაციის მოპყრობის შესახებ. ამ აჟიოტაჟს კი მოჰყვა ოსური მხარის მიერ ყველაფრის უარყოფა და ქართული მედიის წარმომადგენლების მიწვევა „სიმართლის" დასადგენად.

„რანდევუ" შედგა — გვაჩვენეს დაბანილ-დავარცხნილი პატიმრები, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ, — საამურია ცხოვრება ცხინვალის ციხეშიო. საწყენი ის არის, რომ ისეთი „გულუბრყვილოები" ვგონივართ, თითქოს იმასაც ვერ მივხვდებოდით, ჩვენი ჩასვლის შესახებ ერთი კვირით ადრე გაფრთხილებულნი მომზადებას რომ მოასწრებდნენ და ვერც იმას, ვითომ პატიმართა სადილისათვის განკუთვნილი წვნიანით, ქვაბი საღამოს შვიდ საათზე სავსე რომ არ უნდა ყოფილიყო. მეტიც — რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი პოპულარული ტელეკომპანიის გადამღებ ჯგუფს საკანში გადაღების უფლებაც კი მისცეს და, ალბათ, ბევრმა თქვენგანმა იხილა ამ ტელეარხის ყოველკვირეულ საინფორმაციო პროგრამაში ეს კადრები: ოთხი სუფთად ჩაცმული პატიმარი უხვ სუფრას მისჯდომია და დანა-ჩანგლით მიირთმევს ნუგბარ კერძებს, მათ უკან ქათქათა თეთრეულგადაკრული ლოგინები ჩანს, მაგიდის გვერდით კი ახალთახალი ტელევიზორი დგას თავისი დისტანციური მართვის პულტით.

ამ სიუჟეტის გარდა, გასახსენებელია სხვა ტელეკომპანიების სიუჟეტებიც, ზოგიერთი პოლიტიკოსისა და ჩვენი კოლეგის მონათხრობი და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასეთი პათოსით გამსჭვალული სურათი წარმოგვიდგება: ცხინვალის ციხეში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე ზოგიერთ ქართულ ოჯახში, ხოლო ჟურნალისტმა არ უნდა დაივიწყოს მისი პროფესიისათვის მთავარი, სამართლიანობის პრინციპი. „კვირის პალიტრას" კი, მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულად მის ჟურნალისტს შეეხო საქმე, ე.ი. „პირადი დაინტერესების გამო" არ უნდა აეტეხა ასეთი უსამართლო ბრალდებებით გაჟღენთილი აჟიოტაჟი.

აქ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ერთ კონტექსტში შემთხვევით არ გვიხსენებია — ერთ გარემოებას შევახსენებთ მკითხველს: იმ საღამოს, როდესაც ჟურნალისტთა დელეგაცია ცხინვალელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრიდან დაბრუნდა, საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა ოპერატიულად (8 საათის გამოშვებაში) უჩვენა სიუჟეტი, თანაც აბსოლუტურად ობიექტური და ლოგიკური კომენტარებით. ამის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, არც ერთი არხი ამ საკითხით აღარ დაინტერესებულა; მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ რუსულენოვანმა (ალბათ, ცხინვალში რომ უფრო კარგად გაეგოთ) საინფორმაციო გამოშვებამ „დაგვდო პატივი" და დაუბრუნდა ცხინვალის პრობლემას; ოღონდ პოზიცია და კომენტარი იყო სრულიად განსხვავებული და არაარგუმენტირებული, მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში მოწვეული ჰყავდათ ბატონი მამუკა არეშიძე და მისი ნათქვამის ინტერპრეტირებაც ცოტა სხვაგვარად შეიძლებოდა.

რა ხდება, ბატონებო?!

ნუთუ ის მაინც არ არის ჩვენს მიერ ატეხილი „აჟიოტაჟის" (როგორც ზოგიერთმა უწოდა) რეალური შედეგი, რომ მიუხედავად საქართველოს შსს-ს პრესცენტრის თავგამოდებული მტკიცებისა — ცხინვალის ციხეში მხოლოდ ორი კაციაო, რვა ქართველი პატიმარი გვანახეს და შემდგომში კიდევ სულ ცოტა, სამი ქართველის იქ ყოფნაც დადასტურდა?!

იქნებ, ჩვენ ვერ ვხვდებით და მართლაც ასეა საჭირო ქართული პოლიტიკისათვის?!

იქნებ, ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვწერთ სიმართლეს, რომ გიორგი აბდალაძე ჩვენი თანამშრომელია და მისი დაჟეჟილი ნეკნები ჩვენც გვტკივა?!

ან იქნებ, მხოლოდ სენსაციას გამოვეკიდეთ, ქვეყანა ფეხებზე გვკიდია და უკვე მოგვარებულ კონფლიქტს ვაღვივებთ, — როგორც ეს ირაკლი მაჭავარიანმა ბრძანა?!

ან იქნებ, პირდაპირ რომ ვთქვათ — ვცრუობთ?! მით უმეტეს, რომ მავანმა შეიძლება თქვას: „თქვენ საკნებში არ ყოფილხართ, არაფერი გადაგიღიათ, პატიმრებმა კი (მერე რა, რომ ციხის უფროსის თანდასწრებით), გითხრეს, — ყველაფერი კარგად არისო. აბდალაძე ვერ დაამტკიცებს, რომ არ იტყუება. ტელევიზიამ კი, აჩვენა საკანში გადაღებული კადრები, სადაც პატიმრები კარგს ჭამენ, კარგს სვამენ, სუფთა თეთრეულში სძინავთ, იაპონურ ტელევიზორს უყურებენ (ვიდეო მაგნიტოფონი და მუსიკალური ცენტრი კადრში არ მოხვდა) და ერთხმად ამტკიცებენ, რვა კილოგრამზე ნაკლები არც ერთს არ მოგვიმატიაო.

რა უნდა გვეპასუხა ამ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბრალდებებზე? ისევ აბდალაძის მონათხრობი გამოგვექვეყნებინა? შევაჩერებდით ამით დეზინფორმაციის იმ ნიაღვარს, რომელიც ჩვენი სახელის ხსენების გარეშე, მაგრამ მაინც ჩვენზე იყო მოშვებული?

მაგრამ პასუხი გამოჩნდა — მას ფოტოზე ხედავთ, თუ კარგად ვერ არჩევთ, პირველ გვერდზე იხილეთ, სხვა რაკურსით და თანაც ფერადი გამოსახულებით. ეს დალილავებული ზურგი ერთ-ერთი იმათგანისაა, რომელიც იქ ყოფნისას სხვებთან ერთად გვიმტკიცებდა, — უბატონოდ ხმას არ გვცემენო. იგი რამდენიმე დღის წინ გამოუშვეს — სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ალბათ, არა უანგაროდ, რადგან ერთი წელი მიუსაჯეს (პირობითი სასჯელი). გასაგები მიზეზების გამო მის სახესა და ვინაობას არ ვააშკარავებთ, თუმცა დაინტერესებულ პირებსა და კომპეტენტურ ორგანოებს ყველა ინფორმაციას მივართმევთ (მათ შორის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასაც). გთავაზობთ მის მონათხრობს:



— წავიკითხე თქვენი კორესპონდენტის ამბავი ცხინვალის ციხეში გატარებული ერთი დღე-ღამის შესახებ და ჩვენი მონახულების შემდეგ დაწერილი სტატიებიც. სხვადასხვა ტელეარხის სიუჟეტებიც ვნახე და ვიყავი კიდეც მეცხრე არხში მისული, მინდოდა სიმართლე მეთქვა.

მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი კორესპონდენტი, იმის გამო, რომ მხოლოდ ერთი დღე-ღამით იყო იქ, სრულად ვერ აღწერდა იმ საშინელებას, რაც ცხინვალის ციხეში ხდება.

უბრალოდ, ჩამოვთვლი იქაურ პირობებს და საკმარისი იქნება სიტუაციის წარმოსადგენად:

**ცემა — აბსოლუტურად ყველა დარღვევაზე, დაწყებული წვერის გაუპარსაობიდან და დამთავრებული იმით, რომ საკნიდან დერეფანში გაყვანისას ხელების ზურგზე დაწყობა დაგავიწყდა. ხანდახან ისეც, როცა უბრალოდ „ხელი ექავებათ", ჩემი „სინიაკები" ხომ ნახეთ, სხვები უარეს დღეში არიან**

საჭმელი — საერთოდ არ არის, გარდა დღეში ნახევარი პურისა; ლოგინი — ზამბარებჩაწყვეტილი „კოიკები" ყოველგვარი თეთრეულის გარეშე, მხოლოდ „ადიალა", ისიც შენ უნდა მიგატანინონ ოჯახიდან (ბალიშისა და ზეწრების შეტანა გარედანაც კი აკრძალულია); სასმელი წყალი — ადრე იყო კვირაში ერთხელ, აბდალაძის ჩვენთან ყოფნის შემდეგ ორჯერაა, ე.ი. ადრე ერთი კვირის ნადგომ წყალს ვსვამდით, თუ გვეყოფოდა, ბოლოს — ოთხი დღის ნადგომს; ტუალეტი — ყველა საკანში არის, მაგრამ არც ერთში არ მუშაობს. მათი ერთადერთი „ფუნქცია" მყრალი სუნის ამოფრქვევაა. ამიტომ ყოველ დღე (მხოლოდ ორჯერ) გავყავდით საერთო ტუალეტში, სადაც „საქმე" ზუსტად ორ წუთში უნდა მოათავო და ცხადია, იმას, რომ თირკმელების არეში სასტიკად ნაცემ კაცს დღეში შეიძლება ათჯერ მოუნდეს მოშარდვა, არავინ გაითვალისწინებს; ცემა — აბსოლუტურად ყველა დარღვევაზე, დაწყებული წვერის გაუპარსაობიდან და დამთავრებული იმით, რომ საკნიდან დერეფანში გაყვანისას ხელების ზურგზე დაწყობა დაგავიწყდა. ხანდახან ისეც, როცა უბრალოდ „ხელი ექავებათ", ჩემი „სინიაკები" ხომ ნახეთ, სხვები უარეს დღეში არიან; კარცერი (რომლის არსებობა კატეგორიულად უარყვეს ოსმა ძალოვანებმა ჩვენთან შეხვედრისას, — ზ.გ.) — პატარა ოთახი, ბეტონის იატაკითა და კედლებით, უფანჯრო, უავეჯო, მხოლოდ შუაში ჩაბეტონებული რკინის ნაჭრით, რომელიც სკამის ფუნქციას ასრულებს. შეაგდებენ ნაცემ პატიმარს ტრუსის ამარა და დროდადრო ცივ წყალს ასხამენ. მე მარტის დასაწყისში მომიხდა იქ ერთი ღამის გათევა, რადგან სანთლის ალზე მოდუღებული ჩაის სმისას დამიჭირეს. კინაღამ გავიყინე; ექიმი — ნამდვილად არის, მაგრამ ყველა ავადმყოფობას მხოლოდ ანალგინით „მკურნალობს", თანაც იქაური ოსი პატიმრებისგან დანამდვილებით ვიცი — ყოფილი ვეტერინარია (შეგიძლიათ თქვენი არხებით გადაამოწმოთ).

თქვენი ყოფნის შემდეგ არაფერი შეცვლილა — ახლა რომ ვუფიქრდები, მგონი, იცოდნენ, როგორი კომენტარი იქნებოდა ამ ყველაფერზე. მით უმეტეს, რომ წინასწარ ვიყავით გაფრთხილებული თქვენს ჩამოსვლაზე და „ვიცოდით", რაც უნდა გველაპარაკა. ისე, ერთი კი მისაყვედურეს, — რატომ დაიბენი, ჟურნალისტებმა საჭმელზე რომ გკითხეს, ორჯერ კი არა, სამჯერ გვაჭმევენ — უნდა გეთქვაო.

თქვენი წასვლის შემდეგ ტელევიზიასთან ერთად ვიღაც ქალი იყო, რუსულად საუბრობდა, ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტიდან თუ რაღაც ამგვარიდან ვარო (ამ ქალბატონისა და მისი ორგანიზაციის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ— ზ.გ.), ბევრი არაფერი — ჩვენი გვარები ჩაიწერა და როგორ გეპყრობიანო, — მკითხა. რას ვუპასუხებდით? — მთელი „ნადზორი" იქ იყო.

— სასამართლო რა დაგიჯდა?

— ...არაფერი.

— არ მჯერა.

— შენი საქმეა (როგორც შემდეგ საუბარში გაირკვა, მისი საბუთები — პასპორტი, მართვის მოწმობა — ჯერ კიდევ ცხინვალში ყოფილა და ჩვენთვის გასაგები გახდა, თუ რატომ გაათავისუფლეს „უფულოდ").

ესეც ასე, ბატონებო! ესეც ჩვენი მორიგი „დეზინფორმაცია".

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ „ორომტრიალში" გარკვეული პირების აზრი:

**მამუკა არეშიძე:** — ცხინვალში ჩვენს ყოფნას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: პირველი — დაგვედგინა, სიმართლეს ამბობდა თუ არა თქვენი კორესპონდენტი აბდალაძე და მეორე — გვეიძულებინა (კარგი გაგებით) ცხინვალის ხელისუფლება, რომ პატიმრებთან შეხვედრის საშუალება მოეცათ.

ამ ორიდან რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ეს მკითხველმა განსაზღვროს; ჩემთვის კი მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური მხარის კეთილ ნებას, რადგან ასეთი შეხვედრის უფლებას ჩვენ არავინ მოგვცემდა — არათუ სოხუმის, არამედ თბილისის ციხის უფროსიც კი. მე, რა თქმა უნდა ვიცი, რომ მდგომარეობა უფრო მძიმეა, რასაც ეს ფოტოებიც ადასტურებს. იმასაც ველოდი, რომ სიტუაციას „დავარცხნილს" დაგვახვედრებდნენ, მაგრამ ისიც კი დასაფასებელია, რომ „გალამაზება" მოინდომეს, ე.ი. ჩათვალეს, რომ მათთვის უკეთესია, თუ ჩვენ ვიფიქრებთ, თითქოს იქ კარგადაა საქმე. ეს უკვე მიღწევაა, რადგან რეალურად, დე ფაქტო, ხომ არ არიან მოვალენი ჩვენ (მე — დამოუკიდებელ ექსპერტს და თქვენ — ჟურნალისტებს) ანგარიში ჩაგვაბარონ.

ეს იყო დიდი ნაბიჯი ორივე მხრიდან — თავისთავად ამ დონის ფუნქციონერებთან შეხვედრა ხომ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ პიროვნებას — ცხადია, არ არის სასიამოვნო ამბავი. მეტიც, მე ისეთი შეგრძნებაც კი მაქვს, რომ ჩვენი ჩასვლის გამო დაისაჯა. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, არც მანამდე აკლებდნენ. ამასთან დაკავშირებით მე უკვე ვესაუბრე ტელეფონით ოს ძალოვნებს და პირობა მომცეს, რომ მსგავსი აღარ განმეორდება. ვნახოთ. და კიდევ ერთი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა და რის გამოც საყვედურის ღირსად ვგრძნობ თავს: ტელევიზიით გამოსვლისას მე აუცილებლად უნდა აღმენიშნა, რომ კარგი საქმე გაკეთდა და ეს საქმე „კვირის პალიტრამ" წამოიწყო.

**ელენე თევდორაძე:** — წინა ინტერვიუშიც გითხარით და ახლაც ვიმეორებ: მე იმ კომიტეტს ვხელმძღვანელობ, რომელსაც ასეთი საკითხების მოგვარება ევალება და, ჩემდა სამარცხვინოდ, საერთოდ მივიწყებული მქონდა, რომ არსებობს ცხინვალის ციხე. თქვენი პუბლიკაციის შემდეგ კი შეიძლება ითქვას, რომ უკვე არის რეალური შედეგი: ეუთოს მისია საქმის კურსშია და დამპირდნენ, რომ მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევენ ამ საკითხს.

გარდა ამისა, ცხინვალში ფუნქციონირებს ორგანიზაცია: „ჟურნალისტები — ადამიანის უფლებებისათვის", რომელსაც ირინა იანოვსკაია ხელმძღვანელობს. მან, ჩემი რეკომენდაციით, სოროსის ფონდის თბილისის ოფისისგან გრანტი მიიღო (თუმცა, მე რომ მცოდნოდა ცხინვალის ციხის მდგომარეობა, ამ რეკომენდაციისაგან აუცილებლად თავს შევიკავებდი). ისინიც დამპირდნენ, რომ იმუშავებენ ამ საკითხზე, მით უმეტეს, რომ მათი თხოვნით, რუსლან ხარებოვი (თბილისის ციხეში მყოფი ცხინვალელი ექიმი-ტრავმატოლოგი) მე გადავაყვანინე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თუმცა, მასზე მეტად სხვა პატიმრები საჭიროებდნენ მკურნალობას. ეს კეთილი ნების ჟესტად უნდა მიიღონ და საპასუხო ნაბიჯები უნდა დავინახოთ.

რაც შეეხება საკითხს, პოლიტიკურად გამართლებულია თუ არა განგაშის ატეხვა — ერთს ვიტყვი: მე მოვუყევი ამ პიროვნების ამბავი ბატონ ზურაბ ჟვანიას და ეს ფოტოებიც ვანახე, მაგრამ მასზე ამას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. რას იზამ, მე უფრო ადამიანი მიყვარს, იმას — პოლიტიკა. თუმცა ამ სიტუაციაში განგაშის ატეხვა, პოლიტიკურადაც და იმ პატიმრების მდგომარეობისთვისაც — უკეთესი მგონია.

**ირინა იანოვსკაია:** — სოროსის ფონდისგან მართლაც მივიღეთ გრანტი — „Десять тысяч с хвостиком", და დავბეჭდეთ იურიდიული ლიტერატურა, რომელიც გავავრცელეთ სამხრეთ ოსეთში, ეს ლიტერატურა გამოადგებათ სპეციალისტებსაც და დაინტერესებულ პირებსაც.

**— თქვენი ორგანიზაციის სახელწოდებიდან გამომდინარე, მგონია, რომ პატიმართა უფლებებითაც უნდა ინტერესდებოდეთ.**

— დიახ, როდესაც ამ პროექტს ამოვწურავთ, ახალ გრანტზე ვაპირებთ განაცხადის შეტანას, რომლის მიღების იმედიც გვაქვს და მოვაწყობთ ფსიქოლოგიური კონსულტაციების სამსახურს პატიმართა ოჯახის წევრებისათვის, სემინარებს, აგრეთვე პატიმართა შვილების ნახატების გამოფენას ცხინვალის ციხეში.

**— იცით, რომ გამოფენა კი არა, წყალსაც კვირაში ერთხელ აძლევენ? ჩვენთან არის პიროვნება, რომელსაც დაწვრილებით შეუძლია იქაური სიტუაცია გაგაცნოთ.**

— მე ვიყავი იქ, თქვენს ტელეჟურნალისტებთან ერთად და თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგ პიროვნებასაც ვესაუბრე და მაშინ არაფერი უთქვამს.

**— ცხადია, ვერ გეტყოდათ, თქვენი წასვლის შემდეგ ცემით მოკლავდნენ.**

— მე ორშაბათსვე მივალ და კიდევ ერთხელ ვნახავ, რისი გაკეთება შემიძლია.

**P.S.** ჩვენი მხრიდან ერთს დავამატებთ: ალბათ, პოლიტიკოსების საქმეა — რას იტყვიან, რას დამალავენ და როგორ იცრუებენ (თუმცა, ეს მაინც არ გვგონია მართებული), ჟურნალისტებს საქმეს კი ნუ გვასწავლიან — ეს სიმართლის თქმაა, ხოლო სიმართლე ის არის, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

ავადმყოფი, რომელიც უმალავს ექიმს თავის ავადმყოფობას — კვდება.

ჩვენს ხელისუფლებას კი, სანამ ბრინკადქცეულს არ შემოესმება: „მაშ მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!", ურჩევნია მანამდე მოვიდეს გონს.

***ზვიად გურული***


სიახლე საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკისაგან

ABG

ევროკომისიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შექმნილი ბანკი შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებს ისარგებლონ უფასო საბანკო მომსახურებით. ეს შეღავათი გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მიმდინარე წელს გახდება ბანკის კლიენტი.

დაგვიკავშირდით

ჩვენი მისამართია:
თბილისი, ბუდაპეშტის 10
ტელეფონები: 25-08-20; 25-13-52

Tacis

# მუსიკა, ლექსი და ქალი–სასწაული...

ქართული საზოგადოებრიობა 2 ივნისს უჩვეულო მოვლენის მოწმე გახდა. კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუსიკა სრულდებოდა პოეზიის თანხლებით. ლექსებს კითხულობდნენ მურმან ჯინორია და მარინა კახიანი. თბილისში პირველად შესრულდა რიჩარდ ნეინსის (აშშ) სიმფონიები. მეორე განყოფილებაში ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრთან ერთად შეასრულა ოთარ თაქთაქიშვილისა და ალექსი მაჭავარიანის საკიოლინო კონცერტები.

თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორის სიმფონია სრულდებოდა ქართველი პოეტის **თამაზ ჩაჩავას** ლექსების დუეტში. ბატონი თამაზი ქალბატონი ლიანას მეუღლე გახლავთ. იგი პროფესიით ექიმია, მაგრამ, როგორც გვითხრა, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ (ეს კი 20 წლის წინ იყო) მედიცინას „დაემშვიდობა“.

**— ბატონო თამაზ, როგორ დაიბადა ეს იდეა და რატომ აირჩიეთ ფონად ნეინსის სიმფონიები?**

— თავად ავტორმა გამომიგზავნა კომპაქტდისკები, საოცრად მივამსგავსე შოსტაკოვიჩს — ჩემს იდეალს. ამ მუსიკისათვის გადავწყვიტე ლექსების დაწერა. საქმე იმაშია, რომ სიმფონია №3 „ჰოლოკოსტი“ (კატასტროფა) და ჩემი ლექსები ახლოს დგანან ერთმანეთთან განწყობით: პლანეტის მოსახლეობის გეომეტრიულმა ზრდამ მეოცე საუკუნეში, მაღალმა ტექნოლოგიამ, სიკეთესთან ერთად, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ადამიანს, როგორც სულიერ არსებას. სატანურად აჩქარებულმა გარემომ ჩამოაყალიბა ნევროპათი ადამიანი. მხოლოდ დაწმენდილი ლოცვითი ურთიერთობით ღმერთთან, მიიღწევა ადამიანის ცნობიერების ერთგვარი გაჯანსაღება.



**— პოეზია როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში?**

— ყოველთვის იყო. ეს ხომ რელიგიური განცდის ერთ-ერთი ტოტია, ამიტომ თუკი ადამიანში არის რელიგიური აღქმა რეალობისა, ის უკვე პოეტია. ლექსი აზრიდან კი არ იზრდება, არამედ შინაგანი სუნთქვიდან, რომელსაც შეიძლება მუსიკა ეწოდოს. სწორედ იგი კარნახობს სიტყვას და წარმოიშვება ის, რაც უნდა იყოს.

**— აქამდე თუ გქონიათ ასეთი ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა?**

— 1998 წელს ბათუმში ვივალდის მუსიკაზე წავიკითხეთ ჩემი ლექსები. ძალიან გვინდა თბილისშიც წარმოვადგინოთ, თუ ეს რეალური გახდა, ალბათ ახალ ლექსებსაც დავწერ. ძალიან კმაყოფილი ვარ მსახიობებით და ვთვლი, რომ მუსიკა-პოეზიის დუეტი შედგა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ასეთივე ექსპერიმენტი — ბატონმა მურმან ჯინორიამ ერთი მსახიობის თეატრში წარმოადგინა სპექტაკლში „...და სიმღერით ვკვდები...“

**მურმან ჯინორია:** ვფიქრობ, კლასიკური მუსიკა და პოეზია ერთმანეთს ავსებენ, მე ყოველთვის მუსიკას ვგრძნობდი ლექსში. გალაკტიონი უფრო ბეთჰოვენის ან ვაგნერის მუსიკაა, შუბერტი უფრო ტერენტი გრანელისეულია. ლექსს ყოველთვის ვარჩევ იმის მიხედვით, არის თუ არა ის მუხტი ჩემშიც, თუ ვპოულობ, ვითავსებ და უფრო გულწრფელი ვარ წაკითხვისას; შეიძლება მის სიღრმეს ბოლომდე ვერ ჩავწვდე, მაგრამ ის მუხტი ჩემშიცაა, რაღაც ნაწილით ის უკვე მეც მეკუთვნის.

**— ბატონო მურმან, საჯარო კითხვისას უფრო განიცდით ლექსს თუ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ჩუმად კითხვისას?**

— საჯაროდ კითხვისას სხვა აღმაფრენა მოდის, მსმენელის რეაქცია დაუგეგმავს გაკეთებინებს. წინასწარ აგებ ჯებირებს, მაგრამ ექსტაზი შეიძლება ისეთი ძალით მოასკდეს, რომ დაანგრიოს ჯებირები. იცით, ეს კონცერტი ჩემთვის რამდენადმე აზარტულიც იყო, ორკესტრთან არასოდეს წამიკითხავს ლექსი, მაინტერესებდა, გამოვიდოდა თუ არა... მე მგონი კონცერტმა უჩვეულო ელფერი შეიძინა და მაყურებელმა არ წააგო...

თუ ბატონი მურმანი თავის სპექტაკლში „...და სიმღერით ვკვდები“ უკვე დახელოვნდა ლექსის კლასიკური მუსიკის ფონზე წაკითხვაში და ყოველთვის ახალ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, ქ-ნ მარინა კახიანისთვის პირველი გახლდათ საჯაროდ პოემის კითხვა მუსიკის თანხლებით.

**მარინა კახიანი:** ლექსის კითხვის სტაჟი ნამდვილად მაქვს, მაგრამ მუსიკა და პოეზია ნამდვილად ორმაგი ეფექტია.

**— რომელი ლექსი გიყვართ გამორჩეულად და რა მუსიკას შეურჩევდით ფონად?**

— გალაკტიონის „თოვლი“ ჩემთვის ყველა ლექსზე მაღლა დგას და იცით... მე მგონი, იგი მუსიკას არ მოითხოვს, მისი ყოველი ბგერა ისედაც უაღრესად მუსიკალურია. გააჩნია ლექსს და... მუსიკასაც...

ბატონი თამაზ ჩაჩავას ლექსების ციკლის „რეკვიემი ადამიანზე“ და რიჩარდ ნეინსის სიმფონიების შემდეგ აჟღერდა ქალბატონი ლიანას ვიოლინო, რომელსაც თბილისელი მსმენელი ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით ელის.

**ლიანა ისაკაძე:** ძალიან დიდი ხანია არ დამიკრავს ალექსი მაჭავარიანის ეს კონცერტი. ძალიან მინდა, რომ ქართველ მევიოლინეებს რეპერტუარში ჰქონდეთ და საზღვარგარეთულ ტურნეებზე გააცნონ მსოფლიოს, იგი ხომ ურთულესი და იმავდროულად ულამაზესია.

**— ქალბატონო ლიანა, ლექსისა და მუსიკის შეთანხმებაზე რას იტყოდით?**

— მუსიკა ხომ ფილოსოფიაა, თამაზის ლექსებიც ფილოსოფიურია. მოხარული ვარ, რომ თბილისში კარგად აღიქვეს.

**— დატვირთული რეჟიმი ალბათ ოჯახური იდილიით სიამოვნების საშუალებას არ გაძლევთ?**

— მე და თამაზი 35 წელია ცოლქმარი ვართ, მაგრამ ის დრო რომ შევკრიბოთ, რაც ერთად გაგვიტარებია, გამოვა, ასე 5 წელი. მაგრამ სადღაც კარგია, უფრო ძლიერ გვენატრება ერთმანეთი.

**— ამჟამად სად ცხოვრობთ?**

— საფრანგეთში, კანთან, ნიცასთან 10 კილომეტრში, იქ მაქვს სახლი. ვმოღვაწეობ გერმანიაში. ძალიან მინდა, რაც შეიძლება ხშირად ჩამოვიდე საქართველოში. სექტემბერში ვაპირებ ორკესტრის ერთთვიანი გასტროლისთვის მომზადებას.

**— ორკესტრზე რას იტყვით?**

— ვახტანგ მაჭავარიანი და მე დიდი ხნის მეგობრები ვართ. ორკესტრი ჩინებულ ფორმაშია, ნეინსის, თაქთაქიშვილის, მაჭავარიანის ნაწარმოებები ურთულესია, ორკესტრმა ეს შეძლო...

**ვახტანგ მაჭავარიანი:** მამაჩემის კონცერტი საქართველოში ბოლოს 1977 წელს შესრულდა, მაშინ როცა ჩემს გამოსაშვებ გამოცდაზე შევასრულეთ ქალბატონმა ლიანამ და მე. ეს კონცერტი ჩემი ხნისაა.

**— ქალბატონ ლიანაზე რას იტყვით?**

— ლიანა ეს არის ქალი-დღესასწაული. საერთოდ, მასთანაა დაკავშირებული ჩემი როგორც დირიჟორის დებიუტი, პირველი კონცერტი მოსკოვსა და პეტერბურგში, პირველი კონცერტი ევროპაში და პირველი ფირფიტაც...

**— ორკესტრის მდგომარეობა ისევ მძიმეა თუ რაიმე თავშესაფარი გამოიძებნა?**

— არა, პრაქტიკულად ღია ცის ქვეშ ვართ. ჩვენ სახელმწიფო ორკესტრის გარდა ყველაფერი ვართ. ვნახოთ ახალი მინისტრი რას იზამს...

დასრულდა საღამო — პრობლემებისა და სირთულეების მიუხედავად, უმაღლეს დონეზე აყვანილი ჭეშმარიტი ხელოვნების კიდევ ერთი საღამო...

***ალექსანდრე ბერიძე***

## მიმართვა პრეზიდენტს

# ასე ცხოვრება აღარ შეიძლება...




**ბატონო პრეზიდენტო!**

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო კრება და მისი გადაწყვეტილებები პირუთვნელად მოგვეხსენებინა საზოგადოებისა და თქვენთვის.

ქართველი ისტორიკოსები ისევე, როგორც სხვა დარგის მეცნიერები და საერთოდ ქართველი ინტელიგენცია, წლების მანძილზე უდრტვინველად იტანდნენ უკიდურეს სიდუხჭირეს, სამარცხვინოდ წაგებული ომის შედეგად დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დარდს და ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის სიმწარეს იმის რწმენით, რომ ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდა კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პრესიდან და დაადგა ევროპული დემოკრატიისკენ მიმავალ გზას. ისიც გვქონდა გათვითცნობიერებული, რომ ეს გზა არ შეიძლება ადვილსავალი ყოფილიყო, ბევრი, ობიექტური თუ სუბიექტური, შინაგანი თუ გარეგანი წინააღმდეგობების გადალახვა გაგვიჭირდებოდა. თითქმის ათმა წელმა განვლო მას შემდეგ და, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოხსენებული საბოლოო მიზნის მიღწევის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა.

რეალური სინამდვილის ყველასათვის ცნობილ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, მასობრივი ინფორმაციის ოფიციალური არხებიც კი რა ხანია გვარწმუნებენ, რომ ხელისუფლების დიდი ნაწილი კორუმპირებულია, ხოლო ხალხის ყოველდღიური ყოფიერება მაფიოზური კლანების და ბანდების მანიპულაციებზეა დამოკიდებული. ამ ეროვნული უბედურების საწინააღმდეგოდ, ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვიერ განცხადებებს ვისმენთ, შესაბამისი ქმედება არა და არ ჩანს.

კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ კორუმპირებულ ხელისუფლებას არსად და არასოდეს შეუქმნია საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული სტრუქტურები. არა გვგონია საქართველო იყოს გამონაკლისი: ჩვენი საზოგადოების ელიტარული, ყოვლად ღირსეული და ერის წინაშე დამსახურებული ნაწილი სულს ლაფავს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ყოვლად უღირსი, საეჭვო რეპუტაციის ადამიანები კი, სრულიად დაუმსახურებლად, მატერიალურად საშვილიშვილოდ არიან უზრუნველყოფილნი.

ჩვენ შეგნებულად არას ვამბობთ ჩვენი ინსტიტუტისა და საერთოდ სამეცნიერო სფეროს მუშაკთა უმძიმესი მდგომარეობის შესახებ (ინსტიტუტში მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის 5 წევრი, 74 მეცნიერებათა დოქტორი, 91 — მეცნიერებათა კანდიდატი — ეს ისე, ცნობისთვის). მოგახსენებთ მხოლოდ ერთს: დღეს მეცნიერება აღარ არის მოღვაწეობის პრესტიჟული სფერო, შესაბამისად მისკენ არ ისწრაფვის ახალგაზრდობის ყველაზე ნიჭიერი და მომზადებული ნაწილი. მეტიც, რაკი დაინახა რომ მეცნიერული მოღვაწეობა მათ ეკონომიკურ მოთხოვნილებებს ნაწილობრივადაც კი არ აკმაყოფილებს, ახალგაზრდობამ ზურგი აქცია მას. ეს მწვავე პრობლემა არა თუ შეაფერხებს მომავალში მეცნიერების განვითარებას, არამედ მოსპობს მემკვიდრეობითობას და, უეჭველად, გამოიწვევს საერთოდ ეროვნული კულტურის დეგრადაციას.

ჩვენს ხალხს ქვეყნისათვის ბევრი აუტანია და კვლავაც აიტანს გასაჭირს, მაგრამ დღეს აღარ ვიცით — რა მიზნისთვის და სადამდე? თქვენ მიერ დაკომპლექტებულ „ახალ“ მთავრობას, დაპირების საწინააღმდეგოდ, განახლების ნიშანწყალიც არ ატყვია. ამ არაპრესტიჟული მთავრობის „ძალისხმევით“, რომლის ყოველგვარი ნდობა დაკარგა საზოგადოებამ, უფსკრულში გადაჩეხილი ქვეყნის გადარჩენა სრულიად წარმოუდგენელია. დღეს კი ის უაღრესად საპასუხისმგებლო ისტორიული მომენტია, როდესაც ქვეყანამ ან უნდა გადაირჩინოს თავი ენერგიული ღონისძიებებით, ან უნდა დაიღუპოს! ჯერ კიდევ არსებობს ისტორიული შანსი, რომლის გამოყენება-ვერ გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

საჭიროა დაისახოს კატეგორიულ ღონისძიებათა მთელი სერია. მათ შორის ერთ-ერთ ძირითადად უნდა იყოს მიტაცებული ქონების კონფისკაციის კანონის აღდგენა, ნათლად ჩამოყალიბება და ამოქმედება; უცხოელი სპეციალისტების დახმარებით საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოკვლეული, ვინ რა სახელმწიფო (სახალხო) თანხა თუ ქონება მიითვისა 1991 წლის შემდეგ; როგორ განიავდა ქვეყნის უზარმაზარი სიმდიდრე; ვის ჯიბეში წავიდა გამოყოფილი დახმარებისა თუ სესხების მილიარდობით სახსრები... ეს უნდა შეეხოს ყველას, დაწყებული უმაღლესი ეშელონებიდან. არ არის სწორი თეზისი, რომ ყოველ ქვეყანას მატერიალურად უზრუნველყოფილი მთავრობის წევრები უნდა ჰყავდეს: გაღლეტილ და გაძვალტყავებულ ქვეყანას და ერს არ შეიძლება მდიდარი მთავრობა და ხელისუფლება მართავდეს. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თუ დღესვე არ დაიწყო რადიკალური ცვლილებები ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ და გაგრძელდა არსებული სტაგნაციური სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება, ეს პერიოდი ყველაზე ავად მოსახსენებელ ხანად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ მხოლოდ ზოგადად გამოვთქვით ჩვენი შეხედულებები. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით შემობრუნება არგებს საქვეყნო საქმეს და აღადგენს შერყეულ ნდობას. ჩვენი ინსტიტუტი, მთელ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, უმალ დადგება თქვენს გვერდით, თუ დავინახავთ, რომ იწყებთ ქვეყნის გადასარჩენად რეალური ნაბიჯების გადადგმას. იმედია ყურადღებით მოეკიდებით ჩვენს მოსაზრებებს, რომელიც ქვეყნის სიყვარულითა და თქვენდამი პატივისცემით არის ნაკარნახევი.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

**იბეჭდება მცირედი შემოკლებით**

***მიღებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივის საერთო კრებაზე 2000 წლის 23 მაისს.***

# „ანგელოზის გადაფრენა“

## (გალიაში მოქცეული მხეცებივით ვეძებთ გასასვლელს)

გასულ კვირას, კინოთეატრ „რუსთაველში“ მოეწყო ქართული მხატვრული ფილმის „ანგელოზის გადაფრენა“ (სცენარის ავტორი ამირან ჭიჭინაძე, დამდგმელი რეჟისორი ნოდარ მანაგაძე, დამდგმელი ოპერატორი ლერი მაჩაიძე, მხატვარი ჯემალ მირზაშვილი) ჩვენება.

თუ კინორეჟისორი ადრეული ფილმებისთვის ზნეობრივ გმირებს და სიტუაციებს უმეტესად ისტორიულ წარსულში ეძებდა, ამჟამად მან თანამედროვეობას მიმართა.

„ანგელოზის გადაფრენა“ აზრობრივად ღრმად რეალისტური და ფორმით წარმოსახვითი, ასოციაციური ფილმია, რომელშიც ჩვენი დღევანდელობა შეუფერადებლად, ვიტყოდი მეტისმეტი სისასტიკითაც არის ასახული.

მოქმედება თამაშდება დახშულ, სადგურის ტიპის შენობაში, საიდანაც იქ მოხვედრილი ადამიანები გალიაში გამომწყვდეული მხეცებივით ეძებენ გასასვლელს, ხოლო თავისი უბადრუკი მდგომარეობიდან კი — გამოსავალს. ფილმში არ არის კონკრეტული მთავარი გმირი, მთავარი გმირი აქ არის ბრბო, შემდგარი გათითოკაცებული ადამიანებისგან და არც მწყობრი სიუჟეტური თხრობაა ამ ნაწარმოებში. აქ რატომღაც ამ შუშის და ლითონის კონსტრუქციაში მოხვედრილი ადამიანები სადღაც მიემგზავრებიან უკეთესი ცხოვრების პოვნის იმედით და თან ცდილობენ, თან წაიღონ ნივთი თუ გამოცდილება, რაც იქ სადღაც სარფიანად გაიყიდება: მეძავებისთვის ასეთი არის სხეული, არიან ისეთი გოგონებიც, რომლებიც აგრეთვე აპირებენ სხეულის გაყიდვას, მაგრამ სხვაგვარად. ისინი იმის იმედით, იქნებ იქ მოდელობას გამოვკრათ ხელი, სახელდახელოდ მოწყობილ პოდიუმზე დააბიჯებენ კომპლექსების მოსახსნელად, მაგრამ შინაგანად მონები (რამეთუ მონურ სამყაროში არიან გაზრდილნი), თავისუფლად და ლაღად ვერ დაატარებენ საკუთარ სხეულს, ქალი, რომელიც წინასწარ სწავლობს და სხვებსაც ასწავლის საზღვარგარეთის მარკეტებში „უსაფრთხოდ“ ქურდობის ტექნოლოგიას, სპონსორის დევნაში დაღლილი ველოსიპედისტი, რომელსაც რატომღაც მსოფლიოს გზების დალაშქვრა გადაუწყვეტია. აქ არის მრუდე გზით უკვე ფულნაშოვნი ბიძა, კოდირებული კეისით, — მაგრამ ბედნიერების კვალი მასაც არ ემჩნევა, შეშინებული, მრისხანე, დაბოღმილი დააბიჯებს იგი მცველების თანხლებით, მაგრამ მაინც დროის მიერ შობილ „ქილერ-მოძალადეთა“ მსხვერპლი ხდება და რჩება ოხრად დოლარებით სავსე კეისი. და მოდის მკვლელობის გამოსაძიებლად მთავარი პროკურორი (ა. ჭიჭინაძე), გაბღენძილი, საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით ამაყად თავაწეული და სერიოზული სახით სიბრიყვის მფრქვეველი, რომელიც ვერასოდეს ვერც ერთ საქმეს ვერ გამოიძიებს და სიმართლის ნაცვლად ბოროტს დაამკვიდრებს, რამეთუ უყვარს ძალაუფლება და კარგი ცხოვრება. აკი აქვს კიდევაც უზარმაზარი ადგილ-მამული, გალავნით გარშემორტყმული, სადაც ჩუმად შეპარულ გოგონებს კლასი დაუხაზავთ და ასკინკილათი დახტიან. პროკურორი კიწნისკვრით გაყრის გოგონებს და... მიწაზე დახატული კლასის ხილვა წამით მასში ბავშვს გააღვიძებს, ახტუნავდება და... უკვე ბიუროკრატიზმით და მომხვეჭელობით გახევებული გული ამ წამიერ აჩვილებას ვერ უძლებს და სკდება...

ფულნაშოვნი კაცივით ისიც სულს განუტევებს.

და ორივენი უკანასკნელ განსასვენებელს ცხოველთა ფიტულების მუზეუმში პოვებენ.

სიკეთე, მადლი, იმედი კი ამ საერთო აპოკალიფსში, ჩახშული უიმედობის სამყაროში და აწ უკვე სახედაკარგულ, ცხოველურ ინსტინქტებამდე დასულ ბრბოში არის მხოლოდ ორი გოგონა — ნუცა და გვანცა (ნუცა და გვანცა მაისურაძეები), რომლებიც ერთგვარად ანტიკური თეატრისთვის დამახასიათებელ ქოროს ფუნქციას ასრულებენ, ბრბოს ყველა წევრის ქმედებას კომენტარს უკეთებენ და შიგადაშიგ სულის არსებობას ხალხური ან ვაჟას ლექსით შეგვახსენებენ, მაგრამ ისინი ისეთი დაუცველები არიან, ისეთი უსუსურები, რომ გიპყრობს შიში, ვაითუ ამ წყვდიადით მოცულ გარემოში ეს მბჟუტავი შუქიც ჩაქრეს, ხვალ ეს ანგელოზები თავიანთ მშობლებს დაემსგავსონ და მაშინ სადღაა იმედი... მაგრამ ალბათ „იმედი მაინც სჯობს უაზრო ბედისწერასა“.

ეკრანზე გათამაშებულ ბაქანალიაში საკუთარ თავსაც ხედავ სულშეხუთულს, გინდა ის სიტყვები იყვირო, რომელიც ავტორებმა ფილმს ეპიგრაფად წაუმძღვარეს: „ჰოი, სახიერო ცისარტყელავ, განავლე ცასა, რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხთა“ (ილია მართალი) და დაუმატო: „ამინ!“

***დოდო თოფურია***

# „ვაი ამ მთავრობას, თუ მოგვატყუებს...“

## ექსკლუზიური ინტერვიუ აკაკი ელიავასთან



საქართველოში თითქმის ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც პროტესტს უცხადებდნენ ხელისუფლებას, მის კურსს და ვინ სიტყვით, ვინ კი იარაღით ხელში გამოხატავდა საკუთარ პოზიციას. ვინაიდან მათი უმრავლესობა იდევნებოდა, ისინი თავშესაფარს ტყეში ეძებდნენ. ამასთან, ბევრ მათგანს თანამოაზრეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმიც ახლდა თან. ხალხმა მათ ყაჩაღები შეარქვა — ყაჩაღის ცხოვრების მაგალითი ქართულმა ფოლკლორმა და ლიტერატურამაც შემოგვინახა. ალბათ, ყველას გვაქვს წაკითხული ილია ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. საინტერესოა, ვინ „იჭავჭავაძებს“ და ვინ აღწერს მეოცე საუკუნის მიწურულის მეორე „კაკო ყაჩაღის“ — კაკო ელიავას ცხოვრების ეპიზოდებს.

შეგახსენებთ, აკაკი ელიავა ეროვნული გვარდიის ოფიცერია, რომელიც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას სენაკის ბატალიონს მეთაურობდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მან პროტესტი გამოუცხადა პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს და იარაღით ხელში, ათას ხუთასამდე თანამოაზრესთან ერთად, ტყეში გაიჭრა; თუმცა შსს ყოფილი მინისტრის შოთა კვირაიას ძალისხმევით, მათი შემორიგება მოხერხდა.

ამონარიდი შოთა კვირაიას წიგნიდან „კრაზანების ბუდის აღსასრული“: *„დილის შვიდი საათი. ტეხურის ხეობა... ტყიდან მძიმე სილუეტები დაიძრნენ. ისინიც სამნი არიან. წინ აკაკი ელიავა...“*

*შოთა კვირაია: — უიარაღოდ არ მოხვიდოდი... ასეა?*

*აკაკი ელიავა — არ დაგიფიცავთ, მაქვს იარაღი.*

*შ.კ. — შეგიძლია მაჩვენო?*

*ა.ე. — ინებეთ!*

*მჭიდე ცარიელია, ლულაში კი ერთი ტყვია დევს... მინისტრს ეღიმება.*

*— გინდა ჩემი იარაღი გაჩვენო?*

*— თქვენი ნებაა.*

*— შეგიძლია მენდო. ჩემს პისტოლეტშიც ერთი ტყვიაა“...*

ამ შემორიგების შემდეგ აკაკი ელიავა შსს-ს ჯარების სენაკის ბრიგადის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა. თუმცა, 1998 წლის 19 ოქტომბერს მან ხელმეორედ მოაწყო სამხედრო ამბოხი, რომლის მიზანიც დღევანდელი ხელისუფლების ჩამოგდება იყო. ქუთაისიდან ელიავას გზა გადაუკეტეს. ამდენად, მათი გეგმა ვერ განხორციელდა და ჯანყის ორგანიზატორები ტყეში მიიმალნენ.

შარშან ელიავას შემორიგება მეორედ მოხდა. ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ტყეში გაჭრილთა მოთხოვნა და ქუთაისის იზოლატორიდან 1998 წლის 19 ოქტომბრის ამბოხის მონაწილეები გამოუშვა. სანაცვლოდ ელიავას რაზმმა იარაღი ჩააბარა.

ამჟამად აკაკი ელიავა შემორიგებულად ითვლება. თუმცა, როგორც ფაქტები გვიჩვენებს, ხელისუფლებისთვის ის ჯერ კიდევ რჩება სერიოზულ მოწინააღმდეგედ. ხშირად ისმის, — აკაკი ელიავა ვინაა, მისგან ფიგურა თავად ხელისუფლებამ შექმნაო. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ელიავას სთხოვდნენ ნებართვას მმართველი პარტიის წარმომადგენლები, რომ წინასაარჩევნოდ სენაკში ჩასულიყვნენ...

ვინ არის და რა უნდა, რა გეგმები აქვს სამომავლოდ, რა არ მოსწონს დღევანდელი ხელისუფლებისა? ამ და სხვა საკითხებზე თავად **აკაკი ელიავას** ვესაუბრებით.

— **რას საქმიანობთ ბატონო აკაკი, როგორ გრძნობთ თავს?**

— ბრწყინვალედ. წელან სოფელში ვიყავი, ჩემ ბიჭებს შევხვდი. მოვინახულე ძველი ბილიკები...

— **რა შეიცვალა თქვენი მეორე შემორიგებიდან დღემდე?**

— შემორიგებები კი იყო, მაგრამ მთავრობამ არც ერთხელ არ შეასრულა ბოლომდე სიტყვა. ჯერ შეგვირიგებდა, შემდეგ გვდევნიდა. უნდოდა ჩვენი ბატალიონის დაშლა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. ჩვენ მაინც დავრჩით. ყველა ადგილზეა. თითოეულმა ჯარისკაცმა იცის, როდის და სად უნდა მოვიდეს, თუ გამოვიძახებთ. მართალია, არც ხელფასს გვაძლევენ და არც რამენაირ დახმარებას, მაგრამ ჩვენ მაინც ვარსებობთ. მთავრობა არ გვენდობა, თვითონ ჯარი არ ჰყავს. რაც შემორჩა, ისიც მშიერ-მწყურვალი, ნახევრად ტიტველი...

— **როგორ ფიქრობთ, რატომ არ გენდობათ მთავრობა?**

— იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ეროვნული გვარდია, რომელმაც ერთგულების ფიცი მივეცით ერს, ზვიად გამსახურდიას. გვინდა ერთიანი საქართველო და მისი დაცვა. დღეს კი დასაცავი აღარაფერი დარჩა, სამეგრელოს გარდა და ისიც ორადაა გაყოფილი. გვსურს, საქართველოში ქართველმა თავი ამ მიწა-წყლის პატრონად იგრძნოს.

— **რაც შეეხება 19 ოქტომბრის ამბოხს, რატომ გადადგით ასეთი ნაბიჯი?**

— მოგეხსენებათ, დღეს საქართველო მხოლოდ რუკაზეღა არსებობს, დაკარგულია ქართველობის ცნება. ქვეყანა დანაწევრებულია. კახელები და იმერლები ნიშნისმოგებით გვეძახიან „მეგრელებს“, თბილისელებისათვის „სუნიანები“ ვართ, მაგრამ სამეგრელოში არის ის სული, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს საქართველო. სწორედ ეს გვინდოდა ჩვენ, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოგვივიდა. გარდა ამისა, ხალხია სულიერად გახრწნილი, ჩართავ ტელევიზორს და მაზლი რძალთან წვება, ბიძაშვილი ბიძაშვილთან... დედასთან და შვილთან ვერ დაჯდები და ვერ უყურებ ფილმს. ქალაქში გახვალ და ნახევრადშიშველი ქალები დადიან ქუჩაში. მათი ნაწილი თურქეთში ყიდის სინდისნამუსს; კაცი კაცს ჰკოცნის და ქალი ქალს. აი, რა უფსკრულამდე მიიყვანეს საქართველო. ჩვენ ტრადიციების დაბრუნება, ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა გვინდოდა, მაგრამ მიზეზთა გამო, ვერ მოვახერხეთ.

— **უფრო ზუსტად, რა მიზეზები იყო ეს?**

— ჯერ ერთი, რომ ვიჩქარეთ. 19-ში არ უნდა გამოვსულიყავით, მაგრამ 20 ოქტომბერს ჩამოდიოდა ბაბილაშვილი. მქონდა ინფორმაცია, რომ ჩემი დაჭერა ჰქონდა განზრახული. ამიტომ შევედი ბიჭებთან და ვუთხარი, შევარდნაძე უნდა ჩამოვაგდოთ და ვისაც ჩვენთან ყოფნის სურვილი გაქვთ, წამოდით-მეთქი... ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ისედაც დაძველებულ ტანკებს საწვავი არ ჰქონდათ. მოგვიანებით ეს ტანკები იმერეთში ჯართში ჩააბარეს.

— **რას იზამდით იმ შემთხვევაში, თუ მიაღწევდით მიზანს. როგორ დააკომპლექტებდით მთავრობას?**

— დაკომპლექტება მხოლოდ ერთი პრინციპით მოხდებოდა — მთავრობაში მხოლოდ პატრიოტები იქნებოდნენ. დანარჩენს ყველას დავსჯიდით. ყველა უნდა დაისაჯოს. სანამ ისინი მთავრობაში იქნებიან, საქართველო არ იქნება და არც არის, სამაჩაბლო ჩვენი არ არის, ქვემო ქართლიც სხვისია, ახალციხეში ჩვენი დროშა არ ფრიალებს, სენაკში შემოხვალ და წითელ დროშას ნახავ. ცოტა ხნის წინ სენაკის მერიამ მთხოვა — ფეხბურთი უნდა ჩავატაროთ და ეროვნული დროშა გვათხოვეთ, ვერსად ვერ ვიშოვეთო.

— **თქვენი გეგმის განხორციელების შემთხვევაში სამხედრო საბჭო შეიქმნებოდა?**

— შევქმნიდით დროებით მთავრობას, რომელიც ამ ნაგვისაგან გაწმენდდა ქვეყანას. შემდეგ ჩატარდებოდა საყოველთაო არჩევნები, რომლის შედეგადაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდოდა სათავეში.

— **თქვენი პირველი შემორიგების ფაქტსაც შევეხოთ. პირისპირ შეხვედრისას თქვენც და კვირაიასაც იარაღში თითო ტყვია გქონდათ, რატომ?**

— ღალატისათვის. ყველაფერი დამოკიდებული იყო სიტყვაზე. თუ ჩვენ ვუღალატებდით, იქ ისეთი ადგილი იყო, რომ ცოცხლები ვერ გავიდოდნენ, ხოლო თუ შოთა გვიღალატებდა, ჩვენ ვკვდებოდით. ერთი ტყვია იმიტომ მქონდა, რომ მეტის გასროლას მაინც ვერ მოვასწრებდი. თანაც, როდესაც კვირაიასთან შესახვედრად მივდიოდი, ჩემს მოადგილეს ვუთხარი, თუ რამე იქნება, მარტო მე დამიმიზნე, რადგან მაინც არ ჩავბარდები, თავს მოვიკლავ-მეთქი.

— **შერიგების შემდეგ შინაგანი ჯარების სენაკის ბატალიონის მეთაურის I მოადგილედ დაინიშნეთ, თუმცა მაინც არ შეეგუეთ ბედს...**

— გლეხები ამბობენ, მოადგილე კარგი რომ იყოს, ღმერთსაც ეყოლებაო. ისე, მე იქ არავინ არაფერს მეკითხებოდა, გადაწყვეტილებებს მხოლოდ მეთაური იღებდა. ახლა შინაგანი ჯარების სარდალი არის შერვაშიძე. მაგან შეჭამა ჩემი და ბიჭების ხელფასები. ჩვენი დარჩენა ზედმეტი იყო. მერე მოხსნეს შოთა კვირაია და ჩვენც გაგვათავისუფლეს. ზოგს მისცეს ხელფასის ნახევარი, უფრო მეტი უხელფასოდ დარჩა.

— **ტყეში რას საქმიანობდით?**

— გვქონდა სამი-ოთხი ბანაკი, რომელსაც ხშირად ვუცვლიდით ადგილს, რადგან კუდში სპეცრაზმი მოგვდევდა. ხშირად გვქონდა მათი განადგურების შანსი, მაგრამ ვინდობდით, ისინი უბრალო რიგითები იყვნენ. მინისტრები ან პარლამენტის წევრები რომ ყოფილიყვნენ, დიდი სიამოვნებით ვესროდით.

— **ხელისუფლებამაც იცოდა თქვენი თითოეული ნაბიჯი, მაგრამ არ გიჭერდნენ. რატომ?**

— იმიტომ, რომ საზოგადოებისა ეშინოდათ, რომელიც მხარს გვიჭერდა. მაგრამ, გიორგობას, იცოდნენ, რომ აუცილებლად ავიდოდით ეკლესიაში და დაგვიდარაჯდნენ. ღამით მე ავედი, სანთლები დავანთე, დილით კი ჩემი ბიჭები, რომელთაც ცეცხლი გაუხსნეს. ამათთვის არც გიორგობა არსებობს და არც რწმენა.

— **მაინც, რის გამო გიჭერდათ საზოგადოება მხარს?**

— ვიცავდით სოფელს. სადაც ჩვენ ვიყავით, აბსოლუტური დისციპლინა და წესრიგი სუფევდა. გამორიცხული იყო ქურდობა, ყაჩაღობა. ის კი არა, სხვა რაიონებიდანაც მოდიოდნენ ჩვენთან და დახმარებას გვთხოვდნენ.

— **რით ირჩენდით თავს. როგორც ამბობთ, არც ხელფასებს გაძლევდნენ და არც ყაჩაღობდით...**

— მოსახლეობა გვეხმარებოდა. ზოგს ლობიო მოჰქონდა, ზოგს მჭადის ფქვილი. ჩვენც ჩავდიოდით ხალხთან. ახლა პროვოკაციებს გვიწყობენ, ვითომ იარაღები გვაქვს დატოვილი ბინებში. პოლიციას უნდა, იმ უბნებში შევიდეს, სადაც ჩვენ ვიყავით, დააწიოკოს ხალხი, ფული „დააწეროს“, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, რომ თუ შევლენ, ცოცხლები ველარ გამოვლენ უკან.

— **მეორე შერიგების დროს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა და ქუთაისის იზოლატორში დაკავებული პირები გაათავისუფლეს. თქვენ რა გააკეთეთ სანაცვლოდ?**

— ჩვენ უფრო მეტი შევასრულეთ, ვიდრე მთავრობამ. ცოტა ხნის წინ ვთხოვეთ ერთ-ერთი პარტიზანული დაჯგუფების მეთაურს, ჩემს მეგობარს, რეზო ასმავას, შერიგებოდა ხელისუფლებას. რეზომ შეასრულა თხოვნა, მთავრობას კი დღემდე არ გამოუშვია ციხიდან ჩვენი ბიჭები — ლოთი, გურამ აბსანძე...

— **რას იტყოდით ეროვნული შერიგების შესახებ?**

— ეს არის მორიგი ბლეფი. ე.წ. შერიგება ხელისუფლებას დემოკრატიისთვის სჭირდება. შესარიგებელი ჩვენ არაფერი გვჭირს. აქეთ შემოგვირიგდეს შევარდნაძე და მისი მთავრობა. პირველი მათ აიღეს ხელში იარაღი ზვიადის წინააღმდეგ, შევარდნაძემ გამოუგზავნა სიგუა-კიტოვან-იოსელიანს ფული იარაღის საყიდლად. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ შევარდნაძეს, — თუ უნდა მშვიდად „ჭამოს“ ის დოლარები, შვეიცარიის ბანკში რომ აქვს მას და მის შვილს, დროზე წავიდეს აქედან, თორემ მაგის დღეები დათვლილია.

— **საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოქავშირის ლიდერებმა სენაკში ჩამოსასვლელად ნებართვა თქვენგან აიღეს. რატომ?**

— გვთხოვეს და შევასრულეთ. ვუთხარით ბიჭებს, რომ არ ესროლათ, ექსცესებს არ ჰქონოდა ადგილი, თანაც დიდი პოლიტიკური ფიგურა არავინ ჩამოდიოდა. სააკაშვილი გინდ ყოფილა, გინდ არა, მაგრამ როდესაც შევარდნაძე აპირებდა ჩამოსვლას, ვუთხარით — როგორც სენაკში შემოხვალ, გესვრით-მეთქი და არც მოსულა.

რაც ჟირინოვსკის და შევარდნაძეს უნდათ, ჩვენ არ გვინდა. თუ საჭიროა საქართველოს მარტო ზღვისპირეთს კი არა, ქვემო ქართლსაც და პანკისის ხეობასაც დავიცავთ. მაგრამ შევარდნაძის სურვილი, სწორედ დანაწევრებული საქართველოა. აგერ ცხინვალში ხუთი ქართველი მოკლეს და ხმა ვერ ამოიღეს. შატილში რუსებმა ორი სოფელი დაიკავეს და ვითომ არაფერი.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ დავკარგეთ აფხაზეთი?**

— ომი რომ შეიარაღების და ჯარის გარეშე დაიწყო შევარდნაძემ, ფაქტია. რა უნდა ეომათ მშიერ-ტიტველ ბიჭებს. ვისაც ბრძოლა შეეძლო, მანქანები წამოიღეს. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა შევარდნაძეს. უეცრად რომ მოკვდეს შევარდნაძე ყველაზე მეტად აფსუები იგლოვებენ, რადგან მან მოაპოვებინა დამოუკიდებლობა. გარწმუნებთ, შევარდნაძის სიკვდილს იმავე საღამოს გადაჰყვება არძინბა.

— **თქვენი აზრით, კიდევ არის დარჩენილი აფხაზეთის დაბრუნების შანსი?**

— აქ, აფხაზეთზე მეტად, რუსეთის ფაქტორია გასათვალისწინებელი. როგორ უნდა დავიბრუნოთ, შიშველი ხელებით? საცვლები არ აცვიათ ჩვენს ჯარისკაცებს და შევარდნაძეს ნატოში უნდა შესვლა. რუსეთი რაც უნდა იყოს ჩვენი მეზობელია და ამის უარყოფა არ შეიძლება. დაღესტანში და ჩეჩნეთში რას აკეთებს, ჩვენი საქმე არ არის.

— **აფხაზეთში მყოფ პარტიზანებს როგორ შეაფასებდით?**

— იქაც არიან კარგი, პატიოსანი პარტიზანები, თუმცა მათი ნაწილის ბინძურ საქმეებში ჩათრევა მაინც მოახერხეს. ვისაც ბრძოლა შეუძლია, დევნიან.

— **ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აფხაზეთში დერეფანს მოითხოვთ, (საიდუმლო აღარ არის რომ იქ ცხარე ვაჭრობაა გაჩაღებული ზ.ქ.) რადგან კარგი ურთიერთობა გაქვთ პარტიზანებთან...**

— ამ ინფორმაციის გავრცელება იმას სჭირდებოდა, ვისაც ჩვენთვის ჩირქის მოცხება უნდა, ვითომ რაღაც ბიზნესი გვაქვს — სისულელეა. ფული და პარტიზანი გამორიცხულია. დერეფანს კი არა, ჩვენ ვთხოულობთ დაგვაყენონ ენგურის პირას და დავიცვათ იქაური მეგრული სოფლები, რადგან გალში გუდაუთელი პარტიზანები არიან, რომლებიც თავისუფლად შედიან მეგრულ სოფლებში და აწიოკებენ იქაურებს.

— **თქვენ ეროვნული გვარდიის ოფიცერი იყავით, რომელიც შემდეგ ორად გაიყო. რა იყო ამის მიზეზი?**

— კიტოვანისა და შევარდნაძის სიყვარული. კიტოვანი გამსახურდიას ერთგულებას ეფიცებოდა და შევარდნაძისაგან დახმარებას იღებდა. ამიტომ გაიყო ორად. ჩვენ გამსახურდიას ერთგულ გვარდიას გვეძახდნენ და დღემდე მის ერთგულად დავრჩით. ქართველი ერი ერთადერთ შემთხვევაში აპატიებს კიტოვანს თავის დანაშაულს — თუ თავის ჩამოყვანილ პრეზიდენტს „გააგორებს“.

— **ამჟამად რას აკეთებთ?**

— ამჟამად ვისვენებთ, ჩვენი ბიჭების გათავისუფლებას ველოდებით და ვაი მთავრობას, თუ მოგვატყუეს. ასევე ვიწყებთ ბრძოლას სექტანტების, კონკრეტულად იეღოველების წინააღმდეგ. მთავრობა და საპატრიარქო არაფერს აკეთებს. იმიტომაა, რომ ლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს იეღოველობა. ვისაც მართლმადიდებლობა არ უნდა, მიბრძანდეს.

— **გურამ აბსანძე ვახსენეთ, რომელიც 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით სამართლდება. როგორც ამბობენ, მან მისცა ფული გოჩა ესებუას.**

— ძალიან კარგიც უქნია. ჰქონდა კაცს ფული და მისცა გოჩას, რომელიც ძალიან კარგი ბიჭი იყო. იმასაც, რაც სჭირდებოდა, ის იყიდა. რა იყიდა და როგორ გამოიყენა გოჩამ ის ფული, რა გურამის ბრალია? ახლა, ფული რომ მქონდეს და 1.000 დოლარი მოგცეთ, წახვიდეთ და კამერა იყიდოთ, რადგან გჭირდებათ, რა ჩემი საქმეა? ჩემთვისაც რომ მოეცა გურამს ფული, გოჩასნაირად მივიქცეოდი.

— **დაბოლოს, როგორ შეაფასებდით დღევანდელ სიტუაციას?**

— საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა საგანგაშოა. დახლეჩილია ქვეყანა. თუ ასე გაგრძელდა ცოტა ხანში კახეთში აზერბაიჯანულად დაიწყებენ საუბარს, ქვემო ქართლში — სომხურად. ერთი, სამეგრელოღა დარჩება საქართველო. ეს კი არ უნდა დავუშვათ. ყველამ ერთად განვუცხადოთ შევარდნაძეს და მის გუნდს — ან დატოვონ საქართველო, ანდა პოლიტიკა შეცვალონ. ამ შემთხვევაში გვეშველება მხოლოდ.

— **გმადლობთ.**

***ზურა ქაჩლიშვილი***

# „თქვე ბოზებო, დაანებეთ ჩემს შვილებს თავი!“

— როდის შეიძლება გოგონამ დაიწყოს სექსუალური ცხოვრება?

— როგორც კი პირველი მენსტრუალური ციკლი დაუმთავრდება. თუმცა მანამდეც შეიძლება, მაგრამ ეს არაფიზიოლოგიური სექსია.

— რა არის სექსი?

— სექსი არის სიყვარული და სიამოვნება ერთად.

— რა არის ლესბოსელობა?

— ეს არის სექსი ორ მდედრობითი სქესის ადამიანს შორის.

— რა არის ონანიზმი?

— ონანიზმი არის სქესობრივი მოთხოვნილების ხელით დაკმაყოფილება, როდესაც... (და აქ ეს პროცესია აღწერილი ნატურალურად, როგორც ქალებისთვის, ასევე — კაცებისთვის, ზ.გ.) ონანიზმი არ არის მავნებელი ჯანმრთელობისათვის.

მკითხველს ბოდიშს მოვუხდით მისი სმენის შეურაცხყოფისათვის, მაგრამ ვფიქრობთ პრობლემა სერიოზული და შემაშფოთებელია.

ზემოთ მოყვანილი კითხვა-პასუხი, თბილისის რამდენიმე სკოლის მეექვსე-მეშვიდე-მერვე კლასელი გოგონებისათვის დარიგებული ბროშურებიდანაა ამოღებული, იქვეა მოთავსებული ილუსტრაციები, მაგალითად ასეთი წარწერით: „მამაკაცის სასქესო ასო ერექციამდე და ერექციის შემდეგ“. ეს „საგანმანათლებლო აქცია“ ორგანიზაცია ოდა-ს („ოჯახის დაგეგმარების ასოციაცია“) მესვეურებმა მოაწყვეს, რომლის პრეზიდენტი, ვინმე ნინო წულეისკირია.

31 მაისს საპატრიარქოს ინიციატივით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც სასულიერო პირთა გარდა ექიმმა-სპეციალისტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის, კანისა და ვენერიული სნეულებების ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ **ბადრი ჩლაიძის** მოსაზრებას:

— ჩვენ გავყიდეთ ყველაფერი, ტერიტორია, შენობები, ხელოვნება, სხეულიც კი და ახლა ჩვენი სულის ყიდვაც უნდათ.

საქართველო სულიერებამ გადაარჩინა და დღეს ყველაფერი ამ სულიერების წინააღმდეგაა მიმართული — პირველ რიგში პრესისა და ტელევიზიის ზოგიერთ ორგანოს ვგულისხმობ. „არატრადიციული“ სექსი („ტრადიციულზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ), ძალადობა, მკვლელობა — რისი ნახვაც თავისუფლად შეუძლიათ ჩვენს ბავშვებს, როგორც ტელევიზორში, ისევე თავისუფალ გაყიდვაში მყოფ უამრავ იდიოტურ გაზეთში, არა მარტო ბავშვზე, არამედ ჩვენზე — დიდებზეც ქვეშეუცნობლად მოქმედებს.

მე პირდაპირ ვაცხადებ ეს არის დივერსია იარაღის გარეშე, რომელიც ნებისმიერ სხვა სახით დაპყრობაზე უარესია.

მე არა ვარ შოვინისტი, მაგრამ გთხოვთ სწორად გამიგოთ: ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი, მაგრამ ისეთი მასობრივად ლამაზი ხალხი, როგორიც ჩვენი ახალგაზრდა თაობაა — არსად მინახავს. აქ ჩამოსულ უცხოელებთანაც მისაუბრია ამის შესახებ და მათაც თავიანთი გაოცება ვერ დაუმალავთ.

დღეს ჩვენს მოქალაქეებს მატერიალურად და ფინანსურად უჭირთ და სამწუხაროდ გაჭირვებული ადამიანი ადვილად ივიწყებს მორალს ლუკმაპურის გულისთვის. ეს იციან ოკეანისგაღმელმა ფულიანმა „მეცენატებმა“ და ზუსტად იმის გაკეთებას ცდილობენ, რაც თავის დროზე კუბას გაუკეთეს — ულამაზესი, მაგრამ დამშეული ქვეყანა და ხალხი თავის ბორდელად აქციეს. ამ ბორდელში ჩასადებები მთავარი „ინვესტიცია“ კი იქაურების სექსუალური „განათლებაა“, და საერთოდ, — ინტელექტუალური მეძავი სჯობს ბრიყვსა და უწიგნურს. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ახორციელებენ იგივე „საგანმანათლებლო“ პროგრამას, ვთქვათ ლაოსში ან კონგოში?

რაც ყველაზე სამწუხაროა, — ამას ხელს თუ არ უწყობს, არც უშლის სახელმწიფო. სხვა რა უნდა ვუწოდო, თუ არა ხელშეწყობა — როდესაც არ კრძალავ სკოლებში ასეთი პროგრამის შეტანას, არა გაქვს არავითარი ოფიციალური აკრძალვა პორნოგრაფიასა და სექსზე.

ეს „ოჯახის დაგეგმარების ასოციაცია“ კი, რა თქმა უნდა, უცხოური გრანტებიდან ფინანსდება და მისი ქართველი მესვეურები, ალბათ, ვერც ხვდებიან რას უმზადებენ თავიანთ შვილებს.

საერთოდ, რად უნდა ოჯახს „დაგეგმარება“? არსებობს ორი ათასწლოვანი გამოცდილება, რასაც არ სჭირდება დაწერა, არის ღმერთი და მის მიერ გაწონასწორებული ინსტინქტები, ღმერთი რომელმაც გვითხრა, რომ ის არის სიყვარული და ცოლ-ქმრობა არის საიდუმლო. არ უნდა ამას ილუსტრირებული სამედიცინო (სინამდვილეში პორნო) ბროშურები. ბავშვს უნდა ასწავლოს ოჯახმა, სკოლამ და ეკლესიამ. პედაგოგობა, ისევე როგორც ექიმობა, მხოლოდ პროფესია კი არ არის ღვთითბოძებული, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭია,

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

# მორიგი სატყუარა საქართველოსთვის — რუსეთის მოქალაქეობა...



ორი წელია, ზემო იმერეთში არ ვყოფილვარ და სოფლის იდილიას მონატრებულმა ერთი კვირით საჩხერეში დასვენება გადავწყვიტე. დიდუბის ავტოსადგურში საკმაოდ შელანძღულ „იკარუსში“ მოვკალათდი და ქართული პრესის გაცნობას შევუდექი. გვერდით ორმოციოდე წლის „ჩვენებური“ მომიჯდა. მასაც გაზეთების „გვარიანი“ დასტა შეეძინა. პრესის მოყვარულ მეზობელთან მალე ლაპარაკი გავაბი. საბედნიეროდ, იგი შესანიშნავი მოსაუბრე აღმოჩნდა.

კარგა ხანია იმერეთში არ ვყოფილვარ-მეთქი, — დავიჩივლე. ვაჟამ ხელი ჩაიქნია, — რა სანახავი საჩხერეა, ისეთი გაპარტახებული და დაქცეული რაიონი მეორე არ იქნება საქართველოში. გამათხოვრდა ხალხი, ჭადი ენატრებათ. ხუთ თვეზე მეტია, პენსია არ აუღიათ, ხელფასებს კიდევ ვინ მისცემს. ერთი ქვიშის კარიერი მუშაობს და ქე არჩენს სამ სოფელს. ბიჭები „ლაფატკებით“ ტვირთავენ მანქანებს, რომ შინ პურის ფული მაინც მიიტანონ. ზოგმა ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ზოგი ხეების ჭრაზე მუშაობს და იმით შოულობს ერთი-ორ კაპიკსო.

როგორ, ტყეს ჩეხენ-მეთქი? — შევიცხადე.

შეყოყმანდა. ჩემი პროფესია უკვე იცოდა. ჟურნალისტის მთავარი იარაღი — დიქტოფონი რომ ვერ დაინახა, ხმის დაწევით მითხრა, — ამას წინათ მეგობარს წავყევი ტყეში. სახლის სახურავისთვის სჭირდებოდა რამდენიმე ხე, მაგრამ ტოტიც ვერ მოვჭერით. უცნობები წამოგვადგნენ თავს — ეს ტყე უ-ს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) აქვს შესყიდული, აქედან წადითო. ჭრიან ხეებს, გასაყიდად გააქვთ საზღვარგარეთ და ადგილობრივებსაც ამუშავებენ ამ საქმეზე. სხვების არ ვიცი, მაგრამ გასაყიდად ხეს ვერ მოვჭრი, მით უმეტეს კი, საჩხერეშიო.

ავტობუსმა გომში გადაუხვია. საჩხერისკენ მიმავალი გზიდან მართლაც ლამაზი ხედი მოჩანს. თვალმა დაისვენა ფერდობზე შეფენილი ტყის მზერით. სიახლე შევნიშნე — გზის პირას ოდასახლები მომრავლებულა, სადაც რესტორნები და სასაუზმეებია მოწყობილი. ერთ-ერთის წინ ვჩერდებით. იმერული ხაჭაპური ჩვენ თვალწინ შეშის ღუმელზე იბრაწება. წუნი არა აქვს, საოცრად გემრიელია...

გზას ვაგრძელებთ... ერთი ოდა გზის მარჯვენა მხარეს გარიყულად დგას. ქართველთაგან იქ არავინ შედის, ოსებისააო, — მიხსნის ვაჟა, — რამდენჯერაც კი შევიდნენ მანდ, შარი აიკიდეს, ჩხუბსა და ცემაზე მიდგა საქმეო.

ოსებს რა უნდათ საჩხერეში-მეთქი.

ტრასის მარჯვენა, ზედა მხარე ჯავის რაიონს ეკუთვნის. ასე რომ, „თავის ტერიტორიაზე“ არიან. სინაგურთან (სასაზღვრო სოფელია ჯავის რაიონში) რომ მიხვიდეთ, ვერც იფიქრებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხართ. ქალი, ნარკოტიკი, ბენზინი, კონტრაბანდა, მოპარული საქონელი — ჩეჩქივითაა. ჩვენი ბიჭები სკოლის ასაკიდანვე წამალზე სხდებიან. მოსწავლეს ვინ მისცა წამლის ფული-მეთქი. აქ იაფია. ასე იაფად წამალს პანკისის ხეობასა და ჩეჩნეთშიც ვერ იშოვის კაცი. ასი პაკეტიდან ერთი თუ გაიყიდება ფულზე, წამალი ძირითადად ნაპარავ საქონელზე იცვლებაო.

მალე ჩემი ჩასვლის დროც მოვიდა. ჩემმა თანამგზავრმა „კვირის პალიტრის“ მთელი რედაქცია დაპატიჟა თავისთან, ძალიან გამახარებთ თუ მეწვევითო... სახლამდე ორი კილომეტრი ფეხით უნდა მევლო (სოფლის ავტობუსი კვირაში ორჯერ, მხოლოდ ბაზრობის დღეებში დადის). არც მანქანა წამომწევია... რამდენიმე წლის წინ დაძლეული დისტანციის დაფარვა არ გამჭირვებია. პირიქით, სასიამოვნოც იყო ძირულას ხეობაში გასეირნება... ორმოც წუთში ჩემი სოფლის ორღობეში შევაბიჯე. დავინახე ჩემი მეზობელი ბონდო (სამი ვაჟის მამა), ღობეს ცვლიდა. წუხელ ო.ხ-ს ეზოში შესულან ქურდები. ხარი აუხსნიათ და წაუყვანიათ. მეშინია, მეც არ მომაკითხონ. წინათ ასეთი ამბები არ ხდებოდა, ახლა ყველაფერზე უნდა გეჭიროს თვალი. წელს ვერც თელიანი (სოფლიდან მოშორებული ნაკვეთი) დავამუშავეთ. შარშან იქ პ. მ-ს „ნივა“ წაართვეს, ზოგს ხარები. სათოხად წასულ კაცს რომ ავტომატიანი ყაჩაღი დაგადგება თავზე, რა უნდა ქნა? რომ გაიყიდებოდეს, სახლ-კარს შევველეოდი, ქალაქში წავიდოდი, ვივაჭრებდი. აქ მაინც აღარ დაგვედგომებაო, — შემომჩივლა.

იმერელი კაცისთვის უჩვეულო წუწუნმა გამაოცა. როგორც ჩანს, მართლა დაიღალა ხალხი იმ პრობლემებით, რომელსაც ვერავინ უგვარებს... ერთი კვირის შემდეგ თბილისში მობრუნებულმა საჩხერლების ყოფის გამო რედაქციაში დავიჩივლე. გულთან მიიტანეს. დავწეროთო, — მითხრეს. საჩხერლების პრობლემამ (წარმოშობით საჩხერელ) დეპუტატ **ვალერი გელბახიანთან** მიგვიყვანა:

„ტყის მასივების გაჩეხა მარტო საჩხერის კი არა, მთელი საქართველოს პრობლემაა. ახმეტისა და თიანეთის ტყეები რომ ნახოთ, გული დაგეწვებათ. სანიტარული ჭრის ნაცვლად ტყის მასივების „გადაპარსვა“ დაიწყეს. ანალოგიური პროცესია საჩხერეშიც, მაგრამ იქაური მოსახლეობა წინ აღუდგა ტყის გაჩეხას. 2 წლის წინ, როცა კვერეთში (ერთ დროს ცნობილი კურორტი) ძვირფასი ჯიშის ხეები გაჩეხეს, მოსახლეობამ გზები გადაკეტა, აღარ გაატარა ხეებით დატვირთული მანქანები, სანამ საერთოდ არ შეწყდა ჭრა. ასეთივე ამბავი მოხდა ჯრუჭულას ხეობაშიც (ისტორიული ხეობა, სადაც აღმოჩენილია უძველესი ადამიანის ცხოვრების კვალი). ერთადერთი, რაც ამ პროცესს აჩერებს, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლაა, თორემ კანონმდებლობით ტყის გაჩეხა ნებადართულია. მაგრამ როცა ტყის დეპარტამენტი 1.000 კვმ-ის გაჩეხის ნებართვას იძლევა, სინამდვილეში 10.000 კვმ იჩეხება. გამკონტროლებელი არავინ არის, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება თვითონ არის ამ პროცესების მონაწილე და მეწილე. რამდენიმე წლის წინ საჩხერეში ქართულ-იტალიური საწარმო შემოვიდა, რომელსაც ხელშეკრულებით აქვს ნებართვა აწარმოოს სანიტარული ჭრა, დაამზადოს ხის მასალა და ავეჯი, რომელსაც ან ადგილობრივ ბაზარზე გაყიდის, ან საზღვარგარეთ გაიტანს. ეს მისაღები იდეა იყო, დასაქმების პრობლემაც წყდებოდა. მოსახლეობა ამაზე დათანხმდა. საწარმოში უცხოური დანადგარები დაამონტაჟეს, ხალხიც დაასაქმეს, მაგრამ პროცესმა თანდათანობით მანკიერი სახე მიიღო. დაიწყეს პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა მორების სახით. დამშლელი კი არავინ არის. თუმცა, აქ კონტროლის მექანიზმი არც იმოქმედებს (გამკონტროლებლები თვითონ დაარღვევენ კანონს), მაგრამ ვიღაცა ეროვნული ფასეულობების ხარჯზე აპირებს ბიზნესის წარმოებას. გვარების დასახელებას აქაც მოვერიდები, მაგრამ ვინც ამ წერილს წაიკითხავს, იცოდეს (ჩემი სახით), წინააღმდეგობას წააწყდება ის, ვინც ამ საკითხს ბიზნესის ჭრილში ხედავს.

**— როგორც შევიტყვეთ, ოსეთის მომიჯნავე სოფლების მოსახლეობა დაშინებულია. ამას ემატება კონტრაბანდისა და ნარკოტიკების დინება საჩხერის რაიონში.**

— სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობა იმდენად შეშინებულია, რომ საცხოვრებელს ტოვებს და საჩხერის შიდა სოფლებში სახლდება. აგრარული საქმიანობის ნაცვლად ოსური სოფლების მოსახლეობის ნაწილმა დანაშაულებრივ საქმიანობას — ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის შემოზიდვას მიჰყო ხელი. თუ რაიონში ადრე 1-2 ნარკომანის სახელს გაიგონებდი, დღეს სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩამოყალიბებული ნარკომანია, რომელიც ყოველდღიურად იკეთებს წამალს.

ადგილობრივ მოსახლეობას ფული არა აქვს, კონტრაბანდისტებთან ანგარიშსწორება ძირითადად ნატურით ხდება. საჩხერეში თუ ვინმეს ჰქონდა გენერატორი, ყველას მოჰპარეს და წამალზე გაცვალეს. ოსურ სოფლებში კი გლეხი არ არის, ოჯახში 2-3 გენერატორი არ ჰქონდეს. ამას წინათ ჩემი ნათესავი გაქურდეს. თავის ნივთი ოსურ სოფელში იპოვა, მაგრამ ვერ დაიბრუნა. უთხრეს, ჩვენ ეს გენერატორი შევიძინეთ, ვინც მოგპარა, მასთან გაარკვიე საქმეო.

ამის თაობაზე მიხეილ მაჭავარიანთან მქონდა საუბარი. უახლოეს დღეებში ალბათ შს მინისტრს კახა თარგამაძესაც შევხვდები. რადგან იქ პოლიციის საქმიანობა არაეფექტიანია, არის საუბარი, რომ ამ მონაკვეთზე გვარდიის ნაწილები ჩააყენონ. ერგნეთის კონტრაბანდა საჩხერეში სოფელ სინაგურის გზით შემოდის და არა მარტო იქ, რაჭისა და ახალგორის რაიონები, რომლებიც ოსეთს ესაზღვრება, მთლიანად ნარკოტიკების რეალიზაციასა და კონტრაბანდაზეა გადასული. ერთადერთი გამოსავალია, რომ ამ ტერიტორიაზე გაკეთდეს ოფშორული, თავისუფალი ზონა. ეს მთლიანად მოხსნიდა კონტრაბანდის პრობლემას, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ამას არ აკეთებს.

**— ოსეთის პრობლემას ალბათ კიდევ უფრო გაამწვავებს რუსეთის პრეზიდენტის განკარგულება, რომლის თანახმად სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოსახლეობას საბჭოთა პასპორტების საფუძველზე რუსეთის მოქალაქეობის მიღების უფლება ავტომატურად ენიჭებათ.**

— პუტინის ამ განცხადებას უთუოდ მოჰყვება კონკრეტული ქმედებებიც. სავარაუდოა, რომ იგი სავიზო რეჟიმის საკითხს უკავშირდება და არა მგონია, რამენაირად შეესაბამებოდეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. არის მოსაზრება, რომ პასპორტის მიხედვით მოქალაქეობის მიღება საშიში არ არის და იგი გავლენას ვერ მოახდენს საზღვრებზე. პუტინის ეს განცხადება პირველი ეტაპია, პროცესის დასაწყისი, მეორე ეტაპი კი, უთუოდ საქართველოს საზღვრები იქნება. იქ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სხვა სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში რუსეთის) მოქალაქე იქნება, ბუნებრივია, არ განხორციელდება ჩვენი იურისდიქცია და არც ქართული სახელმწიფოებრიობა აღდგება. ეს სავალალო შედეგი ქართული დიპლომატიის დიდი შეცდომის გამოა და ეს შეცდომა ძვირად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას. რუსეთის მიმართ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის გამო საქართველომ დიპლომატიური პასუხი მიიღო. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ დავმარცხდით რუსულ დიპლომატიასთან და ამის გამოსასწორებლად ქმედებებია საჭირო.

რატომღაც, ჩვენი პოლიტიკოსები რუსეთთან ურთიერთობას მოზამბიკთან ურთიერთობის რანგში აყენებენ, რეალურად ვერ აფასებენ მის ძალას. პუტინის განცხადება არ არის სასაცილო (როგორადაც ზოგიერთს მიაჩნია), მალე სატირლად გაგვიხდება საქმე, თუ მასზე რეაგირებას არ მოვახდენთ.

**— რუსეთის ბოლოდროინდელი ნაბიჯები თქვენ ქართული დიპლომატიის მარცხით ახსენით. კონკრეტულად, რით გამოიხატა იგი, სად დავუშვით შეცდომა?**

— ეს იმ ორმაგი სტანდარტების შედეგია (თამაში რუსეთსა და დასავლეთს შორის), რასაც ჩვენი დიპლომატია იყენებს. როგორ გგონიათ, საქართველო, რომელსაც სახელმწიფოებრიობისა და დიპლომატიური საქმიანობის ტრადიციები არ გააჩნია, ორმაგი სტანდარტებით მოატყუებს იმ ქვეყნებს, სადაც დიპლომატიის აკვანი დაირწა?! რუსეთს სამხრეთი რეგიონი ყოველთვის მიაჩნდა სტრატეგიულად და ხისტი ქმედებით არასოდეს დაკარგავს მას. ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერასოდეს დადგება დიდი სახელმწიფოების სიბრტყეზე და თუ ამერიკა-რუსეთი ან რუსეთი-ევროპა რაღაც საკითხებზე საქართველოსთან კონსულტაციის გარეშე შეთანხმდება, ეს დიპლომატიური კი არა, სახელმწიფოებრივი მარცხი იქნება. ვერ ხედავთ, თვითონ რუსეთი თამაშობს დღეს დასავლურ პოლიტიკას. ზოგიერთს ჰგონია, რომ რუსეთი შინაპროცესების გამო ინგრევა და ამიტომ მას უნდა ებრძოლო. ერთი საკითხია რუსეთი თავისი შინაპრობლემებით და მეორეა, საქართველოს მიმართება ამ პრობლემებთან. რუსეთს, რაც არ უნდა დაიშალოს, მაინც ექნება საქართველოზე გავლენა. ჩვენი ქვეყანა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ვერასოდეს გახდება ნეიტრალური, ის ყოველთვის იქნება მიერთებული მსოფლიო პროცესებზე. არასწორი მიდგომაა, — კარგად ვიყოთ დასავლეთთან, უარვყოთ დანარჩენი. საჭიროა დასავლეთთანაც და რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა გვქონდეს. ორმაგი სტანდარტები თაღლითობა და მატყუარობაა. თაღლითს კი არასოდეს პატიობენ და თანაც საკადრისად პასუხობენ. პუტინის ზემოთ ხსენებული განცხადება სწორედ იმ თაღლითობის პასუხია, რაც ჩვენს ვითომ „დიპლომატიურ მანევრებს“ მოჰყვა.

**P.S.** *საქართველოს სერიოზული პრობლემები აქვს საზღვრების გამო. ათასწლობით ნალოლიავებ ქართულ მიწებს გვედავებიან. თვალსა და ხელს შუა იკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო; შატილში რუსი სამხედროები მოიწევენ, პრობლემებია სხვა რეგიონებშიც. წაყრუებით და თავის მოტყუებით ამ პრობლემას არ ეშველება. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.*

*განგაშია ასატეხი — იფლითება საქართველო.*

**იზო რიკაძე**

# ვინ იშენებს მილიონერების უბანში სასახლეებს?

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, კორუფციაზე საუბრისას ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ასეთი რამ თქვა — თუ გაინტერესებთ კორუფციის საკითხი და საქართველოს ბიუჯეტის თავმოყრის ადგილი, საირმეზე აბრძანდითო...

იმერეთში, ბაღდადის რაიონში ერთი უღრანი ტყეა, რომელსაც საირმეს ეძახიან. აქ შესანიშნავი ადგილებია ბიუჯეტიდან „მოტეხილი“ ფულის, ანდა სხვადასხვა გრანტიდან და კრედიტებიდან გაიმასქნებული მსხვილკუპიურიანი დასტების და საერთოდ, შავბნელი საქმიანობით მიღებული თანხების გადამალვა-შენახვისათვის. არც იმის შიში გექნება, რომ ვინმეს თვალი მოგწვდება იოლად და გამხელს ამ არაკეთილსინდისიერ საქმიანობაში და არც იმისა, რომ ვინმე მიაგნებს დიდი რისკის ფასად ნაშოვნ შენს ქონებას, დაეპატრონება. შენ კი თავიდან მოგიწევს ჩალიჩი და შუბლზე მორიგი ძარღვის გაწყვეტა... არა, საამისოდ საირმის ტყე მართლაც შესანიშნავი ადგილია. მაგრამ საქმე ის არის, რომ დღევანდელ დღეს სულაც არ ყოფილა აუცილებელი ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა „მახვილი თვალისგან“ მოსაფარებლად ტყე-ღრეში ბლოტიალი და გადასაკარგავში წასვლა. ასეთი რომანტიკა წარსულს ჩაბარდა.

ქალბატონ ირინას „საირმეში“ უღრანი ტყე სულაც არ უგულისხმია, „საირმე“ უბანია შუაგულ თბილისში, სადაც ძლიერთა ამა ქვეყნისათა ძალისხმევით ისეთი რამ კეთდება, რამაც თამამად შეიძლება დაიჭიროს „ღირსეული“ ადგილი თბილისის ღირსშესანიშნაობათა შორის, თან მეტად ორიგინალური ფორმით — იგი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის და გაღატაკებულ-გაძვალტყავებული მოსახლეობის სოციალური ფონისგან დიამეტრულად განსხვავებულ თვალსაჩინო ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს.



მილიონერთა ქალაქის მცირე ნაწილი

ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ, რაშია საქმეო, იკითხავთ, რა თქმა უნდა. საქმე ის არის, რომ საირმეზე მილიონერთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მინი-ქალაქი შენდება, შენდება და აშენდეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, იტყვის მავანი. მაგალითად, ის, ვინც მხოლოდ ერთ-ერთი ფეშენებელური სახლის მფლობელს, ცნობილ ფეხბურთელს გიორგი ქინქლაძეს იცნობს. გიოსთვის ალალი და უსაყვედურო იყოს, თუ რამე აქვს ნაშოვნი, თავისი მუხლითო, გვითხრეს იქაურმა მცხოვრებლებმა. აბსოლუტურად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, მაგრამ...

აი, ამ „მაგრამზე“ კომენტარს ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია აკეთებს:

— ერთი ფინანსისტია საჭირო, რათა დათვალოს და აღრიცხოს აქ თავმოყრილი საქართველოს მთელი ბიუჯეტი. არასდროს არ დამითვლია სხვის ჯიბეში ფული, მაგრამ აქ არ არის ლაპარაკი უბრალოდ მდიდარ ადამიანებზე, ლაპარაკია მთავრობის წარმომადგენლებზე, რომელთა მიმართაც, ნორმალურ სახელმწიფოში, გარკვეული შეკითხვები უნდა დაისვას ამ სასახლეების გამო. თან, ადრე თუ ვინმე ასეთ რამეს ბედავდა, მალავდა მაინც. ახლა აღარ მალავენ. ამ უბანზე, უბრალოდ, კომპაქტურადაა თავმოყრილი ყველა სასახლე, თორემ თბილისში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სხვაგანაც აშენებენ მილიონებად ღირებულ საცხოვრებელ სახლებს (და აგარაკებსაც, სხვათა შორის). ეს არის შემაძრწუნებელი, ამის გაკეთება დღევანდელ ვითარებაში, უხერხულია (მორალური თვალსაზრისით), უბრალოდ, მდიდარი ადამიანების მხრიდანაც კი. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელნიც მეტ-ნაკლებად პასუხისმგებლები არიან ასეთი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო. ამას კი აუცილებლად ექნება მძაფრი რეაქცია საზოგადოების მხრიდან და არა იმიტომ, რომ ვინმეს ვინმესი შურს.

არ არის ძნელი იმის დადგენა, რომ ეს სახლები ეკუთვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ ხელმძღვანელ პირს, ზოგიერთ ახალ თუ ძველ მინისტრს, რომელიც დღეს დეპუტატია და კანცელარიის მაღალჩინოსანთ. სავარაუდოა, რომ სახლები გადაფორმებული აქვთ ზოგს მეუღლის, ზოგს სიდედრის და ა.შ. სახელზე. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ქალბატონმა ირინამ კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციით ეს სასახლეები სხვის სახელზეა გაფორმებული, მისი რეალური მეპატრონეები ყოველ საღამოს აკითხავენ თურმე თავ-თავიანთი ფეშენებელურ ვილებს.

როდესაც ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარებისას, იმავე ქვეყანაში, ყველას თვალწინ ასეთი რამ ხდება, ამ მოვლენას, ალბათ, სახელიც უნდა ეწოდოს; ხოლო თუ რა შეიძლება ეწოდოს ამას, კვლავ ქალბატონ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მივანდოთ:

— რა შეიძლება ამას ეწოდოს, მოკლედ, ძნელი სათქმელია. ერთადერთი შთაბეჭდილება, რაც მრჩება, ის არის, რომ ამ ქვეყანას მართავს ბანდა და ამ ბანდის წევრები არ არიან მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამასთან, ყველამ მშვენივრად იცის, რომ სამართალდამცავი უწყებების თანამონაწილეობის გარეშე კორუფცია ასე არ გაიფურჩქნებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ზარ-ზეიმით მტკიცდებიან თანამდებობებზე საირმის ქუჩის ვილათა მფლობელები. ამიტომ ტყუილად ცდილობს დღეს პარლამენტი ან სხვა სახელისუფლებო სტრუქტურა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. სხვათა შორის, მარტო ამ მშენებლობაში არ არის საქმე, უბრალოდ, ეს არის თვალსაჩინო გამოხატულება, ანუ ქალაქის ცენტრში დევს კორუფციისა და, რბილად რომ ვთქვათ, თავხედობის დოკუმენტი და რეაქციას არავინ ახდენს.

**მამუკა გიორგაძე**

# „თქვე, ბოზებო დაანებეთ ჩემს შვილებს თავი!“

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

ამიტომ თუ, ბოლოს და ბოლოს, რაიმე ახალი „აღმოაჩინე“, პედაგოგს ასწავლე და ის გადაწყვეტს, როგორ და რა ფორმით მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია.

ისე კი ნუ გამიგებთ, თითქოს მე შუა საუკუნეების ინკვიზიტორი ვიყო — ამ ინსტიტუტის დირექტორს ეგენი არ მესწავლება: ხშირად ცოლ-ქმარს შორისაც არის ე.წ. „არატრადიციული“ სექსი, მაგრამ ეს არის ინტიმური და არაფიშირებული და ამას არ სჭირდება წიგნებით სწავლა და აგიტაცია.

შეიძლება ამის თქმა ექიმისა და, თანაც ვენეროლოგისგან არაპროფესიონალიზმად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ვთვლი, რომ „სექსუალური აღზრდა“ როგორც ასეთი საერთოდ არ არის საჭირო, თუნდაც კონტრაცეპტივების ხმარების პროპაგანდა — იცით თუ არა, რომ ამერიკელი თეთრკანიანი მოსახლეობის ქალთა 60% (ოფიციალური მონაცემებით) უშვილო და ავადმყოფურად გასუქებულია და ამის მიზეზი კონტრაცეპტივებია?! კაცებიც გადაუგვარდათ და ესპანეთიდან ჩაჰყავთ „კუროები“. მოკლედ, საგანგაშო სიტუაციაა და მის გამოსასწორებლად ჩვენ — ექიმებმა, ჟურნალისტებმა, ეკლესიამ უნდა ვიღვაწოთ, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები უკვე მაფიის ნაწილებად იქცნენ — თუნდაც ყველაზე ქვედა რგოლი, პოლიცია ავიღოთ: ეს მან გაუკეთა ორგანიზაცია ქუჩის პროსტიტუციას, რაც კიდევ ერთი დიდი საფრთხეა ჩვენი მომავლისათვის.

ჩამითვალონ პროვინციალიზმად, მაგრამ მაინც მგონია, რომ ქართველ ქალს თუ ეტყვიან: „რა სექსუალური ხარო“ — ქათინაურად არ უნდა მიიღოს.

P.S. ეს ინტერვიუ მზად მქონდა, როდესაც აღშფოთებულმა მეგობარმა დამირეკა, — მისი შვილებიც „გაუნათლებიათ“. ძალიან მთხოვა, ამ „განმანათლებლებისთვის“ ორიოდე სიტყვის თქმის საშუალება მიმეცა. მისი „მიმართვა“ სათაურში გამოვიტანეთ.

**არმაზ კანდელაკი**

# ქილერებმა ტროტილთან ერთად ლურსმნებიც გამოიყენეს

1 ივნისის აფეთქება შეიძლება უახლეს ქართულ ისტორიაში ახალი ტერორისტული ეტაპის დასაწყისად იქცეს.

თბილისის შემოსასვლელში აფეთქებული გურამ თევზაძე არა მარტო თავდაცვის მინისტრის ძმა იყო, არამედ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელიც.

ამიტომაც მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი იმავე თავდაცვის სამინისტროში, ბუნებრივია, მძიმედ აღიქვეს.

ასეთი ტერაქტების პირველი სერია საქართველოში 6 წლის წინ დაიწყო — თავის სადარბაზოში პისტოლეტით მოკლულ თბილისის პროკურორ მიხეილ ქურდაძეს, თავის მანქანაში დაუნდობლად ჩაცხრილული ედპ-ს თავმჯდომარე მოჰყვა, შემდეგ სატრანსპორტო პოლიციის უფროსის, გენერალ-მაიორ გია გულუას ჯერი დადგა, ესტაფეტა თავდაცვის მინისტრის მოადგილეზე, ნიკუშა კეკელიძეზე გადავიდა, რომელიც საკუთარ სახლში მძლავრი ნაღმით ააფეთქეს. ცოტა ხანში ქილერებმა შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარეს, სოლიკო ხაბეიშვილს მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ტერაქტების ამ სერიის შემდეგ დაიწყო ქვეყნის პრეზიდენტზე უშედეგოდ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმების ეტაპი.

და აი დღეს, კვლავ ტერორისტული აქტი და ამჯერად, საუბედუროდ, მძიმე შედეგით.

არ უნდა იყოს მართებული ის მტკიცება, რომ გურამ თევზაძეზე ტერორისტული აქტი მაინცდამაინც საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილმა მაღალპროფესიონალმა ტერორისტებმა დაგეგმეს და განახორციელეს.

სამწუხაროდ, ამის ჩადენა აქაურ „კადრებსაც“ შეეძლოთ. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის სისასტიკე, რაც ამ აფეთქებას ახლდა თან.

თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩადება, უშუალოდ მძღოლის სკამის ქვეშ, ქილერებისგან მოითხოვდა, არანაკლებ ერთი-ორჯერ მაინც ჩუმად გაეღოთ თევზაძის „ფიატი“, იქაურობა კარგად დაეთვალიერებინათ და ეს „ჯოჯოხეთის მანქანა“ სწორედ მძღოლის სავარძლის ქვემოთ დაემონტაჟებინათ.

მოგვიანებით, აფეთქებული მანქანის დათვალიერებისას, ზოგიერთმა მანქანის კარზე ნახვრეტები შეამჩნია, რამაც წარმოშვა ვარაუდი, თითქოსდა ავტომობილს გარედან ესროლესო.

ბევრად უფრო საფიქრებელია, რომ მძღოლის სავარძლის ქვეშ ამოდებული ასაფეთქებელი მოწყობილობა 200 გრ ტროტილის (ტრინიტროტოლუოლი) ბრიკეტის გარდა, ლურსმნების შეკვრასაც შეიცავდა, რადგან აფეთქებული მანქანის გარშემო 10-მდე მსხვილი ლურსმანია ნაპოვნი, ისევე როგორც თავად ავტომობილში. ეტყობა, ქილერებმა ლურსმნები დაზიანების ეფექტის გასაძლიერებლად გამოიყენეს. სხვათა შორის, ეს ლურსმნები ზუსტად ესადაგება მანქანის კარზე დატოვებულ ნახვრეტს, რაც იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ კარი, სწორედ სალონში აფეთქების შემდეგ გახვრიტეს ლურსმნებმა, და არა პირიქით, თითქოს გარედან ვინმემ ისროლა.




დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ მაინცდამაინც 200 გრ ტროტილის ბრიკეტი იყო ამოდებული სავარძლის ქვეშ, ცოტა ძნელია, მაგრამ მიმოქცევაში, ძირითადად, სწორედ 200 და 400 გრამიანი ტროტილის ბრიკეტებია. 400 გრ-იანი ბრიკეტი მანქანის სალონში ცოცხალს არავის დატოვებდა და ამიტომაც ძირითადი ყურადღება მაინც 200 გრამიან ტროტილის ბრიკეტზე მახვილდება.

აფეთქების ტალღა რამდენიმე მიმართულებით გავრცელდა, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ მიმართულ აფეთქებას ჰქონდა ადგილი. აფეთქების შედეგად გაირღვა მანქანის ფსკერი და მასზე წასმული ჟანგსაწინააღმდეგო საღებავი ასფალტში ჩარჩა.

დანარჩენი აფეთქების ენერგია კი სალონში გავრცელდა. საინტერესოა, აფეთქების მომენტში ჩამოშვებული იყო თუ არა ავტომობილის მინები (იმ დღეს საკმაოდ ცხელოდა, ამასთან, „ფიატის“ ეს მოდელი კონდიციონერით არ უნდა ყოფილიყო აღჭურვილი)? ეტყობა, ერთი, მძღოლის მხარე, მაინც იყო ჩაშვებული (შეიძლება საპირისპირო მხარეც), რადგან გურამ თევზაძის სათვალე უვნებლად იქნა ნაპოვნი გზაზე, ე.ი. აფეთქების ტალღამ ღია ფანჯრიდან გადააგდო.

ამასთან, შეიძლება სწორედ ღია ფანჯრებმა ერთგვარად დადებითი როლი შეასრულა დანარჩენი ორი ადამიანის გადარჩენაში, რადგან დახურულ სივრცეში აფეთქების ტალღა უფრო დამღუპველია.

თავად აფეთქება შეიძლებოდა, ძირითადად, ორი გზით მომხდარიყო — ან საათის მექანიზმის ან კი რადიოსიგნალით. საათის მექანიზმის გამოყენების ალბათობა ალბათ უნდა უარვყოთ, რადგან გამორიცხული არ იყო, განსაზღვრულ დროს გურამ თევზაძეს მანქანა სულაც გაეჩერებინა და გარეთ გადმოსულიყო.

ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ თევზაძის „ფიატს“, უკან 50-100 მ-ის დაშორებით, მიჰყვებოდა ქილერების მანქანა, საიდანაც გაგზავნილ იქნა რადიოსიგნალი, რომელმაც ასაფეთქებელი მოწყობილობის ელექტროკაფსულის ინიცირება მოახდინა. სხვათა შორის, რუსეთში ანალოგიური აფეთქებების დროს ქილერები ხშირად იყენებენ ჩვეულებრივ პეიჯერს, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობაზეა მიერთებული. ქილერი ტელეფონით გადასცემს რაიმე უწყინარ შეტყობინებას საპეიჯერო მომსახურების სადგურის დისპეტჩერს. ეს უკანასკნელი კი უნებლიე მკვლელი ხდება, როდესაც „მესიჯს“ ამ კონკრეტულ პეიჯერს გადასცემს, რადგან პეიჯერში იკვრება წრედი, რომელიც თავის მხრივ ელექტროიმპულსს უკვე „ჯოჯოხეთის მანქანას“ უგზავნის.

თუკი გამოძიებამ შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინა რადიოდეტალის მცირე ზომის რამდენიმე ნამსხვრევიც კი, ეს იმას მიუთითებს, რომ აფეთქება რადიომართულად განხორციელდა.

აფეთქების ტალღამ მძღოლს მარჯვენა ფეხი წააგლიჯა და სალონში ცეცხლი გააჩინა. ჩანს, გურამ თევზაძე, სამწუხაროდ, აფეთქებისთანავე დაიღუპა და მანქანიდან მისი დროული გადმოყვანაც ველარ გადაარჩენდა მას.

ყურადღების მისაქცევია ის ზამბარებიც, რომლებიც სალონში იყო მიმოფანტული. ეს ზამბარები მძღოლის სავარძლის ქვედა ნაწილიდან აფეთქების ტალღამ დამატებით დამაზიანებელ მეტალის ნამსხვრევებად აქცია.

რამ გადაარჩინა გურამ თევზაძის მეუღლე და მათი ნათესავი? პირველ რიგში მაინც ტროტილის შედარებით მცირე რაოდენობამ, თუმცა აქ ქილერების რაიმე მაღალ გრძნობებზე არავითარი საუბარი არ შეიძლება. ვინ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ დაახლოებით 70-80 კმ/სთ-ის სიჩქარით მიმავალი მანქანის მძღოლის აფეთქებას, თავად „ფიატის“ მძიმე ავარია არ მოჰყვებოდა?

როგორც ამბობენ, გურამ თევზაძის „ფიატს“ ხშირად მისი ბიძაშვილი კოტე იოსელიანი მართავდა. აფეთქების მომენტში, იგი უკანა სავარძლის შუაში (ან უფრო მძღოლის უკან) იჯდა, ამიტომაც მან უფრო მეტი დაზიანება მიიღო წვრილი ნაწილაკებით.

ალბათ ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩადების შემდეგ ქილერები ელოდებოდნენ იმ მომენტს, როდესაც ბიძაშვილის ნაცვლად, სწორედ გურამ თევზაძე მიუჯდებოდა საჭეს.

სტატიის დაწერის მომენტისთვის ამ აფეთქებების ბევრი დეტალი ჯერ კიდევ უცნობი იყო, ამიტომაც ძნელია იმის თქმა, თუ ზემოთ მოყვანილი ვარაუდებიდან რომელი გამართლდება.

მაგრამ რეალობა ერთია — გურამ თევზაძის მკვლელობა (რა საფუძველიც, გინდა ფინანსური და გინდაც პოლიტიკური, უნდა ჰქონდეს) ერთადერთ ჯაჭვად არ დარჩება იმ რგოლში, რასაც ტერორიზმის ახალი ტალღის აგორება ჰქვია საქართველოში, და რომელსაც გარკვეულწილად, ის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული.

## არსენალი

**სამსახურებრივად მეკუთვნის სატაბელო იარაღი, რომელიც სულ მალე უნდა ავიღო. არჩევანი გასაკეთებელი მაქვს ორ იარაღის მარკას შორის: ერთი არის SIG-SAUER P226, ხოლო მეორე CZ75.**

**იქნებ მომაწოდოთ ინფორმაცია ამ ორი იარაღის დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ, რათა გავაკეთო სწორი არჩევანი და გავიფორმო ის პისტოლეტი, რომელსაც უკეთესი საბრძოლო თვისებები აქვს.**

**პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი.**

# პისტოლეტი ქალივითაა — მას კარგი არჩევა და მოფერება სჭირდება

ჩვენს ინკოგნიტო მკითხველს არცთუ იოლი პრობლემა გასჩენია — მან ორ, მართლაც რომ ძალზე კარგ პისტოლეტს შორის, უკეთესი უნდა აირჩიოს.

აქ ერთმნიშვნელოვანი რჩევის მიცემა ძალზე ძნელია, რადგან გერმანულ-შვეიცარიული SIG-SAUER P226-ი და ჩეხური CZ75-ი, არსებითად, ერთმანეთს ბევრით არაფრით აღემატება.

ამასთან, ქალის არ იყოს, პისტოლეტსაც ნებისმიერი მამაკაცი თავისი სიმპათიებისა თუ სიყვარულის მიხედვით ირჩევს.

ამიტომაც სტატიის ავტორი, თავისი სუბიექტური მოსაზრებით, ამ შემთხვევაში პატარა უპირატესობას მაინც ჩეხურ CZ75-ს მიანიჭებდა.

ისე, ჩვენი ინკოგნიტო მკითხველი, ეტყობა მთლად ჩვეულებრივ სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებს, რადგან უბრალო „მაკაროვის“ ПМ-ის ნაცვლად, მას ამხელა არჩევანის საშუალება აქვს. ამასთან, ის გარემოება, რომ ასარჩევ სიაში P226-იცაა ჩაწერილი, იმას მიუთითებს, რომ ჩვენი რესპონდენტი ერთ-ერთ ქართულ სპეცსამსახურში, კერძოდ კი, შეიძლება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოღვაწეობდეს, რადგან თავის დროზე სწორედ ამ სამსახურმა შეიძინა თბილისში აწყობილი რამდენიმე ათეული P226-ი (რას იზამთ, სამხედრო მიმომხილველს აუცილებლად სჭირდება შერლოკ ჰოლმსის დედუქციური მეთოდების გამოყენება).

პირველი მიზეზი, რის გამოც შეიძლება CZ75-ი P226-ზე მაღლა დააყენო ისაა, რომ ჩეხური პისტოლეტი უფრო მეტად ესადაგება საარმიო იარაღის კლასიფიკაციას, ხოლო „ზიგ-ზაუერი“ კი უფრო პოლიციური პისტოლეტის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ეს დიდად არცაა გასაკვირი, რადგან P226 იქმნებოდა სწორედ პოლიციელებისთვის. მათ შორის კი ძირითადი განსხვავება იმით გამოიხატება, რომ სამხედრო პისტოლეტს უფრო მეტი გამძლეობა და სიძლიერე მოეთხოვება.



70-იანი წლების შუა ხანებში ჩეხოსლოვაკიელმა ძმებმა კოუცკებმა ახალი საბრძოლო პისტოლეტის CZ75-ის მოდელი შექმნეს. ამასთან, იგი 9X19 „პარაბელუმის“ ვაზნებისთვის იყო გათვალისწინებული, რაც იმდროინდელი კომუნისტური პრაღისა და, მთლიანად, ვარშავის პაქტის ქვეყნებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, მაგრამ ჩეხმა კონსტრუქტორებმა ალბათ მშვენივრად იცოდნენ, რომ CZ75-ი „მაკაროვის“ 9X18 ტიპის ტყვიებზე რომ გადაეკეთებინათ, იგი ყველა უპირატესობას დაკარგავდა.

ეტყობა ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საბრძოლო პისტოლეტი CZ75-ი ჩეხოსლოვაკიის არმიას თავის შეიარაღებაში არასოდეს მიუღია. სამაგიეროდ, მან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა თავად NATO-ს ქვეყნებში: დიდ ბრიტანეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მეტიც, 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც პენტაგონს ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული შეიარაღებაში ახალი საბრძოლო პისტოლეტების მისაღებად, უკვე ჩეხური CZ75-ი ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გამარჯვებულად იტალიური „ბერეტა“ გამოცხადდა.




როგორც ახლა ირკვევა, „ბერეტას“ გამარჯვებაში დიდი როლი პოლიტიკურმა გარიგებამ შეასრულა — სწორედ იმ დროს იტალიაში ამერიკელები თავისი ფრთოსანი რაკეტების „ტომაჰავკების“ გასაშვებ სახმელეთო დანადგარებს ამონტაჟებდნენ (სხვათა შორის, არ დაგვავიწყდეს, რომ ამ „ტომაჰავკების“ გარკვეული ნაწილი სწორედ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაზე იყო დამიზნებული). სამაგიეროდ, იტალიელებმა ამერიკელებს საპასუხო დათმობა მოსთხოვეს, რისი შედეგიც გახლდათ „ბერეტას“ გამარჯვება პენტაგონის ტენდერში. ისე, დღეს ამერიკელი რეინჯერების უმრავლესობა არ მალავს უკმაყოფილებას „ბერეტას“ მიმართ და ჩეხურ CZ75-ს უფრო სიმპათიით შესცქერის.

**ჩვენი ცნობა: ჩეხური CZ75-ის მჭიდეში 15 „პარაბელუმის“ ვაზნა თავსდება. ტყვიის საწყისი სიჩქარე 370 მ/წმ-ს აღწევს, ხოლო ენერგია კი 616 ჯოულს. პისტოლეტის სიგრძე 206 მმ-ია, სიმაღლე კი — 138 მმ. იგი ცარიელი მჭიდით 1 კგ-ზე მეტს იწონის.**

ჩეხური პისტოლეტი გამოირჩევა საუკეთესო ტექნოლოგიური დამუშავებით და მექანიზმების დიდი საიმედოობით. მის ბაზაზე დროთა განმავლობაში შეიქმნა საუკეთესო პისტოლეტების მთელი გამა: CZ75B, CZ75-COMPACT, CZ75-CHAMPION და სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტომატური CZ75-ის მოდიფიკაცია. მისი ლულა ოდნავ დაგრძელებულია, ხოლო დამატებითი მჭიდე სასხლეტის წინ მაგრდება და მსროლელს ეს ავტომატური პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს. სხვათა შორის, საქართველოს სამხედრო ძალების სამეთაურო შემადგენლობას რამდენიმე ათეული ასეთი ავტომატური CZ75-ი აქვს სატაბელო იარაღად.




სწორედ ის, რომ ქართველ სამხედროებს და სამართალდამცველებს „მაკაროვზე“ უფრო თანამედროვე და ძლიერი იარაღი სჭირდებოდათ შესაიარაღებლად, იქცა მთავარ ფაქტორად, რომ 1998 წლის მაისში თბილისში გაშვებულ იქნა „ზიგ არმს ზაუერის“ ასაწყობ-დამამზადებელი ხაზი, რომელსაც ქართული არმია, პოლიცია და სპეცსამსახურები P226 ტიპის პისტოლეტებით უნდა უზრუნველეყო.

მას შემდეგ ზუსტად ორი წელი გავიდა, მაგრამ არც გერმანული და, რაც მთავარია, არც მათი ქართველი პარტნიორების იმედი არ გამართლდა — თბილისში აწყობილი P226-ებიდან სახელმწიფომ, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი პისტოლეტი შეიძინა. თუმცა, ეს დიდად გასაკვირი სულაც არ არის, რადგან სწორედ 1998 წლის მაისის გალის მოვლენების შემდეგ დაიწყო მძიმე ფინანსური კრიზისი ჩვენს სახელმწიფოში და, პირველ რიგში, მის სამხედრო ძალებში.

იმ დროს კი, როდესაც არც სამხედროებს და არც პოლიციელებს ხელფასი თვეობით არ მიუღიათ, ახალი პისტოლეტების მასობრივად შეძენა ალბათ დიდი დანაშაული იქნებოდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა SIG-SAUER P226 თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით მსოფლიოს მრავალ პისტოლეტს ჯაბნის.

**ჩვენი ცნობა: თვითდამტენი პისტოლეტი P226-იც 9X19 ტიპის „პარაბელუმის“ ვაზნებზეა გათვლილი და მის მჭიდეშიც 15 ვაზნა ჩადის. ტყვიის საწყისი სიჩქარე 330-340 მ/წმ-ია, ხოლო გასროლის ენერგია კი 500 ჯოული. პისტოლეტის სიგრძე 196 მმ-ს აღწევს, სიმაღლე კი 139 მმ-ია. P226-ი ცარიელი მჭიდით 885 გრ-ს იწონის.**

ამ ორი პისტოლეტის ტექნიკური მონაცემების დეტალური შედარებით თავად მკითხველი გამოიტანს დასკვნას, რომ P226-ი CZ75-ზე უფრო მსუბუქიცაა და კომპაქტურიც, რასაც პოლიციური პისტოლეტისთვის მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, მისი მალულად ტარების თვალსაზრისით. სამაგიეროდ, ჩეხური პისტოლეტი თავის თანამოძმეს ჯაბნის ტყვიის საწყის სიჩქარესა და სროლის ენერგიაში, რაც მოწინააღმდეგის მეტად და უფრო შორ მანძილზე დაზიანების საშუალებას იძლევა.

ამით იოლი გასარკვევია, რომ ამ პისტოლეტებს არსებითად სხვადასხვა დანიშნულება აქვს — CZ75-ს წმინდა საბრძოლო, ხოლო P226-ს კი პოლიციური, მით უმეტეს, რომ თავის დროზე P226-ი ცნობილი პოლიციური პისტოლეტის, რვავაზნიანი P225-ის ბაზაზე შეიქმნა. თავად 100 ათასზე მეტი P225 კი 1979 წლიდან შეიარაღებაში აქვთ მიღებული გერმანიისა და შვეიცარიის პოლიციებს.

საქართველოში და, მით უმეტეს, დღევანდელ კრიტიკულ ეკონომიკურ პირობებში P226-ისა თუ CZ75-ის შეძენა უბრალო მოქალაქისთვის თითქმის წარმოუდგენელი სიამოვნებაა. იარაღის მაღაზიებში მათი ფასი საკმაოდ მაღალია — 2200 ლარამდე.

ალბათ, დაგვეთანხმებით, საკმაოდ ძვირია, რადგან ევროპაში მათი ფასები 750-850 დოლარს შორის მერყეობს.

ეტყობა ამიტომაცაა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ოფიციალურად გაყიდვის ბიზნესი ჩვენში დიდი წარმატებებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს. 1000 და უფრო მეტი დოლარის გადახდა პისტოლეტში, თუნდაც საუკეთესოში, დღევანდელ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ასეულ ადამიანს თუ შეეძლება.

სხვები კი, ალბათ, მართალია არალეგალური, მაგრამ სამჯერ იაფი „მაკაროვის“ ყიდვას ამჯობინებენ.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# სტალინის მიერ ნაჩუქარი დამბაჩა მჟავანაძეს შევარდნაძემ დაუბრუნა

## პირველად პრესაში — სენსაციური ქურდობის გამოძიების დეტალები

***ე.წ. რეზონანსული საქმეები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მომხდარი ფაქტის შემდეგ მრავალი წელია გასული, საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ამის მაგალითია თუნდაც 22 წლის წინ საქართველოს იმჟამინდელი უშიშროების კომიტეტის შეფის ალექსი ინაურის ბინის გაქურდვის ამბავი, რომლის თაობაზეც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს თითქმის ყველა გაზეთი, მათ შორის ჩვენიც, წერდა.***

***ქურდობის ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულია — „უძრაობის“ პერიოდში, ძლევამოსილი კგბ-ს თავმჯდომარეს თბილისის ცენტრში პირადი ნივთები მოჰპარეს! სენსაცია! მაგრამ როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, ამ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე მომხდარა კიდევ უფრო სენსაციური ამბავი. საქმე ეხება რესპუბლიკის პირველი პირის, საქართველოს კომპარტიის თავკაცის ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის აგარაკის გაქურდვის ფაქტს.***

***თავის დროზე ამ შემთხვევამ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ, გარკვეულ წრეებში. რიგ მოსაზრებათა გამო სამართალდამცავები დღემდე არ ახმაურებდნენ აღნიშნულ დანაშაულს.***

ინფორმაციამ ჩვენშიც აღძრა ინტერესი და რედაქციამ მოახერხა მოეძიებინა სწორედ ის ადამიანი, რომელმაც თითქმის 30 წლის წინ თავად გამოიძია სენსაციური ქურდობის საქმე.

პოლიციის ასაკოვანი გენერლები მისი მისამართით კომპლიმენტებს არ იშურებენ: „დავით ბეჟაშვილი ენციკლოპედიური მეხსიერების პატრონია, 40 წლის წინ მომხდარ დანაშაულობათა ყოველი წვრილმანიც კი დღემდე ახსოვს,“ — ამბობს ერთი; „ნამდვილი შერლოკ ჰოლმსია, — აცხადებს მეორე. — ათწლეულების მანძილზე ჩადენილი ყველა გახმაურებული დანაშაული ისე გახსნა, რომ არც ერთი საქმე აღარ დაბრუნებულა დამატებითი გამოძიებისთვის. მის მიერ გამოძიებული ნებისმიერი საქმე ბრწყინვალე იურისტის მიერ შექმნილ დისერტაციას ჰგავს...“



„აი, თუ არ მუშაობს ჩვენი მილიცია“

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით ბეჟაშვილი დღეს საადვოკატო საქმიანობას ეწევა. მას ოფისში ვესტუმრეთ, მაგრამ როდესაც ჩვენი მისვლის მიზეზი შეიტყო, ინტერვიუსგან თავი შეიკავა — ჩემ მიერ გამოძიებული ინაურის გაქურდვის საქმე ჟურნალისტებმა სხვადასხვაგვარად გააშუქეს და არ მსურს, მჟავანაძის ამბავსაც იგივე ბედი ეწიოსო... ბოლოს, „კვირის პალიტრის“ ავტორიტეტმა გვიხსნა და ბატონი დავითი, როგორც იქნა, დავითანხმეთ. იმედია, თქვენი გაზეთი საკუთარ ტრადიციას არც ამჯერად დაარღვევს და რესპონდენტის პასუხებს არ დაამახინჯებსო... ამის პირობა, რა თქმა უნდა, მივეცით და ინტერვიუც შედგა.

**— ბატონო დავით, თქვენ შესახებ დაუჯერებელ ამბებს ჰყვებიან. ყველა გახმაურებული დანაშაული გამოიძიაო და ა.შ. არადა, თადარიგში სულ რაღაც ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით გასულხართ. რა იყო ამის მიზეზი?**

— ვფიქრობ, ჭკვიანი და პატიოსანი ვიცე-პოლკოვნიკის სახელი ბევრად სჯობს მშიშარა და კორუმპირებულ გენერლობას. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ კადაფი, ნასერი და ლეგენდარული რუდოლფ აბელიც მხოლოდ და მხოლოდ პოლკოვნიკები იყვნენ. ფიდელ კასტრო კი სულაც მაიორია...

**— გასაგებია. და სანამ მთავარ თემაზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთი საკითხი მაინტერესებს — ე.წ. „მწვანილების საქმე“, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ცეკას პირველ მდივნად დანიშვნისთანავე დაიწყო. როგორც ამბობენ, აღნიშნული შემთხვევაც თქვენ გამოიძიეთ.**

— ეს იყო 1973 წელს. „მწვანილების საქმე“ მართლაც მე მომანდვეს, თუმცა მისი დიდი მოცულობის გამო, გამოძიება უაღრესად გამიჭირდა და ხელმძღვანელობამ უპატიოსნესი პროფესიონალი ბორის კვარაცხელია დამახმარა. კოლოსალური სამუშაო შევასრულეთ. წარმოიდგინეთ, დაკითხულთა რიცხვი ათასებს აღწევდა, ათასობით საბუთიც ექსპერტიზაზე გავატარეთ და ყოველივე ეს საქმის ასამდე ტომში ავსახეთ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ საბრალდებო დასკვნის 1.800 ნაბეჭდი გვერდი აზერბაიჯანულ ენაზე ვათარგმნინეთ (რამდენიმე განსასჯელი აზერბაიჯანელი იყო და სხვა ენა საერთოდ არ იცოდა). ბოლნისის გაზეთის რედაქციაში, სადაც ამ ტომებს თარგმნიდნენ, ღამეებს ვათევდით...

**— რას წარმოადგენდა ეს „მწვანილების საქმე“?**

— ხილბოსტანვაჭრობის საწარმოებში ტარდებოდა ე.წ. უსაქონლო ოპერაციები, რის შედეგადაც დატაცებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხა.

**— პასუხისგებაში ვინმე ცნობილი ადამიანი თუ მიეცით?**

— სულ 37 კაცი დაისაჯა. გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ გეტყვით, რომ ამ საქმეს შეეწირნენ: რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი და საკავშირო პარტიული ყრილობის დელეგატიც. „მწვანილების“ გამო გაუქმდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს კონსერვხილბოსტნის სახელმწიფო კომიტეტი.

საერთოდ, ეს იყო საწყისი საქმე, რომლის შემდეგაც თითქმის მთლიანად შეიცვალნენ რესპუბლიკის რაიონების აღმასკომისა და პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები.

**— თქვენი ნებართვით, ახლა მჟავანაძის საქმეზე გადავიდეთ.**

— უწინ საქართველოს კომპარტიის ცეკასა და მთავრობის წევრთა მუდმივ განკარგულებაში იყო დაბა წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. მთავრობის აგარაკები, რომლის სამმართველოც უშუალოდ ექვემდებარებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. აგარაკებს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამთავრობო დაცვის განყოფილება. აგარაკებით სარგებლობა ძირითადად იწყებოდა ივნისის თვიდან და გვიან შემოდგომამდე გრძელდებოდა.

1971 წლის მაისში, გვიან ღამით, როცა დაცვის თანამშრომლები ცენტრალური შესასვლელი კარის მახლობლად მდებარე, მათთვის განკუთვნილ შენობაში დომინოს თამაშით იყვნენ გართულნი, გაიქურდა ცეკას პირველი მდივნის მჟავანაძისა და მეორე მდივნის როდიონოვის (სარდალ იგორ როდიონოვში არ შეგეშალოთ) აგარაკები. ბოროტმოქმედებმა მოიპარეს ძვირფასი ჭურჭელი, ტელევიზორები და სხვა ფასეულობანი, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო იყო მჟავანაძის კუთვნილი ე.წ. დუელის დამბაჩის გაუჩინარების ფაქტი.

**— ეს იარაღი ძვირადღირებული ანტიკვარული ნივთი იყო?**

— დუელის დამბაჩის ისტორია ასეთია: 1945 წელს, ომში გამარჯვებული სამი სახელმწიფოს მეთაურთა პოტსდამის კონფერენციაზე სტალინს, პოლიტიკურ მოღვაწეთა გარდა, თან ახლდა საბჭოთა არმიის სახელმოხვეჭილ გენერალთა ჯგუფი, რომელშიც იყო 43 წლის გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძეც.

კონფერენციის დასრულების შემდეგ სტალინმა თავის გენერლებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები — დუელის დამბაჩები, რომლის ლულებზეც ამოტვიფრული იყო ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ასოები: Память из Потсдама. თითოეული იარაღი მოთავსებული იყო ძვირფასად შესრულებულ ტყავის ბუდეში. ამ საჩუქარს მჟავანაძე წყნეთის აგარაკზე, თავის საძინებელ ოთახში სათუთად ინახავდა. იარაღის დაკარგვის გამო მან ბევრი იდარდა, მით უმეტეს, რომ ცხელ კვალზე საქმის გახსნას არავითარი პირი არ უჩანდა...



**— თუ არ ვცდები, შს მინისტრი მაშინ ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. საინტერესოა, რა რეაგირება მოახდინა მან?**

— დიახ, მინისტრი სრულიად ახალგაზრდა შევარდნაძე იყო და იგი, რასაკვირველია, საშინელ ხასიათზე დადგა. ასეთი პარალელი გავავლოთ და თავად განსაჯეთ: ღმერთმა ნუ ქნას და, ამჟამად ედუარდ შევარდნაძესა და ზურაბ ჟვანიას ბინები რომ გაუქურდონ, როგორ ხასიათზე დადგებოდა კახა თარგამაძე?

**— როგორც ცნობილია, ალექსი ინაურის სახლის გაქურდვის საქმეს ძირითადად თქვენ და რომან გვენცაძე იძიებდით. მჟავანაძის საქმეც თქვენ ორს მოგანდვეს?**

— გვენცაძე მაშინ ჯერ კიდევ არ მუშაობდა ჩვენთან. ქალაქის სამმართველოში იგი დაახლოებით 2 წლის შემდეგ მოვიდა, აღნიშნული ქურდობის გამოძიება კი ხელმძღვანელობამ მე დამავალა.

შსს-ს ოპერატიულმა სამსახურმა არაერთი ვერსია განიხილა, ამოწურა ყველა თავისი შესაძლებლობა, მაგრამ თვეზე მეტი გავიდა და ქურდის კვალს ვერსად მიაგნო. მუშაობის მთელი სიმძიმე მე დამაწვა მხრებზე.

ამ დროისათვის უკვე საგულდაგულოდ მქონდა დათვალიერებული მჟავანაძისა და როდიონოვის აგარაკები, თუმცა ორი უცხო პირის თითის ანაბეჭდის გარდა, მნიშვნელოვანი ვერაფერი აღმოვაჩინე. სწორედ ამ დროს გამომიხტა სიურპრიზი.

1971 წლის ზაფხულში თბილისი-წყნეთის გზაზე ორმა მამაკაცმა გაძარცვა გამწვანების ადგილობრივი სამსახურის აგრონომი ქალი. ბანდიტებმა მას ოქროს სამკაულები წაართვეს. საბედნიეროდ მსხვერპლის კივილი იქვე, გზად მიმავალ მანქანაში მსხდომმა თბილისის მილიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გაიგონეს. სასწრაფოდ გააჩერეს მანქანა, გადმოხტნენ, გაქცეულ მძარცველებს ტყეში სირბილით დაედევნენ და ერთ-ერთი მათგანი შეიპყრეს. დაკავებული აღმოჩნდა თეთრი წყაროს რაიონის მკვიდრი, ეროვნებით ბერძენი ახალგაზრდა კაცი. ოქროს სამკაულები თან ჰქონდა და აგრონომის გაძარცვაც მალევე აღიარა, მაგრამ მასთან ერთად მყოფი მეორე დამნაშავე არაფრით არ გათქვა. ამბობდა, კარგად არ ვიცნობ, მხოლოდ მისი სახელი ვიცი — აშოტა და სხვა არაფერიო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მძარცველი დედაქალაქის სამმართველოს მუშაკებმა დააპატიმრეს და ამის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მე მომიხდა. დაკავებულთან პირველივე გასაუბრების შემდეგ ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ეს ბერძენი არ იყო პატიოსანი ადამიანი. გარდა ამისა, ბუნებრივად იბადებოდა კითხვა, რა უნდოდა ამ კაცს წყნეთის მახლობლად? მივმართე შსს-ს სპეცგანყოფილებას, სადაც მაუწყეს, რომ აღნიშნული პიროვნება ქურდობისთვის მანამდე თურმე ორჯერ ყოფილა ნასამართლევი და, რაც მთავარია, მისი თითის ანაბეჭდი ზუსტად დაემთხვა მჟავანაძის ბინაში აღმოჩენილი ერთ-ერთი თითის კვალს!



დავით ბეჟაშვილი (მარცხ.) სსრკ სამხრეთის ზონის შინაგანი ჯარების სარდალთან გენერალ კატოგაროვთან ერთად.

ერთი სიტყვით, წყნეთის აგარაკების გაქურდვის საქმე, ფაქტობრივად, გაიხსნა. კრიტიკული დაკითხვის (ძირფესვიანი დაკითხვა, რომელიც არაერთი საათის მანძილზე გრძელდება. რედ.) შემდეგ ეჭვმიტანილმა დაასახელა მეგზური, რომელიც ქურდებს (სულ სამნი იყვნენ) მთავრობის აგარაკებისკენ წაუძღვა. ეს ადამიანი აღმოჩნდა ახალგაზრდა თბილისელი სომეხი კაცი. მისი მამა აგარაკების ზონაში გამწვანების მუშად მუშაობდა და მშვენივრად ერკვეოდა სამთავრობო ტერიტორიაზე მდებარე შენობების განლაგებაში, იცოდა მათი მფლობელების დღის განრიგი და თავისი ვაჟი, როგორც ჩანს, მანვე დააკვალიანა. ბოროტმოქმედი დავაკავეთ. მან დანაშაული აღიარა.

**— აღიარება ერთია, მაგრამ ნივთიერი მტკიცებულებანი თუ უპოვეთ?**

— რა თქმა უნდა, ვუპოვეთ. დამნაშავეთა ბინების ჩხრეკისას აღმოვაჩინეთ მჟავანაძისა და როდიონოვის კუთვნილი ნივთები, მაგრამ როდესაც ამის შესახებ ცეკას პირველ მდივანს ვაცნობეთ, ვასილ პავლეს ძემ განაცხადა: „სერვიზი სერვიზს ჰგავს, ტელევიზორი-ტელევიზორს... ზედ ხომ არ აწერია, რომ ეს ნივთები ჩვენი აგარაკებიდან წაიღეს... თუ გნებავთ დავიჯერო, რომ საქმე გახსენით, კეთილი ინებეთ და დამიბრუნეთ სტალინის მიერ ნაჩუქარი დუელის დამბაჩა, რომელიც ზუსტად ჩაჯდება იმ ბუდეში, რომელიც ქურდებმა არ წაიღეს“.

**— ანუ ეჭვმიტანილებს ეს დამბაჩა არ აღმოაჩნდათ?**

— დიახ. მივაგენით ყველა მოპარულ ნივთს, გარდა იარაღისა. მართალი გითხრათ, საგონებელში ჩავვარდი, ღამეები არ მეძინა, ვამზადებდი დაკითხვის ვარიანტებს, რათა დაკავებულებისგან ქვეყნის პირველი პირისთვის უძვირფასესი იარაღის ადგილსამყოფელი შემეტყო.

ერთხელაც, გულმა არ მომითმინა და წინასწარი დაკავების საკნიდან ბერძენის ამოსაყვანად თავად ჩავედი. ძალიან ცხელი ზაფხული იყო და ქურდობაში ეჭვმიტანილი სკამზე ჭრელი საბანაო ტრუსის ამარა დამხვდა. კარგად რომ დავაკვირდი, რაღაც ეჭვი გამიჩნდა — იმხანად მსგავსი ტრუსები იშვიათობა იყო, ძვირად ფასობდა და ვიფიქრე, ამ სოფლელ კაცს ვინ აღირსა-მეთქი ასეთი რამ. დაკავებული ჩემს კაბინეტში ავიყვანე და დაკითხვას შევუდექი. წამოსცდა, ეს „პლავკა“ ერთი ბინიდან მოვიპარე, მაგრამ არ მახსოვს, რომლიდანო. სწორედ იმ პერიოდში დაბა წყნეთში გაიქურდა კიდევ რამდენიმე ცნობილი ადამიანის აგარაკი. ეს საქმეები ჯერჯერობით გაუხსნელი იყო. ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო სახელგანთქმული მსახიობების აგარაკის გაქურდვის ფაქტზე აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ. სასწრაფოდ მოვიწვიე ამ ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისი და ვთხოვე, დეტალურად აღეწერა ყველა დაკარგული ნივთი. სხვა ტანსაცმელთან ერთად, ქალბატონმა დაწვრილებით აღმიწერა მათი ბინიდან მოპარული მამაკაცის საბანაო ტრუსებიც. ეს ტანსაცმელი არგენტინაში გასტროლების დროს შევიძინეთო. ვუჩვენე ამოღებული ნივთი და იმანაც უმალ ამოიცნო — ნამდვილად ეს „პლავკა“ არისო.

როდესაც ბერძენი ქურდი ხელახლა დავკითხე და კონკრეტულად მივუთითე, თუ რომელი აგარაკიდან იყო წაღებული საბანაო ტრუსი, მან არა მხოლოდ აღნიშნული ბინის, არამედ წყნეთში მდებარე თითქმის ყველა აგარაკის გაქურდვაც აღიარა. დაასახელა ქურდების ჯგუფის მესამე, ჩვენთვის მანამდე უცნობი პირის ვინაობაც — ჩემი მამიდაშვილია, ეროვნებით სომეხი და ის დამბაჩაც მასვე აქვსო...

დავიწყე ამ კაცის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ახლობელ-ნათესავთა განცხადებით, იგი სადღაც რუსეთში იმყოფებოდა.

მივმართე რუსეთის შს სამინისტროს და იქიდან პასუხი მივიღე: ესა და ეს პიროვნება ჩვენს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო ამჟამად ქალაქ არმავირის საგამოძიებო იზოლატორში გვყავსო. იმავე დღეს გავემგზავრე ჩრდილო კავკასიაში, თუმცა კვლავ უშედეგოდ. არმავირში მაცნობეს, რომ ქურდი სულ ახლახან (კიდევ სხვა დანაშაულის გამო) კრასნოდარის იზოლატორში გადაეყვანათ. მეც იქით გავეშურე და როგორც იქნა, შევხვდი ამ კაცს.

დამნაშავე საკმაოდ თავდაჯერებული იყო. უკმეხად განმიცხადა, რა წყნეთი, რის წყნეთი, ახლავე მომწყდი თავიდანო. კი, შვილო-მეთქი, ვუპასუხე, ქუდი დავიხურე და თბილისში დავბრუნდი, მაგრამ თავს როგორ დავანებებდი! სასწრაფოდ შევადგინე ეტაპირების დადგენილება და რამდენიმე დღის შემდეგ დამნაშავე საკუთარ კაბინეტში მომგვარეს.

თბილისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე, შალვა ჩხატარაშვილთან (თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი) და სისხლის სამართლის სამძებროს იმჟამინდელ უფროს, ჯიმი მიქელაძესთან ერთად მოვახდინე დაკავებულის ჯვარედინი დაპირისპირება ჩვენ მიერ მანამდე დაკავებულ ორ ქურდთან. კრასნოდარიდან ჩამოყვანილი სომეხი უარზე დადგა, ამ ადამიანებს პირველად ვხედავო. გაჯიუტებულ ეჭვმიტანილს მაშინვე ვაცნობე, რომ მჟავანაძისა და როდიონოვის აგარაკებიდან მოპარული ნივთების ნაწილი მის ალალ დას სახლში აღმოვუჩინეთ და ეს ქალი უთუოდ მიეცემოდა პასუხისგებაში. ამან იმოქმედა — ოღონდ ჩემს დას ხელს ნუ ახლებთო და ქურდმა უმალ დაიწყო ჩვენებების მოცემა, თანაც ისე, რომ უკვე ველარ ვაჩერებდით.

მისი განცხადებით, მოპარული დამბაჩა გადასცა თავის მეგობარს, იმან კიდევ სხვას, რომელიც ასფალტის დამგები მუშა ყოფილა და სხვა მეასფალტეებთან ერთად „შაბაშნიკად“ ბაიკალის ტბასთან, ჩიტის ოლქში წასულა სამუშაოდ.

როგორც იქნა, ამ ადამიანსაც მივაგენი, მაგრამ იარაღი არ აღმოაჩნდა. მითხრა, ადგილობრივმა მესაზღვრემ, ვინმე საშამ ჩამომართვაო. ეს საშა მონღოლეთის საზღვარზე, პატარა ქალაქ ნიჟნი ზასუჩეიში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მსახურობდა.

თქმით, შესაძლოა, იოლიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ დანაშაულის გახსნაზე მუშაობისას, ზოგჯერ ინფარქტის პირამდეც მივდიოდი...

მესაზღვრე საშას ადგილსამყოფელი რომ დავადგინე, ასეთ ხერხს მივმართე — ჩიტის ოლქის შს სამმართველოს უფროსს ჩვენი სამმართველოს სახელით წერილი გავუგზავნე, სადაც ვიუწყებოდი, რომ რამდენიმე თვის წინ ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა საქართველოს ერთ-ერთ რაიონში გაძარცვეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მჟავანაძის სახელის ხსენებას ვერიდებოდით), საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად, წაიღეს უნიკალური დამბაჩაც. აღვწერე ეს იარაღი და თან დავუმატე, მაქვს ინფორმაცია, რომ ეს იარაღი თქვენს მხარეში მოხვდა-თქო. გარდა ამისა, ვპირდებოდი, რომ თუ მის პოვნაში დაგვეხმარებოდნენ, საკავშირო მთავრობის წინაშე ვუშუამდგომლებდით, რათა ისინი დაეჯილდოებინათ.

მახსოვს, ამ წერილს რომ ვწერდი, თანამშრომლებს ეცინებოდათ, აბა, ახლა ელოდე, დამბაჩას როდის გამოგიგზავნიანო. ჩვენს სპეცფოსტას აღარ დაველოდე და ბარათი ჩვეულებრივი ავიაფოსტით გავაგზავნე.

დაახლოებით 20 დღის შემდეგ ჩიტადან ამანათი მომივიდა, სადაც მოთავსებული იყო ვასილ მჟავანაძის დუელის დამბაჩა! ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ძვირფასი იარაღი მაშინვე უშუალო უფროსს დორიან როსტიაშვილს მივუტანე. ჩემი თანდასწრებით მან შს მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს დაურეკა და სასიხარულო ამბავი აუწყა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა უბრძანა, ამწამსვე ჩემთან გამოცხადდიო. როსტიაშვილმაც ხელი დაავლო იარაღს და კაბინეტიდან გავარდა.

1971 წლის აგვისტო იწურებოდა. დასასვენებლად მყოფი საქართველოს ცეკას პირველი მდივანი თავისი ამალით ბიჭვინთიდან თბილისში სწორედ იმ დღეს დაბრუნდა. შევარდნაძემ ქვეყნის მეთაურს მოპარული დამბაჩა დაუბრუნა.

დარწმუნებული ვარ, მჟავანაძისთვის მაშინ მარშლობა რომ მიენიჭებინათ, ისე არ გაუხარდებოდა, როგორც სტალინის ნაჩუქარი იარაღის ხილვა გაუხარდა. გადახედა რამდენიმე პარტიულ ჩინოსანს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წამდაუწუმ კბილს რომ გაჰკრავდნენ ხოლმე და განუცხადა: აი, თუ არ მუშაობს ჩვენი მილიციაო...

***მიხეილ ჩერქეზია***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გრიგოლას ბურთი

გრიგოლ ბელთაძე ომიდან ხეიბარი დაბრუნდა. ფეხმოკვეთილ კაცს რაღაც ხელობა უნდა შეესწავლა, რომ ოჯახი ერჩინა, მით უმეტეს, ოთხი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა.

გრიგოლამ საკუთარი სახლის პირველ სართულზე საპარიკმახერო გახსნა და პირველი კლიენტებიც გამოჩნდნენ. საღამოობით მისი ძმაკაცები — დომენტი, ბეჟანი და ვალიკო შემოუვლიდნენ და ჰქონდათ გაუთავებელი სჯა-ბაასი.



გრიგოლას ერთი მომცრო ბურთი ჰქონდა, რომელსაც უკბილო ან მოხუც კლიენტებს პირში ჩაუდებდა, რომ ლოყები გამობერვოდა, რის შემდეგ სწრაფად და უნაკლოდ უპარსავდა სახეს.

ერთხელ, საკმაოდ სოლიდურმა კლიენტმა გრიგოლას უთხრა:

— კი, მაგრამ ბატონო, ეს ბურთი რომ გადამცდეს ყელში?

— მაგის ნუ გეჯავრება, — მიუგო გრიგოლმა, — გუშინ ვარდენს გადასცდა პირში, მაგრამ ამ დილით კი მომიტანა.

ამის გამგონე სადალაქოში მყოფნი კისრისტეხით გაცვივდნენ გარეთ.

***შალვა ლორთქიფანიძე, ქუთაისი***

## განსაკუთრებული ვირი

კახელი თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტის ეზო გაიარა. იქ მყოფი გოგო-ბიჭები მოეწონა და იკითხა: — ეს რა დაწესებულებააო.

ერთი ახალგაზრდა გაეხუმრა:

— ძია, აქ ვირები მოჰყავთ და ხუთი წლის შემდეგ კაცები მიჰყავთ.

კახელი წავიდა სოფელში და ჩამოიყვანა ვირი, უნივერსიტეტის ეზოში ხეზე მიაბა და წავიდა.



ხუთი წლის შემდეგ ჩამოვიდა და რას ხედავს: იმ ხეს ერთი ლამაზი ყმაწვილი მიყრდნობია და გაზეთს კითხულობს.

მივიდა მასთან კახელი, თავზე ხელი გადაუსვა და ეფერება:

— ჩემი ვირი, ჩემი ვირი.

ახალგაზრდამ ახედა გლეხს და გაბრაზებულმა პანღური ამოარტყა.

კახელმა მიუგო, — კაცი კი გამხდარხარ, მაგრამ ვირის თვისებები არ დაგიკარგავსო.

ბიჭმა მიაძახა, — წადი, შენი დედაც...

გლეხმა მიუგო: — შვილო, სანამ „ჩემი დედა“ გისწავლია, მანამდე წამამყე შინაო.

***თემურ ტბეთელი, ბათუმი***

## „პატენი, ძღაბი, მოზოჯი“



ზაფხულში მეგობარს ჩავყევი სამეგრელოში, ოჯახის ქალებმა ქართული არ იცოდნენ — „პატენი ძღაბი, მოზოჯი“, ისმოდა მათგან.

დილით, წინა ღამის ნაქეიფარმა, ეზოში ჭას მივაკითხე, შემომხვდა მეგობრის ბებია — წიე (აღლი ბუხლი ბახლი ბუხლიო — ასე მესმოდა მისი მეგრული) — თითქოს მეხვეწებოდა რაღაცას.

— კი ბებო, გმადლობთ ბებო-მეთქი და მოვიყუდე ვედროთი ცივი წყალი...

ახლა მეორე თბილისელი ბიჭი ჩავიდა, იმასთანაც „ისაუბრა“ ბებიამ...

ამოვიდა ისიც „ზალაში“... — რაღაცას ამბობს ბიჭო მგონი ლაშას ბებიაო... ერთი სიტყვით მესამე ძმაკაცი რომ ჩავიდა, ჩაყვა ჩვენი მეგრელი მეგობარიც და — აუტყდა ლაშას სიცილი და ჩვენ ამოგვძახა:

— რას მოკალით ბიჭო ბებიაჩემი წყურვილით — თურმე ერთ ჭიქა წყალს გეხვეწებოდათო.

***გიორგი (თბილისელი)***

## ვეტერანები

მეზობლები მყავს, ომის მონაწილე ვეტერანები. ერთსაც და მეორესაც ბატიბუტივით აყრიათ სამამულო ომის ჯილდოები.



წაიჩხუბნენ ერთხელ. ეზოზე ჰქონდათ დავა.

— ვის უბედავ მაგას შენ, — უთხრა რაჟდენ ბუმბეიშვილმა კოლია ქვათაძეს, — ხუთი წელი ფრონტზე ვიყავი.

— ხუთი ვიყავი მეც, აბა რამდენი?! — გაიკვირვა კოლიამ.

— მე არ მინახიხარ შენ იქანა, — იყვირა რაჟდენამ.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## [illegible]

მუშაობს ქარხანაში ცოტა ჭკუამხიარული ბიჭი, სახელად მურტალო.

ერთ დღეს მურტალოს მიუყვანია თავისი შვილი და ჩალიჩობს, რომ გააპაროს ქარხნის გასასვლელში, არადა პატარები ქარხნის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან.



ერთმა ენაკვიმატმა მუშამ დალანდა სიტუაცია და ეუბნება მურტალოს:

— ბიჭო, არ შეცდე, ბავშვი ტერიტორიაზე არ შეიყვანო, თორემ შაქროს (დაცვის უფროსის მოადგილეა) აქ გაკეთებული ეგონება და გარეთ აღარ გაგატანსო. მურტალომ შეშინებულმა დატოვა შესასვლელის ტერიტორია.

***რ. გ.***

## ლენინი ჭიკაანში




გაგანია საბჭოთა წყობილებაა. არადა, მოგეხსენებათ, თუ როგორი ყურადღება ექცეოდა მაშინ კომუნიზმისა თუ სოციალიზმის ფუძემდებელთა ქება-დიდებას. მით უფრო, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე პირადად ვლადიმერ ლენინს ეხებოდა.

ერთხელაც, ყვარლის რაიონის სოფლებში ზუსტად ასეთი ხასიათის ფილმს უჩვენებდნენ. მას ერქვა „ლენინი ოქტომბერში“.

მისულა ჯერი იმ სოფელზე, რომლსაც, მგონი, დღესაც ოქტომბერს ეძახიან. იქაურებს უფიქრიათ, ამ ფილმის სათაურით თუ ვიმსჯელებთ, ბელადი ჩვენს სოფელშიც ნამყოფიაო და, პირთამდე გაუვსიათ კინოდარბაზი. თურმე, ისეთი ანშლაგი, არც მანამდე და არც მას მერე, არ ახსოვს ადმინისტრაციას. მაგრამ როგორც კი ფილმის ჩვენება დაუწყიათ, ყველაფერი ნათელი გამხდარა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ ღამეს ოქტომბერში მშვიდობიანად ჩაუვლია. მეორე დღეს კი, როდესაც ეს კინოშედევრი სოფელ ჭიკაანში ჩაუტანიათ, კულტურის იქაურ მუშაკებს ასეთი შინაასის აფიშები გაუკრავთ სოფლის ორღობეებსა და გზაჯვარედინებზე: „ლენინი... ჭიკაანში...“

***თემურ ჟღენტი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ოსს ცოლი ავად გაუხდა.

გამოუწერა ექიმმა წამალი და დაარიგა — დალევის წინ შეაჯანჯღარეო...

მოიტანა ოსმა წამალი, დაუძახა მეზობლის კაცს, წაავლეს ავადმყოფს ხელ-ფეხში და აჯანჯღარეს. ასე ყოველდღე, 3-ჯერ დღეში, სანამ გაუძლო საწყალმა ქალმა...

***„აიდა“***



თურქეთიდან მერცხლებმა შემოუთვალეს საქართველოს მერცხლებს:

— გვაცნობეთ ცხოვრების პირობები საქართველოში, ღირს თუ არა ჩამოვფრინდეთ?

— არ ღირს. რაც მავთული მოგვეპოვებოდა, თურქეთში გამოზიდეს. აქ ვერაფერზე ჩამოჯდებით.

***რ. დოლიძე, ჩოხატაური***





ტურისტს ტყეში დათვი შემოხვდა...

— ვინ ხარ შენ? — კითხა დათვმა.

— ტურისტი... — აკანკალდა ტურისტი.

— ნუ იტყუები... ტურისტი მე ვარ, შენ ხარ “ტურისტის საუზმე“

***ვანო მესხი***



ხევსური მივიდა შინ და ცოლს ეუბნება:

— ტანისამოსი გამიმზადე, კიევს მივდივარ.

ცოლმა შეიცხადა:

— რათ მიდიხარ, კაცო?

— მთელი ქვეყანა იძახის, — რადიაცია, რადიაციაო და უნდა ვნახო ის დიაცი.

***თემურ ტბეთელი, ბათუმი***

სასწავლო სროლების დროს ლეიტენანტს მოახსენეს:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ყუმბარები გაგვითავდა!

— ერთიც არ დარჩა?

— არც ერთი.

— შეწყვიტეთ სროლა!

***გიგა გაბრიჩიძე, ქუთაისი***



მთვრალი მამაკაცი ქუჩაში შემხვედრს აჩერებს:

— ოჰ, კარლოს გაუმარჯოს, რავა გამოცვლილხარ ბიჭო!

— უკაცრავად, მე კარლო არ მქვია.

— რავა, სახელიც გამოიცვალე?!

***კობა***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

# ამიტომაც მოხვდათ ქართველებს აფხაზეთში მსუქან უკანალზე...

***„კვირის პალიტრა" გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს „სობესედნიკში" გამოქვეყნებული ინტერვიუდან, რომელიც გაზეთის კორესპონდენტმა ვიქტორ ასტაფიევისგან აიღო. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.***

ვიქტორ ასტაფიევი რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას ახლახან შეუსრულდა 76 წელი. მსოფლიო ომგამოვლილი მწერალი დიდი ხანია, რაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდა კომუნისტ-პატრიოტებს, ულტრადემოკრატიული მიმდინარეობის ლიბერალ ინტელიგენტებს. ვერც ერთ ჯგუფს, ვერც ერთ კომპანიას ვერ შეეგუა...



**— თქვენ მას შემდეგაც იბრძოდით, რაც დაგჭრეს. ბოლომდე იბრძოდით...**

— პირველი ჭრილობა ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი ჭრილობა. ეს მერე მოხდა. მარჯვენა მხარში დამჭრეს მძიმედ. ხელის ხმარება დღესაც მიჭირს... ხომ არ გგონია, 44-ში სანგრებში დარჩა ვინმე, ვისაც რამდენიმე ჭრილობა არ ჰქონდა მიღებული? ვის უნდა ებრძოლა? გასაწვევი აღარავინ დარჩა. მან ხომ, სტალინმა, ყველა გაიწვია, — თხუთმეტი მილიონი რიგითი, ეს ხომ შუა რუსეთის სოფლებია მთლიანად. ისინი აწვდიდნენ ფრონტს რიგითებს! კაცები აღარ დარჩნენ სოფლებში, ბავშვებს ველარავისგან აჩენდნენ ქალები. ომის შემდეგ სულ ვფიქრობდი: მორჩა, სამუდამოდ გადაუჭრეს ერს ძარღვი — და მართლაც, მას შემდეგ ფეხზე ველარ დავდექით, რადგან ეს ომი კი არა, ქაოსი იყო, სისხლიანი ფაფა. გერმანული მანქანა ხომ ჩვენი ხორცით და სისხლით ჩავახშეთ. იცით, რამდენი რუსი დაიღუპა ომში?

**— მგონი 30 მილიონი...**

— რატომ 46 არა? არის ამგვარი ვარაუდიც. ომის შემდეგ 27 მილიონს ასახელებდნენ, შემდეგ 20-მდე შეამცირეს... ეს იყო პირველად ომი მსოფლიოს ისტორიაში, სადაც ჯარისკაცზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა! და მხოლოდ გერმანელები კი არ კლავდნენ, ჩვენები, თავად ჩვენიანები... იცი, რას სჩადიოდა ეს ულვაშიანი ნაძირალა? ფრონტზე გასაგზავნი ეშელონებისთვის მატარებლები არ კმაროდა. მან კი, ამ ბოზმა, ამ დროს 600 ათასი ვოლგისპირელი გერმანელი ყაზახეთში გადაასახლა. თავად, თავად ვკლავდით ერთმანეთს. ხომ არ გგონია, ოსვენციმში გერმანელები ხოცავდნენ ჩვენებს? ისინი მუშაობას აიძულებდნენ, ერთმანეთს კი ჩვენები ხოცავდნენ. მათ ყველა ბარაკში ჰყავდათ თავისი განსაკუთრებული სამეული, რომელსაც განაჩენი გამოჰქონდა — პროპაგანდის, პანიკური განწყობის, არაპატრიოტული გამონათქვამისთვის ჭებში ახრჩობდნენ.

ომის შემდეგაც მძიმე ყოფა იყო, შიმშილი, შიში... ყველას ქანჩი მოგვიჭირეს — ხმა არ უნდა ამოგვეღო. სანგრებში თავისუფლებაზე ვოცნებობდით. ვოცნებობდი, რომ ფილფაკზე ჩავაბარებდი. რატომ? სიტყვა ფილფაკი არც კი ვიცოდი რას ნიშნავდა? ჩემს ცნობიერებაში იგი ფილეს უკავშირდებოდა... ფრონტზე ყველაზე დიდი საშინელება სიკვდილი კი არა, შიმშილი და უძილობა იყო. როგორ არ გვყოფნიდა ძილი! მახსოვს, ერთი ბერძენი იყო, სანგარში ჩაეძინა, ლოყა თოვლზე ჰქონდა მიდებული, თოვლი დნებოდა მისი სახის ქვეშ, ის კი ვერაფერს გრძნობდა... შიმშილისა და გამოუძინებლობისაგან ქანცგაწყვეტილი ვიყავი, არც დაიჯერებ, რამდენჯერმე სიკვდილიც კი ვინატრე.

ყველაზე მეტად ტანკის მეშინოდა. საშინელებაა. ვერაფრით აიღებ. ეს მხოლოდ ფილმებშია, ადვილად რომ აფეთქებენ. ერთადერთი, თუ გადაგივლის და შენზე აფეთქდება. წარმოგიდგენია, მე, არტილერისტს, მეშინოდა ტანკის და მშვიდობიანი მოსახლეობა რა დღეში იქნებოდა. მათ ხომ ტანკებით სრესდნენ! წარმოიდგინე, ვორკუტის აჯანყება. 52 წელი. გსმენია რაიმე ამ აჯანყებაზე?

— ბუნდოვნად.

— მის შესახებ ცოტამ თუ იცის. ვინც მე მიამბო, იმ დროს იქ იყო. ვორკუტის ბანაკებში სრული განუკითხაობა სუფევდა. ქალთა ბანაკში დაცვა ატარებდა დროს — ქალებს ამათრახებდნენ: გაატანს თუ არა სისხლი დაბამბულ ჯუბებში? საერთოდ, სტალინის სიკვდილის წინ წარმოუდგენელ მხეცობას ეწეოდნენ და აი, აჯანყდნენ. სამხედროებმა, ჯარისკაცული გამოცდილებით, დაცვა განაიარაღეს და ყველა გაჟლიტეს. ვინც გაქცევა მოახერხა, ტაიგაში იმალებოდა, ზოგიერთს ტყეში მოუსწრო სტალინის სიკვდილმა. ისინი გზებზე აღარ გამოდიოდნენ: თუ დაიჭერდნენ, დანდობა არ იყო. იცი, როგორ ექცეოდნენ შეპყრობილებს? არავითარ თათარ-მონღოლებს არ დასიზმრებიათ: გაჭენებულ ცხენს აბამდნენ. ამას თავისიანი უკეთებდა თავისიანს! ზოგჯერ ბანაკში მობრუნებულ ცხენს ადამიანის ფეხი მოჰქონდა გამობმული. რამდენჯერ მიფიქრია: ღმერთო, მთელი გულაგი რომ აჯანყებულიყო! ეს იქნებოდა ნამდვილი რევოლუცია! მთელი ქვეყანა ფეხზე დადგებოდა და შემდეგ სულ სხვა ცხოვრება დაიწყებოდა... მაგრამ მათ ტანკებით გადაუარეს. არც კი უსვრიათ — ცოცხალი ხალხი ტანკებით გასრისეს და მორჩა. ყოველთვის ასე იქცეოდნენ ეს ძუკნები: ტანკებით სრესდნენ ცოცხალ ადამიანებს. ახლა კი ზიუგანოვი ამბობს, რომ სტალინის დროს 830 ათასი ადამიანი განადგურდა... ასეც რომ იყოს, ცოტაა? არ ჰყოფნის?!

**— ფიქრობთ, რომ ერს ძარღვი გადაუჭრეს. აღარაფერი გვეშველება?**

— არ ვიცი, ჯერ კიდევ რა გვიჭერს, რითი ვარსებობთ. მაგრამ ვარსებობთ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ მაქვს განცდა, რომ ქვეყანა დაიღუპა, ამას არასოდეს ვეტყვი საკუთარ თავს, რადგან არსებობს ბალანსი — ერმა რომ იარსებოს, ჩემი აზრით, მისი ნახევარი მაინც წესიერი უნდა იყოს. უფრო მეტი — ეს უკვე იდილიაა, ოქროს ხანა — მაგრამ არა ნაკლები. თუმცა მოსკოვში ეს პროპორცია დიდი ხანია დაირღვა. ამიტომაც არ მიყვარს თქვენი ქალაქი, არც ჩამოვდივარ, აუცილებელი თუ არ არის. მოსკოვში საშინელი აპათია მიპყრობს და მესმის, რომ ვერაფერს გახდები, ყველაფერი ამაოა... რაც შეეხება ძლიერ ხელს, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა: თუ საკუთარი თავის შეზღუდვა არ ვისწავლეთ, ამ რუსულ ჯახირს თავს ვერ დავაღწევთ — ხან თავისუფლების განუკითხაობა იქნება, ხან მონობისა. ჩვენ ხომ გაჩერება არ შეგვიძლია, თავად დავერევით ერთმანეთს. შევჩერდეთ, შევჩერდეთ... მე კი ადვილად ვერავინ შემაშინებს, თუმცა ბევრჯერ სცადეს... როცა ქართველებზე მოთხრობა დავწერე, — როგორ გათავხედდა და ქურდად იქცა ერი, — სულ მირეკავდა ვიღაც კეთილისმყოფელი (ჯ,ჰჯ;ტკფნტკმ) Vბ ნტ,ზ პფჰ;ბვ ცვ. პფჰ;ბვ ჯნტწ-ვფნმ პფჰ;ბვ დედმამის მოკვლა დააგვიანეთ-მეთქი, ვუთხარი. დედაჩემი ენისეიში დაიხრჩო, როცა მამასთან ციხეში „პერედაჩა" მიჰქონდა. მამა კი, ხუთი წლის წინ გარდაიცვალა მეთქი. შენ კი, კეთილისმყოფელო, გიცნობ, ვინცა ხარ. დღეს ჭამე?

იგი დაიბნა:

— კი, ვჭამე.

**— რა ჭამე?**

— მწვადი, საცივი...

— კი, — ვეუბნები, — კარგად ჭამე! ამიტომაც დგას ქვეყანაში მძ...ის სუნი!

მაგრამ ისინი მიხვდნენ, თავად მიხვდნენ. ბოდიში მოიხადეს დევნისთვის. განა ოდესმე მძულდა რომელიმე ერი, — ებრაელი, ქართველი? რამდენჯერ შეეცადნენ ანტისემიტად გამოვეყვანე, რამდენს ცრუობდნენ! რამდენს ლაპარაკობდნენ იმის თაობაზე, რომ მე შეურაცხვყავი ქართველი ერი! ქართველებმა შემდეგ თავად დაინახეს თავისი დეგრადაციის, სისუსტის ზღვარი. იქურდეს, გამოძღნენ, — აბა, რას ჰგავდა ეს? ჩგკჯიყჯქ ,კფნყზრ? ამიტომაც მოხვდათ აფხაზეთში მსუქან უკანალზე, თუმცა აფხაზები მათზე ცოტანი არიან... თუმცა, მართალია, იქ შამილ ბასაევმაც იბრძოლა, ჩეჩნების რაზმმა...

**— რა, კარგად იბრძვის შამილ ბასაევი?**

— კარგად, მხიარული კაცია! და თუმცა მესმის, რომ იგი ბანდიტია, მაგრამ არ შემიძლია არ ვაღიარო: ყოჩაღ, მაგრად უნთებს ცეცხლს. ცალი ფეხით... რატომ არ უნდა ვაღიაროთ, თუ მტერი მამაცია... ჩემთვის სხვა რამ არის გაუგებარი. აი, რადიო „თავისუფლებიდან" მეკითხებიან, რას ვფიქრობ ბაბიცკიზე. ვეუბნები, არაფერი ვიცი, ვინ ბაბიცკი, რა ბაბიცკი. მაგრამ ვიცი, ჩვენთან რომ დაეჭირათ ფრონტზე, მოწინააღმდეგის კორესპონდენტი, მაშინვე დახვრეტდნენ. ცხადია, მესმის, რომ ეს ცუდია, მაგრამ ომია, ამის დედაც... ჩვენთან ფრონტზე ჯარისკაცების დედებს რომ ერბინათ, — ეს ომი კი არა, არ ვიცი, რა იქნებოდა.

РТР 09.00 "Папа, мама, я - спортивная семья". 09.55 "Служу Отечеству". 10.20 Устами младенца. 10.55 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ"ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.30 "Городок". 13.00 Русское лото. 13.40 Мультфильм. 14.00 Вести. 14.20 Парламентский час. 15.10 Старая квартира. 16.10 Диалоги о животных. 17.05 "Тайны тысячелетия". 17.50 "Пресс-клуб". 18.50 "Международная панорама". 19.35 Х/Ф "ВАЛЬС ЗОЛОТЫХ ТЕЛЬЦОВ". 21.00 Зеркало. 21.55 Х/Ф "ИНФЕРНО". 23.30 Футбол. Чемп. Европы. 01.45 Х/Ф "АБИССИНИЯ".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15, 21.50 "КАМЕНСКАЯ. СМЕРТЬ РАДИ СМЕРТИ". 10.15 "О, счастливчик". 11.20 "Ключи от форта Байяр". 12.10 "Полундра". 12.40 Фитиль. 13.30 "Служба спасения". 14.00 "Путешествия натуралиста". 14.30 Х/Ф "БАЛАМУТ". 16.05 Мультфильм. 16.20 "Женский взгляд". 17.25 "Большие родители". 18.00 Док. сериал "ХОЛОДНАЯ ВОЙНА". 18.50 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.00, 22.55 Итого. 21.35 Куклы. 23.15 Х/Ф "НЕ ВАЛЯЙ ДУРАКА". 01.10 Х/Ф "СМЯТЕНИЕ ЧУВСТВ".


პოლიგრაფია
წიგნები
ბლანკები
ბროშურები
ბილეთები
ეტიკეტები
პლაკატები
მუყაოს კოლოფები
გაზეთები
და სხვ.
წარმოებას და კონსულტაცია
საუკეთესო ხარისხი
თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში
გამომცემლობა «პოლოლი»
☎ 70-76-45; 877 40-37-83 კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი 20




# თეატრალური აფიშა



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

8 ივნისი
პ. გოცი
**ქალი-გველი**

9 ივნისი
უ. შექსპირი
**მაკბეტი**
დასაწყისი 18სთ



კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი

9 ივნისი
ა. სტრინდბერგი
**მამა**

11 ივნისი
ო. უაილდი
**სალომეა**
დასაწყისი 18სთ



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

5 ივნისი — გასტროლი
ეთერ ჭყონია
მანუელ ბელტრანი (ესპანეთი)
ბარი ანდერსონი (იტალია)
ჯ. ვერდი
**ტრავიატა**
დასაწყის 19სთ



თეატრალური სარდაფი

6 ივნისი
გია მარღანია
**ჩემი შექსპირი**

7 ივნისი
მიხეილ ზადორნოვი
**მომყიდეთ ქმარი**

9 ივნისი
ბერთოლდ ბრეხტი
**სამგროშიანი ოპერა**

10 ივნისი
გოეთე
**ფაუსტი**

11 ივნისი
ნიკოლოზ გოგოლი
**ცხვირი**
დასაწყისი 20სთ

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი

10 ივნისი
ვ. ნაბოკოვის ნოველების მიხედვით
**ემიგრანტები**

11 ივნისი
ალ. სუმბათაშვილი
**ღალატი**
დასაწყისი 19სთ



სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

10 ივნისი
აკა მორჩილაძე
**ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები**

11 ივნისი
ჰაროლდ პინტერი
**ღალატი**
დასაწყისი 18სთ



ალ. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი

9 ივნისი
ჟან-ბატისტ მოლიერი
**ტარტიუფი**

11 ივნისი
პ. ხოტიანოვსკი,
ი. გარუჩავა
**მისტიფიკატორი**
დასაწყისი 19სთ

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი •

## ბინები

1 ოთახიანი ბინა თემქაზე, მე-11 მ/რ-ში, 48-ე საშ. სკოლის პირდაპირ. ტელ: 899 57-07-76

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

4 ოთახიანი ჩეხური პროექტის, სუფთა ბინა მე-4 სართულზე, მე-4 მ/რ-ის დასაწყისში დახურული ლოჯიით, ორი ღია აივნით, რკინის კარით, ტელეფონით. საწყისი ფასი 9.000$. ტელ: 68-72-63

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა



**ნიკა მსხილაძეს!**

გილოცავთ, ჩვენო ცხოვრებაოქროს დაბადების დღეს! 7 ივნისს 7 წლის ხდები. ნიკუშიკო, ჩვენო სიცოცხლევ, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას თავისუფალ საქართველოში.

*ბებია, დედიკო ნანული, ბაბუა ჯემალი*

**ანანო ყიფიანს**

ვულოცავთ დაბადების დღეს – 7 ივნისს. დაესწარი მრავალს შენს მშობლებთან ერთად! გაიზარდე სასახელო ქალი, ულევი სიხარული გქონდეს მუდამ. გკოცნით უამრავს.

*ბებია და ბაბუა*

**გიორგი და ანი კომახიძეებს!**

გილოცავთ დაბადების დღეს – 5 ივნისს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

*გია ბაბუ*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ფოფხაძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ჩაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89; 97-42-77. ნინო ჭელიძე

> დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არა აპარატი ან მალამო. იცოდეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე ქსოვილების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

სილამაზის სალონი „სტილი I". თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა – 6 ლარი; დეკორატიული მელირება, ტონირება – 15-20 ლარი; თმის შეღებვა (WELLA KOLLESTON-2000) – 15-20 ლარი; საბანკეტო ვარცხნილობა – 20-25 ლარი ქიმიური გასწორება 20-25 ლარი, ქიმიური დახვევა – 20-25 ლარი; ქიმიური გასწორება – 20-25 ლარი; ეპილაცია ინდივიდუალური ნემსით, ანესთეზიით (გარანტიით); სახის გაწმენდა – 10 ლარი. მის: რუსთაველის გამზ. №14/ბესიკის ქ. №2. ტელ: 98-78-11

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 15-20 ლარი; ქიმიური დახვევა – 15-20 ლარი; შეღებვა (WELLA) – 12 ლარი; საბანკეტო და საქორწილო ვარცხნილობები – 20 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ პარიკმახერ-დიზაინერი, მოდელიერ-სტილისტი ირა გურჯიანი. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (მილიციის ეზოში). ტელ: 95-08-83 (სამს); 68-28-17 (ბინა). 899 57-46-40 (მიღება ჩაწერით).

გახდომა ახალი პროგრამით, დიეტისა და შიმშილის გარეშე, კომფორტულად, გემრიელად. მოისინჯეთ, არ ინანებთ!. ტელ: 95-31-90; 61-77-74; 899 58-25-44. მარი

> „ლუიზოლი" – საუკუნის ნატურალური სისტემა – მხოლოდ ჩვენთან! 1. ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი – ნებისმიერი საშუალებით (პინცეტი, ბიოეპილაცია, ელექტროეპილაცია, ლაზერი...) თმის ფესვიანად ამოღების შემდეგ. 2. უნივერსალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან და ალერგიულ გამონაყარს, ჭორფლს, ლაქებს, ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტით... ყველაფერი ერთ კრემში. მოგვმართეთ: იოსებიძის 53, კაბინეტი „ლუიზოლი", რუსთაველის გამზირი 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი „ლუიზოლი", კონსულტაცია უფასოა. ტელ: 37-38-13

სილამაზის სალონი „სტილი 2"! თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე, ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (გაღიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, პილინგი, ლაქების მოცილება; თმის შეჭრა-დავარცხნა – 6 ლარი; მელირება – 15 ლარი; შეღებვა WELLA – 15 ლარი; ქიმიური დახვევა – 20-25 ლარი; ქიმიური გასწორება – 20-25 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი და სტილისტ-პარიკმახერი ირინა ჯანაშია. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). სილამაზის სალონი „სტილი-2". ტელ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა)

1. ლაზეროთერაპია: ტონზილიტი, რინიტი, ჰაიმორიტი, ბრონქიტი, პნევმონია, ჰიპერტონული დაავადება, სტენოკარდია, არითმიები, ქოლეცისტიტი, ოსტეოქონდროზი, ნევრალგია, ნევროზი; 2. ელექტროშეპინგი: წონაში დაკლება, ფიგურის კორექცია. მის: №3 სამკურნალო პროფ. ცენტრი. დიღმის მას. VI კვ. (ყოფილი მოზრდილთა პოლიკლინიკა). შესაძლებელია ბინაზე მომსახურებაც. ექიმი თამრიკო ხაჩიაშვილი. ტელ: 69-98-88

> საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მრავალწლიანი გარანტიით ვამზადებთ სხვადასხვა სიმძლავრისა და დიზაინის საუნის ღუმლებს, უნივერსალურ, უჟანგავ წყალგამაცხელებლებს. აგრეთვე ვამონტაჟებთ და ვარემონტებთ ყველანაირ წყალგამაცხელებელს, სხვა ელექტრომოწყობილობებს და გაყვანილობებს. ტელ: 899 56-27-26; 95-09-44

COMPUTER COMPANY „PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი"

ყურადღება, სახლე! გთავაზობთ ახალი ორიგინალური სისტემის სიგნალიზაციას ბინაზე. დაიცავით თქვენი ბინა საუკეთესოდ! ტელ: 63-74-97 ანატოლი; 64-61-64 მალხაზი

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება წინასწარი ჩაწერით, სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: აბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე ამზადებს მალამოებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტის ანთებას და ჩირქოვანს, ჰაიმორიტს (იკურნება 5-8 დღეში) გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). ტელ: 34-05-69. მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13სთ-დან 16სთ-მდე.

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა ოპერაციული ჩარევისა და მასაჟების გარეშე, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

ბრონქული ასთმის, ალერგიული და სასუნთქი გზების, სხვა ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის. რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ენაბლუობის მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრში. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 39-01-12 (სამს. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა.

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეწვის ჩაზრდას, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნაწიბურს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს (ანთებით პროცესში), შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტ: 68-43-10

ელექტროკარდიოგრამის 24 საათიანი უწყვეტი ჩაწერა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეუცვლელად – ჰოლტერის მონიტორი. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №29, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ოთახი №230. ტ: 39-22-74

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები. ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის მკურნალობა უოპერაციოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოს ბოლოში) „ფანასკერტელის" პოლიკლინიკა, კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება 10-18 სთ, კვირის გარდა. ტელ:

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

> სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGEMAKER). ფასი I გაკვეთილი – 4 ლარი. ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) – შესწავლას ინდივიდუალურად, თქვენთვის სასურველ დროს. თქვენს გვერდით მუდამ იქნებიან საუკეთესო პედაგოგები, მასალას დაეუფლებით ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული პროგრამების დახმარებით. ტ: 98-78-26. „DAWIT"-ი – თქვენი ცხოვრების მომავალი!

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26. ფირმა „DAWIT"-ი – ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

## იყიდება

პიანინო „პეტროფი". ტელ: 899 57-07-76

ბალზაკი, 15 ტომი – 50 ლარი (რუსულად); ასი ოპერა რუსულად, 2 წიგნი – 10 ლარი; ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, ჰემინგუეი, მერიმე და ა.შ.), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

მეორადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკა გერმანიიდან. წამყვანი ევროპული ფირმების ტელევიზორები, ავტომატური სარეცხი მანქანები, საშრობები, გაზქურები 250-დან 550 ლარამდე. ფართო არჩევანი, გარანტია 3 თვე. მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №9. მაღაზია „ლიბერტო". ტელ: 899 55-25-36

მეორადი ევროპული ავეჯი ჰოლანდიიდან: სამეულები, კარადები, საწოლები, მაგიდები, კარადები, ჭალები და ასევე მაცივრები. მის: თბილისი, ვანის ქ. №3 (თელასის გვერდით). ტელ: 34-75-15

> რეგისტრირებული 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის. კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13; „ანსალიტი" თქვენი ბავშვებისათვის არატოქსიური, უსაფრთხო, ნატურალური არჩევანია!

გთავაზობთ ამერიკის სამედიცინო ფირმის მცენარეულ პრეპარატებს ღრძილებისა და პირის ღრუს ყოველგვარი დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის (პაროდონტიტი, სოკოსტრეპტოკოკი და სტაფილოკოკი). ტ: 34-33-55. ეთერი

> ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნერვიულობით სავსე და დაძაბულია; „ნევროსტიმით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება; დამამშვიდებელი, მცენარეული წვეთები „ნევროსტიმი" მკურნალობს ნევროზს, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, არეგულირებს წნევას, აწესრიგებს ძილს. მის. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ) კაბინეტი №26. ტელ: 37-38-13 (მოიკითხეთ აფთიაქებშიც).

გთავაზობთ დასასვენებელი კომპლექსის – „თეთრი იალქანი" 14 დღიან საგზურებს შეღავათიან ფასად. სანატორიუმი მდებარეობს ურეკთან, დაბა შეკვეთილში. სანაპიროზე სამკურნალო მაგნიტური ქვიშაა. საგზურის ღირებულებაში შედის 3-ჯერადი სრულფასოვანი კვება. ტელ: 93-28-09; 77-86-55

## შევიძენ

შევისყიდით მსხვილი ძაფით წინდის საქსოვ შემდეგი ტიპის მანქანებს: Деры (ჩეხეთის წარმოება); Ан-6кл-7кл; ГАММА-5кл; Иголки на 6-7кл, игловоды на АН и на 5кл; иголки на ОЗДС большие, средные, малые, платины. ტელ: 899 57-86-35; ტელ/ფაქსი: 38-18-71. თემო

## ნეკროლოგი



მეუღლე ლალი ლარიონი, შვილები: სოსო, ზაზა; რძლები: ქეთი ლაგვილავა, თამუნა გაგუა; შვილიშვილები: გიორგი, სალომე, ნუცა; დისშვილები: ეკა, მარი გუნთაიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დილი იოსების-ძე დოლიძე**

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 5 საათზე
*გამოსვენება:* სამშაბათს, 3 საათზე
*მისამართი:* ფალიაშვილის ქ. №72

გარდაიცვალა დილი დოლიძე, ღირსეული მოქალაქე, ღრმა ინტელიგენტი და ყველა იმ ღირსებით გამორჩეული, ოდითგან საამაყოდ რომ მიუჩნევიათ ჩვენს წინაპრებს. ასეთი პიროვნებები თავიანთი ცხოვრების წესით გვიტოვებენ იმედს, რომ ქართველებში კვლავაც ცოცხლობენ კაცური კაცები.

სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, ბატონო დილი.

**„კვირის პალიტრის" რედაქცია.**

## ხსოვნა

**ნიკოლოზ გუნიას გახსენება**



ჩვენო საყვარელო მამა! ერთი წელია, რაც ჩვენგან წახვედი. დამთავრდა ჩვენი ერთად ყოფნის უბედნიერესი ხანა. უსაშველო სევდა და გაუსაძლისი ტკივილი დაგვეუფლა. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი.

შენს ოჯახს დააკლდი ჭეშმარიტად სპეტაკი და კეთილშობილი, სიკეთით სავსე, ალალი და უღალატო მამა. ჩვენი სული და გული იყავი.

გეფერებით, გვიყვარხარ, გვენატრები. ნათელი არ მოკლებოდეს შენს წმინდა სულს.

*შენი ოჯახი*

**ნანა ბერიას გახსენება**



შენ ხომ მეთვრამეტე გაზაფხული უნდა გეზეიმა. აღარ დაგცალდა... წახვედი ცაში შენი გადამდები კისკისით და თან წაიღე დედის გული, პირველი სიყვარული, მრავალი აუხდენელი ოცნება.

ჩვენ მოვალთ შენს საფლავთან, მუხლს მოვიყრით.

*ზურა ხიტალიშვილი*

**მერაბ ალექსანდრეს ძე შატბერაშვილის გახსენება**



ჩემო საყვარელო მამიკო. ჩემო დაუვიწყარო. რა უცებ გავიდა ერთი წელი. 10 ივნისი – რა საშინელი თარიღია. თითქოს გუშინ გაგაცილეთ სამსახურში. ისევ შენ გზას გავყურებთ. საღამოს ისევ გელოდებით. ფიქრებით ჩვენ სულ შენთან ვართ. როგორ გვემწარება. როგორ გვენატრები. ცრემლებით ვიხრჩობით. „ჩვენები გადაირევიან" – შენი ბოლო სიტყვებია. ვიტანჯებით სიკვდილის დროს შენს გვერდზე რომ არ ვიყავით. წამალიც ვერ მოგაწოდეთ, ისე უცებ და მოულოდნელად წახვედი. შენს მეგობრებთან ვაჟკაცურად დალიე სული. ძალიან დაგაფასეს. მეგობრობას გასცდა მათი სიყვარული და ყურადღება.

გვჯერება, რომ შენ ჩვენ მონატრებას გრძნობ. ჩვენო ერთადერთო, უსაზღვროდ მოყვარულო, ერთგულო და უღალატო, სამაგალითო მამავ და მეუღლევ. უზომოდ გვენატრები. ძალიან გვიჭირს უშენობა. რატომ დავიჩაგრეთ ასე. ჩემო მართალო, სპეტაკო მამიკო. დრო წუხილის მკურნალი არ ყოფილა. სიკვდილის ბოლომდე ცოცხლად გვემახსოვრები. შენი უზადო, წმინდა ცხოვრებისეული მაგალითით ვიცხოვრებთ მეც და დედაც. იმედით ვცოცხლობთ. ოღესღაც ისევ ერთად ვიქნებით. ისევ გვექნება პატარა, მყუდრო, სამაგალითო ოჯახი იმქვეყნად. ლამაზი სულის ადამიანო, ნათელი ეფინოს შენს მარადიულ იმქვეყნიურ ყოფას.

*შენით დამწუხრებული შენი სათაყვანებელი ოჯახი*


**უფასო განცხადებების გაზეთი**

**სიტყვა და საქმე**

**36 გვერდზე**

33-10-03 33-10-05



ყოველ ნომერში: 5000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

# ვისი ჯიბის გზას გაუდგება გზების რეაბილიტაციისათვის აღებული 16 მილიონიანი კრედიტი...



Სულ მალე საქართველოს 2 მილიარდიან ვალს 16 მილიონიც შეემატება. კრედიტი, რომელიც არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდმა გამოყო, საქართველოს გზების რეაბილიტაციას მოხმარდება. პასუხისმგებლობა ამ პროგრამის განხორციელებაზე საგზაო დეპარტამენტს დაეკისრება; ხოლო, რაც შეეხება თვითონ კრედიტს და მის პირობებს, იგი ე.წ. გრძელვადიანი (20 წლიანი) სესხია. შეღავათიანი პერიოდი პირველი ოთხი წლის მანძილზე გრძელდება, ხოლო დანარჩენი 16 წლის განმავლობაში ქართულმა მხარემ სესხის დასაფარავად ყოველწლიურად თითო მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს, პლუს 3 პროცენტი სარგებელი წელიწადში.

გზების რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო გზების დაახლოებით 100 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას, განახლებას, გაუმჯობესებას და ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, აგრეთვე მათ აყვანას მე-2 კატეგორიის ასფალტით დაფარული გზების სტანდარტებამდე, 7-12 მეტრის სიგანით და 1,5-3 მეტრის სიგანის ნაპირით, ხიდების სადრენაჟო სტრუქტურების, სიგნალიზაციის და საგზაო მოწყობილობების მიწოდების ჩათვლით. პროექტი ასევე შეიცავს საკონსულტაციო მომსახურებას კონსტრუქციების დამუშავებისა და ზედამხედველობისათვის.

თავისთავად გზების შეკეთების იდეა (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ცენტრალური ტრასებიც კი არასახარბიელო მდგომარეობაშია), ძალიან მომხიბლავი ჩანს, მაგრამ სასესხო ხელშეკრულების პირობებში ბევრი ისეთი დეტალია, რომელიც ყურადღებით გადასინჯვას მოითხოვს. ამ დეტალებმა კი, ბევრ სხვა „სიკეთესთან" ერთად, შესაძლოა ერთი არცთუ სასიამოვნო შედეგიც მოგვიტანოს. მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ლამისაა საბოლოოდ დაიბანოს ხელი საქართველოზე, ეს ახალი კრედიტი მისთვის შეიძლება მოთმინების ფიალის ამავსებელ ბოლო წვეთად იქცეს. ჩვენი ხელისუფლება, ერთი მხრივ, გულის ფანცქალით ელოდება სავალუტო ფონდის მისიას, რომელიც მაისში უნდა ჩამოსულიყო თბილისში და საეჭვოდ იგვიანებს, მეორე მხრივ, იგი ისეთ სიურპრიზს უმზადებს ფონდის ექსპერტებს, რაც მათ, რბილად რომ ვთქვათ, არ მოეწონებათ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახალი კრედიტის პირობები არც ისე შეღავათიანია, როგორც თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი კრედიტების პირობები. არადა, სავალუტო ფონდმა ჩვენი ხელისუფლება რამდენიმე თვის წინ კატეგორიულად გააფრთხილა, არამც და არამც არ აეღო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტებზე ნაკლებად შეღავათიანი სესხი.

მართალია, ქუვეითის სესხს კომერციულს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ მისი პირობები ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს სავალუტო ფონდის მიერ მოცემულ რეკომენდაციებს.

წესით, ამ სასესხო ხელშეკრულებით უკმაყოფილო მხოლოდ სავალუტო ფონდი არ უნდა იყოს. როგორც აღვნიშნეთ, კრედიტის პირობებში ბევრი საკითხია გასარკვევი. თუნდაც ის, რომ პროექტის განმავლობაში ორი ქუვეითელი კონსულტანტი, ანაზღაურების სახით, ერთ მილიონ დოლარს მიიღებს, არცთუ სასიამოვნო ფაქტია. „შეიძლება ქუვეითელები მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები არიან, მაგრამ ერთი მილიონის გადახდა მათ ხელფასში მეტისმეტად მეჩვენება", — ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც. ქართული მხარე ამ სესხს სამთავრობო გარანტიით იღებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თანხა ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაფაროს ბიუჯეტიდან. ფინანსთა სამინისტრო კი, რომელსაც წლების მანძილზე საპენსიო და სახელფასო დავალიანება ვერ გადაუხდია, ძნელად თუ გაიღებს ბიუჯეტიდან ამ ახალ დამატებით ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში ის, ბუნებრივია, ეროვნულ ბანკს მიადგება კარზე.

„ფინანსთა სამინისტროს დღემდე ეროვნული ბანკისა 600 მილიონი მართებს. მას ამ დავალიანების გადახდა არ შეუძლია და ამ 16 მილიონს გადაიხდის? ეს ხომ მარტივი თამაში და თვალებში ნაცრის შეყრაა. ამდენ პარლამენტარს, არაჩვეულებრივი მეხსიერების მქონეთ, განა დაავიწყდათ ყოველივე?" — კითხულობს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი ნოდარ ჯავახიშვილი და განაგრძობს — „საერთოდ ჩემი პოზიცია და, ალბათ, უმცირესობაშიც მექნება კონსულტაციები ამ საკითხზე, უცხოურ კრედიტებთან მიმართებაში შემდეგნაირია: ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სისტემა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სახის შეღავათიან თუ მძიმე პირობებში აღებულ სესხს გარკვეული ადამიანების ჯიბეს ვახმართ და არა ქვეყანას. ნებისმიერი სამთავრობო ვალდებულების აღების წინააღმდეგნი ვართ, მანამ, სანამ არ გავარკვევთ, ვინ და სად წაიღო აქამდე აღებული კრედიტები და სანამ ერთი პრეცედენტი მაინც არ შეიქმნება გამფლანგავთა დასჯისა.

მინიმუმ 50 სესხი მაინც გვექნება აღებული, კლანების და პიროვნებების ინტერესებს რომ შეეწირა. ამიტომ არა ვართ მომხრე, კიდევ ახალი ვალდებულებებით დავამძიმოთ ქვეყანა".

მართლაც, ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ის გახლავთ, რომ ქვეყანა, რომლის საგარეო ვალი მის ოთხი წლის ბიუჯეტს უტოლდება, ახალი სესხის აღებას აპირებს, არცთუ შეღავათიანი პირობებით. თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში კორუფცია უკვე წესია და არა გამონაკლისი, ხოლო კრედიტების აღებასა და შეჭმაში მას მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს, დიდი გამჭრიახობა აღარ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ გზების რეაბილიტაციისათვის ნასესხები ფულის მნიშვნელოვანი წილი სხვა გზას გაუდგება.

ერთი თვის წინ პარლამენტმა მიწის კადასტრისათვის აღებული გერმანული კრედიტის რატიფიცირება მოახდინა, რასაც მაშინ დიდი წინააღმდეგობა და პარლამენტართა დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. კულუარებში იმასაც ამბობდნენ, ამ ხელშეკრულების მხარდაჭერა იმიტომ დაჩქარდა, რომ მაშინ საქართველოში გერმანიის კანცლერის შროდერის ვიზიტი იყო დაგეგმილი, ხოლო რაც შეეხება ქუვეითის კრედიტს, მართალია მისი რატიფიცირება გადაიდო, მაგრამ დღეს ის ხალხი, ვინც გერმანიიდან სესხის აღებას ბიუჯეტის დაქცევად მიიჩნევდა, რატომღაც არც „ჰოს" ამბობს და არც „არას".

როგორც მოსალოდნელია, არაბულ კრედიტზე პარლამენტარები საბოლოოდ უარს ნამდვილად არ იტყვიან, ხოლო მისი მიღება კი, ალბათ, შედეგად იმას მოიტანს, რომ თბილისის რომელიმე უბანში საირმის ქუჩაზე მშენებარე ფეშენებელური სახლების მსგავს სასახლეებს ვიხილავთ.

***ნათია გოგსაძე***

## ფულის ისტორიიდან

მოგზაურობისას ფულის შენახვის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია სამგზავრო ჩეკის ყიდვა. ეს ჩეკები ორჯერ გაჩნდა — პირველად ტამპლიერთა ორდენის რაინდების, მეორედ კი ბაპტისტ თომას კუკის წყალობით.

1099 წელს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, აღებულ იქნა იერუსალიმი. მალე 9 ფრანგმა რაინდმა, ჰუგო დე პეინოს მეთაურობით, დაპყრობილ ტერიტორიაზე დააარსა ორდენის შტაბბინა იმ ადგილას, სადაც გადმოცემის თანახმად, მეფე სოლომონის ტაძარი უნდა ყოფილიყო. აქედან მიიღო ამ ორდენმა ტამპლიერთა (ლათინურად ტაძარს ნიშნავს) სახელწოდება.

1128 წელს ტრუას საეკლესიო საბჭომ დაამტკიცა ორდენის წესდება. ის 72 წესს შეიცავდა. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ორდენის წევრს მთელი თავისი ქონება ტამპლიერებისათვის უნდა გადაეცა. საკვირველი არ არის, რომ უკვე 1140 წელს ტამპლიერთა ორდენმა თითქმის ევროპის ყველა ქვეყანაში შეიძინა მიწები, მათ უკვე ჰქონდათ საკუთარი ვერფები, პორტები, ფლოტი. ორდენი შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკად იქცა. ტამპლიერები კრედიტს აძლევდნენ ევროპის ყველა მონარქს, ჭრიდნენ საკუთარ ფულს, აფინანსებდნენ ტაძრების მშენებლობას. ევროპაში მათ 10 ათასამდე რეზიდენცია-შტაბბინა ჰქონდათ. ორდენი მთლიანად აკონტროლებდა პორტუგალიისა და ესპანეთის ეკონომიკას. საფრანგეთი მათ სრულ გამგებლობაში იყო: მეფის ხაზინადარი ორდენის წევრი გახლდათ. სახელმწიფო ხაზინა კი ტამპლიერთა პარიზის შტაბბინაში ინახებოდა.



თანამედროვენი ამბობდნენ, ტამპლიერებმა ფილოსოფიური ქვა აღმოაჩინეს, ძველ არაბულ მაგიას დაეუფლნენ, მეფე სოლომონის საბადოები იპოვესო, მაგრამ ყველაფერი გაცილებით მარტივად იყო. მსხვილი შემოწირულობების გარდა, შემოსავლის წყარო, როგორც ეს მითითებულია ორდენის წესდებაში, იყო გზებზე „მომლოცველთა უსაფრთხოებასა და დაცვაზე ზრუნვა". იმისათვის, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიმავალი რაინდი ან ვაჭარი, რომელსაც ხმელთაშუა ზღვა უნდა გადაეკვეთა, ან წმინდა ადგილებში სალოცავად წასული მორწმუნენი გზაში არავის გაეძარცვა, ისინი ტამპლიერებს გირაოდ უტოვებდნენ თავიანთ მიწებს, საქონელს, ოქროს და სანაცვლოდ, განსაკუთრებულ მანუსკრიპტს ღებულობდნენ (ეს ჯვრის ბეჭდიანი ქაღალდი სამგზავრო ჩეკის ისტორიაში პირველია). მასზე აღბეჭდილი იყო თანხა, რომელიც ქაღალდის მფლობელს შეეძლო მიეღო ტამპლიერთა ორდენის ნებისმიერ რეზიდენციაში. ამ რეზიდენციების ქსელით იყო დაფარული ევროპა და ახლო აღმოსავლეთი. ვიდრე რაინდი ურწმუნოებს ეომებოდა, ვაჭარი საქონელს ეძებდა და ყიდდა, მომლოცველები კი ლოცვად იდგნენ. ორდენისთვის მიბარებული თანხები იზრდებოდა მეფეების, ვაჭრებისა და ოქრომჭედლებისათვის მიცემული კრედიტით. პროცენტებს, რა თქმა უნდა, ტამპლიერები იღებდნენ.

1291 წელს, ახლო აღმოსავლეთში მუსულმანთა აღზევების ხანაში, ტამპლიერებმა იერუსალიმი დატოვეს და თავიანთი რეზიდენცია კვიპროსზე გადაიტანეს, ძირითადი ბიზნესი კი — საფრანგეთში. მანამდე ცოტა ხნით ადრე, 1285 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის ტახტზე ავიდა ფილიპე V. ერთხელ მდაბიურ ტანსაცმელში გადაცმული მეფე პარიზის ქუჩებში სახეტიალოდ გაემართა, სურდა, მოესმინა, რას ლაპარაკობდა მისი მმართველობით უკმაყოფილო ხალხი. ფილიპე იცნეს, ბრბოს მძვინვარებას გადაარჩინეს ტამპლიერებმა, რომლებმაც თავიანთ რეზიდენციაში შეიფარეს მეფე. ფილიპეს იქაურობა ძალიან მოეწონა, დარწმუნდა, რომ ორდენის ზღაპრულ სიმდიდრეზე ლაპარაკი მონაჭორი არ იყო და მოისურვა მისი წევრობა. მაგისტრმა ჟაკ დე მოლემ უარი უთხრა მეფეს, რადგან სავსებით სამართლიანად იფიქრა, რომ ფილიპეს ან ორდენის თავკაცობა სურდა, ან თავისი პრობლემების გადაჭრა ტამპლიერთა ქონების გამოყენებით (მას ისედაც ბევრი ემართა და გადაკრულად მიანიშნა, რომ არათუ პროცენტების, არამედ ვალის დაბრუნებასაც არ ფიქრობდა). მეფემ მაინც იპოვა ტამპლიერთა ქონების მისაკუთრების გზა. 1307 წლის ივლისში რომის პაპმა კლიმენტ V-მ, რომელიც კათოლიკეთა მეთაური ფილიპეს მცდელობით გახდა, ჟაკ დე მოლე ჯადოქრობაში დაადანაშაულა და ინკვიზიციის სასამართლოს გადასცა, ოქტომბერში კი მეფის გვარდიამ ტამპლიერთა პარიზული ორგანიზაცია აიღო. ორდენი დაიშლა და სამგზავრო ჩეკებმაც არსებობა შეწყვეტა.

მეორედ სამგზავრო ჩეკები XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა, მოგზაურობის ბიუროს დაამარსებლის თომას კუკის მცდელობით.

***დენგი №8***

## კითხვა-პასუხი



***ჩუღურეთის რაიონში მაქვს 50კვ.მ მიწის ნაკვეთი (მესაკუთრის უფლებით, საკადასტრო რუკით). მსურს ამ ტერიტორიაზე ავაშენო ერთსართულიანი სახლი სარდაფით. მაინტერესებს, მშენებლობის ნებართვისთვის ვის მივმართო, რა პროცედურაა გასავლელი, რა თანხა ჯდება და დროის რა მონაკვეთში არიან ვალდებულნი ჩემი განცხადება დააკმაყოფილონ?***

***მკითხველი***

საკუთარ ნაკვეთში სახლის ასაშენებლად უნდა მიმართოთ ქალაქის მთავარ არქიტექტორს, რათა მიიღოთ საამშენებლო პასპორტი, რაც გარკვეული თანხა ჯდება. შემდეგ მომზადდება პროექტი და მუშა-ნახაზები, რომლებიც შეთანხმდება და ექსპერტიზას გაივლის მთავარ არქიტექტორთან. მთავარი არქიტექტორის ნებართვით კი, საამშენებლო ზედამხედველობის ინსპექციაში დაიდება ხელშეკრულება მშენებელსა და პიროვნებას შორის. სახლის აშენების შემდეგ ხსენებული ინსპექციის მიერ შემოწმდება უკვე აშენებული სახლი. მოცემულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის ღირებულება დამოკიდებულია შენობის ფართობზე. რაც შეეხება განცხადებას, მისი დაკმაყოფილების ხანგრძლივობა როგორც მინიმუმი ერთი თვეა, პროექტის დამტკიცებისა და საამშენებლო ნებართვის ვადაც თითო-თითო თვეს მოიცავს.

***ვალერი რცხილაძე, თბილქალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი***

***მინდა გავყიდო აგარაკზე აშენებული ორსართულიანი დაუმთავრებელი სახლი, გაშენებული ხეხილის ბაღით. ვინ უნდა შემიფასოს?***

***თბილისელი მკითხველი***

რაკი სახლი კერძოა და თქვენი პირადი საკუთრებაა, შეფასებაც მოხდება თქვენი შეხედულებისამებრ, საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. მყიდველს კი, დაეჭვების შემთხვევაში, შეუძლია დაიქირაოს აუდიტი, რომელიც თქვენი აგარაკის ზუსტ ღირებულებას განუსაზღვრავს.

***ადვოკატთა კოლეგია***

***მიწის ნაკვეთის გაფორმებისას უნდა გადავიხადოთ თუ არა გარკვეული თანხა და რა შემთხვევაში ხდება მიწის ხელახალი რეგისტრაცია?***

***მოქალაქე***

1999 წლის 16 მაისამდე სახელმწიფოს მიერ მიწის რეფორმის გატარების შემდეგ გადაცემული მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია ფასიანი გახლდათ, ამჟამად კი იგი უფასოა. მიწის ხელახალი (მეორადი) რეგისტრაცია ხდება მისი განკარგვის შემთხვევაში, რაც გულისხმობს პირველად რეგისტრირებული მიწის გაყიდვას, გაჩუქებას, მემკვიდრეობით გადაცემას. ამ პროცედურის მოსაკრებლის ღირებულება შეადგენს 26 ლარს, რაც შეღავათს არ გულისხმობს.

***ანზორ მესხიშვილი, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმის, მიწათმოწყობისა და საადგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი***

***გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ წლებში იყო დაწესებული შეღავათი შუქის გადასახადზე ფსიქიკურად დაავადებულ პირთათვის?***

***მკითხველი***

ელექტროენერგიის გადასახადზე ფსიქიკურად დაავადებულ პირთათვის შეღავათი არასდროს ყოფილა დაწესებული. ეს კანონი დღესაც ძალაშია. ადრე კი ელენერგიის საფასურზე 50%-იანი შეღავათი ვრცელდებოდა ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პერსონალზე.

***ეი-ი-ეს თელასის იურიდიული განყოფილება***

***მსურს მოდელად მუშაობა. მაინტერესებს, საქართველოში შესაძლებელია თუ არა ვაჟების მიერ მოდელის პროფესიის დაუფლება და ვის მივმართო?***

***ა. თბილისი***

საქართველოში უკვე შესაძლებელია ვაჟთა სამოდელო კარიერის განხორციელება. ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 100-მდე ვაჟი მისდევს მოდელის პროფესიას, მათ შორის, ლიკა ყაზბეგის სამოდელო სტუდიაში 20-მდე ყმაწვილია. საქართველოში მოდელის კარიერაზე მეოცნებე ვაჟების რიცხვი იმდენად მწირია, რომ მათი შერჩევა ქალი მოდელებისგან განსხვავებით, მკაცრი კრიტერიუმით არ ხდება. ამ პროფესიის დასაუფლებლად შეგიძლიათ მიმართოთ სხვადასხვა სამოდელო სტუდიას.

***ლიკა ყაზბეგი, სამოდელო სტუდიის ხელმძღვანელი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
3 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,970 |
| **გერმანული მარკა** | 0,937 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 3,043 |
| **ევრო** | 1,833 |
| **რუსული რუბლი** | 0,069 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,032 |

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე
გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
☞ბოტკინით დაავადებულებს;
☞ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
☞პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
☞ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
☞ფრჩხილების ჩაზრუნება; ფეხების ოფლიანობა;
☞თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
☞ტროფიკული წყლული, წითელი ქარი
ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები
მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი".
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სახ.); 899-51-76-08

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
დადგენილი ვადებში და შტამპების დამზადება
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

# დიდი კავკასიის ერთადერთი შანსი

დღეს ევროპის კონტინენტის დიპლომატიური კორპუსი აქტიურად შეუდგა უშიშროებისა და სტაბილურობის ზოგადკავკასიური სისტემის შექმნის იდეის განხორციელებას. ბოლო დრომდე არსებობდა ზოგადკავკასიური უშიშროების მხოლოდ ორი კონკრეტული ფორმულა, რომელიც სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა და ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ძასოხოვმა წარმოადგინეს. ქოჩარიანის აზრით, ეს სისტემა „3+3+2“ ფორმულის თანახმად უნდა შეიქმნას. პირველ სამეულში იგულისხმება — სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. მეორეში — რუსეთი, ირანი და თურქეთი. უკანასკნელ ორში იგულისხმება აშშ და ევროკავშირი. ძასოხოვის აზრით, ზოგადკავკასიური უშიშროების სისტემა უნდა აიგოს „4+2“ პრინციპით. პირველ ოთხეულს უნდა შეადგენდეს ოთხი ძირითადი კავკასიური სახელმწიფო — რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ორეულში შევა თურქეთი და ირანი, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ამ რეგიონს. ახლახან გაჩნდა ზოგადკავკასიური სისტემის ფორმულის ახალი ვარიანტი: იგი წარადგინა ავტორიტეტულმა და გავლენიანმა ევროპის პოლიტიკურმა კვლევითმა ცენტრმა, მისი ფორმულაა „3+2+3“. ევროპელი ექსპერტების ვერსიით, სისტემის ბირთვია სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. მეორე ეშელონს მხოლოდ თურქეთი და ირანი წარმოადგენს, მესამეს კი რუსეთი, ევროკავშირი და აშშ. ევროპელების კონცეფცია უფრო ფართო ხასიათს ატარებს და სამხრეთკავკასიური გაერთიანების ფორმირებას ანუ რეგიონში არსებული კონფლიქტის უნივერსალური მექანიზმით დარეგულირებას ითვალისწინებს. ამ უკანასკნელს ძირითადი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ნათელია, რომ ყარაბაღისა და აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ყოველგვარი სერიოზული ზოგადრეგიონული პროექტის რეალიზება. ცენტრის კონცეფციის თანახმად, რეგიონის კონფლიქტები კონსტიტუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და იგი მრავალვექტორულ მმართველობაზე უნდა იყოს დამყარებული. სწორედ ამ კონცეფციის ჩარჩოში გვთავაზობენ ევროპის ექსპერტები უნივერსალურ მექანიზმებს მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტთა მოსაწესრიგებლად. ეს იდეა ითვალისწინებს აღიარებულ და აუღიარებელ რესპუბლიკებს შორის ჰორიზონტალური და ასიმეტრიული ურთიერთობების დამყარებას (ერთ შემთხვევაში — აზერბაიჯანსა და მთიან ყარაბაღს შორის, მეორე შემთხვევაში — საქართველოსა და აფხაზეთს შორის). ყარაბაღსა და აფხაზეთს უნდა დარჩეს „ექსკლუზიური სრულუფლებიანობა“ — სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა მიმართულებით, გარდა უშიშროების, საგარეო საქმეთა და ეკონომიკური პოლიტიკისა. ეს სფეროები მხარეთა საერთო კომპეტენციაში იმყოფება და მისი მართვა ხდება იგივე „ერთობლივი სუვერენიტეტის“ პრინციპით. სიტუაციის მოწესრიგება უნდა ემყარებოდეს მშვიდობის შენარჩუნების, მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის, კომუნიკაციებზე ბლოკადის მოხსნის, ჯარის გაყვანის, ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის გარანტიებს. ევროპის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი სამხრეთ კავკასიის პოტენციურად საშიშ პრობლემებსაც ითვალისწინებს, კერძოდ, აჭარისა და ჯავახეთის საკითხს საქართველოში და ლეკებისას — აზერბაიჯანში. ევროპელი ექსპერტები საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემის ფედერალიზაციას უჭერენ მხარს, კერძოდ, კულტურულ და სოციალურ სფეროში.

კონფლიქტების მოწესრიგების შემდეგ, ცენტრის კონცეფციის თანახმად, სამხრეთ კავკასიური გაერთიანების ფორმირება დაიწყება. იგი იქნება ევროკავშირის მოდელის მსგავსი და ექნება მაღალორგანიზებული ინსტიტუციური სტრუქტურა. სისტემატურად უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოთა მეთაურების, საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების და სხვა უწყებათა მუდმივი საბჭოები. უნდა შეიქმნას სამხრეთ კავკასიის გაერთიანების საპარლამენტო ასამბლეა, რომელთა დეპუტატებიც აირჩევიან უშუალოდ რეგიონული და არა რესპუბლიკური სიების მიხედვით. ინტეგრაციული პროცესების გასაღრმავებლად უნდა შეიქმნას სამხრეთ კავკასიის გაერთიანების არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქალაქო ასამბლეა, პროფკავშირთა საბჭო და ა.შ. აგრეთვე გათვალისწინებულია თავისუფალი ვაჭრობა სამხრეთ კავკასიის ზონაში. გაერთიანების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს მაქსიმალური სიფრთხილის დაცვა. შემდეგი ეტაპი იქნება საერთო რეგიონული ინტეგრაციის გაძლიერება (სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისა და რუსეთის ჩრდილო კავკასიის ურთიერთობათა გაფართოება), რომლის რეალიზაციაც უნდა ხდებოდეს უშუალოდ რუსეთის მონაწილეობით. ცენტრის აზრით, უშიშროების პროგრამის რეალიზაციის ბაზისი უნდა იყოს ეუთო და მოლაპარაკებები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების თაობაზე. რეგიონის ზოგიერთი ტერიტორია დემილიტარიზებული უნდა იყოს.

მოკლედ, მივიღებთ: რუსეთთან, ევროკავშირსა და აშშ-სთან „სამხრეთულ ურთიერთქმედებას“ (მსგავსად რფ-სა და ევროსაბჭოს „ჩრდილოური“ ურთიერთქმედებისა). ამ ფორმატმა ევროპელი ექსპერტების თანახმად, უნდა შეითავსოს შავი და კასპიის ზღვების აუზთა რეგიონები და უნდა დაეყრდნოს აშშ — ევროსაბჭო — რუსეთი — კავკასია — თურქეთის ჰიპოთეტურ ვექტორს.

ამ გლობალური გეგმის სარეალიზაციოდ უპირველესად აუცილებელია წარმატების მიღწევა კავკასიის მიმართულებით. ეს არის დიდი კავკასიის ერთადერთი შანსი, განთავისუფლდეს XX საუკუნის პარადიგმებისაგან და ერთბაშად გადახტეს XX ს-ში.

თუმცა, შესაძლოა, სიგრძით ასწლიანი ნახტომი მეტისმეტად მტკივნეული და სახიფათო აღმოჩნდეს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №97***

# მთიანი ყარაბაღის პრობლემები



ამჟამად აუღიარებელი მთიანი ყარაბაღი აკონტროლებს არა მარტო მთიან ყარაბაღს, საბჭოთა პერიოდის ავტონომიური ოლქის საზღვრებში, არამედ მიმდებარე აზერბაიჯანის რაიონებს. ამდენად, აუღიარებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა აკონტროლებს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მნიშვნელოვან ნაწილს. ამგვარი სიტუაცია, საბოლოო ჯამში, მიუღებელია კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარისათვის.

ყარაბაღის სომხური მოსახლეობა მიზნად ისახავს სომხეთთან შეერთებას (დე-იურე თუ არა, დე-ფაქტო მაინც). ამ პოზიციას, რა თქმა უნდა, სომხეთის მოსახლეობაც იზიარებს. თავის მხრივ, აზერბაიჯანი იღვწის იმ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღსადგენად, რომელსაც ყარაბაღელი სომხები აკონტროლებენ. ამასთან, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მზად არის მთიან ყარაბაღს ფართო ავტონომია მიანიჭოს აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ეს არის ერთი მხრივ, კონფლიქტი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და, მეორე მხრივ, ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარების პრინციპებს შორის. ცხადია, შეუძლებელია მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა ამ პრინციპებიდან მხოლოდ რომელიმე ერთზე დაყრდნობით. მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების გათვალისწინებით მიღებულ გადაწყვეტილებას მეორე მხარე არასდროს დაეთანხმება. აქედან გამომდინარე, ყარაბაღის პრობლემა როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის ინტერესების კომპრომისული გათვალისწინებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი. კომპრომისის ძიებამ მინსკის ჯგუფი „საერთო სახელმწიფოს“ შექმნის ფორმულამდე მიიყვანა. ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატის თქმით, ეს ფორმულა ითვალისწინებს იმას, რომ მთიანი ყარაბაღი ნომინალურად უნდა დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში, მაგრამ შეინარჩუნოს ფიზიკური დამოუკიდებლობა და ფართო კავშირი სომხეთთან. მთიანი ყარაბაღის მიღმა მდებარე აზერბაიჯანის ტერიტორია მთლიანად აზერბაიჯანს უნდა დაუბრუნდეს.

სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს პრინციპული წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ „საერთო სახელმწიფოს“ ფორმულის მიმართ. მაგრამ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ უარი თქვა მასზე იმ მოსაზრებით, რომ ფორმულის რეალიზება იქნებოდა აზერბაიჯანის ფაქტობრივი უარი მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის სუვერენიტეტზე.

მართლაც, „საერთო სახელმწიფოს“ ფორმულის ძირითადი ნაკლია იმის მცდელობა, რომ მთიან ყარაბაღს მიენიჭოს სტატუსი სახელმწიფო წარმონაქმნის, რომელიც იურიდიულად (და არა ფაქტობრივად) არ იქნება დამოკიდებული სომხეთზე და ფაქტობრივად (და არა იურიდიულად) არ იქნება დამოკიდებული აზერბაიჯანზე. პრაქტიკულად, ეს არის შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის იურიდიულად გაფორმების მცდელობა, რაც არ დააკმაყოფილებს არც ერთ მხარეს; მაგრამ შესაძლებელია, რომ მთიანი ყარაბაღი იყოს აზერბაიჯანის შემადგენლობაში და ამავე დროს სომხეთის შემადგენლობაშიც შევიდეს. საერთაშორისო კანონმდებლობაში ტერიტორიის ერთობლივი ფლობის რეჟიმს კონდომინიუმი ჰქვია. მსოფლიო ისტორიაში ის არაერთხელ გამოიყენეს ტერიტორიული დავის გადასაწყვეტად იმ შემთხვევაში, როცა იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს კონფლიქტში ჩაბმულთაგან ერთ-ერთს.

***რუსული პრესის მიხედვით***

## საზღვარგარეთის ქვეყნები

# ბატონ პუტინის სახელი ამოტივტივდა ლიხტენშტეინში ფულის ჩამორეცხვის საქმეში

„Le Monde“-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ვლადიმირ პუტინი პრეზიდენტად არჩევამდე იყო გერმანული კომპანია „SPAG“-ის კონსულტანტი. ეს კომპანია 1992 წელს შეიქმნა სანქტ-პეტერბურგის მერიის ინიციატივით და მას ეკუთვნოდა კომპანიის აქციათა პაკეტი. ფირმის შტაბბინა ფრანკფურტში იმყოფებოდა, პეტერბურგში კი შვილობილ კომპანიებს მართავდა პრეზიდენტ პუტინის ახლო მეგობარი, რომლითაც ახლა გერმანიისა და ავსტრიის სამართლებრივი ორგანოები არიან დაინტერესებულნი.

1999 წლის აპრილში ეს ფირმა ნახსენები იყო გერმანიის სპეცსამსახურის, BND-ს მოხსენებაში, რომელიც ლიხტენშტეინს ეძღვნებოდა. ევროპის ცენტრში მდებარე ლიხტენშტეინი ფულის ჩამორეცხვის ცენტრად იქნა მიჩნეული. SPAG-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, იურისტი და ლიხტენშტეინის ეკონომიკის მინისტრის ძმა, რუდოლფ რიტერი, მოხსენებაში დახასიათებული იყო, როგორც ძმებ ოჩოების კოლუმბიური ნარკოტრესტის და რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის აგენტი. SPAG-ი მიუთითებდა, რომ რიტერმა ფულის ჩამოსარეცხად შექმნა ფიქტიური კომპანიები.



13 მაისს რუდოლფ რიტერი ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში დააპატიმრეს და ამჟამად იგი ფულის ჩამორეცხვასა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან კავშირშია ეჭვმიტანილი.

პუტინის ადმინისტრაციაში შემოსულ შეკითხვას 23 მაისს უპასუხეს, რომ პრეზიდენტს არავითარი კავშირი არა ჰქონია SPAG-თან. „პრეზიდენტს არასოდეს არ უმუშავია იქ კონსულტანტად. მას არასოდეს მიუღია იქ ხელფასი“, — განაცხადა მისმა პრესსამსახურმა.

მიუხედავად ამისა, SPAG-ის ახლანდელი დირექტორის მარკუს რეზეს ცნობით, ვლადიმირ პუტინი რამდენიმე წლის მანძილზე — 2000 წლის მარტამდე მუშაობდა მათთან კონსულტანტად პეტერბურგელ გერმან გრეფთან ერთად, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი გახდა. „ეს აუნაზღაურებელი თანამდებობა იყო, თავისებური სპონსორობა“ — დააზუსტა ბატონმა რეზემ.

23 მაისს SPAG-ის ინტერნეტსაიტზე მოვიდა შეტყობინება, რომ ბატონმა პუტინმა, ფიცის მიღების მზადებასთან დაკავშირებით, შეწყვიტა თავისი მოვალეობის შესრულება. მეორე დღეს ინფორმაცია საიტიდან გაქრა. დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად შეფასდეს ვლადიმირ პუტინის როლი გერმანულ კომპანიაში, მაგრამ პუტინთან დაახლოებულმა პირმა, ვლადიმირ სმირნოვმა, რომელსაც კომპანიაში პირველი პლანის თანამდებობა უჭირავს და რომელიც 1994 წლიდან ხელმძღვანელობს SPAG-ის ორ პეტერბურგულ კომპანიას, ამას წინათ განმარტა, რომ ვლადიმირ პუტინი მან 1991 წელს გაიცნო ფრანკფურტში და იმ დროიდან დამეგობრდნენ. ისინი ოჯახებთან ერთად ისვენებენ ხოლმე ლადოგის ტბაზე.

1998 წელს, როცა ვლადიმირ პუტინი მეორე კაცი იყო სანქტ-პეტერბურგში და აკონტროლებდა უცხოურ ინვესტიციებს, კომპანია „ზნამენსკაიამ“ მიიღო ქალაქის ისტორიულ ნაწილში სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დაკვეთა. 1998 წლის აგვისტოში ბატონი რიტერი, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია ამ საკითხთან დაკავშირებით, ხვდებოდა ვლადიმირ სმირნოვს. მუნიციპალური ხელმძღვანელობის ოფიციალურ განცხადებაში მითითებულია, რომ მშენებლობა 2001 წელს უნდა დასრულდეს და იგი მოითხოვს $80-100 მილიონიან უცხოურ ინვესტიციას.

მაგრამ სანქტ-პეტერბურგში რუსეთის პრეზიდენტთან დაახლოებული პირი ვლადიმირ სმირნოვი, პირველ რიგში, ცნობილია, როგორც პეტერბურგის ნავთობის კომპანიის ПТК-ს გენერალური მენეჯერი. ამ კომპანიას კი გააჩნია ფაქტობრივი მონოპოლია ბენზინის გაყიდვაზე — ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური სფერო ბიზნესისა ქალაქში.

***იბეჭდება შემოკლებით
კომერსანტი №94***



# აფრიკის შავი ჰიტლერი

უკვე რამდენიმე თვეა, მსოფლიო პრესის ფურცლებზე ვკითხულობთ: „აფრიკაში შავი რასიზმია“, „შავი აფრიკელები თავს ესხმიან თეთრკანიან ფერმერებს“, „შავ აფრიკას შავი ჰიტლერი ჰყავს“ და მისთ. ეს რასისტული ბაკქანალია ახალი წამოწყებული არ არის. შავკანიანთა რასიზმმა საშიში ხასიათი მიიღო მას შემდეგ, როცა ზიმბაბვეს „პატრიოტული ფრონტი“ დამარცხდა. ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტის რობერტ მუგაბესთვის ახალი უფლებები უნდა მიენიჭებინათ: პარლამენტის დათხოვნა, პრემიერ-მინისტრის დათხოვნა-დანიშვნა, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციის პუნქტი „კომპენსაციის გადახდის გარეშე“, რაც თეთრკანიან ფერმერთა მიწების გადანაწილებას ნიშნავდა. ზიმბაბვეში დაიწყო თეთრკანიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა. თეთრკანიანთა რამდენიმე ათასი მეურნეობა ხელთ იგდეს შავმა ექსტრემისტებმა, დაიღუპა და დაიჭრა ასობით თეთრკანიანი. დაახლოებით 70 ათასი თეთრკანიანი, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერეოდა, ფაქტობრივად, შავთა უმრავლესობის მძევალი გახდა. ამ მოძრაობის მამამთავარია გამათავისუფლებელი ბრძოლის ვეტერანთა ასოციაციის თავმჯდომარე ჩენჯერან ჰუნზვი, რომელსაც მეტსახელად ჰიტლერს უწოდებენ. „ჰიტლერი იყო ნამდვილი რევოლუციონერი და იგი თავისი იდეებისთვის ზუსტად ისე იბრძოდა, როგორც მე“, — აცხადებს ჩენჯერანი. იგი თავის თავს ნაპოლეონსაც ადარებს: „მეც, ნაპოლეონის მსგავსად, ვერავინ შემაჩერებსო“. შავი რასიზმის ფესვები აშშ-ში უნდა ვეძებოთ: ყველასათვის ცნობილია ფანატიკური ფარაჰანის მოღვაწეობა, რომელმაც შავი რასიზმის, ისლამური ექსტრემიზმისა და პათოლოგიური ანტისემიტიზმის სინთეზირება დააპირა.

ფარაჰანის მომხრეებმა მაშინ ვაშინგტონში აქცია მოაწყვეს აფროამერიკული დისკრიმინაციის წინააღმდეგ და შედეგიც მიიღეს. უფრო ადრინდელი (XX ს-ის დასაწყისი) ჰარვეიზმის მოძრაობა უდიდეს მასშტაბებს მოიცავდა. ჰარვეი თავის თავს ზანგი ხალხის სულიერ-პოლიტიკურ ბელადად მიიჩნევდა. მან თავდაპირველად შავკანიანთა საერთაშორისო საძმოს შექმნა განიზრახა, რომელიც შემდეგ „შავი რასის იმპერიად“ გადაიქცა. საერთაშორისო წითელი ჯვრის მაგალითზე შექმნა სრულიად შავი ჯვრის საზოგადოება. იმპერიაში დაახლოებით 5 მლნ ადამიანი გაერთიანდა. ჰარვეის მოღვაწეობამ დიდი გავლენა იქონია პანაფრიკანიზმის იდეოლოგიის ფორმირებაში. ამ მოღვაწეობამ ფართო მასშტაბები მიიღო: როდესაც დადგა საკითხი აფრიკის ერთიანი ორგანიზაციის შექმნის შესახებ, აფრიკელმა ლიდერებმა არ მოისურვეს ამ „გაერთიანებაში“ ეგვიპტის, მაროკოს, ტუნისის და საერთოდ, ჩრდილოეთ აფრიკის თეთრკანიანთა მიღება, რადგან „შავების ხასიათი გაზავდებაო“. შავი რასისტები ანადგურებდნენ ყველაფერ-„უცხოურს“. მაგალითად, გენერალმა იდი ამინმა უგანდაში 6 წლის მმართველობის მანძილზე 100 ათასობით ადამიანი გაჟულიტა. სისხლიანი დიქტატორი ბოკასა კი თვითონ მონაწილეობდა ბავშვების მკვლელობაში.

დღეს მსოფლიო აღშფოთებულია: აფრიკელი ჰიტლერი — ჩენჯერან ჰუნზვი მხოლოდ 962 დოლარით დააჯარიმეს და სამი თვის პატიმრობა მიუსაჯეს. კაცობრიობას ძვირად დაუჯდა თავის დროზე ჰიტლერული რასიზმი, რომელსაც მრავალი ეროვნების ადამიანი შეეწირა. ცივილიზებულ სამყაროს დიდ საფრთხეს უქმნის შავი რასიზმი. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მილიონობით მცხოვრები მხარს უჭერს შავ რასიზმს. ამ ქვეყნის 6 მილიონ თეთრკანიანთა ბედი ბეწვზე ჰკიდია, თუ გაერო და საერთოდ, მსოფლიოს ყველა ქვეყანა არ ეტყვის „უარს“ გერმანელი ეშმაკისეული ფიურერის შავ შთამომავლობას. ზიმბაბვეს პრეზიდენტს ბატონ მუგაბეს შეახსნებენ, რომ ცეცხლს ეთამაშება და არ ახსოვს, რა დროში ცხოვრობს. სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების ყოფილმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ მოუწოდა მსოფლიოს, უარი თქვას მოძველებულ წარმოდგენაზე, — არ გააკრიტიკონ შავკანიანები.

ჰიტლერული თეთრი რასიზმი დამსხვრეულია, კაცობრიობა ვალდებულია, გზა გადაუღობოს შავ რასიზმს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №93***

# კრემლის მზარეულთუხუცესის საიდუმლოებანი

## კრემლში

ვლადიმირ იუკინი 30 წელი განაგებდა საბჭოთა ქვეყნის მთავარი სახლის — კრემლის ბინადართა და მათ მრავალრიცხოვან სტუმართა ჭამა-სმის საკითხს. კულინარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ როგორც სანიმუშო კომკავშირელს, დიდი ნდობა გამოუცხადეს — პოლიტბიუროს გამოკვება ანდეს განსაკუთრებული სამკურნალო კვების ცნობილ სასადილოში, რომელსაც საგულდაგულოდ იცავდნენ და საჭმელს ანონიმურად ამზადებდნენ, ანუ არავინ იცოდა, ვისთვის მზადდებოდა ესა თუ ის კერძი. დაკვეთები შიფრით მოდიოდა და ურიცხვი ექიმის მიერ გულმოდგინედ მოწმდებოდა — მოწამვლისა ეშინოდათ. როგორც ამბობენ, აქვე სადილობდა სტალინის ვაჟი ვასილი.



თვით სტალინს სიკვდილამდე ემსახურებოდა უმაღლესი კლასის ექვსი მზარეული, არც ერთ მათგანს და არც მომსახურე პერსონალს საკუთარი ბინა არ ჰქონდათ, ცხოვრობდნენ კომუნალურ ბინებში, სადაც აუცილებლად ვინმე მეთვალყურეობდა — უწყინარი ლოთი ან კეთილი მოხუცი.

სტალინს ძალიან უყვარდა ბატკნის მწვადები. ერთხელ ბერიას გადაუწყვეტია, ესიამოვნებინა მისთვის. საუკეთესოთა შორის საუკეთესო მემწვადე ამოურჩევია და მიუნდვია მწვადის შეწვა ბუნების წიაღში. ბატკანი დაკლეს, გაატყავეს, დაკეპეს, ნაჭრები შამფურზე წამოაცვეს და... უცბად რჩეულმა მემწვადემ ჯიბიდან პარკი დააძრო და აშიშხინებულ ხორცს რაღაც თეთრი ფხვნილი მოაფრქვია... და აქ დაიწყო, რაც დაიწყო... მწვადი საანალიზოდ გააქანეს, გაკოჭილი მემწვადე კი, სადაც ჯერ არს...

მემწვადე-მზარეული უკვე დახვრეტილი იყო, როდესაც გაირკვა, რომ იგი თურმე მთელი სიცოცხლე ტყე-ტყე აგროვებდა მცენარეებს და საგანგებოდ მწვადისთვის სუნელს ამზადებდა...

კულინარები ხშირად ხდებოდნენ რეჟიმის მსხვერპლნი. ამბობენ, ბერიამ საკუთარი ხელით აწამა კაცი, რომელმაც ყვავილების წვენების მომზადების საიდუმლო არ გათქვაო.

## სტუმრები „რკინის ფარდის“ მიღმიდან

50-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც „რკინის ფარდა“ ოდნავ გადაიწია, სსრ კავშირისკენ უამრავი დელეგაცია დაიძრა. მათ სათანადო გამასპინძლება სჭირდებოდათ, თანაც ისე, რომ ქვეყნის პრესტიჟი არ შელახულიყო. ვლადიმირ იუკინი ახლა უკვე კრემლის სასტუმრო სასახლის მზარეულთუხუცესი იყო. სამუშაო საპასუხისმგებლო და ზოგჯერ სახიფათოც გახლდათ. ერთი პატარა შეცდომა და მშვიდობით, თავისუფლებავ... თუმცა, საინტერესო და კურიოზულიც ბევრი რამ ხდებოდა.

საბჭოთა მთავრობა ქალაქგარეთ რეზიდენციაში ინგლისის პრემიერის მისაღებად ემზადებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიღებების ტექნიკა საგულდაგულოდ იყო დამუშავებული და საათივით აწყობილი, მაინც საშინლად ღელავდნენ. როგორც იქნა, მობრძანდნენ ნიკიტა ხრუშჩოვი და საპატიო ინგლისელი სტუმარი, რომელიც, ამავე დროს, ოფიციალურ მტრად ითვლებოდა.

მოგეხსენებათ, დიდი პოლიტიკა ყავის სმის დროს კეთდება, სადილზე ზოგად თემებზე საუბრობენ, ჩაროზზე — საკვანძო საკითხებს აგვარებენ. საპატიო სტუმარმა რძიანი ყავა მოითხოვა. სამზარეულოსაც ასე გადასცეს. ახალმა მზარეულმა, რომელიც ყავის მიწოდებაზე იყო პასუხისმგებელი, რძიანი ყავა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ორივე კომპონენტი ერთმანეთში შეურია... ეტიკეტი დაირღვა. საერთოდ, ეტიკეტი საბჭოეთის ყველაზე სუსტი ადგილი იყო. აქ მაგიდებს ყოველთვის „სტალინურად“ აწყობდნენ — სუფრაზე დახვავებული იყო საჭმელ-სასმელი. ახლა წესი შეიცვალა და უხდებოდათ სტუმრების სათითაოდ მომსახურება და ლანგრებით კერძების ჩამორიგება. უცხოელი სტუმრები საბაბს ეძებდნენ, როგორმე გაეკილათ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო.

ვლადიმირ იუკინის თვალწინ იმდენმა პრეზიდენტმა, მეფემ, იმპერატორმა, ვიცე-პრემიერმა გაიარა, რომ სიზმარში დღემდე ელანდება მათი სახეები. დაამახსოვრდა რამდენიმე საინტერესო შეხვედრაც.

კრემლის მზარეულთათვის სულერთია, მეფეა თუ იმპერატორი — სამზარეულო ტრადიციული, რუსულია; მაგრამ გამონაკლისიც იყო ხოლმე.

მუსლიმანი სტუმრისთვის ვლადიმირ ნიკოლაევიჩი თავად აწყობდა ბრინჯს 18 თეფშზე ალაჰის სალოცავად. ცნობილია, რომ მაჰმადიანები ღორის ხორცს არ ეკარებიან. ერთხელ მთელმა დელეგაციამ უარი განაცხადა ძროხის სოსისის ჭამაზე — ეს პატარა გოჭებიაო (ეტყობა, იცოდნენ, რომ ცოტა ღორის ხორცი მაინც იქნებოდა შერეული).

ერთხელ მზარეულთუხეცესი ასეთ სცენასაც შეეწრო: ნომერში ყავა მიართვა სტუმარს და რასა ხედავს — საპატიო სტუმარი ნოხის ქვეშ შემძვრალა და კონიაკს წრუპავს ბოთლიდან — ნოხის ქვეშ ალაჰი ვერ ხედავს შეცოდებასო, განუმარტავს იუკინისთვის. ასე რომ, როცა მუსლიმანური დელეგაცია ჩამოდიოდა, ერთ-ერთი მათგანი ცოდვას თავის თავზე იღებდა, დანარჩენები კი თამამად მიირთმევდნენ სხვადასხვა სასმელს.

ვლადიმირ ნიკოლაევიჩს ყველაზე მეტად ინდუსების გამასპინძლება უჭირდა. ისინი ორ კატეგორიად იყოფიან: მკაცრი ვეგეტარიანელები და ცივილიზებული ვეგეტარიანელები. პირველნი სიცოცხლეში არ გაჰკარებიან ცხოველურ კერძებს, რელიგიაც ისეთი აქვთ, რომ ნოხის ქვეშ ვერ დაიმალებიან, რადგან ღმერთი ყოველ მათგანშია. ჰოდა, სწორედ ასეთი ვეგეტარიანელები ჩამოვიდნენ ბირმიდან. მიირთვეს ბოსტნეული და გაემართნენ დიდ თეატრში. ანტრაქტზე სამთავრობო ლოჟაში ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. სუფრაზე იყო ლამაზ, ოქროსფერ ქაღალდში გახვეული ლიქიორიანი შოკოლადები... როდესაც ვლადიმირ ნიკოლაევიჩმა სტუმრის ხელში ეს შოკოლადი შენიშნა, უკვე გვიან იყო... ხელი პირისკენ გაქანდა... მზარეულთუხუცესი გაშეშდა... ეს ნუგბარი არ უნდა მოეტანათ სუფრაზე...

სტუმარმა შოკოლადი მაშინვე, პირდაპირ მაგიდაზე გადმოაფურთხა, თეატრიც დატოვა და საღამოს სხდომასაც აღარ დაესწრო. ეტყობა, ცოდვებს ინანიებდა. საკვირველია, მაგრამ ვლადიმირი დასჯას გადაურჩა...

ადვილი იყო ფინეთის პრეზიდენტთან ურთიერთობა. სკანდინავიელები საერთოდ წყნარი ხალხია. დინჯად ჭამენ, უპირატესობას ნატურალურ პროდუქტებს ანიჭებენ, ძალიან უყვართ ნაყინი, რომელსაც დღეში რამდენჯერმე მიირთმევენ...

კრემლის მთავარ მზარეულს დიდი ნდობა გამოუცხადეს და რუსეთში ჩამოსული დიდჩინოსნების თანმხლებად გაამწესეს. იგი მათ თან ახლდა სხვადასხვა რეგიონში მოგზაურობისას, რათა ყველგან თვითონ შეერჩია მენიუ და გაეკონტროლებინა კვების უშიშროება.

ერთ წელიწადს სსრკ-ს საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ეწვია და ქვეყნის ათი რეგიონი შემოიარა. მას ყველგან ეროვნული საჭმელები უნდა გაესინჯა. დე გოლს თავისი ახირებები ჰქონდა. მაგალითად, ეძინა ძალიან მაღალ და ფართო საწოლზე, ფანჯრებზე სქელი ფარდები უნდა ყოფილიყო ჩამოფარებული. იგი საფრანგეთიდან საკუთარი „ბოინგით“ ჩამოფრინდა და პროდუქტებიც თან ჩამოიტანა, მაგრამ ისე მოიხიბლა რუსული სტუმართმოყვარეობით, რომ თვითმფრინავი უკან გაამგზავრა.

საერთოდ, ზეპურთ იშვიათად ახლდნენ მზარეულები და არც საკვები ჩამოჰქონდათ. ირანის შაჰინშაჰის ტრაპეზი რიტუალური წესებით იყო გადატვირთული. მან უამრავი მზარეული ჩამოიყვანა თან თავისი პროდუქტებით... სადილობის დროს კრემლის სასადილოში ოცდაათი ჩალმიანი ფენდა პატარა ნოხებს, სათითაოდ გამოჰქონდათ ოქროს ლანგრები კერძითურთ, არავინ იცოდა, რომელი ჭურჭლიდან და რას მიირთმევდა მზეზე მაღალი...

მთავარი ალბანელი კომუნისტი ენვერ ხოჯაც თავისი მზარეულით ჩამოვიდა. სუფრა სავსე იყო გასტრონომიული საოცრებებით. ალბანელმა მზარეულმა ამოიღო პარკიდან მაკარონი, სოსისებთან ერთად მოხარშა, ჩააგდო შიგ ერთი ნაჭერი კარაქი, მისწი-მოსწია სუფრიდან ნუგბარი და პატრონს წინ დაუდგა, თან უთხრა, — მხოლოდ ეს არის სანდოო...

ბოლო რვა წელიწადს ვლადიმირ ნიკოლაევიჩს უკვე პოლიტბიუროს ბებერ წევრებთან ჰქონდა ურთიერთობა მეოთხე სამმართველოს მთავარ საავადმყოფოში.

სამზარეულოს არავინ ატყობინებს, ამა თუ იმ პალატაში ვინ მკურნალობს, მაგრამ იქ მწოლთა ცოლები ისეთ აურზაურს ტეხენ, რომ ყველასათვის ნათელი ხდება, ვინ სად არის მოთავსებული.

ერთხელ პალატა-ლუქსიდან ტორტი დაუკვეთეს. ვლადიმირ ნიკოლაევიჩს გაუკვირდა — იმ პალატაში ისეთი სიწყნარე იყო, რომ ცარიელი ეგონა, თურმე იქ რაისა გორბაჩოვა იწვა. მას შემდეგ მზარეული განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა ამ სათნო და ღირსეული მანდილოსნისადმი. ელცინთანაც ჰქონდა ურთიერთობა — რუსეთის პირველ პრეზიდენტს მადლობა უთქვამს მზარეულისათვის — სხვაგან ჭამა ყოველთვის მერიდება, აქ კი სიამოვნებით გეახლებითო.

90-იან წლებში მზარეული პენსიაზე გავიდა. ახლა ერთ-ერთ იმ რესტორანში მუშაობს კონსულტანტად, სადაც გოსდუმის წევრები სადილობენ. რაც უფრო დიდხანს უყურებს ამ პოლიტიკურ სამზარეულოს, მით უფრო რწმუნდება, რომ ხალხი პოლიტიკაში მიდის იმისათვის, რომ კარგად იკვებოს.

*ოგონიოკი №16*

# „ახალგაზრდა გვარდიას“ იღებდნენ მშიერი, მაგრამ ბედნიერი ადამიანები



ფილმის გადაღების ეპიზოდებს იხსენებს ცნობილი ქართველი მსახიობი და კინორეჟისორი **გუგული მგელაძე:**

— „ახალგაზრდა გვარდიაში“ შემომთავაზეს ჟორა არუთინიანცის როლი. გასინჯვის დროს ვაჯობე შვიდ სომეხს, მათ შორის, მომავალში სახელგანთქმულ რეჟისორს სერგო ფარაჯანოვს.

ჩვენ, „ახალგაზრდა გვარდიელები“, ყველანი კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდით. ჩვენი ოსტატი იყო ფილმის რეჟისორი სერგეი გერასიმოვი.

კრასნოდონში, გადაღებაზე გავიცანი ნამდვილი არუთინიანცი.. ის ჩემზე კარგა მაღალი აღმოჩნდა და ამიტომ ჩვენი პირველი შეხვედრა საკმაოდ კომიკური იყო. ჟორა ზევიდან დამცქეროდა და გაკვირვებით მეკითხებოდა: „თქვენ უნდა ითამაშოთ მე?“ „დიახ, მე!“ — ამაყად და თავდაჯერებულად ვპასუხობდი. არ დამავიწყდება გადაღების პირველი დღე. იღებდნენ კრასნოდონში წითელი არმიის უკან დახევის ეპიზოდს, მასობრივ სცენაში მონაწილეობდა 2 ათასი კაცი, უამრავი თვითმფრინავი და ტანკი. ამ პანორამის ფონზე „არუთინიანცი“ და „ზემნუხოვი“ საუბრობენ. და უცებ, მოხდა საშინელება, აღელვებისგან ტექსტი მთლიანად დამავიწყდა. შიშმა ამიტანა, წარმოგიდგენიათ, ჩემი გულისთვის ამხელა გადაღება უნდა შეჩერებულიყო. „ჩერჩეტო“, — რუპორში უხეშად მიყვირა გერასიმოვმა. ძალიან შემრცხვა და შემეშინდა. შემდეგ გერასიმოვი რამდენიმე დღე ხმას არ მცემდა და ზედ არ მიყურებდა. მერე კი მოლბა და მითხრა, — არა უშავს, ყველაფერი ხდებაო.

იმხანად ომი ახალი დამთავრებული იყო და ჩვენ, ვგიკის სტუდენტები, თითქმის ვშიმშილობდით. კვების ტალონები ხომ საოცნებო იყო. ერთხელ, თბილისიდან ჩემმა ბიძაშვილმა ჩამომიტანა ტალონების დასტა მეცნიერთა აკადემიის სასადილოში შესასვლელად. მაშინვე იქით გავქანდი. გორკის ქუჩაზე შემხვდნენ ჩემი მეგობრები, ახალდაქორწინებული ინა მაკაროვა და სერგეი ბონდარჩუკი. „რა ბედნიერი ხარ“, — შემომნატრა ბონდარჩუკმა. როცა ვუთხარი, თუ საით მივიჩქაროდი. მივხვდი, რომ მშივრები იყვნენ და ისინიც მივიპატიჟე. წლების მერე, როცა ბონდარჩუკს ვხვდებოდი, ყოველთვის იხსენებდა ამ ეპიზოდს — გახსოვს, მაშინ რა გემრიელად ვისადილეთო.

ნონა მორდიუკოვა ყველასგან გამოირჩეოდა იუმორით, გარეგნობითა და სიხალისით. მას ხშირად იწვევდნენ ხოლმე შეხვედრებზე და ჰონორარსაც აძლევდნენ.

ერთ ასეთ შეხვედრაზე ნონამ მეც წამიყვანა. ჩვენ პრეზიდიუმში ვისხედით და ვუსმენდით საქებარ სიტყვებს. უცებ, ნონამ ხელი გამკრა და მაგიდის ქვეშ ჩამახედა. მუჭში დაჭმუჭნილი ფული ეჭირა, — ხედავ, ფულსაც კი ეტყობა, ხალხს როგორ უჭირს. ისინი კი აგროვებენ, რომ ჩვენს სანახავად მოვიდნენ. მოდი, უკან დავუბრუნოთო. რა თქმა უნდამეთქი, — დავეთანხმე.

დამთავრდა შეხვედრა. საკმაოდ გვიანი იყო. ნონა მეუბნება: „იცი რა, ძალიან მშია!“ „მეც“, — გამოვტყდი. „ჰოდა, წავიდეთ და სასადილოში ვჭამოთ!“ ასე შემოგვეჭამა ის ფული და ჩვენი კეთილი განზრახვაც.

ჩემი უახლოესი მეგობარი იყო ევგენი მორგუნოვი, უნიჭიერესი მსახიობი და სიტუაციების მოგონების დიდოსტატი.

ერთხელ, „ახალგაზრდა გვარდიის“ კოლექტივი კრემლში მიგვიწვიეს. რა თქმა უნდა, კარგა ხანს გვამოწმებდნენ და შემდეგ შეგვიყვანეს ერთ დიდ ოთახში, სადაც ჩეკისტი მაიორი იჯდა. ჩვენ, შეჯგუფუფულნი, მორიდებით ვიცდიდით. უცებ, ჟენიამ მიმართა მაიორს: „ამხანაგო მაიორო, შეიძლება შინ დავრეკო?“ მაიორი დაიბნა და ყურმილი მიაწოდა. „ვავა, ჟენია ვარ, კრემლიდან გირეკავ, — დაიბუხუნა ჟენიამ და შემდეგ მაიორს მიუბრუნდა, — ამხანაგო მაიორო, ჩემს ცოლს არ სჯერა, რომ კრემლიდან ვრეკავ, იქნებ თქვენ დაგიჯეროთ?“ ჟენიას ჰქონდა უდიდესი ტრაგიკომიკოსის ნიჭი, რომლის რეალიზება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

„ახალგაზრდა გვარდიაში“ ჟენია მოღალატე სტახოვიჩის როლს თამაშობდა. როცა ქუჩაში ერთად მივდიოდით, თავიდან ქუდს მომგლეჯდა და ყველას გასაგონად ყვიროდა: „დე, ყველამ გვიცნოს და გვიყუროს!“

*კომსომოლსკაია პრავდა №91*

# „ტვინში ჩაწვეთებული შხამი...“



**იგი დიდხანს დუმდა. შემდეგ კი ნენსი რეინმა გადატანილი ძალადობის შესახებ წიგნი დაწერა, რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა.**

1985 წლის 11 ოქტომბერს ნენსი რეინი მოკვდა, მაგრამ სული არ ამოხდომია...

ამ დღეს მის ბინაში შეიჭრა უცნობი, თავს დაესხა ქალს და გააუპატიურა...

მოძალადემ თვალებზე ლენტი დააწება, ხელები შეუკრა და სამი საათის განმავლობაში აუპატიურებდა, სამი საათის განმავლობაში ხმის ამოღებას უკრძალავდა, — გაჩუმდი, თორემ ღორივით დაგკლავო...

კაცი დღემდე არ დაუჭერიათ და ალბათ, ვერც დაიჭერენ. მსხვერპლი კი წლების განმავლობაში ასრულებდა კაცის ბრძანებას, — ხმა არ ამოიღოო...

შემდეგ კი დაწერა რომანი „დუმილის იქითა მხარეს“. წიგნში შერწყმულია კრიმინალი და პოეზია. მასში ავტორი აგრეთვე სიყვარულს უხსნის სტივ სტევიკს, კაცს, რომელმაც ნენსი ამ შემთხვევის შემდეგ ცოლად შეირთო და სიცოცხლისაკენ მობრუნებაში დაეხმარა.

ნენსი რეინს ესაუბრება „შტერნი“:

**— თქვენ მოძალადისთვის არც კი შეგიხედავთ, მიუხედავად ამისა, რომ ნახოთ, მაინც იცნობთ?**

— ვიცნობ! მახსოვს მისი ხმა, სუნი და მისი სახლის ფეხსაცმელებსაც ვიცნობდი, რომელსაც თვალი მოვკარი. ყავისფერი, ფუმფულა იყო. ეტყობა, ეშინოდა, ფეხი არ გასცივებოდა.

**— თქვენი აზრით, ერთადერთი ხართ, ვინც ამ კაცმა გააუპატიურა?**

— არა, რა თქმა უნდა! ის მშვენივრად იყო მომზადებული უხმაურო ფეხსაცმელებით, წებოვანი ლენტით და დანით. შეიძლება მსგავს საქმეზე წაასწრეს და დაიჭირეს კიდევაც. ვინ იცის.

**— შურისძიების გრძნობა გქონიათ ან თუ გაქვთ?**

— დიახ, მქონდა. ის ნაძირალა სადმე რომ შემხვედროდა, ბენზინს გადავასხამდი და დავწვავდი. ხშირად მიფიქრია, მოვკლავ და ყველაფერი დამთავრდება-მეთქი. მერე კი შევამჩნიე, რომ ჩემს გონებას ბოროტმოქმედი ისე დაუფლებოდა, სხვა რამეზე ფიქრიც კი არ შემეძლო. ეს იყო ტვინში ჩაწვეთებული შხამი.

**სტევიკი (ქმარი)** — ხანდახან მეჩვენებოდა, რომ სახლში სამნი ვცხოვრობდით. ერთხელ ნენსის ვუყვირე, — შენ რომ გაგაუპატიურა, ის არა ვარ-მეთქი. ნენსიმ ერთხელ სიზმარში ნახა, რომ ბოროტმოქმედი მკვდარი იყო. ამისი არ მჯერა. იგი ძალადობის სამყაროში ცხოვრობდა და ალბათ ასევე ჩაძაღლდებოდა.

**— გაუპატიურება ყოველთვის ტაბუდადებული თემა იყო. საზოგადოებას როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— წვეულებაზე თითქოს სპილო გამოჩენილიყო... არადა, ბოლო 9 წლის განმავლობაში აშშ-ში 1,5 მილიონ ქალზე იხმარეს ძალა, მაგრამ ისინი ყველანი დუმან. დუმან თავს დატეხილი სირცხვილისა და შიშის გამო. ჩემი ქმრის დამსახურებაა, რომ მე მრავალი წლის შემდეგ თავს მოვერიე და ამის თაობაზე ავლაპარაკდი.

**— რა აზრის ხართ ერთ-ერთი ამერიკელი სექსოლოგის თეორიაზე, რომელიც ამტკიცებს, რომ ძალადობა ძევს ბიოლოგიურ პროგრამაში და ამიტომ ქალებზე ძალადობა, ისევე, როგორც ომი, მამაკაცის ბუნებაა?**

— ამ მეცნიერის წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ მისი თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ყველა მამაკაცი მოძალადეა. ეს სისულელეა!

**სტევიკი** — საკმარისია! კაცებმა ამის წინააღმდეგ უთუოდ აქცია უნდა მოვაწყოთ.

**— ნენსი, რის გაკეთებას აპირებთ?**

— მხიარული წიგნი მინდა დავწერო დიდ ოჯახზე. ძალადობის შესახებ რომენი უკვე შევქმენი. ახლა მსურს უფრო ოპტიმისტური რომანები შევთხზა.

*შტერნი №20*

## ხელთუქმნელი წიგნი

ბუნების იდუმალებათა ლაბირინთებში რომ ჩაიხედო, უნდა შეგეძლოს ბუნების მიერ დაწერილ წიგნთა წაკითხვა, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უხვად რომ არის მიმოფანტული. ერთ-ერთი ასეთი წიგნი მესხეთშიც გვხვდება, მისი ასაკი ათი მილიონი წლით განისაზღვრება.

საგულისხმოა, რომ ბუნება ამ ზღაპრული წიგნის თითოეული ფურცლის დაწერას დიდ დროს ანდომებდა და დიატომიტის თხელი ქანებით ქმნიდა თავისი მოვლენების ამსახველ უჩვეულო მატიანეს. ბუნების ამ საიდუმლოების გაშიფვრას საუკუნის მეოთხედი მოვანდომე, მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა... მიუხედავად ამისა, ამ ხელთუქმნელი წიგნიდან ამოკითხული პატარა ამბის გადმოცემას შევეცდები.

დიატომიტის წიგნის ერთ-ერთ ფურცელ-ტილოზე ამოვიკითხე: ვაზშემოხვეულ, ტოტებგაშლილ მუხას ჭაკი ამოფარებოდა... ცხენი მზრუნველად ადევნებდა თვალს შვილს. კვიცი იქვე, მახლობლად, ნორჩ ბალახს ძოვდა. ირგვლივ ირეოდნენ ფრინველები და სხვა ცხოველები, ბუნების მომაჯადოებელი მშვენიერებითა და სიუხვით განებივრებულნი. ანაზდად გამოჩნდა ხახადაღებული მგელი. ჭაკმა დაიჭიხვინა. კვიცმა იგრძნო საფრთხე და უმალ დედას მიაშურა. მგელი ეკვეთა მსხვერპლს. სიკვდილ-სიცოცხლეს შორის თავგანწირული ბროლა გაჩაღდა... მახლობლად უზამაზარი ლურჯი ტბა ციმციმებდა. დედა-შვილმა ტბას მიაშურა. მათ მგელიც მიჰყვა. საბოლოოდ, სამივე ტბამ შთანთქა.

ნათქვამის უტყუარი საბუთი სახეზეა: დიატომიტის ქანმა ვაზისა და ცხოველების ანაბეჭდი უცვლელად დაიცვა ასეული საუკუნეების მანძილზე. ნათელი ხდება, რომ:

— მესხეთის ტერიტორიაზე, იმ ადგილას, სადაც ამჟამად დიატომიტის საბადოა, ათი მილიონი წლის წინათ ტბა იყო.

— ტბის შემოგარენი მდიდარი ყოფილა ფლორისა და ფაუნის ნაირსახეობებით.

— მათი ანაბეჭდები საარაკო რუდუნებით შემოგვინახა ბუნებამ — საუკუნეთა მემატიანემ.

## ქართული დიატომიტი

დიატომიტის სახელწოდება მომდინარეობს ერთუჯრედოვანი წყალმცენარე დიატომეასაგან, რომლის უჯრედის გარსს კაჟის ჯავშანი ფარავს. დიატომეას უჯრედის გარსის ნაშთებს ეწოდება დიატომიტი. ეს დანალექი ქანი თეთრი ფერისაა და გარეგნულად ცარცს ჰგავს. დიატომიტს იყენებენ კვების, ქიმიურ, ნავთობის მრეწველობასა და სხვა დარგებში. მსოფლიოში ცნობილია ორი საბადო — კალიფორნიასა (აშშ) და საქართველოში (მესხეთში), რომელსაც ქისათიბის დიატომიტის საბადო ეწოდება.

აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე ქისათიბის დიატომიტს ასე ახასიათებს: — „დიატომიტი, რომელიც მესხეთში, (ქისათიბში) მოიპოვება, თავისი ღირსებით კალიფორნიის საუკეთესო დიატომიტს კონკურენციას უწევს“.

## დიატომიტი და... ღვინო

1962 წელს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესი.

კონგრესზე აღინიშნა, რომ საექსპორტო ღვინოებიდან პრიორიტეტი ენიჭებოდა ფრანგულ ღვინოს.

რა არის ფრანგული ღვინის საიდუმლოება და რატომ სჯობს საექსპორტოდ ყველა ღვინოს და მათ შორის ქართულს? კონგრესზე ფრანგებმა გაამხილეს ღვინის დაყენების ტექნოლოგიის „საიდუმლო“. ისინი ღვინოს თურმე კალიფორნიიდან შეტანილი დაიტომიტისაგან დამზადებულ ფილტრში ატარებენ. ასეთი ღვინო ინარჩუნებს არომატსა და გემოს და იძენს ახალ თვისებას — ნალექს არ იკეთებს, არ მჟავდება.

ბუნებრივია, ქართველი სპეცილისტები დაინტერესდნენ ამ ტექნოლოგიით, მაგრამ, როგორც იტყვიან, „კატისთვის ეჟვნის შემბმელი“ არავინ აღმოჩნდა. იმიზეზებდნენ კალიფორნიის ძვირადღირებული დიატომიტის უქონლობას, იმაზე კი არავინ დაფიქრებულა, რომ ჩვენ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ხარისხის დიატომიტის პატრონები ვართ.

# ქართული დიატომიტი კალიფორნიისას მეტოქეობს...

## იქნებ ამ სიმდიდრეს მაინც მივხედოთ?!



ვაზის ფოთლის ანაბეჭდი დიატომიტზე



15 მილიონი წლის ასაკის გაქვავებული ვაზის ღერისგან გაკეთებული ჯვარი

ეს საქმე ჩვენში „საღათას ძილით“ მიიძინებდა, რომ 1970 წელს ისევ ფრანგებს არ შეეხსენებინათ ჩვენთვის. დაინტერესებულან რა აქაური დიატომიტით, ჩვენს უკითხავად „ცენტრს“ შეუთანხმდნენ მისი შესყიდვის თაობაზე. რაღა თქმა უნდა, „ცენტრი“ სიამოვნებით დასთანხმდა, რა ენაღვლებოდა, ვალუტა ხომ „ცენტრის“ ყულაბაში ჩაიჩხრიალებდა!

მაშინდელმა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ დაავალა დიატომიტის მომპოვებელს — ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს, სასწრაფოდ მოემზადებინათ დოკუმენტაცია დიატომიტის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის.

„ცენტრის“ მითითებით, სწრაფად შედგა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. გამოიყო ტერიტორია ქარხნის მშენებლობისათვის.

ნათქვამია, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. მოხდა „კურიოზი“, იქ „ზემოთ“, ამ საქმეს განაგებდა სხვა ეროვნების კაცი, რომელმაც „გეგმაში“ ჩასმულ დიატომიტს წითელი ფანქრით გადაუსვა ხაზი და მის ნაცვლად იმავე ფანქრით მიაწერა: „არმიანსკიე ტრეპელი“.

ტრეპელი დიატომიტის ანალოგია, მაგრამ მასში კაჟის შემცველობა დაბალია და პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან დიატომიტის ხარისხი დამოკიდებულია სწორედ კაჟის შემცველობაზე. ჩვენი დიატომიტი კი შეიცავს 95-99 % კაჟს.

ანალოგიური „კურიოზი“ მომდევნო ორ წელსაც განმეორდა... დაგვიანებით მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს „კეთილ“ მეზობელს, რომ უნებურად ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ქარხანა რომ აშენებულიყო, ათასობით ტონა დიატომიტი მოაკლდებოდა ჩვენს საბადოს „ცენტრის“ სასარგებლოდ.

ახლა ჩვენვე უნდა მოვუაროთ საკუთარ სიმდიდრეს, ავამოქმედოთ დიატომიტის საბადო, რომელიც სიმდიდრეს მოგვცემს და თან გამოვიყენოთ ღვინის ტექნოლოგიაში და ჩვენ ღვინოს პრიორიტეტი მოვუპოვოთ მსოფლიო ბაზარზე.

## დიატომიტის „აკვანში“

ვაზი ჩვენი პლანეტის უძველეს მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვაზის, როგორც უძველესი მცენარის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი სწორედ აქ, საქართველოშია აღმოჩენილი. კერძოდ, ახალციხის რაიონში, ქისათიბის დიატომიტის საბადოში, ე.წ. დიატომიტის „აკვანში“ ველური ვაზის ლერწის და ფოთლების ანაბეჭდებია დაცული.

დიატომიტის ეს საბადო ისტორიული გეოლოგიის მიხედვით მესამეული პერიოდისაა და 10 მილიონი წლით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, ქანში ნაპოვნი ანაბეჭდების ასაკადაც 10 მილიონი წელი უნდა ვივარაუდოთ. დიატომიტის ქანში („აკვანში“) ვაზის აღნიშნულ ანაბეჭდზე ნიკო კეცხოველი წერს: „აი, ამ პატარა დარბაზში გვაქვს ის მცენარეები, რომლებიც დიატომიტმა შემოგვინახა ანაბეჭდების სახით. ეს არის სხვადასხვა მცენარეების ფოთლები, ყლორტები, ნაყოფი, როგორც ხედავთ ცოტა არ არის.

...ქისათიბის დიატომიტის საბადო 10 მილიონი წლისაა: ჩვენი გეოლოგები ფიქრობენ, რომ ეს ტბა, ე.ი. ახლანდელი საბადო, უფრო მაღლა მდებარეობდა, ამიტომ ანაბეჭდი მცენარეები მრავალფეროვანი არ არის.

— ეს ვაზის ფოთოლი არ არის?

— სწორედ!

— განა აქ ათი მილიონი წლის წინათ ვაზი ხარობდა?

— ამაზე დამადასტურებელ საბუთს ვერ ნახავ: აი, მეორე კარადა, აქ მთელი ლერწის ანაბეჭდია...“ („არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“.).

## გაქვავებული ტყის საიდუმლოება

უძველესი ვაზის ფოთლებისა და რქის (ლერწის) ანაბეჭდები, რომლებიც სათუთად შემოგვინახა საბადომ, ბუნებრივია, გვაფიქრებინებდა, რომ ქისათიბში აღმოჩენილ ვაზს წინამორბედი ეყოლებოდა საბადოს შემოგარენში ან მის შორიახლო. ამ მიმართულებით ძიების ყველა გზას მივყავართ ადიგენის რაიონში, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებამდე, რომელიც ქისათიბის დიატომიტის საბადოდან დასავლეთით, 50 კილომეტრში მდებარეობს.

აქ, მდინარე ძინძეს ორივე მხარეს, სპეციალისტების ყურადღება მიიქცია გეოლოგების მიერ კარგად შესწავლილმა ე.წ. გოდერძის წყების ვულკანურ ქანებში შემონახულმა „გაქვავებულმა ტყემ“. პალეობიოლოგების მიერ აქ შესწავლილი და გამოვლენილია ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები (მუხის, თელის, წიფლის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის გაქვავებული ნაშთები). საინტერესოა სუბტროპიკული მცენარეების (პალმის, ბზის) ფოთლების მკაფიო ანაბეჭდები. ეს ქანები მესამეული პერიოდის მიოცენურ ეპოქას მიეკუთვნება და მათი ასაკი დაახლოებით 15 მილიონი წლით განისაზღვრება. ამრიგად, მდინარე ძინძეს სიახლოვეს გოდერძის წყებამ ქვის გული გადაგვიშალა და გაქვავებული ფლორის კიდევ ერთი გასაოცარი ნიმუში შემოგვთავაზა: სამხრეთისაკენ დახრილ, გაშიშვლებულ ქანებში შორიდანვე შეინიშნება მოყვითალო ფერის გაქვავებული ხის საკმაოდ მსხვილი ნაწილი, რომელიც პირველივე შეხედვით ვაზის ღეროს (შტამპს) ჩამოჰგავს. მისი დიამეტრი 30 სმ-ზე მეტია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნიმუში ამოღებისთანავე მასში არსებული ბზარების გამო რამდენიმე გრძივ ნაწილად გაიყო. მთავარი კი ის არის, რომ გაქვავებული ხე მართლაც გიგანტური ვაზის ღერო (შტამპი) აღმოჩნდა. ვაზის აღნაგობის განსაკუთრებული და მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურა კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისათვის. იგი ერთადერთი მცენარეა, რომლის წლიური ზრდის რგოლები თვალისათვის ძნელად შესამჩნევია, ხოლო გადახრილი ღერო სხივურ დისკოს მოგვაგონებს. ნიმუშის ახალ მონატეხს გამოკვეთილად ეტყობა ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმართული სხივური რადიალური აღნაგობა. ასე რომ, საეჭვო არა არის რა.

გიგანტური ვაზის ეგზემპლარები არც დღეს აკლია საქართველოს მიწას. მათი სახეობანი გვხვდება ხერთვისისა და ხიზაბავრის ცნობილი ტერასების შემოგარენში, ხოლო ადიგენის რაიონის სოფელ სმადაში დგას გიგანტური ზომის ვაზი, რომლის ასაკიც სამ საუკუნეს უახლოვდება.

მაშასადამე, ქისათიბის დიატომიტის საბადოდან მოპოვებული ვაზის ფოთლისა და ლერწის ანაბეჭდები (რომელთა ასაკი 10 მილიონი წლით განისაზღვრება) და გოდერძის წყებაში ნაპოვნი ვაზის ღეროს ნიმუში (რომელიც დაახლოებით 15 მილიონი წლით თარიღდება) უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საქართველო ვაზის უძველესი სამშობლოა, ხოლო საქართველოს სიმბოლო კი არის ჯვარი ვაზისა.

**დავით ყანდაშვილი**

# მამუკა რომ მოსკოვში არ წასულიყო, შესაძლოა ის არც მომხდარიყო...

***მამუკა კიკალეიშვილის ამ ქვეყნიდან წასვლა ბევრი მისი მეგობრისთვის გულდასაწყვეტი კი არა, ცხოვრების საუკეთესო ნაწილის დაკარგვაა, რადგან მათ ცხოვრებას მამუკას სახე მიჰყვებოდა სასიამოვნო თანამგზავრად. ბატონმა კახი კავსაძემ თქვა — მამუკას მილიონი ძმაკაცი და მეგობარი ჰყავდა და ყველას უნდოდა, რომ იგი მხოლოდ მისი ახლობელი ყოფილიყო. მამუკას გული უკიდეგანო იყო. ყველას შეეძლო თავი ეპოვა იქო...***

**კახი კავსაძე:** მამუკას სიკვდილის ამბავი რომ გავიგე, უცებ გამიელვა, თითქოს თავი მოიკლა, თითქოს ვერ მოერგო ამ ქვეყანას. ერთი მოუსვენარი კაცი იყო. გოლიათი და ძალიან მოუსვენარი. ერთი საქმე თითქოს არ ჰყოფნიდა. მსახიობობაც უნდოდა, ბიზნესმენობაც, თითქოს პოლიტიკოსობაც. ყველაფერი უნდოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფერი ერთად ვერ იქნები. როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, გულთან ძალიან მიიტანა ეს ამბავი მამუკამ. დასაფლავების დღეს მახსოვს, სულ გარბოდა და გამორბოდა. იქ ავტობუსების საქმეს აგვარებდა, აქ რაღაცას აკეთებდა. ყველაფერი რომ დამთავრდა, ვუთხარი, მე რომ მოვკვდები, ალბათ რამდენს ირბენ-მეთქი... ბატონო კახი, არავინ იცის, ვინ როდის მოკვდებაო. — სულელი ხარ-მეთქი ვუთხარი. მე მამუკაზე 25 წლით უფროსი ვარ და როგორ წარმოვიდგენდი, რომ მას კუბოში ვნახავდი. ძალიან დამწყდა გული. 4 წლის მანძილზე არ მახსოვს, მამუკა ურთიერთობაში ან კაცობაში ან პროფესიონალიზმში შემცდარიყო. ...როლის გამო ვშიმშილობდი. ასეთ დროს ძნელია მოქეიფეთა სუფრაზე ჯდომა. მან ეს იცოდა და ყოველთვის მომერიდებოდა, არ დამენახვებოდა ხოლმე. დამთავრდა გადაღებები და ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს დამემშვიდობა და წავიდა...

მოსკოვში ჩასვლისას ყოველთვის ვერიდებოდი მამუკასთან დარეკვას, არ მინდოდა მისი შეწუხება. ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ორი კვირით ადრე დამირეკა — რა არის, ბატონო კახი, რა გაწყენინეთ ასეთი, რატომ აღარ მირეკავთო...

შემპირდა, მოვალ, გინახულებო, მაგრამ ვეღარც მან მნახა, ვეღარც მე შევხვდი და ვნახე კუბოში ჩაწოლილი. მიცვალებულის ფერი არ ჰქონდა. ეძინა, ცოტა ნაწყენი, ცოტა მოღუშული იწვა. დიდხანს ვუყურე, არ მჯეროდა მისი სიკვდილი და თითქოს მინდოდა დამეჯერებინა...

მახსენდება გადაღებების ერთი ეპიზოდი. აპარატის მოშორებით ვდგავართ მე და მამუკა. იქიდან გვიყვირიან — „ბატონო კახი, თუ შეიძლება მარჯვნივ, ცოტა კიდევ მარჯვნივ. მამუკა, მამუკა, შენ წინ წამოდი. ის ვირზე ზის, მე — ცხენზე. ამომხედა მამუკამ და შენელებული ტონით მეუბნება: ბატონო კახი, გსიამოვნებთ ბატონობით რომ მოგმართავენო? რა ვიცი, არ მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ კახი რომ დამიძახონ, შეიძლება არ მესიამოვნოს-მეთქი. მე კი სულ მამუკას მეძახიანო — ჩაილაპარაკა. რამდენი წლისა ხარ-მეთქი — ვკითხე. ოცდაოთხისაო. 24-ის ხომ, — ვუთხარი — მე რომ შენი ხნის ვიყავი, იცი, რას მეძახდნენ? ეი, შენ, ვირო... და სანამ „ვირო“ არ დაუძახიათ, ჩუმად იყავი, ბევრს ნუ ლაპარაკობ-მეთქი... ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო 4 წელიწადი, რომელიც მამუკასთან ერთად გავატარე, დიდი ტკივილით მოსწყდა ჩემს გულს, თითქოსდა დასამარდა...

ძალიან, ძალიან დაგვაკლდა მამუკა.

**გოგა პიპინაშვილი:** მე და მამუკა ბავშვობიდან ვმეგობრობდით. ჩვენი მშობლებიც მსახიობები იყვნენ და ერთ წრეში ტრიალებდნენ. მახსოვს მამებს ხშირად დავყავდით აღლუმებზე, როცა თეატრები გამოდიოდნენ. მამუკა ყოველთვის ნაწყენი რჩებოდა, იმიტომ, რომ მამაჩემს მე სულ კისერზე ვეჯექი, მამუკა კი, მაშინაც ძალიან დიდი იყო და ყოველთვის ხელჩაკიდებული მიჩანჩალებდა-ხოლმე მამასთან ერთად. თეატრალურ ინსტიტუტში ჩვენი ურთიერთობა ყოველდღიური გახდა, უამრავ ადამიანს გადამხლართა და დამაახლოვა.

სტუდენტობისას ხშირად მიწევდა კინკლაობა, ჩხუბი, აყალმაყალი. მამუკა ნებისმიერ ჩხუბში გვერდით მედგა. მიუხედავად სიმსუქნისა, საოცრად მოქნილი იყო და ჩხუბშიც ძალიან მაგარი. ერთხელ, ბიჭებთან ერთად ვიდექი ინსტიტუტში. მამუკას ჯგუფელმა ჩემი მისამართით რაღაც სიტყვა ისროლა. გავბრაზდი, ავიღე ჯოხი (მაშინ ფეხი მქონდა მოტეხილი, ხელჯოხით დავდიოდი) და მოვუქნიე. მამუკა მიხვდა საქმის ვითარებას და იმ ბიჭს აეფარა. მე კი მოქნეული ჯოხი ვეღარ შევაჩერე და მამუკას თავზე გადავატეხე...



მამუკა კიკალეიშვილი და კახი კავსაძე

შემდეგ ის ბიჭი ძმაკაცების დასაძახებლად გაქცეულა. მე ამ დროს, ცხოვრებაში პირველად, რატომღაც ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შევედი. იმ ბიჭს და მის მეგობრებს მამუკა შეეჩეხა კარებში და უთხრა: — ჯერ ერთი, გოგა რა შუაშია, მე გეჩხუბებოდი, მერე, ხომ იცი, რომ ფეხი სტკივა, მესამეც, კაცი პირველად შევიდა ბიბლიოთეკაში და როგორ გამოვიყვან იქიდანო. თუ გაგიძლებთ, მე მეჩხუბეთო და იმ ყმაწვილიანად 15 თუ 20 კაცს ალექსანდროვის ბაღში გაუძლვა. ეს ჩხუბი, რა თქმა უნდა, არ იყო ჩხუბი იმისათის, რომ როგორმე კაცი მოეკლათ. როგორც შემდეგ გავიგე, მხოლოდ მამუკა და ჩემი მოდავე ჩხუბობდნენ, დანარჩენები კი უყურებდნენ. პირველად მამუკამ შემოუქნია ხელი და მოწინააღმდეგე ძირს დასცა. მერე, ეს ამხელა კაცი მუცელზე მოექცა და ხტუნვა დაიწყო. ჩხუბის მერე მამუკას ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, მერე თავს იმართლებდა, ამდენ ხალხს ვეომებოდი და ერთი მუშტი ხომ მაინც უნდა მომხვედროდაო. დავინახე, როგორ მოფრინავდა ჩემკენ დიდი მუშტი, თავი მარჯვნივ გავწიე, მუშტიც მარჯვნივ წამოვიდა, მარცხნივ გავწიე — ისიც გამომყვა. მერე ხელი ჩავიქნიე — ჯანდაბას, ერთი ხომ მაინც უნდა მომხვდეს-მეთქი და თვალი შევუშვირეო. ამ მუშტის მერე თურმე მაგრად გამწარდა მამუკა და იმ ბიჭს გამოეკიდა. ის იყო მიასწრო და დასარტყმელად მოემზადა, რომ იმ ბიჭმა ბავშვივით იყვირა, — შენი ძმაკაცის ბიძაშვილი ვარ, არ დამარტყაო... მამუკას კარგა ხნის მერე ამოულუღლუღია — შენ რომ დამარტყი და მეტკინაო. ეს აყალმაყალი ბოლოს რესტორანში დასრულდა.

გაგრძელება 26-ე გვერდზე

## ᲢᲔᲡᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ!

ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება უმეტესად მწვავე ანთების შედეგად ვითარდება და თითქმის ყოველთვის თან ახლავს ნაღველ-კენჭოვან დაავადებას. ამასთან ქრონიკული ქოლეცისტიტი შესაძლოა წლების მანძილზე უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს. დაავადება, ძირითადად, იმ ადამიანთა ხვედრია, ვინც საკვების ხასიათს ყურადღებას ნაკლებად აქცევს, უყვარს ცხარე, მწარე, მჟავე კერძები, ცხიმოვანი პროდუქტის ჭარბი მიღება... პათოლოგიას ხელს უწყობს მავნე ჩვევები (ალკოჰოლისა და თამბაქოს გამოყენება), უმოძრაო ცხოვრება. იგი აღინიშნება ორსულებშიც. ხშირად გვხვდება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა ორგანოების დაავადებებთან ერთად. მისი სიმპტომებია:

*1. ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში.*

*2. ეს ტკივილი შეიძლება გადაეცეს მარჯვნივ ლავიწის, ბეჭის, ზურგის, მხარის მიდამოებს.*

*3. მუდმივი კავშირი საკვების მიღებასა და ტკივილს შორის არ აღინიშნება. თუმცა დიეტის დარღვევისას შეიმჩნევა დისკომფორტისა და ტკივილის გაძლიერება.*

*4. დამახასიათებელია მუცლის შებერილობა, ყაბზობა (შეკრულობა).*

*5. სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში.*

*6. ხშირია ტემპერატურის მატება 37-დან 38 გრადუსამდე.*

ორი ან მეტი დადებითი პასუხის შემთხვევაში დიდი ალბათობაა, რომ თქვენ ქრონიკული ქოლეცისტიტი გაწუხებთ.


**ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ**

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

**ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ!!!**

ᲛᲘᲡ: ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲪᲝᲢᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ 87, ᲙᲐᲑ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97



**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ**

ᲦᲠᲫᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲘᲥᲡᲘᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ® ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ „ᲪᲘᲡᲐᲜᲐ“

ᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲗᲘ

მცენარეული ნაყენი პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადების სამკურნალოდ (ნებ. №FT-0104)

◆ღრძილების ანთება ◆პარადონტოზი ◆გინგივიტი ◆პიორეა ◆სტომატიტი ◆ჩირქოვანი გლანდები ◆ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან ◆სურდოს,გრიპისა და ხველების დროს.
◆წამალი მოთავსებულია 0,5 და 0,33 ლ. მინის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 141 (9-18სთ.)
ილ. ჭავჭავაძის 54 (10-20სთ.) კვირის გარდა
ტელ: 877-41-86-16; 69-18-38 (საღამოს)



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘ, ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲔᲕᲢᲘ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ**

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



**SGS** – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
**SGS** – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
**SGS** – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
**SGS** – განკურნების მაქსიმალური გარანტია
**SGS** – აბსოლუტური ანონიმურობა

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



NILC Georgia

ექიმების, ბიოსამედიცინო დარგის მკვლევარების და მედიკოს სტუდენტების საყურადღებოდ

საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

*გთავაზობთ:*

- საინფორმაციო ძიებას ინტერნეტში, **Medline/OVID**-სა და **MDConsult**-ში - 3500 ჟურნალის თეზისები, 60 ჟურნალის - სრულტექსტური სტატიები!
- სტატიების 48 სთ-ში მიღებას აშშ უნივერსიტეტებიდან ელექტრონული პროგრამა "**Ariel**"-ის მეშვეობით;
- ინტერნეტში და **Medline**-ში მუშაობას ყველაზე დაბალი ფასებით (1სთ – 0,75 ლ);
- სამედიცინო თეზისებისა და სტატიების განთავსებას ინტერნეტში;
- მულტიმედიური (CD-ROM) სამედიცინო პროგრამებით სარგებლობას;
- 130-მდე უახლეს სახელმძღვანელოს და კაპლანის ტესტებს (ინგლისურ ენაზე);
- ინფორმაციებს კონგრესების, კონფერენციების, სიმპოზიუმების შესახებ;
- ორკვირეულ ქართულ-ინგლისურ „ინტერნეტის სამედიცინო დაიჯესტს“;
- ელექტრონული ფოსტით (E-mail) სარგებლობას;
- სწრაფად შემსწავლელ კომპიუტერულ კლასებს სათანადო სერთიფიკატების გაცემით;
- ინტერნეტში სარეკლამო ფურცლების დამზადებას და **უფასოდ** განთავსებას ცენტრის ვებ-სერვერზე და საქართველოს ჯანდაცვის მონაცემთა ბაზაში;
- მომსახურების მოხერხებულ სააბონენტო სისტემას.

***ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲐᲘᲜᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ!!!***

მომხმარებელთა მიღება: 12-16.30 სთ; კომპიუტერული კლასები: 16.30-18 და 18-19.30 სთ (წინასწარი ჩაწერა).

**მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.№51, II სართული**
**ტელ. 94-13-88, 94-13-86. ფაქსი: 94 13 91.**
***ელ-ფოსტა: nilc@nilc.org.ge ან hp@nilc.org.ge***
***http://www.nilc.org.ge***

MDConsult OVID | NLM United States National Library of Medicine | Ariel




# ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲐᲚᲔᲠᲒᲘᲐ

ალერგია ორგანიზმის პათოლოგიურად გაძლიერებული რეაქციაა ამა თუ იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობისთვის სრულიად უვნებელია.

ის ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. და თუმცა, საბედნიეროდ, ალერგია იშვიათად იწვევს სიკვდილს, ის თავის დაღს ასვამს მრავალი ადამიანის ცხოვრებას, ხშირად კი, მათი დაინვალიდების მიზეზი ხდება. ალერგიის შემთხვევები კატასტროფულად მატულობს. ყოველი ხუთი ადამიანიდან, ერთი ან უკვე დაავადებულია, ან შეიძლება მომავალში დაავადდეს ალერგიით. დღესდღეობით ალერგიულ რეაქციათა გამომწვევი ფაქტორი უამრავია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია მცენარეული მტვრის მიმართ განვითარებული რეაქცია ე.წ. პოლინოზია.

მისი სიმპტომებია: ცხვირიდან უხვი გამონადენი, ცემინება, ქავილი, ცრემლდენა, თვალების შეწითლება, ხველა. ამჟამად მსოფლიოში ალერგიისგან თავდასაცავად რიგი ხელსაწყოებია შექმნილი. ზოგიერთი მათგანი ოთახის ჰაერის ალერგენებისგან გაწმენდასაც უზრუნველყოფს. მაგრამ, რადგან მათი შეძენა მხოლოდ მცირედთა უპირატესობაა, ჩვენ „თავდამსხმელებისგან“ თავდასაცავად რამდენიმე ხერხს შემოგთავაზებთ:

— ოთახის დასაცავად ფანჯრებზე მარლის ნაჭრები გააკარით, რომლებიც დღეში 2-ჯერ მაინც უნდა დასველდეს.

— სახლიდან გასვლისას სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

— ქალბატონებო! თავი შეიკავეთ კოსმეტიკის ჭარბად გამოყენებისაგან.

— ძალზე სასარგებლოა გრილი შხაპის მიღებაც.

— „საშიშ“ პერიოდში მოერიდეთ — ვაშლის, მარწყვის, სტაფილოს, ატმის, თხილის მიღებას.

დღეს აფთიაქებში ალერგიის საწინააღმდეგო უამრავი სამკურნალო საშუალებაა. მაგრამ თვითმკურნალობით გატაცებას სულაც არ გირჩევდით. ზოგიერთი პრეპარატის კომბინაციამ შესაძლოა თქვენს ნერვულ სისტემაზე უარყოფითად იმოქმედოს, ამიტომაც ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია. თუკი ჩივილები მხოლოდ თვალებთან დაკავშირებული დისკომფორტით გამოვლინდება, თავი შეიკავეთ — სუპრასტინის, ტავეგილისა და სხვა ანტიჰისტამინური პრეპარატების მიღებისაგან. ისინი ხომ მთელ ორგანიზმზე ახდენენ ზემოქმედებას. ამ დროს ადგილობრივი საშუალებების ხმარებაა მიზანშეწონილი. მაგ. გისტიმედი — მისი ჩაწვეთება თვალში ან ცხვირში (1-2 წვეთი) 10-15 წთ-ის შემდეგ შვებას მოგგვრით. კარგია კრომოჰექსალის გამოყენებაც.

აქვე უნდა გაგაფრთხილოთ! ალერგიისგან განკურნების მიზნით ბალახებს ნუ მიმართავთ. ამ დროს ისინი არ გამოგადგებათ, პირიქით, შესაძლოა ზედმეტი პრობლემებიც კი შეგიქმნათ.

საფრთხე „ჩაბუდებულია“ თაფლშიც, ამიტომ კრიტიკულ პერიოდში მის მიღებასაც მოერიდეთ. ზოგჯერ ადამიანებს გაზაფხულზე გამოვლენილი ჩივილების — ქუთუთოებისა და ფეხების შეშუპება, თვალების ქავილი, ხველა — წარმოშობა აეჭვებთ. ამ დროს, რაღა თქმა უნდა, სპეციალისტთან (ალერგოლოგთან) კონსულტაციაა რეკომენდებული. მაგრამ თქვენი ჩივილების ალერგიული წარმოშობის დადასტურება ძალზე მარტივად შეიძლება. კერძოდ, სისხლის საერთო ანალიზით — ამ დროს მომატებული ე.წ. ეოზინოფილების რაოდენობა თქვენი დისკომფორტის ალერგიული ხასიათის დამადასტურებელია.

***მაია მუხიგული***

# ᲓᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲩᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲘᲠᲘᲚᲡ

სიცოცხლის პირველ თვეებში ჩვილი ტირილით გვამცნობს თავის გუნება-განწყობას. შეისწავლეთ მისი თითოეული ბგერის შინაარსი. ზოგიერთი აღმზრდელობით მეთოდს არ ღალატობს, ხელში აყვანას დაეჩვევაო და ამიტომ დაუცველი არსების ძახილს ყურაღებას არ აქცევს. ასეთი საქციელი აღაგზნებს ჩვილისა და დედის ნერვულ სისტემას.

ჩვილი უკვე პიროვნებაა და ტირილით გამოხატავს პროტესტს. ჩაიხუტეთ მტირალი პაწია, მას თქვენთან ურთიერთობა, თქვენი მოფერება სჭირდება. სასურველია, ბავშვი მაგრად შეახვიოთ. მასზე ერთნაირად მოქმედებს უარყოფითი და დადებითი ემოციები, აღაგზნებს მას და თუ მაგრად იქნა შეხვეული საფენებში უმალ მშვიდდება.

ყურადღებით მოუსმინეთ ბგერებს!

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ დაბალ ტონალობაში ბგერა „ა“-სა და „ე“-ს გამოძახილი შიმშილის, დისკომფორტის (ჩასველებულია ან დაღლილი) მანიშნებელია. ერთი ტონალობის, მაგრამ არა თანმიმდევრობით ყვირილი გულისწყრომის ან ყურის ტკივილის ნიშანია. მოულოდნელი წამოყვირება მუცლის ტკივილის (შებერილობა), ძლიერი ინტოქსიკაციის ან ცენტრალური ნერვული სისტემის ცვალებადობაზე მეტყველებს.



ხმადაბალი და თანდათან ამაღლებული ბგერები დამახასიათებელია დასუსტებული ან მძიმედ დაავადებული ბავშვებისათვის.

თუ ბავშვი 1,5-2 საათის მანძილზე ვერ დაამშვიდეთ, ტირილის ბგერების ტონალობა იცვლება: მონოტონური, მოდულირებული ტირილის შეტევებს შორის ბავშვი აპათიური თუ ხდება, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

***ლიზა №16***

# ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

— ბრიტანელმა ექიმებმა სიმსუქნის წინააღმდეგ ახალი მეთოდი შეიმუშავეს — დაბალკალორიული საკვების ნაცვლად ჭარბწონიანებს შესთავაზეს საკვები დანამატები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ღორმუცელა ადამიანის ქვეცნობიერებაზე. ეს არის დიეტური მტვერი, რომელიც უნდა შეერიოს მარილს, წიწაკას და საწებელს. მისი საშუალებით თავის ტვინს გადაეცემა სიგნალები და ადამიანი დროულად წყვეტს ჭამას. დიეტური მტვრის მიღებისას ადამიანს ნაყროვნების შეგრძნება უჩნდება.

— ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თითოეულ ადამიანს დღე-ღამეში აუცილებლად 9 საათი უნდა ეძინოს. პროფესორ პოლ ჯერვეის აზრით, ძილის ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს გრძელდება სიბნელე. ადამიანს იმიტომ კი არ სძინავს, რომ ამას ფიზიოლოგია მოითხოვს, ორგანიზმი ძილის გარეშეც ცოცხლობს, არამედ ტვინი უიმისოდ ვერ ძლებს. მისთვის მნიშვნელოვანია სიმშვიდე, ძილი, სიზმრები.

— ამერიკელი და ევროპელი შეძლებული ქალბატონები უფრთხიან კოსმეტიკური ქირურგიული ოპერაციების გაკეთებას და უპირატესობას ახალ მეთოდიკას ანიჭებენ. სახეზე ნაოჭების გასასწორებლად კანქვეშ იშხაპუნებენ არა კოლაგენს, არამედ საკუთარ ცხიმს. ქირურგი შპრიცით იღებს ცხიმის საჭირო რაოდენობას დუნდულებიდან, მუცლის არიდან ან თეძოებიდან და შეჰყავს სახის სხვადასხვა მონაკვეთში. შედეგი 15 წუთში ჩანს. ასეთი ოპერაციების დროს ვერ მოხდება უკურეაქცია, ვინაიდან პაციენტის ორგანიზმში შედის არა უცხო სუბსტანცია, არამედ საკუთარი.

— ყურის ბიბილოზე მოთავსებულია 11 ნერვული წერტილი, რომელიც უკავშირდება თვალებს, კბილებს, ენას, სახის კუნთებს, შიდა ყურს. არასწორი გახვრეტისას შეიძლება ნემსი ისეთ წერტილში მოხვდეს, რომელიმე ორგანოს გაღიზიანება გამოიწვიოს, თანაც თუ საყურე მდარე ხარისხის ლითონისგანაა დამზადებული, გაღიზიანება დიდხანს გრძელდება, რის შედეგადაც ადამიანს უქვეითდება მხედველობა, ეწყება კბილების ტკივილი, ამიტომ ეს პროცედურა უნდა ჩაატაროს სპეციალისტმა, აქტიური წერტილებიდან მოშორებით. კვალიფიციურად გაკეთებულმა ნახვრეტმაც კი შეიძლება იმოქმედოს ჯანმრთელობაზე. ზოგიერთი ექიმი გვირჩევს, უსიამოვნების ასაცილებლად საყურეები ვატაროთ დღეში არა უმეტეს სამი საათისა და აუცილებლად მოვიხსნათ ღამით. ბავშვებმა და მოზარდებმა უმჯობესია არ გაიხვრიტონ ყურის ბიბილოები, სანამ არ გაიზრდებიან.

— ფუტკრის დინდგელი საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განსაკურნავად.100 გ დაქუცმაცებულ დინდგელს ვათავსებთ მინის ქილაში და თანდათანობით ვუმატებთ 0,5 ლ $96^0$-იან სპირტს. ვანჯღრევთ დაახლოებით 30 წთ-ს და ვინახავთ ბნელ ადგილას. ამ პროცედურას ვიმეორებთ 2-3-ჯერ. 4-5 დღის შემდეგ ხსნარს ვფილტრავთ. იგი შეიძლება წლების განმავლობაში შევინახოთ. 15-20 წვეთი გავხსნათ მცირე რაოდენობის წყალში ან ადუღებულ ნელთბილ რძეში და მივიღოთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე, 1 თვისა და 15 დღის განმავლობაში. ამასთან ერთად, 1ჩ/კ თაფლი გავხსნათ ჭიქა წყალში და დავლიოთ დილა-საღამოს. 25 დღის შემდეგ უკეთ იგრძნობთ თავს, ხოლო თვე-ნახევრის შემდეგ სრულიად განიკურნებით.

***უცხოური პრესის მიხედვით***

# „ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ“ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲔᲑᲘ



კრაზანა

***ამ ბიოლოგიური საშუალების მიღება მკვეთრად აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ასუფთავებს ორგანიზმს ცხიმისა და მარილებისაგან, ყველა სისხლძარღვი ელასტიკური ხდება, თავიდან აიცილებთ სკლეროზს, სტენოკარდიას, ინფარქტს, თავბრუსხვევას, აღგიდგებათ მხედველობა, გაგიუმჯობესდებათ საერთო მდგომარეობა, გაახალგაზრდავდებით.***

ეს „ჯადოსნური“ რეცეპტი იუნესკომ 1971 წელს აღმოაჩინა ტიბეტის ერთ-ერთ მონასტერში ჩვ.წ. აღმდე V საუკუნის თიხის ფირფიტაზე.

ავიღოთ 100-100 გ გვირილა, კრაზანა, ნეგო, არყის ხის კვირტები. დავფქვათ, ავურიოთ და მჭიდროდ დახურულ ქილაში მოვათავსოთ.

საღამოს 1 სუფრის კოვზ ბალახეულს დავასხათ 0,5 ლ მდუღარე წყალი და 20 წთ დავაყენოთ. შემდეგ გადავწუროთ თეთრ ნაჭერში. ერთ ჩაის ჭიქა სითხეს დავუმატოთ 1 ჩ/კ თაფლი და დავლიოთ. უმჯობესია მისი მიღება გვიან, ძილის წინ, რადგან შემდეგ რაიმეს ჭამა ან დალევა არ შეიძლება. დილით, დარჩენილი დათაფლული სითხე საუზმემდე 15-20 წუთით ადრე დავლიოთ. და ასე ყოველდღე, სანამ ულუფა არ დამთავრდება.

***მარილებისგან გასათავისუფლებლად ძალიან ეფექტური საშუალებაა ასევე უძველესი ბალახეული რეცეპტი:***

100 გ ნეგო, 150 გ კრაზანა, 50 გ გვირილა, 85 გ მარწყვის ფოთოლი და 90 გ არყის ხის კვირტები დავფქვათ, ერთმანეთში კარგად ავურიოთ და მინის ჭურჭელში შევინახოთ. ყოველ საღამოს 2 სუფრის კოვზი ნარევი ჩავყაროთ თერმოსში, დავასხათ 400 გ მდუღარე წყალი და გავაჩეროთ ერთი საათი. მივიღოთ 100-120 გ თბილ-თბილად, 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

# სუნის მაგია

„დაე, ყოველი დილა მან ჩემზე ფიქრით დაიწყოს“, — ღიმილით თქვა ნატამ და სატრფოსთვის ნაყიდი პირსახოცი დროებით კარადაში, თავის ნივთებთან დადო.

„შეყვარებულის მოჯადოება გინდა?“ — გაეხუმრა ნინა და, თურმე, არცთუ უსაფუძვლოდ. ადამიანის სულის ბევრი სპეციალისტი, რომელიც საკუთარ თავს ექსტრასენსს და ჯადოსანს უწოდებს, ოდითგან ასწავლიდა ქალებს ასეთ პატარ-პატარა ეშმაკობებს. თქვენი რჩეულის მოსაზიდად სჯობს ცხვირსახოცების, ტყავის საფულის, მუდმივი კალმის, კოვზის ჩუქება... შეყვარებული აიღებს კოვზს და თქვენ გაახსენდებით, გახსნის საფულეს და ისევ თქვენზე იფიქრებს, მით უმეტეს, თუ სურდო შეეყარა, ცხვირთან წამდაუწუმ თქვენი ნაჩუქარი ცხვირსახოცი მიიტანა, მაშინ ხომ სულ თქვენ ეყოლებით თვალწინ.



თუკი ქალის ნაჩუქარი ნივთი მის ოთახში იდო ან ხელში რამდენიმე წუთით მაინც ეკავა, დიდხანს შეინარჩუნებს ქალის სხეულის ან მისი საცხოვრებლის აურას, განსაკუთრებით თუ საქმე შალს ან ტყავს ეხება. უძველესი დროიდან, თაობიდან თაობას გადაეცემოდა რელიკვიები, რომლებიც ინახავდნენ წინაპრების სუნს. ქალიშვილი ომში მიმავალ შეყვარებულს ყელსახვევს ჩუქნიდა, დედები შინიდან წასულ ვაჟებს ჩანთაში უდებდნენ შალის სვიტერს ან ხელთათმანებს. მშობლიური სახლის ან საყვარელი ადამიანის სუნი ეხმარებოდა მამაკაცს მძიმე წუთებში.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუკი ოჯახში მხოლოდ დედა და ქალიშვილია, გოგონა ნელა ვითარდება, მაგრამ თუ სახლში ინახება მამისეული ნივთები, მაშინ გოგონა არაფრით ჩამორჩება თანატოლებს, რომლებიც სრულყოფილ ოჯახებში იზრდებიან. ამის მიზეზია მასთან გენეტიკურად დაკავშირებული მამაკაცის ტანსაცმლის ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედება.

მსგავსი რამ ემართებათ ქმრის მოსიყვარულე ქვრივ ქალებსაც. ისინი მძაფრად განიცდიან მეუღლის სიკვდილს, მუდმივად ეხებიან მათ ტანსაცმელს, მის სუნს შეიყნოსავენ, იხსენებენ წარსულს და ამით ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების უკმარისობის კომპენსაციას ახდენენ.

სუნს ყოველთვის იყენებდნენ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თავიდან — ქვეცნობიერად, შემდეგ კი სავსებით გააზრებულად, როცა მის ძალაში რწმუნდებოდნენ. სუნს იყენებდნენ, როგორც სტიმულატორს, ანტიდეპრესანტს სხვა ადამიანებზე სამანიპულაციოდ. აფრიკულ ტომებში დედა ქალიშვილს გადასცემდა სურნელის საიდუმლოებას, რომლის საშუალებითაც არასასურველი ქმარი ქალს თავად უარყოფდა. მაგრამ საკმარისი იყო, სურნელის შეცვლა, რომ სასურველი მამაკაცი სიგიჟემდე მიეყვანა.

ლოგინის თეთრეულზე დაპკურებული ლავანდის ზეთი არა მარტო სიახლის, სისუფთავის შეგრძნებას იწვევს, არამედ ეჭვებსა და შეშფოთების შეგრძნებას აქარწყლებს. თეთრეული, რამდენიმე გარეცხვის შემდეგაც კი, ინარჩუნებს მამაკაცის სუნს. ლავანდა ამ სუნს აქრობს. ერთმა ქალმა ქმარი რამდენიმე დღით გაისტუმრა და შინ საყვარელი მოიყვანა. შემდეგ გულმოდგინედ დაალაგა საძინებელი, ყვავილებიც ჩადო ლარნაკში, ოთახიც გაანიავა, რა თქმა უნდა, თეთრეულიც გამოცვალა და გარეცხა, მაგრამ, როგორც კი შინდაბრუნებულმა ქმარმა საძინებლის ზღურბლს გადააბიჯა, მაშინვე იეჭვა, რომ ცოლთან ვიღაც იყო.

ახლა კი ისწავლა ჭკუა ქალმა და მუდამ თან ატარებს ლავანდის ზეთს...

მაგრამ გახსოვდეთ: თუკი ლავანდის ბუნებრივი სურნელი ამშვიდებს მამაკაცს და ეჭვებს უქარწყლებს, მძაფრი სუნი, პირიქით, ეჭვიანობის გრძნობასაც უძლიერებს.

***ვერსია №17***

# „მაკ-კორმიკის თავის ქალის“ საიდუმლო



1824 წელს მაკ-კორმიკის მეზობელი სახლის ასაშენებლად საძირკველს თხრიდა და უძველეს სამარხს წააწყდა. ნაპოვნი ამულეტით თუ ვიმსჯელებთ, იქ ქურუმი იყო დაკრძალული. ჩონჩხს სახეზე ჰქონდა თაბაშირის მსგავსი რამ, რომელიც ხელის შეხებით მტვრად იქცა. მიუხედავად ამისა, მაკ-კორმიკმა კარგად დაიმახსოვრა ნანახი, შეძლო საოცარი გარეგნობის მამაკაცის სახის დახატვა, რომელსაც ცხვირი თვალებს შუა კი არა, შუბლიდან ეწყებოდა და თავის ქალაზე დამახასიათებელ ძვლოვან ლილვაკს ქმნიდა. თავისი ნახატი, შემორჩენილი ნივთები და თავის ქალა მაკ-კორმიკმა ადგილობრივ არქეოლოგიურ მუზეუმს გადასცა.

1912 წელს ბევრ გაზეთში გამოჩნდა სენსაციური ცნობა, რომელიც ეყრდნობოდა ცნობილი არქეოლოგის, ჰენრიხ შლიმანის შვილიშვილის, პაულის მონათხრობს. როგორც ცნობილია, შლიმანმა აღმოაჩინა ტროა, შვილმა კი „აღმოაჩინა“ ბაბუის ანდერძი, რომელშიც არქეოლოგი თითქოს წერდა, რომ მან მიაგნო ანტლანტიდის კვალს. პაულის თქმით, ტროის გათხრისას, ბაბუამ იპოვა ბრინჯაოს სასმისი ფინიკიური წარწერით: „ატლანტიდის მეფე ქრონოსისგან“, ხოლო ეგვიპტეში ჩატარებული გათხრების დროს აღმოაჩინა პაპირუსები ატლანტიდაზე ინფორმაციით. ბაბუის ეგვიპტურ მონაპოვართა შორის ფიგურირებდა „ატლანტის ნიღაბი“, რომელიც ქარვის ნატეხებისგან იყო გაკეთებული. პაულ შლიმანმა ჟურნალისტებს უჩვენა ნიღბის შავ-თეთრი ფოტო და ახსენა საიდუმლო სეიფი, სადაც ბაბუის ნაპოვნი ნივთებია შენახული. ამ დროს დაიწყო მსოფლიო ომი, სენსაციას გაგრძელება არ მოყოლია, ხოლო პაულ შლიმანი ამოუცნობ ვითარებაში გაუჩინარდა.

სპეციალისტი-არქეოლოგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქარვის ნიღაბი ყალბია, რადგან ქარვა მხოლოდ ბალტიისპირეთშია, მცირე რაოდენობით მოიპოვება ალასკაზე, ეგვიპტეში კი მისი პოვნა ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგრამ ამ ამბიდან ძალიან მალე ქარვის სამკაულები აღმოაჩინეს ეგვიპტის ფარაონების სამარხებში, ხოლო 1964 წ. მექსიკელმა არქეოლოგმა ქარვა იპოვა მაიას ტომის ქურუმის სამარხშიც. ქარვის პატარა ნატეხებისგან იყო გაკეთებული სახის ნიღაბი. სწორედ მაშინ, არქივიდან ამოქექეს პაულ შლიმანის ნიღბის ფოტო და გაიხსენეს ირლანდიელი პედაგოგის მაკ-კორმიკის ნახატიც. მისი ნახატი და შლიმანის ფოტო განეკუთვნებოდა დღემდე უცნობი ერთი და იმავე რასის წარმომადგენელს, რომელსაც ცხვირი შუბლის შუა ნაწილიდან ეწყებოდა. ამ რასის ადამიანებს ევროპული ტიპის სახე ჰქონდათ, დამახასიათებელი ესპანელებისა და ფრანგებისათვის, მხოლოდ ცხვირის ფორმა იყო უცნაური და განსხვავებული. „ქურუმის“ ჩონჩხის ზომის მიხედვით დაადგინეს მისი სიმაღლეც, რომელიც საშუალო ირლანდიელის სიმაღლეს აღემატებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გაგრძელდა არქეოლოგიური გათხრები. იქ იპოვეს მაიას ქალაქები — ტიკალი, კოპანი, პალენკე და იქაც აღმოაჩინეს „გრძელცხვირა“ ადამიანების ნაკვალევი. პალენკეში ამოთხარეს ნეფრიტის ნიღაბი და ქურუმთა სტატუეტები, დამასახიათებელი ცხვირებით. საყურადღებოა, რომ ნიღბები და გრძელცხვირიანი გამოსახულებები ეკუთვნოდა მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს — ბელადებს, ქურუმებს. ასეთივე ცხვირები აღმოაჩნდათ მაიას ხალხის ღმერთებს — მზისა და სიმინდის უფალთ.

მაკ-კორმიკის ნაპოვნ თავის ქალასა და პალენკურ თავის ქალას ერთმანეთს ორი ათასზე მეტი წელი აშორებს. არქეოლოგების აზრით, თავის ქალა დაახლოებით 3 ათასი წლისაა, ხოლო პალენკის კულტურის პერიოდი გახლდათ -V სს ჩვ. წ.ა-მდე.

აღსანიშნავია, რომ მაიასა და ინდიელთა სხვა ტომების მეხსიერებაში შემორჩა ლეგენდა მათთან ზღვით მოსულ ცისფერთვალება და ქერათმიან ადამიანებზე, რომლებიც ტოლანის ან აცტლანის ქვეყნებიდან იყვნენ.

ახლა დავუბრუნდეთ შლიმანის „ანდერძის“ ტექსტს, რომელზეც მისი შვილიშვილი მიუთითებდა. „პეტერბურგის მუზეუმში მე ვნახე მეორე დინასტიის ფარაონ სეტის დროინდელი პაპირუსის გრაგნილი. ამ პაპირუსებში აღწერილია ფარაონის ექსპედიცია დასავლეთში ატლანტიდის ნაკვალევის საპოვნელად. ექსპედიცია ექვსი წლის შემდეგ ხელცარიელი დაბრუნდა. იმავე მუზეუმში დაცულ მეორე პაპირუსში, რომელიც ეკუთვნოდა ეგვიპტელი ისტორიკოსის მანეფონის კალამს, ზუსტდება, რომ ეგვიპტის ისტორია დაიწყო 16.000 წლის წინ. ჩემ მიერ მიკენში აღმოჩენილი წარწერა გვაუწყებს, რომ ეგვიპტელების წინაპარი მისორი ეგვიპტის ღმერთის ტოტას შვილია, რომლის მამაც გახლდათ ატლანტელი ქურუმი. მას შეუყვარდა მეფე ქრონოსის ქალიშვილი, გამოიქცა ატლანტიდიდან და დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ეგვიპტეში ჩავიდა. სწორედ ტოტამ ააგო პირველი ტაძარი საისში და ხალხს სამშობლოში დაგროვილი ცოდნა გადასცა.

ამ ცნობით 60-იან წლებში დაინტერესდა პოლონელი ატლანტოლოგი. მიმართა ერმიტაჟს და მიიღო გასაოცარი, დაუჯერებელი პასუხი — მსგავსი პაპირუსები ერმიტაჟში არასოდეს ყოფილაო.

ადვილი შესაძლებელია, რომ ორმა ომმა და, რაც მთავარია, სისხლიანმა რევოლუციამ შეიწირა ეს მნიშვნელოვანი პაპირუსები.

***ვოკრუგ სვეტა №21***

# ტესტი დაძლიეთ უსიამოვნება!

***ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა, უსიამოვნებებისთვის „თვალის გასწორება“. შეგიძლიათ პრობლემების დაძლევა? ამის გასაგებად ტესტი დაგეხმარებათ. თითოეული პასუხი, აღნიშნული ასოთი „ა“ — 1 ქულით ფასდება; პასუხი, აღნიშნული ასოთი „ბ“ — 3 ქულით, ასოთი „გ“ კი — 2 ქულით.***

**1. მშვენიერ ქალბატონთან ცეკვის დროს ან საქმიანი შეხვედრისას, ცდილობთ თავი გამოიჩინოთ. მაგრამ აი, ფეხი აგიცდათ და წაიქეცით. ბუნებრივია, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდით. თქვენი საქმიანი პარტნიორი ან ქალბატონი სიცილს ვერ იკავებს. თქვენ:**

ა) გაბრაზდებით, რომ დაგცინეს;

ბ) შეუერთდებით საერთო მხიარულებას;

გ) თავს მოაჩვენებთ, რომ ძალზე დაშავდით.

**2. მძიმე დღე გქონდათ. საღამოს თქვენი მეუღლე (ცოლი, ქმარი) შინ უგუნებოდ ბრუნდება. თქვენ:**

ა) შეეცდებით დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვას, უგუნებობის მიზეზს გამოჰკითხავთ;

ბ) ეცდებით, გაამხიარულოთ

გ) დაელოდებით, სანამ გუნება გამოუკეთდება

**3. თუ რომელიმე თანამშრომელს თვალში არ მოუდიხართ და ხშირად გეკინკლავებათ, თქვენ:**

ა) აგრძნობინებთ, რომ ასეთივე დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ;

ბ) სასაცილოდ აიგდებთ;

გ) პირდაპირ მიახლით, რომ აბსოლუტურად არ გაინტერესებთ არც იგი და არც მისი ღვარძლიანი შენიშვნები.

**4. მოსაწყენი ადამიანის კომპანიაში მოხვედრილი, თქვენ:**

ა) აგრძნობინებთ, რომ მისი ლაყბობა მოგბეზრდათ;

ბ) უამბობთ სასაცილო ისტორიას, რომელშიც საკუთარ თავს შეიცნობს ან ხუმრობით მიახვედრებთ, მოსაწყენი ადამიანი რომ არის.

ბ) შეეგუებით სიტუაციას.

**5) სპორტულ შეჯიბრში დამარცხდით. თქვენ:**

ა) ივიწყებთ მარცხს და სიხარულით ულოცავთ გამარჯვებულს;



ბ) ცოტა არ იყოს, გაბრაზდებით, რომ დამარცხდით;

გ) თავს დათრგუნვილად გრძნობთ.

**6) გაიგეთ, რომ თქვენზე არასახარბიელო, თანაც ცრუ ამბებს ჰყვებიან. თქვენ:**

ა) ჭორიკანასთან მიხვალთ საქმის ვითარების გასარკვევად;

ბ) ხუმრობით მიახვედრებთ, რომ ეს შეიძლება სიმართლე იყოს;

გ) განაწყენდებით

**7. როცა უგუნებოდ ხართ, თქვენ:**

ა) გეჩვენებათ, რომ ამას ყველა ამჩნევს;

ბ) გეჩვენებათ, რომ ამას იშვიათად ამჩნევენ;

გ) ირგვლივმყოფთ ამაში გულახდილად გამოუტყდებით.

**ახლა კი ქულები დაითვალეთ:**

**17-20 ქულამდე:** უსიამოვნებების დაძლევის უნარი გაქვთ. კარგად გესმით, ნერვები რომ არ აგეშალოთ, უმჯობესია, ყველაფერს იუმორით შეხედოთ და აღარასოდეს გაიხსენოთ მომხდარი. თქვენ იცით, რას უნდა ებრძოლოთ და რა უნდა დაივიწყოთ. თქვენ ძლიერი პიროვნება ხართ.

**11-16 ქულამდე:** ზოგჯერ უსიამოვნებებზე იმარჯვებთ კიდეც, მაგრამ მეტი აქტიურობა გმართებთ. ნებისმიერი ცხოვრებისეული სიძნელის დაძლევა უნდა შეგეძლოთ და მიზანს მიაღწევთ კიდეც. მაგრამ საბრძოლო შემართება გაკლიათ. ეცადეთ, საკუთარი პოზიციის უფრო თამამად დაცვას.

**11 ქულაზე ნაკლები:** საიმისოდ, რომ გაიმარჯვოთ, მეტად ტემპერამენტიანი ხართ. მტრების შეძენის ისეთი უნარი გაქვთ, რომ შეუძლებელია ამან არ შეგაშფოთოთ. ეცადეთ, ყველაფერს იუმორით მიუდგეთ და ცხოვრებაც იოლი მოგეჩვენებათ

# მიწისქვეშეთის მბრძანებლები

უხსოვარი დროიდან ხალხში შემონახულია თქმულებები მიწისქვეშეთის ბინადარ ჯუჯებზე. ბევრს ეს მონაყოლი უსაფუძვლო მითი ჰგონია, მაგრამ შუა საუკუნეებში ჯუჯებით სერიოზულად დაინტერესდნენ...



XV ს-ის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი აგრიკოლა თავის წიგნში „მიწისქვეშა მინერალები“, არაერთხელ ახსენებდა პატარა კაცუნებს. იგი ამტკიცებდა, მიწისქვეშა სულები არიან დემონები და ორ სახედ იყოფიან — ერთნი ახალგაზრდა პიგმეებს ჰგვანან, მეორენი კი მოკაკული მოხუცები არიან. ისინი, ძირითადად, ბინადრობენ იმ ადგილებში, სადაც არის მდიდარი საბადოები ან ძვირფასი ლითონები.

შუა საუკუნეების ეპისკოპოსი ოლაფ მაგნუსი თავის ნაშრომებში აღწერს ჯუჯებს, როგორც სატანის ნაშიერებს, მიწისქვეშეთის სულებს: ეს ჯუჯები ხშირად მოდიან საბადოებზე, თითქოს ეხმარებიან მუშებს. მაგრამ სადაც ისინი გამოჩნდებიან, ჩვეულებრივ, ვერაფერს პოულობენ. ამასთან, ზოგი ჯუჯა კეთილად არის განწყობილი ადამიანების მიმართ. უპირველესად ეს ეხება ვერცხლის საბადოების მიდამოებს. არსებობს ლამაზი ლეგენდა კეთილ მთის სულზე, რომელსაც შეუყვარდა მიწიერი ქალიშვილი, მაგრამ გოგონამ დასცინა სულს. მაშინ უარყოფილმა შეყვარებულმა გადაწყვიტა, მიეტოვებინა თავისი სამფლობელო და გამომშვიდობებისას სატრფოს ვერცხლის ვარდი აჩუქა. ეს ვარდი ამჟამადაც ინახება ელზასში და მაგიური თვისებებით გამოირჩევა. ყოველთვის, როცა ოჯახს ბედნიერება ელის, ვარდი გაიშლება, ხოლო უბედურების დროს ფურცლებს აიკეცავს.

მიწისქვეშა ჯუჯები უძველესი დროიდან საგანძურის მცველებად მიიჩნევიან, თუმცა მაინცდამაინც არ უყვართ სიმდიდრესთან განშორება და სასტიკად სჯიან იმათ, ვინც სიმშვიდეს დაურღვევს. თეოლოგი ბოდენი თავის წიგნში „დემონომალია“, მოგვითხრობს, რომ მაგდებურგელი ახალგაზრდების ჯგუფმა შეიტყო — ქალაქის ერთ-ერთი ძველი კოშკის ქვეშ ჩამარხულია ურიცხვი საგანძურიო. ყმაწვილები მიადგნენ კოშკს და დაიწყეს თხრა. თითქმის მაშინვე მოესმათ საშინელი ხმაური, ხმები, ყვირილი. კოშკი მოულოდნელად ჩამოინგრა და უიღბლო მაძიებლები ქვეშ მოიყოლა .

ამბობენ, რომ ახლაც არიან მიწისქვეშეთის ჯუჯები, რომლებსაც ზოგჯერ ადამიანებიც გადაეყრებიან ხოლმე.

ანომალიური მოვლენების ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, ორი ნაწილისგან შედგება — ფიზიკურისა და არაფიზიკურისგან. ადამიანების უმეტესობა მეორე სამყაროს ვერ აღიქვამს, მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ მისი ნახვა და მიწისქვეშეთის ბინადრებთან კონტაქტის დამყარება.

***ნლო №21***

ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

რკინის კარების, ჟალუზების დამზადება, საკეტების შეცვლა შეღავათიან ფასად.
ტელ: 69-26-50 ნოდარი

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.




*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

CMYK

# ევროპის XI ჩემპიონატი ფეხბურთში



## ბელგია ჰოლანდია 2000



| | | |
|---|---|---|
| A | ჯგუფი | გერმანია, ინგლისი, რუმინეთი, პორტუგალია |
| B | ჯგუფი | ბელგია, შვედეთი, თურქეთი, იტალია |
| C | ჯგუფი | ესპანეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, სლოვენია |
| D | ჯგუფი | ჰოლანდია, ჩეხეთი, საფრანგეთი, დანია |

### მატჩების განრიგი

| | გუნდი | თარიღი | დრო (თბილ.) | ქალაქი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბელგია-შვედეთი | 10.06 | 23:45 | ბრიუსელი |
| 2 | თურქეთი-იტალია | 11.06 | 17:30 | არნემი |
| 3 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 11.06 | 23:45 | ამსტერდამი |
| 4 | საფრანგეთი-დანია | 11.06 | 21:00 | ბრიუგე |
| 5 | გერმანია-რუმინეთი | 12.06 | 21:00 | ლიეჟი |
| 6 | პორტუგალია-ინგლისი | 12.06 | 23:45 | ეინდჰოვენი |
| 7 | ესპანეთი ნორვეგია | 13.06 | 21:00 | როტერდამი |
| 8 | იუგოსლავია-სლოვენია | 13.06 | 23:45 | შარლერუა |
| 9 | იტალია-ბელგია | 14.06 | 23:45 | ბრიუსელი |
| 10 | შვედეთი-თურქეთი | 15.06 | 23:45 | ეინდჰოვენი |
| 11 | ჩეხეთი-საფრანგეთი | 16.06 | 21:00 | ბრიუგე |
| 12 | დანია-ჰოლანდია | 16.06 | 23:45 | როტერდამი |
| 13 | რუმინეთი-პორტუგალია | 17.06 | 21:00 | არნემი |
| 14 | ინგლისი-გერმანია | 17.06 | 23:45 | შარლერუა |
| 15 | სლოვენია-ესპანეთი | 18.06 | 21:00 | ამსტერდამი |
| 16 | ნორვეგია-იუგოსლავია | 18.06 | 23:45 | ლიეჟი |
| 17 | თურქეთი-ბელგია | 19.06 | 23:45 | ბრიუსელი |
| 18 | იტალია-შვედეთი | 19.06 | 23:45 | ეინდჰოვენი |
| 19 | პორტუგალია-გერმანია | 20.06 | 23:45 | როტერდამი |
| 20 | ინგლისი-რუმინეთი | 20.06 | 23:45 | შარლერუა |
| 21 | სლოვენია-ნორვეგია | 21.06 | 21:00 | არნემი |
| 22 | იუგოსლავია-ესპანეთი | 21.06 | 21:00 | ბრიუგე |
| 23 | საფრანგეთი-ჰოლანდია | 21.06 | 23:45 | ამსტერდამი |
| 24 | დანია-ჩეხეთი | 21.06 | 23:45 | ლიეჟი |
| | | მეოთხედფინალი | | |
| 25 | A1-B2 | 24.06 | 21:00 | ამსტერდამი |
| 26 | A2-B1 | 24.06 | 23:45 | ბრიუსელი |
| 27 | D1-C2 | 25.06 | 21:00 | როტერდამი |
| 28 | D2-C1 | 25.06 | 23:45 | ბრიუგე |
| | | ნახევარფინალი | | |
| 29 | 25-28 | 28.06 | 23:45 | ბრიუსელი |
| 30 | 26-27 | 29.06 | 21:00 | ამსტერდამი |
| | | ფინალი | | |
| 31 | | 02.07 | 23:00 | როტერდამი |

# ევროპული სუპერკლუბები ფიბას ბოიკოტს უცხადებენ

ბარსელონაში, ევროპის საკალათბურთო ლიგების კავშირის სხდომაზე, 19 ევროპული სუპერკლუბის დელეგატთაგან 15-მა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ისინი — ისევე, როგორც ყველა იმ ტურნირზე, რომლებიც ფიბას ეგიდით ტარდება — უარს ამბობენ ევროთასებზე ასპარეზობაზე. ეს კლუბები თავად აპირებენ ევროლიგის ალტერნატიული ლიგის ჩამოყალიბებას. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ისეთი კლუბების წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან ესპანეთის „რეალი“ და „ბარსელონა“, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“, იტალიის „კინდერი“ და „ბენეტონი“, ლიტვის „ჟალგირისი“ და ა.შ. ასეთი დემარშის მიზეზად ფიბას მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმები იქცა. საკალათბურთო ევროპის დღევანდელმა მმართველმა ორგანიზაციამ ევროლიგის ყველა სატელევიზიო და სამარკეტინგო უფლება შვეიცარიულ კომპანია ISL-ს გადასცა. შედეგად მოწინავე იტალიური და ესპანური კლუბები ზემოთ ნახსენებ დანარჩენ გუნდებთან ერთად სეზონში დაახლოებით 20 მილიონ დოლარს ზარალობენ. ბოიკოტის კატეგორიული წინააღმდეგი მხოლოდ ისრაელის „მაკაბია“. ე.წ. ახალი ევროლიგის ჩამოყალიბების სურვილის მქონე კლუბებს დასაწყისში თავად მოუწევთ ამ ტურნირის დაფინანსება, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, საერთოდ თუ განხორციელდა ეს პროექტი.

# ზამერი დორტმუნდის მწვრთნელად



გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი ოფიციალურად დაამტკიცეს დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. 32 წლის გერმანელმა, რომლის სპორტული კარიერა მუხლის მძიმე ტრავმას შეეწირა, 2002 წლამდე გააფორმა კონტრაქტი კლუბთან, რომელშიც თავად გამოდიოდა და 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც გახდა. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ ხანს ზამერი უდო ლატეკის თანაშემწედ მუშაობდა. ასაკოვანმა ლატეკმა თავისი მისია შეასრულა და კლუბს ბუნდესლიგაში ადგილი შეუნარჩუნა. ერთხანს საუბარი იყო, რომ „ბორუსია“ „ბარსელონადან“ გათავისუფლებულ მწვრთნელს, ჰოლანდიელ ლუი ვან გაალს უნდა ჩაებარებინა, თუმცა კლუბის დირექტორატმა გამოცდილ ჰოლანდიელს მათიას ზამერი არჩია.

# „გალათასარაიდან“ „ფიორენტინაში“



უეფას თასის მფლობელის, თურქეთის „გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელი 46 წლის ფათიჰ თერიმი მომავალი სეზონიდან იტალიის „ფიორენტინას“ ჩაუდგება სათავეში. ფლორენციული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე თერიმი ცნობილ ჯოვანი ტრაპატონის შეცვლის. „ბედნიერი ვარ იტალიაში მიწვევით, ჩემი აზრით იტალიიდან უფრო დავეხმარები თურქულ ფეხბურთს“, — განაცხადა „ფიორენტინას“ ახალმა მწვრთნელმა. რაც შეეხება ჯოვანი ტრაპატონის, იგი ალბათ იტალიის რომელიმე კლუბში გადავა. იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ფათიჰ თერიმი „გალათასარაიდან“ ფლორენციაში თურქეთის ჩემპიონის საუკეთესო ფორვარდს ჰაქან შუქურსაც გაიყოლებს. მოგეხსენებათ, „ფიორენტინას“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა გაბრიელ ბატისტუტამ კლუბი დატოვა და „ფიორე“ მაღალი კლასის ფორვარდის შეძენითაა დაინტერესებული. საინტერესოა, რომ „გალათასარაის“ მსგავსად, გაისად „ფიორენტინაც“ უეფას თასზე იასპარეზებს, ამ ტურნირში კი თერიმს ბედი სწყალობს.

# ჰოლიფილდი ბრძოლას უარობს



ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის (WBA-ს ვერსიით) რომელიც 10 ივნისს უნდა გამართულიყო ამერიკელ ჯონ რუისსა და მისსავე თანამემამულე ევანდერ ჰოლიფილდს შორის, აღარ გაიმართება. ჩხუბის ჩაშლის მიზეზი გახდა ტრავმა, რომელიც ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც სასამართლომ ლენოქს ლუისს ჩამოართვა უძლიერესის წოდება, იმის გამო, რომ ბრიტანელმა უარი განაცხადა რუისთან ჩხუბზე, მისთვის შეუფერებელ მეტოქედ ჩათვალა და მაიკლ გრანტთან გადაწყვიტა შერკინება. ასე რომ, რუისს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა არა და არ დასცალდა — უკვე მეორე მეტოქე გამოეცალა ხელიდან.

# XI ეროვნულის დასასრული

გასულ კვირას გასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რიგით მეთერთმეტე. ჩემპიონატი, რომელმაც ქვეყანას ახალი ჩემპიონი მოუვლინა — მარადიული ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ქუთაისის „ტორპედომ“ შეცვალა. მეორე ადგილზე ქართველ ვეტერინართა გუნდი „ვიტ ჯორჯია“ გავიდა, რამაც ვეტერინარებს უეფას თასის საგზური უბოძა. დაშლის პირას მისული თბილისის „დინამო“ სამეულში კი მოხვდა, მაგრამ ინტერტოტოზე თამაში იუარა და ამ ტურნირზე საქართველოს ალბათ ბათუმის „დინამო“ წარმოადგენს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბუნებრივია, ქუთაისის „ტორპედო“ გამოვა, თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ კი უეფაზე „ვიტ ჯორჯიას“ დაუმშვენებს მხარს. სხვა მხრივ დიდად აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. კიდევ ერთი უსახური, საკმაოდ უინტერესო და უდაბლესი დონის ჩემპიონატი გახდა ისტორიის საკუთრება.

# კაი მსაჯი!

უიშვიათესი შემთხვევა მოხდა ჩინეთის ორი ნაწილის — მაკაოსა და ჰონკონგის გუნდების შეხვედრისას. მაკაოელმა მსაჯმა ჩოი კუოკუნმა ნოკაუტში „გაგზავნა“ ჰონკონგელი ფორვარდი ლი კინვო. კონფლიქტი შეხვედრის 81-ე წუთზე დაიწყო, როდესაც ზემოთ ნახსენებ ფეხბურთელს არბიტრმა წითელი ბარათი აუფრიალა. ფორვარდმა პროტესტის ნიშნად ბურთი იმ ტრიბუნისაკენ დაარტყა, სადაც საპატიო სტუმრები ისხდნენ. საპატიო ხალხის უპატივცემულობა გამოუსწორებელი შეცდომაა აზიური მენტალიტეტისათვის. მომხდარით გაოცებულ მსაჯს თვალები შუბლზე აუვიდა, განრისხებული ეკვეთა ფორვარდს და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, თავში უბრახუნა მუშტები. შედეგად ლი კინვო ძირს გაიშოტა და მოსასულიერებელი შეიქნა. ასე რომ, აზიელ მსაჯთა მდგომარეობიდან გამოყვანა ხუმრობა სულაც არ ყოფილა...

# მსოფლიო ჩემპიონმა ინგლისის ჩემპიონს მიაშურა



გასულ ოთხშაბათს ევროპაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრანსფერი შედგა. მსოფლიოს ყველაზე კოლორიტული მეკარე ფაბიენ ბარტეზი ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას დაიცავს. მსოფლიო ჩემპიონის სანაცვლოდ ინგლისის ჩემპიონმა 11,7 მილიონი დოლარი გადაიხადა. ბარტეზმა 2006 წლამდე გაუფორმა კონტრაქტი „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელიც პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ ამაოდ ეძებდა კლუბისათვის შესაფერის მეკარეს, თუმცა ვერც მარკ ბოსნიჩმა და ვერც მასიმო ტაიბიმ ვერ გაამართლა ალექს ფერგიუსონის იმედები. სერ ალექსმა განაცხადა — „ბედნიერი ვარ ასეთი მეკარე რომ შევიძინეთ, მისი გამოცდილება უთუოდ გამოადგება „იუნაიტედს“-ო. საინტერესოა, რომ 28 წლის ფრანგს მანჩესტერში ზღაპრული ანაზღაურება ექნება — კვირაში 67.000$. მეტს მხოლოდ კლუბის კაპიტანს, ირლანდიელ როი კინს უხდიან. ბარტეზს უკვე ასახელებენ ერიკ კანტონას მემკვიდრედ. შეგახსენებთ, რომ კანტონამ სამი წელი ითამაშა „მანჩესტერში“ და იქაურებს სამუდამოდ დაამახსოვრა თავი. ლეგენდარულ კანტონას ექსტრავაგანტურობით არც თანამემამულე ბარტეზი ჩამორჩება — ის უზომო პოპულარულობით სარგებლობს საფრანგეთში, ამიერიდან კი — ინგლისშიც.

# სპორტული ტრაგედიები

იუგოსლავიის ქალაქ ნიშას კლუბ „რადნიჩკის“ ფეხბურთელი ივან კრსტიჩი მეხის გავარდნის მსხვერპლი შეიქნა. გუნდი სათადარიგო მინდორზე ვარჯიშობდა, როდესაც უეცრად მოიღრუბლა და სეტყვა წამოვიდა. მეხის ხმა მოულოდნელად გაისმა და ფეხბურთელი მიწაზე დაეცა. უბედური შემთხვევის მსხვერპლი მხოლოდ 20 წლისა გახლდათ, უკვე რამდენიმე მატჩი ჰქონდა ჩატარებული იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებში და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ.

ტეხასის შტატის ქალაქ ელ-პასოში მიმდინარე მოყვარულ მოკრივეთა ტურნირის ერთ-ერთი ბრძოლა ტრაგიკულად დასრულდა. 16 წლის ამერიკელი ხუან სილვა მეორე რაუნდში ნოკაუტში ჩავარდა და გონება დაკარგა. მოკრივე ვერტმფრენის საშუალებით სასწრაფოდ გადაიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში და თავის ტვინის ოპერაცია გაუკეთეს. სამწუხაროდ ექიმთა ჩარევა გვიანი აღმოჩნდა. იუნიორი მოკრივე გარდაიცვალა.

***მოამზადა მათე კბილაძემ***


მსოფლიო სპორტი

ახალი სიტყვა

ქართულ სპორტულ პრესაში, ყოველ ხუთშაბათს და კვირას

გაზეთი — „მსოფლიო სპორტი“

— ოპერატიული ინფორმაცია, ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების ***ყველა ლიგის ცხრილები, ტოტალიზატორის გზამკვლევი,*** ინტერვიუები და სხვა

გაზეთის ფასი 15 თეთრი


# 63 წლის ფოსტალიონი ევერესტზე

63 წლის იაპონელი ფოსტალიონი ტოსიო იამატოტო უხუცესი გახდა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ფეხი შეუდგამს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე. ევერესტი ფოსტალიონმა 19 მაისს დაიპყრო. აქამდე მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ამსვლელთაგან უხუცესი საქართველოს წარმომადგენელი ლევ სარქისოვი გახლდათ, რომელიც შარშან, 60 წლის ასაკში ავიდა ევერესტზე. საინტერესოა, რომ ამ რეკორდის დასამყარებლად 9 ხნიერი მთამსვლელი იბრძოდა, რომელთა ასაკი 60-დან 69 წლამდე გახლდათ. ყველა მათგანი ბანაკში ჯერ არ დაბრუნებულა, ასე რომ, იამატოტოს მიღწევა შესაძლოა, რომელიმე მათგანმა გააუმჯობესოს.

ამასობაში, ბუნების მოყვარულმა და დამცველმა ამერიკელებმა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ნამდვილი „შაბათობა“ მოაწყვეს. ერთი ტონა ნაგავი და დაახლოებით 700 ცარიელი ჟანგბადის ბალონი ჩამოიტანა ევერესტიდან ამერიკულმა ორგანიზაციამ „ევერესტი-2000“, რომელსაც სან-ფრანცისკოელი მთამსვლელი ბობი ჰოფმანი ხელმძღვანელობს. მისი აზრით, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ეკოლოგიური თვალსაზრისით, სატირალ მდგომარეობაშია.

„დამლაგებლების“ როლს ევერესტზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, დაქირავებული შერპები ასრულებენ. ერთ-ერთ მათგანს, 40 წლის ვინმე აპას, თავისებური მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია, 11-ჯერ ასულა და ჩამოსულა უმაღლესი მწვერვალიდან.

# საჭადრაკო კლუბი



**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ჰa8-კ

თეთრები იწყებენ და მატებენ მესამე სვლაში.



# ორ ზღვას შუა

ვროპელი მოგზაურები, ისტორიკოსები და მწერლები ოდითგანვე ხოტბას ასხამდნენ ქართველი ქალის მშვენებას. როგორც ამბობენ, იშვიათია ნაშრომი, სადაც საქართველოს თუკი მოიხსენიებენ, იქვე არა გვხვდებოდეს ქათინაურები ქართველ ქალთა მისამართით.

იტალიელი პიეტრო დელა ვალე ირანიდან ასე სწერდა თავის მეგობარს რომში: „სიმართლე რომ ითქვას, ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ“.

რომანტიკული სულისკვეთებით შეპყრობილი და აღმოსავლური ეგზოტიკით გატაცებული ევროპელი ავტორები ჩვენი ქვეყნის თავზე დატეხილ უბედურებათა მიზეზად ზოგჯერ ქართველი ქალების სილამაზესაც მიიჩნევდნენ. ასე მაგალითად, შაჰ-აბასის მიერ კახეთის გაუგონარი აოხრება თითქოს გამოწვეული იყო სეფიანთა ხელმწიფის უიმედო სიყვარულით თეიმურაზ პირველის მეუღლისადმი. ჩნდებოდა მომხიბლავი პარალელი მშვენიერ ელენესთან, ვის გამოც გაჩაღებულა ტროას ათწლიანი ომი.

მაგრამ ზოგიერთი ავტორი ფხიზელი თვალით შეჰყურებდა აღნიშნულ ამბავს, შაჰ-აბასის სამიჯნურო მარცხს მხოლოდ საბაბად თვლიდა და ომის ნამდვილ მიზეზს სრულიად სხვაგან ეძებდა.

## ნიავქარივით სწრაფად მოვალთო

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში გვაუწყებს, რომ 1613 წლის დამდეგს შაჰ-აბასმა ლუარსაბი და თეიმურაზი სანადიროდ მიიწვია მაზანდარანში (კასპიისპირა პროვინცია გახლავთ), მაგრამ მათ გააჭიანურეს სამზადისი და ამასობაში ნადირობის სეზონიც მიიწურა. ქართველი მეფეები თავაზიანად იბოდიშებდნენ წაუსვლელობას და არწმუნებდნენ შაჰს, მომავალში უეჭველად გესტუმრებითო.

სპარსელი ისტორიკოსი ორაზროვნად შენიშნავს, არ სურდათ ყიზილბაშთა ხელში თავი ჩაეგდოთო.

რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებში?

მანამდე ირანის შაჰსა და ქართველ მეფეებს შორის, ჭეშმარიტი თუ არა, მოჩვენებითი სიამტკბილობა მაინც სუფევდა. 1610 წელს ლუარსაბი და თეიმურაზი სტუმრად იმყოფებოდნენ სეფიანთა სამეფო კარზე და შაჰ-აბასმა „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და ალერსით დააჯილდოვა“ ისინი. სხვათა შორის, ოსმალთაგან განთავისუფლებული თბილისი გადაეცა ქართლის მეფეს.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, თვით ლუარსაბმა და თეიმურაზმა სთხოვეს შაჰს, როდესაც სანადიროდ წაბრძანდებით მაზანდარანს, შეგვატყობინეთ და ჩვენც გეახლებითო; როგორც კი ჩვენამდე მოაღწევს მალემსრბოლი, იმავ წუთში გამოვემართებით და ნიავქარივით სწრაფად მოვალთო.

ასეთი ყოფილა ქართველი მეფეების დაპირება, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, მათ თავი შეიკავეს სეფიანთა ხელმწიფესთან სტუმრობისაგან.

ხორეშანზე თეიმურაზის დაქორწინებით გაღიზიანებულ შაჰ-აბასთან შეხვედრის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, სიფრთხილეს უკარნახებდა ქართლისა და კახეთის მეფეებს, მაგრამ ნუთუ ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი საქციელი უკვე უტოლდებოდა ამბოხებას, ნუთუ არ ითვალისწინებდნენ თავიანთი ურჩობის საბედისწერო შედეგებს?

ზოგიერთი ევროპული წყარო, ნაწილობრივ მაინც, შუქსა ჰფენს აღძრულ საკითხს.

## უარი

კარმელიტთა ორდენის ერთი მისიონერის რელაციაში აღნიშნულია, რომ ყიზილბაშთა ლაშქრობა საქართველოზე (1613წ.) გამოწვეული იყო ლუარსაბისა და თეიმურაზის ამბოხებით. მისიონერის სიტყვით, ოსმალთა ელჩის ხრიკებმა განაპირობა მათი მიწვევა სეფიანთა სამეფო კარზე. ქართველი მეფეები არ გამოცხადდნენ შაბ-აბასთან და ამგვარი ურჩობა ჩაეთვალათ ამბოხებად სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ტომას ჰერბერტი, მონაწილე ირანში ინგლისის ელჩობისა, 1613 წლის ლაშქრობასთან დაკავშირებით გადმოგვცემს, რომ ისპაანში მყოფმა ოსმალთა ელჩმა ეჭვი ჩაუნერგა შაჰ-აბასს, თითქოს თეიმურაზი ოსმალეთის ხონთქარს უფრო ემეგობრებოდა. ასეთი ცბიერების შედეგად, თეიმურაზს სახელი შეელანძღა სეფიანთა სამეფო კარზე, რის გამოც აღარ ჩავიდა ისპაანს, როდესაც ხელმწიფემ მიიპატიჟაო.

ყველაზე დამაჯერებელი სურათი იხატება პიეტრო დელა ვალეს თხზულებაში. იტალიელი მოგზაური გვამცნობს, რომ ირან-ოსმალეთის ომის დროს ამ ორი სახელმწიფოს ჯარები იდგნენ საქართველოს საზღვრებთან. უკვე მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკება და ქართლ-კახეთის საკითხიც წამოიჭრა. რომელ მათგანს, ირანსა თუ ოსმალეთს უნდა დაქვემდებარებოდა ეს ორი ქრისტიანული სამეფო?

შაჰ-აბასმა განუცხადა ოსმალთა ელჩს, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი ყოველთვის სეფიანთა ირანის ქვეშევრდომნი იყვნენ და ამის დასამტკიცებლად ნებისმიერ დროს შეუძლია იხმოს ისინი თავის ბანაკში. ოსმალთა ელჩმა მოითხოვა ნათქვამის დადასტურება საქმით. შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებს შეუთვალა, სასწრაფოდ ჩემთან გამოცხადდითო.

მაგრამ ლუარსაბმა და თეიმურაზმა დროის გაჭიანურება დაიწყეს და თავის გასამართლებლად სხვადასხვა საბაბს პოულობდნენ. შაჰ-აბასი სასტიკად განრისხდა მათი ურჩობის გამო. მან სცადა უთანხმოება დაეთესა ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის, კარგადაც გაისარჯა და კინაღამ აამხედრა ისინი ერთიმეორის წინააღმდეგ.

## ბოსფორს გაგზავნეს მალემსრბოლი

XVI-ის გერმანელი მწერლის ანდრეა გრიფიუსის ტრაგედიის „ქეთევან ქართველი“მესამე მოქმედებაში ქეთევან დედოფალი უამბობს რუსეთის ელჩს, თუ რომელი მოვლენები უძღოდა წინ შაჰ-აბასის შემოსევას საქართველოში. მოთხრობილია სეფიანთა ხელმწიფის მეოხებით ქიშპის წარმოქმნა ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის, მაგრამ ვერაგულმა ჩანაფიქრმა მიზანს ვერ მიაღწია — თეიმურაზი და ლუარსაბი მორიგდებიან მერე კი გადაწყვეტენ, რომ ზურგი შეაქციონ ისპაანს და პირი იბრუნონ სტამბოლისაკენ.

ქეთევან დედოფალი ამბობს: „ბოსფორს გაგზავნეს მალემსრბოლი, შეკრეს კავშირი, მუხანათ ვეფხვთან — ფიცის გამტეხ შაჰთან დაშლილი“..

დედოფლის სიტყვით, ოსმალთა ელჩი შაბ-აბასს ამცნობს, რომ ოსმალეთს თავისი მფარველობის ქვეშ აჰყავს საქართველო. სეფიანთა ხელმწიფე მოითხოვს ქართლისა და კახეთის მეფეთა გამოცხადებას ისპაანში.

ქეთევან დედოფალი განაგრძობს: „ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ისპაანს ბევრი ვიარეთ! შაჰს რა ხელი აქვს, როცა ოსმანს შევეზიარეთ! აღარც ჯარი გვსურს ვაახლოთ და არც ვინმე კაცი“.

ამის შემდეგ აღწერილია შაჰ-აბასის განრისხება და საქართველოზე ლაშქრობის სამზადისი.

გრიფიუსის ტრაგედიის ძირითად წყაროს წარმოადგენს ფრანგი ისტორიკოსის კლოდ მალენგრის კრებული „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (პარიზი, 1635), სადაც, დასავლეთ ევროპაში გახმაურებულ ამბებთან ერთად, მოთხრობილია ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და წამების ისტორია (ალბათ, კათოლიკე მისიონერთა რელაციების მიხედვით).

ფრანგი ავტორი გადმოგვცემს შაჰ-აბასის ინტრიგებს, ლუარსაბისა და თეიმურაზის მორიგებას და მათ გადაწყვეტილებას ოსმალეთთან ახლო კავშირის შეკვრის თაობაზე.

მალენგრის სიტყვით, შაჰ-აბასს არაფერი გაუგია ქართველების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯზე, ვიდრე ოსმალეთის ხონთქარმა მის გასამასხრებლად, ელჩის პირით არ შეუთვალა: გვაუწყე, ლუარსაბი და თეიმურაზი თქვენ გემორჩილებიან თუ ჩვენაო. შაჰს ეჭვიც არ ეპარებოდა ქართლისა და კახეთის მეფეთა მორჩილებაში; ოსმალთა ელჩს შესთავაზა, ცოტა ხნით დაყოვნდი, სანამ ქართველი მეფეები, ჩემი ბრძანების თანახმად, თავიანთი ჯარით არ მეახლებიანო.

მაგრამ ლუარსაბმა და თეიმურაზმა ცივი უარი სტკიცეს შაჰ-აბასს და ამით უზომოდ დაამცირეს ოსმალთა თვალში.

გადაწყდა ლაშქრობა საქართველოზე.

## დღევანდელი და ხვალინდელი მტერი

რამ გამოიწვია ქართლისა და კახეთის მეფეთა ორიენტაციის შეცვლა?

ირან-ოსმალეთის 1612 წლის ზავით აღდგენილ იქნა 1555 წლის საზავო პირობები. ირანმა და ოსმალეთმა ისევ ორად გაიყვეს საქართველო. ქართლ-კახეთი ექვემდებარებოდა ირანს, დასავლეთ საქართველო და სამცხე — ოსმალეთს, მაგრამ ოსმალეთი, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩებოდა, ვინაიდან 1590წ. ზავით აღმოსავლეთ საქართველოც ოსმალთა მფლობელობაში იყო მოქცეული.

ოსმალეთს ხელს არ აძლევდა სეფიანთა ირანის პოზიციების შემდგომი განმტკიცება აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალეთი შეეგუებოდა ქართლ-კახეთის დაკარგვას, მაგრამ იმას კი ვერ შეეგუებოდა, რომ



ირანს საბოლოოდ დაეპყრო ისინი.

ორ მაჰმადიანურ ზღვას შუა მოქცეული ქრისტიანული კუნძული მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა თავის გადარჩენას. ერთი აბობოქრებული ზღვა რომ მოაწყდებოდა და წალეკვას უქადდა, მეორე ზღვას მიაპყრობდა თვალს. მარჯვედ სარგებლობდა ორი მტრის ურთიერთდაპირისპირებით.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არც ოსმალეთი ეხატებოდათ გულზე და არც ირანი. ერთიც დამპყრობელი იყო და მეორეც. ერთსაც საქართველოს დამონება ეწადა და მეორესაც. მაგრამ XV საუკუნის დამლევს ოსმალეთი უფრო მძლავრობდა და რეალურად მიუწვდებოდა ხელი საქართველოს დასაპყრობად. ხოლო ირანი ძალ-ღონეს იკრებდა და მისი აგრესია პერსპექტივაში თუ ისახებოდა. საქართველოს ჯერ არ ეგემა შაჰ-აბასის კლანჭები.

ამიტომაც იყო, რომ ქართველი მეფეები ირანის ორიენტაციას მისდევდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული ორი ვეშაპის ომში ხვალინდელ მტერს უჭერდნენ მხარს, ოღონდ დღევანდელი მტრისაგან ეხსნათ თავი.

და აი, XV საუკუნის ათიანი წლებისათვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შაჰ-აბასის ირანმა ზედიზედ მოიპოვა გამარჯვებანი ოსმალეთთან ომში და განდევნა იგი ამიერკავკასიიდან.

თუკი აქამდე გამართლებული იყო ქართველთა მიერ შაჰ-აბასის მხარდაჭერა ოსმალთა ოკუპაციის ალსაკვეთად, ამიერიდან სამხედრო-პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დამდგარი სეფიანთა ირანი გაცილებით სახიფათო ჩანდა საქართველოსათვის, ვიდრე ომში დამარცხებული ოსმალეთი.

ქართლისა და კახეთის მეფეები, ხედავდნენ რა ყიზილბაშთა დღითი დღე გაძლიერებასა და გამგელებულ მადას, ჩანს, ოსმალეთისაკენ აპირებდნენ შებრუნებას.

## ქართული ოპოზიცია ისპაანში

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება მეტყველებს იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებს ჯერ კიდევ შაჰ-აბასის შემოსევამდე დაუწყიათ მოლაპარაკება ოსმალეთთან.

საქმე ის არის, რომ 1612 წელს ირანში უკვე იყო გადახვეწილი გიორგი სააკაძე — მოსისხლე მტერი ლუარსაბ მეფისა.

როგორც ცნობილია, ლუარსაბმა შეურაცხყოფა მიაყენა სააკაძის ოჯახს. მაგრამ ამას ვინლა ჩივის, მოკვლაც დაუპირა დიდ მოურავს, რათა თავიდან აეცდინა შესაძლებელი შურისძიება. ერთი დანაშაული მეორით დაამძიმა. მეფის ვნებათა ცვალებადობამ საფრთხეში ჩააგდო გიორგი სააკაძის სიცოცხლე და სამშობლოს ერთგულ მსახურს სამშობლო დაუკარგა. ოჯახის ღირსება შეულახეს, სახლ-კარი დაუნიავეს, ბეწვზე გადარჩა სიკვდილს და გარეული ნადირივით დაუწყეს დევნა. ის კი უდანაშაულო და უცოდველი იყო ქვეყნისა და მეფის წინაშე.

გიორგი სააკაძესთან ერთად მისი სიმამრი — ნუგზარ არაგვის ერისთავიც ეახლა შაჰ-აბასს.

აღშფოთებულმა ლუარსაბმა და თეიმურაზმა არაგვის საერისთავო დაარბიეს.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „ეს ანბავი ყაენმან იწყინა და ზოგნი კახეთის საპატიოს კაცის შვილები ყაენის კარზე იყვნენ და ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი და ისინიც მოურავს გაუერთდენ“.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი წერდა, რომ ნუგზარ ერისთავისა და გიორგი სააკაძის მისვლა სეფიანთა სამეფო კარზე შაჰ-აბასს ძალზე ესიამოვნა, ვინაიდან ესოდენ გავლენიანი ქართველების მიმხრობა საუკეთესო საშუალება იყო ლუარსაბისა და თეიმურაზის სიმტკიცის გასატეხად.

ამგვარად, სეფიანთა ხელმწიფესთან თავი მოიყარეს ქართლისა და კახეთის მეფეებისადმი მტრულად განწყობილმა ქართველმა ფეოდალებმა.

ისპაანში შექმნილი ქართული ოპოზიცია სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და, თავისდაუნებურად, კარნახობდა ქართველ მეფეებს საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვას.

მაშასადამე, ძალზე ბუნებრივი და გასაგები უნდა იყოს მათი ორიენტაციის შეცვლა და მოახლოებული საფრთხის წინაშე ოსმალეთთან დაკავშირების ცდები, რამაც ბიძგი მისცა ყიზილბაშთა შემოსევას საქართველოში.

## დასაწყისი სისხლისმღვრელი ომისა

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, შაჰ-აბასმა დაასკვნა, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი, „უვიცობისა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის გარტყმა ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჭკუის სასწავლებლად“.

შაჰმა გადაწყვიტა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეთა დასატუქსად საქართველოსაკენ დაძრულიყო. ჯერ ყარაბაღს შეჩერდებოდა, თუკი ლუარსაბი და თეიმურაზი ეახლებოდნენ და პატიებას შეევედრებოდნენ, გულმოწყალედ შეიწყალებდა. მაგრამ თუკი გაჯიუტდებოდნენ და არ ეახლებოდნენ, საკადრის სასჯელს მიუზღავდა.

1613 წლის 16 ოქტომბერს ყიზილბაშთა ლაშქარი ისპაანიდან საქართველოსკენ გამოემართა.

სეფიანთა ირანის ძლევამოსილმა მბრძანებელმა ჯერ არ იცოდა, რომ თითქმის თორმეტი წელიწადი გაგრძელდებოდა ომი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დასაჩოქებლად და უფრო სისხლისმღვრელი გამოდგებოდა, ვიდრე ლეგენდარული ტროას ომი. მაგრამ მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სახელგანთქმული ხელმწიფე ვერც მშვენიერ ხორეშანს დაეპატრონებოდა და ვერც საქართველოს დაიმორჩილებდა.

მარტყოფმა და მარაბდამ 1625 წელს სამარე გაუთხარა საქართველოს „გათათრების“ გეგმას.

*თამაზ ნატროშვილი*


## ალექსანდრიტის ლაზერი – სწრაფი და ეფექტური ეპილაციის გარანტია

თანამედროვე ტექნიკის სასიამოვნო სიურპრიზს – ლაზერულ ეპილაციას, იმის მიხედვით, თუ რა აპარატით იქნა ჩატარებული, – სხვადასხვა შედეგი აქვს.

აპარატების უმეტესობას ეპილაციის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ჩხვლეტით, რაც დიდ დროს მოითხოვს, ხოლო პაციენტი გაუსაძლის ტკივილს განიცდის. ლაზერების უმეტესობა კი ხშირად სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას და კანის პიგმენტაციას (გამუქებას) იწვევს.

კონტაქტური (ჩხვლეტით) ეპილაციის დროს, კანის დაზიანების გამო, მაღალია პროცედურის მიმდინარეობისას შიდსითა და ჰეპატიტით დაავადების რისკი.

ტექნიკურმა პროგრესმა ლაზერულ საეპილაციო აპარატების სრულყოფაზეც იქონია გავლენა და აშშ-ში, 1999 წელს კონსტრუირებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერი, რომელიც ახალი სიტყვაა კოსმეტოლოგიაში და ითვალისწინებს ყველა იმ ნაკლს, რომელიც გააჩნდა აქამდე არსებულ, ევროპული წარმოების საეპილაციო ლაზერულ დანადგარებს.

სადღეისოდ, ამერიკული წარმოების ალექსანდრიტის ლაზერი ერთადერთია, რომელიც ეპილაციას უკონტაქტოდ, უმტკივნეულოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე აკეთებს.

ამ აპარატით ჩატარებული ეპილაცია სრულიად უსაფრთხოა სხვადასხვა ინფექციური დაავადების გადადების თვალსაზრისით, ხოლო გაცივების უახლესი სისტემა და რბილი გამოსხივება, სხვა, საკმაოდ კარგი და ცნობილი ევროპული ლაზერებისგან განსხვავებით, კანს დამწვრობისა და პიგმენტაციებისგან იცავს.

პროცედურა შეიძლება ჩატარდეს სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე (სახეზე, კიდურებზე, ტანზე, იღლიებისა და ბიკინის ზონებზე) და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფად. მაგალითად, ზედა ტუჩზე თმიანობის მოცილებისათვის საკმარისია 5-10 წუთი. პროცედურის შემდეგ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, პაციენტს კოსმეტიკის გამოყენებაც შეუძლია.

2-3 თვეში საჭიროა პროცედურის გამეორება, რადგანაც თმების 30-დან 50 პროცენტამდე ისევ ამოდის, თანაც გაცილებით ნაზი სტრუქტურისა. სამუდამო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება. პროცედურათა რაოდენობა დამოკიდებულია თვით პაციენტის ზოგად მდგომარეობაზე და საეპილაციო თმების ხარისხზე.

ალექსანდრიტის ლაზერული საეპილაციო დანადგარი ამიერკავკასიაში ერთადერთია და ფუნქციონირებს მხოლოდ ფირმაში ,,მედი“, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ უმაღლესი კლასის უმტკივნეულო, ეფექტური და უვნებელი მომსახურება.

ი. ჭავჭავაძის გამზ. N70 მედი 25-02-02 22-50-43

## ფოტო მომსახურება: სწრაფი და ხარისხიანი ბეჭდვა

წახალისების სისტემა. ფასდაკლება პროფესიონალებზე და მაგთის აბონენტებზე

ა) გარანტია

ბ) აქსესუარები

გ) ჩართვა მაგთი GSM

მისამართები:

1. ალმაშენებლის გამზ. 71 (ნოკია სერვის-ცენტრი) საგარანტიო და სერვისული მომსახურება. შეკვეთების მაგიდა. ტელ/ფაქსი: 94-15-66; 899-555-035

2. მარჯანიშვილის ქ. 15, ფოტო-სალონი ფუჯი ტელ/ფაქსი: 95-80-03

3. რუსთაველის გამზ. 31, ფოტო-სალონი ფუჯი (ცენტრალური ფოსტის შენობაში) ტელ/ფაქსი: 99-53-83

••• პრეზიდენტობის შემდეგ კლინტონს განზრახული აქვს კვლავ აქტიურად იმოღვაწოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და, იმავდროულად იზრუნოს თავისი ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. შტატში, სადაც იგი ოდესღაც გებერნატორი იყო, გეგმავს, შექმნას თავისი სახელობის ცენტრი ლითლ-როკი, არკანზასის უნივერსიტეტთან ერთად დაამუშაოს ახალი სასწავლო პროგრამა ასპირანტებისათვის, გამოვიდეს ფასიანი ლექციებითა და სიტყვებით (დაახლოებით 80—125 ათასი დოლარი თითო გამოსვლაში), რითაც უზრუნველყოფს თავის ოჯახს; შესაძლოა, იმუშაოს კონსულტანტად საბანკო ინვესტიციების საქმეებში, დაწეროს ერთი-ორი წიგნი მოგონებებისა. „კლინტონის ცენტრში “ შეიძლება დამუშავდეს ისეთი გლობალური საკითხები, როგორიცაა რასიზმი და ეთნოკონფლიქტები. ლითლ-როკის კომპლექსში განთავსებული იქნება სახლი, ბიბლიოთეკა და პრეზიდენტის მუზეუმი. ეს ყველაფერი მოეწყობა შემოწირულობის ხარჯზე, რომელიც დაახლოებით 125 მლნ დოლარი იქნება.

••• ახალ ზელანდიაში, ქალაქ როტარუს ახლოს, მოჩქეფს საოცარი მდინარე, რომლის მარჯვენა ნაპირი დუღს, მარცხენა კი ყინულივით ცივია. მდინარე ისე სწრაფად მოედინება, რომ ეს ორი ნაკადი ერთმანეთთან შერევას ვერ ასწრებს.



••• 1875 წელს გერმანელმა პიტერ სპანერმა ყველა გააოცა თავისი უნიკალური მონაცემებით — მას შეეძლო სახის კანი დაეჭიმა ქვევით, თითქოს წვერიაო, ხოლო ზევით აქაჩული — თვალებსაც კი ფარავდა ხოლმე. ასეთი კანი XX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე ადამიანს ჰქონდა. ისინი დაავადებულნი იყვნენ ელერს-დანლოსის სნეულებით.

••• არსებობს ერთი, იშვიათი და უცნაური დაავადება, რომლითაც ოფიციალურად ორი ადამიანი იყო შეპყრობილი. 30-40-იან წლებში ცირკში გამოდიოდნენ და საზოგადოებას თავისი ნომრით განაცვიფრებდნენ მარტინ ლაურილო და ეიმ ალდონი; მათ შეეძლოთ თავის ტრიალი 180 გრადუსით ისე, რომ ბეჭებს არ არხევდნენ. ეს გამოწვეული იყო ხერხემლის დეფორმაციით.

••• ვინმე ჩარლზი დედამიწაზე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ერთდროულად ორი ბუშტის გაბერვა შეეძლო... ყურებით! მაგრამ ეს რეკორდი მოსხნა კანადელმა ალფრედ ლანგევინმა, რომელიც თვალებით და საცრემლე ჯირკვლებით ბერავდა ბუშტებს.

••• ცნობილი რუსი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ალექსანდრ ფომენკო თავის მეგობრებთან ერთად საკმაო ხანია, რაც ისტორიით დაინტერესდა. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთის მთელი ისტორია არასწორადაა ჩაწერილი და საზოგადოებას სთავაზობს თავის ვერსიას, სახელწოდებით „ახალი ქრონოლოგია“.

ფომენკოს მიაჩნია, რომ მშობლიური ისტორია XV საუკუნემდე მთლიანად გაყალბებულია. სინამდვილეში მონღოლეთის იმპერია სხვა არაფერი იყო, თუ არა ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, ხოლო ივანე მრისხანე სულაც ვირტუალური ისტორიული პერსონაჟია, რომლის ბიოგრაფია შეადგინეს ცრუ ქრონოლოგებმა, სამი მეფის ცხოვრების საფუძველზე; სინამდვილეში, არ ყოფილა თათარ-მონღოლთა უღელი, ხოლო კულიკოვოს ბრძოლა მოხდა მოსკოვში და ა.შ. ამბობენ, რომ ფომენკო ამ გამოკვლევებისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებს კრემლის ადმინისტრაციასთან არსებული სამეცნიერო კვლევის დახმარების ფონდისგან.

••• კომპიუტერულ დამნაშავეებთან ბრძოლის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად, დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტეს, შექმნან „ელექტროსატუსაღო“, რომელიც შეცვლის ციხის საკნებს და ეკლიან მავთულხლართებს. დამნაშავის კოჭს მიუერთებენ სპეციალურ დეტექტორს, რომელიც

## ჭრელ-ჭრელი ამბები

აღნიშნავს მსჯავრდებულის ნებისმიერ გადაადგილებას. ზოგ მათგანს საერთოდ აუკრძალავენ შინიდან გამოსვლას, ზოგს კი პირიქით, ნებას დართავენ, სამსახურში იაროს და იმუშაოს, საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ; გადაადგილების რეჟიმის დარღვევისათვის მსჯავრდებულს გონს მოიყვანენ ძლიერი დენის დარტყმით.

••• ლონდონში ფილატელისტთა გამოფენა გაიხსნა. ფართო მასისთვის პირველად გამოიფინა სამეფო კოლექციის უნიკალური ექსპონატები, რომელთა საერთო ღირებულება 86 მლნ გირვანქა სტერლინგს უდრიდა. ჭეშმარიტად უნიკალურია დროისგან გაყვითლებული ქაღალდის ნაჭრები. მაგალითად, პატარა ზომის ცისფერი მარკა,




რომელიც კეთილი იმედის კონცხს ეძღვნება, ადრე არასოდეს მონაწილეობდა გამოფენაში და თვალით არავის უნახავს. შემფასებლებს ექსკლუზიური შედევრების შეძენის იმედი არა აქვთ, რადგანაც ზოგიერთი მარკის ფასი ორ მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტია.

••• ბრაზილიელ ინდიელებს არ სურთ ევროპელების მიერ ბრაზილიის აღმოჩენის დღის ზეიმი. მშვილდ-ისრებით აღჭურვილმა, ტანმოხატულმა ათასობით ინდიელმა კოლონად ჩაიარა დედაქალაქის ქუჩებში და დაანგრია ამ თარიღის აღსანიშნავად აღმართული მონუმენტი. აქციის მოწყობამდე რამდენიმე დღით ადრე ინდიელები შეხვდნენ ბრაზილიის პრეზიდენტს ფერნანდო ენრიკე კორდოზას. „დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა“ ინდიელებმა ლიდერს უთვალავი მოთხოვნა წაუყენეს, მაგრამ პრეზიდენტმა ეს აინუნშიც არ ჩააგდო. ანდა, რა უნდა ექნა კორდოზას — ინდიელები ხომ, უპირველესად, მოითხოვდნენ ყველა ეროვნული ზეიმის გაუქმებას, ხოლო შემდეგ ევროპელთა მიერ წართმეული ტერიტორიების 90%-ის დაბრუნებას.



••• ნორვეგიელი ბორდ კონგლევოლი ყოველთვის ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს და შესავსებ გრაფებში მანიაკის სიჯიუტით ერთსა და იმავე ციფრებს წერდა. მას სჯეროდა, რომ ერთხელ გაუღიმებდა ბედი და აუცილებლად მოიგებდა. ასეც მოხდა, ბორდ კონგლევოლი სიხარულით კინაღამ გაგიჟდა, როცა ტელევიზიით მოგებული ციფრები გამოაცხადეს. მოკლედ, სიჯიუტისთვის მილიონი დოლარი მიიღო.

••• არქეოლოგებმა ზამბიაში აღმოაჩინეს საღებავები და მათი მომზადებისათვის საჭირო მოწყობილობა. კვლევამ დაადასტურა, რომ საღებავები 350-დან 400 ათასი წლისა უნდა იყოს. ამ აღმოჩენამ ძალიან დააინტერესა სპეციალისტები, რადგან, ცნობილია, რომ ამ ეპოქაში თანამედროვე ადამიანი არ ცხოვრობდა. მიწისქვეშ ნაპოვნი საღებავებიდან ყველაზე ძველი — 120.000 წლისაა. ყველაფერი ეს აიძულებს მეცნიერებს, ახლებურად შეხედონ თანამედროვე ადამიანის ფორმირების ისტორიას. როგორც ჩანს, ისტორიამდელი ადამიანი ამ საღებავებს (რომელთა ფერი ვარირებდა ყვითლიდან ცისფრამდე) იყენებდა სარიტუალო ცერემონიაში მონაწილეთა სხეულის გასაფერადებლად თუ მოსახატად. მაშასადამე, უძველესი ხანის ადამიანი ბევრად უკეთესად იყენებდა ფერების სიმბოლიკას, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი.

••• თურმე, მწერები, მაგალითად, ტარაკნები და ლორწოვანები, ტკივილს ადამიანებივით გრძნობენ. უხერხემლო მწერების ტვინის რეაქცია ხშირად ემსგავსება ცხოველების ტვინის რეაქციას. მწერები, ზუსტად ისევე, როგორც მაიმუნები, სწრაფად გახტებიან განზე ელექტრონული მავთულის შეხებისას. ბუზებს ელექტრონის სუნის დამახსოვრებაც კი შეუძლიათ. და თუ ისინი ნამდვილად გრძნობენ ტკივილს — მაშინ მათ დაცვა და მოფერება სჭირდებათ.

••• ყოველი წუთი ფულია, — წუხდნენ ამერიკელი შორი რეისის მძღოლები, როცა სასადილოდ მანქანის შეჩერება უწევდათ. მათ გამოიგონეს ხერხი საჭმლის გზაშივე მომზადებისა — ფოლგაში გახვეულ პროდუქტს დებენ ძრავზე. რადიატორის სიმხურვალე მშვენივრად წვავს კერძს. „შორეული რეისის კაპიტნებს“ 450 ათასმა მძღოლმა მიბაძა.

••• სიგარეტისთვის თავის დანებების მიზნით, მსახიობი და თოფ-მოდელი ელიზაბეტ ჰარლის გადაღებების დროსაც კი საწოვარა უდევს პირში. ამ აზრზე იგი ფსიქოლოგ დესმონდ მორისის წიგნმა დააყენა, რომელშიც ნათქვამია, რომ სიგარეტის წევა — ჩვილის თანდაყოლილი რეფლექსის გამოვლენაა დიდობაში. ელიზაბეტ ჰარლიმ ათასნაირი გზა სცადა თამბაქოს წევისთვის თავის დასანებებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა საწოვარას იმედი აქვს, თუმცა მის წოვასაც ხომ უნდა ოდესმე დაანებოს თავი.

••• დენის ჰორისბი ძალიან ამაყობს, რომ კრეჭს და პარსავს კლიენტებს ლონდონის სადალაქოში „ტრიუფიტი და ჰილი“, რომელიც ჯერ კიდევ 1800 წელსაა დაარსებული და გინესის წიგნშია შეტანილი, როგორც მსოფლიოში უძველესი სადალაქო.



••• თავისებური იუბილე აღნიშნეს ბრაზილიელმა ცოლ-ქმარმა ჟერალდო და სობაშტირ კაშტრუებმა — ისინი 35 წელია, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, მაგრამ თავს მაინც ბედნიერ წყვილად მიიჩნევენ — უბრობის პერიოდში 7 შვილი გააჩინეს. ჟერალდომ ცოლის მიმართ სიჩუმის ფიცი ქორწინებიდან 15 წლის მერე დადო, როცა ცოლმა მწვანეთვალება (მეზობელს ჰქონდა ზუსტად ასეთი თვალები) ბავშვი გაუჩინა. ჟერალდო ინტიმურ სიტუაციებშიც კი ჩუმადაა, თუმცა ცოლს მაინც რაღაცნაირად აგებინებს, როცა საწოლში ეპატიჟება.

*უცხოური პრესის მიხედვით*

## მამუკა რომ მოსკოვში არ წასულიყო, შესაძლოა ეს არც მომხდარიყო...

*(დასაწყისი იხ. გვ. 20)*

მერე დედაჩემს თვალი ანახა და უთხრა, ცხვირ-პირს მიერთიანებდნენ შენი შვილის გულისათვის, არ იცი, გოჭი როგორ მიყვარს და ასე უნდა დამიხვდეო? ერთი სიტყვით, გოჭი „შეაწერა“ დედაჩემს. გოჭზე გამახსენდა: ჩვენი ჯგუფელის დაბადების დღე იყო. მთელი ჯგუფი შევიკრიბეთ. სუფრაც გაშლილი იყო, მაგრამ კიდევ ვიღაცებს ველოდებოდით და არ ვსხდებოდით. ზოგი ნარდს თამაშობდა, ზოგი როიალზე უკრავდა და მღეროდა, ზოგი კუთხე-კუთხე შამპანურს წრუპავდა. მამუკა სუფრას გარშემო უვლიდა და დავსხდეთ, დავსხდეთო, — გაიძახოდა და თან წარამარა იმეორებდა — გოჭი რატომ არ არის სუფრაზეო. გოჭი დასაჭრელიაო, — უთხრა დიასახლისმა. მერე მე აქ არა ვარო, — მამუკამ და სამზარეულოში შერგო თავი. ყველას მიგვავიწყდა, როგორც იქნა სუფრას მივუსხედით და რას ვხედავთ! ყველა თეფშზე მამუკას მიერ დამუშავებული გოჭის ძვლები აწყვია. ერთი გოჭი მთლიანად შეეჭამა! ვითომ მარტო მე არ მიჭამიაო, ძვლები ყველას თეფშზე გაენაწილებინა. კუდი ედო პირში და თავისი კოტიტა თითებით ატრიალებდა. ისეთი გემრიელი იყო, შემომეჭამა, თქვენ მაინც არ გიყვართ გოჭიო, — მოგვიგო დარცხვენით.

გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე დამირეკა. ნახევარი საათი ვისაუბრეთ. მალე ახალ ფილმში ვითამაშებ. ფილმს სახელიც შერჩეული ჰქონდა — „У Мамуки“, მაისში უნდა დაწყებულიყო გადაღებები.

მამუკას ცხედარი აეროპორტიდან შინ რომ მოვასვენეთ, ვიგრძენი, ჩემთვის ცხოვრების ნაწილი გაქრა. მამუკასგან განსხვავებით, ცოცხალი დავრჩი. უცებ მამუკას ცემა მომინდა, ასე სასტიკად რომ მომექცა.

**ზურა ყიფშიძე:** ჩვენი დედები ერთ კურსზე სწავლობდნენ. ორმაგად შემაყვარა თავი როცა აქ, მარჯანიშვილის თეატრში „სამოთხის ჩიტში“ ვიხილე პირველად. ძალიან მეცოდება მისი დედა, ქალბატონი ლეილა. 40 წლისა იყო როცა დაქვრივდა, მერე უფროსი ვაჟი, ლაშა დაეღუპა. მამუკა 39 წლის იყო...

უაღრესად ნიჭიერი მსახიობი იყო. ჯერ მარტო მისი დინოზავრები რად ღირდა. თითებით მთელი ეპოპეა ჰქონდა შექმნილი ორ დინოზავრზე. ფანტასტიკურად ასახიერებდა კვერცხიდან დინოზავრის დაბადებას, მის ურთიერთობას მდედრ დინოზავრთან. უცნაურ ხმებს გამოსცემდა-ხოლმე ამ დროს მამუკა. ისტორია სამწუხაროდ ტრაგიკულად მთავრდება. მონადირე იარაღით კლავს დინოზავრს. ამ ამბავს სიტყვები ვერ გადმოსცემენ. ეს ყველაფერი უნდა დაგენახა. ერთხელ, ვიკამათეთ. ყველა ფილმში ნუ ჯდები „შპაგატზე“. რა ვქნა, ბიჭო, სწორედ ამის გამო მიწვევენ ფილმებშიო. პირდაპირ ულტიმატუმს მიყენებენ, სადმე უნდა ჩაჯდეო...

მამუკამ ბოლოს ითამაშა ზაზა ბუაძის ფილმში „25-სა დეკემბერსა“. ფილმი უსახსრობის გამო დაუმთავრებელია. ამას წინათ ზაზამ გვანახა ფილმის მასალა. სცენარით — მამუკა ეძებს გაქცეულ ცოლს, ჰყავს შვილი და უნდა ბავშვს დედა დაუბრუნოს. ფაქტობრივად ქმრის მოგზაურობაა გადაღებული. ისე ასეთი მამუკა, როგორიც ამ ფილმშია, დარწმუნებული ვარ, არავის უნახავს. ისეთი ტრაგიკული სახე აქვს შექმნილი, ძალიან საწყენი იქნება, რომ ეს ფილმი არ გამოვიდეს. დიდი დანაშაული იქნება, თუ ყველამ ერთად კიდევ არ ვიტირეთ მამუკა. მოსკოვის არხზე მამუკაზე გადაცემა დაიწყო. ამ გადაცემაში მამუკამ ისე გულდაწყვეტილმა თქვა: „Моя профессия там никому не нужна, я там не у дел“-ო, გული ჩამწყდა.

მოსკოვში რომ არ წასულიყო, შესაძლოა, ეს არც მომხდარიყო. ამ ბოლო დროს რამდენი მეგობარი დაგვაკლდა. თითქოს ომი არ არის, მაგრამ სხვა ომია, ცეროზებისა და გულების ხეთქვის. ყველაფერი ნერვებია, რადგან ცოცხლები ვართ, გვგონია, რომ არაფერი ხდება ჩვენ შიგნით?..

დასაფლავებაზე ვიყავი. გამოვემშვიდობე, ვაკოცე და მერე რა? არაფერი. თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ღმერთს საყვარელი ადამიანი თავისთან მიჰყავს... ეჰ მამუჩელა, მამუჩელა...

*ეკა ესებუა*

## კროსვორდი



**თარაზულად**: 7. ტოლსტოი, „წყნარი დონი“; 8. სიგარეტი, საწამლავი, 10. საყვირი, ნაღარა; 11. ორქიდეა, „ტრავიატა“; 12. ორიგინალი, კოპიო; 17. რქაწითელი, ნეკი; 18. ხორბალი, ნიგოზი; 19. „ლეონი“, „პეჟო“ 20. ნორმა, ზნეობა; 21. ანკეტა, ხასიათი; 25. მშობიარობა, ცხვარი; 26. გეომეტრია, ტრიგონომეტრია; 27 ცერი, ჯუჯა; 28. ქუხილი, დენი; 30. ორთქლი, ცა; 33. რულეტი, ნული; 34. ხმა, შენობა; 35. კაბა, კაცი.

**შვეულად**: 1. ვენესუელა, ბოგოტა; 2. გატაცება, ფილატელია; 3. ბალახი, კანაფი; 4. მწვერვალი, „საათი“; 5. სიცილია, ვეზუვი; 6. ვალერიანი, ტკივილი; 9. თამაშობა, ყველიერი; 13. სხეული, ქსოვილი; 14. პატიმარი, ჯაჭვი; 15. არქიტექტორი, ეკლესია; 16. იდიოტი, სულელი; 22. საბურთალო, მთაწმინდა; 23. გორაკი, ფერდობი; 24. ფერწერა, საღებავი; 29. აზრი, რაობა; 31. კანდელაკი, სტალონე; 32. ცხოველი, სვავი; 33. შეთანხმება, ბრესტი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. მოთხრობა; 8. რარიტეტი; 9. გრამი; 10. გრანტი; 11. კაკაბი; 16. კაქტუსი; 18. მორფი; 19. სირია; 20. ომი; 21. ბაი; 22. ოპერა; 25. შიდსი; 27. ინდიელი; 30. დილეგი; 33. კოზაკი; 34. ფორდი; 35. ასათიანი; 36. სინტაქსი.

**შვეულად**: 1. სომბრერო; 2. ბრესტი; 3. ლავრა; 4. გრემი; 5. ბილბაო; 6. სტრაბონი; 12. კარმენი; 13. უტა; 14. ისრაელი; 15. სფერო; 17. ფინია; 23. პაპიროსი; 24. ჭია; 26. სნიკერსი; 28. აგონია; 29. ბოგოტა; 31. ნორიო; 32. ოდესა.

## №22 (191) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგში 574 მკითხველი მონაწილეობდა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 206-მა ქალმა და 362-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა სახის რეკლამას აქცევთ ყველაზე მეტად ყურადღებას?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ყველაზე ეფექტური ტელერეკლამაა. რესპონდენტთა 82-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალურით კი მხოლოდ 2-მა შეაფასა. **7,60** საშუალო ქულით ტელერეკლამა პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა რეკლამა პრესაში, საშუალო ქულაა 5,77. ქუჩაში განთავსებულ სარეკლამო დაფებს კი მკითხველთა დაახლოებით 4 აქცევს ყველაზე მეტ ყურადღებას, თუმცა რესპონდენტთა თითქმის იგივე რაოდენობა მიიჩნევს ყველაზე ნაკლებეფექტურად სარეკლამო დაფებს. 5,09 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ „რეკლამა რადიოში“ საერთო ქულების რაოდენობით მეოთხე ადგილზეა, მაქსიმალური — 8 ქულა კი მას მხოლოდ ოთხმა მკითხველმა დაუწერა. მაქსიმალური ქულების მიხედვით „რეკლამა რადიოში“ მეშვიდე ადგილზეა და ამ ნიშნით იგი წინ მხოლოდ „რეკლამას მაღაზიაში“ უსწრებს.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (40) „კატალოგებმა და ბუკლეტებმა“ დაიმსახურა.

როგორც ვხედავთ, მკითხველი ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს რეკლამას ტელევიზიით, შემდეგ — პრესაში და ქუჩაში განთავსებულ დაფებს; ხოლო შედარებით უყურადღებოდ კი რეკლამას მაღაზიაში, აქციებსა და ღონისძიებების სპონსორობას და კატალოგებს (ბუკლეტებს) ეკიდება.




საპრიზოს ზუსტად 4 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ოთხივე გამარჯვებული მამაკაცია: 41 წლის წყალტუბოელი **გოდერძი მელაძე** და თბილისელები: 9 წლის **ნიკუშა სვანაძე,** 46 წლის **ვანო მეგრელიშვილი** და 14 წლის **დათა ბორძიკელი** (ან ბორძიკული).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 6 ივნისს, 17 საათზე.

## №23 (192) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლოტერეაში*.

**№23 (192) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 7 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 ივნისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №23 (192) —
**იღბლიანი პოლიტიკოსი**

**თანამედროვე პოლიტიკოსთაგან ვის უწოდებდით ყველაზე იღბლიანს** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

№23(192) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| N | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ჟვანია | |
| 2 | ასლან აბაშიძე | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 5 | ნიკო ლეკიშვილი | |
| 6 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 7 | მიხეილ მაჭავარიანი | |
| 8 | გია არსენიშვილი | |

*მკითხველის ლოტერეა* *

**დაასახელეთ ყველაზე უიღბლო თანამედროვე პოლიტიკოსი საქართველოში**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„სწორად მიგაჩნიათ თუ არა პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა?“** — 550-მა რესპონდენტმა უპასუხა.

მკითხველთა 20-ს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა. 12 დადებითად აფასებს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს; რესპონდენტთა უმრავლესობა — 68 კი შევარდნაძის საკადრო პოლიტიკას არასწორად მიიჩნევს.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ვახტანგ ქუთათელაძე, მერაბ ადეიშვილი

**ა.ბ.** — ერთი გამაგებინეთ, რას მერჩიან ჟურნალისტები. ჩემს ცხოვრებაში ტყუილი არ მითქვამს, თორემ ეს ცხვირი ხომ გამეზრდებოდა? მერე, ეგ თუ პატიოსანი კაცია, რად უნდა ორი სახელი რომ აქვს — აკაკი ჩაიშვილი, გოგი ჩაიშვილი?

***რ. შალამბერიძე, თბილისი***

ანზორ ბალუაშვილი აკაკი გოგიჩაიშვილს:
**ა.ბ.** — 60 წუთს თუ კიდევ გაუშვებ!.. 60 წუთს თუ კიდევ გაუშვებ!.. 60 წუთს თუ კიდევ გაუშვებ!..
**ა.გ.** — შენ გაჩუმდი!

***მანანა წიკლაური, თბილისი***

**ა.ბ.** — თუ ერთხელ მაინც ამეღოს ქრთამი, გეფიცებით აი ამ ულვაშს, არ მღირსებოდეს მეორედ აღება ქრთამის... ფუი, ხელფასის, კაცო!

***გელა ბერაძე, ქუთაისი***

**ა.ბ.** — მე, ანზორ ბალუაშვილი,
ვარ მხიარული ნატურა,
ჩემით ამაყობს, იცოდეთ,
ქართული პროკურატურა!
აბდალაძესთან ვძმაკაცობ,
სურათიც კმარა დასტურად!

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***

**ა.ბ.** — ექიმო, ყველაფერი მტკივა, თითს თავზე მივიდებ მტკივა, ტუჩზე მივიდებ მტკივა.
**ექიმი** — მაჩვენე, ბიძიკო თითი, მოტეხილი გქონია.

***ტატულია, თბილისი***



ანზორ ბალუაშვილი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 146 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ა.ბ.** — კბილები ისე მექავება, აკაკი გოგიჩაიშვილს სიამოვნებით დავგლეჯდი.

***რ.მ. თბილისი***

ჟურნალისტთა „გასახლების“ კომიტეტის თავმჯდომარე.

***თომია ცუხიშვილი, საჩხერე***

ამონაწერი ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნიდან: „...სახეზე მუდმივად დასთამაშებს იდუმალი ღიმილი, განუწყვეტლივ იმეორებს ჩვენთვის დღემდე გაურკვეველ ფრაზებს: „გოგიჩ ჩუ, გოგიჩ ჩუ, გოგიჩ ჩუ“...

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**აბდალაძე** — საით ბატონო ანზორ?
**ა.ბ.** — ჩუმად, არ გამთქვა, ბაბუების კონკურსში ვიღებ მონაწილეობას. იქაც ჩაწყობა თუ არ წავიდა, პრიზს — „ბაბუა ორიგინალური თმის ვარცხნილობით“ — ვერავინ წამართმევს!

***ვაჟა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ა.ბ.** — თითს დაგიქნევ ბიჭო მიშა,
უკან მიდგას დიდი „კრიშა“,
სკამზე ვზივარ ისე მაგრად,
ვერ გამითრევს ხარი „ნიშა“.

***ლალი ლაშქარაშვილი, გორი***

**ა.ბ.** — მკითხველს: — თუ გსურთ მიიღოთ ამერიკის ვიზა, გააკეთეთ ის, რაც გააკეთა ერთმა უგნურმა თაგუნამ; უპ შემეშალა, ჟურნალისტმა. წახვალთ: ან ამერიკაში ან „იმერიკაში“.

***ო. კელენჯერიძე, რუსთავი***

ანზორის აქვს მავნე ჩვევა,
ყველასათვის თითის ქნევა.
ამ თითმა კი ბევრს დამართა,
ინფარქტი და გულის წნევა.
ასე ხდება, პროკურორი
მუქარას რომ მიეჩვევა.

***სოსო ჩაჩანიძე, ჭიათურა***

**ა.ბ.** — ჩვენს მიერ ჩატარებულმა საგამომძიებლო ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ შეუძლებელია 12 ლარად ადამიანის არათუ არსებობა, არამედ სიცოცხლის შენარჩუნებაც კი. მაგრამ, ჩვენი პენსიონერები შესანიშნავად ახერხებენ ამას. ე.ი. საქმე გვაქვს კრიმინალთან. ამიტომ, მთელი სიმკაცრით მოვითხოვ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

***ს. შენგელია, თბილისი***

### ფიცი პრეზიდენტს



არ იფიქროთ, რომ ზანგები შეიშალნენ: ასეთი ცეკვებითა და ველური ყვირილით რუანდაში მიღებულია პრეზიდენტის ერთგულებისთვის ფიცის დადება. ჩვენი ერთგულებაც ასე ხომ არ დაგვემტკიცებინა???

***

სომხეთის რადიოს ჰკითხეს: — რა განსხვავებაა თავისუფლებასა და დიქტატურას შორის?

— დიქტატურის დროს აბა გაბედეთ და მოითხოვეთ თავისუფლება: მაშინვე მოიძებნება თქვენი დამჭერი. ხოლო თავისუფლების დროს გაბედეთ და მოითხოვეთ დიქტატურა: მაშინვე მოიძებნებიან თქვენი მხარდამჭერნი.



ფრთხილად — ქალაქში გველებია

***

60 წლის ალ პაჩინოს ტყუილად როდი ეძახიან ჰოლივუდში „ერთდღიან საყვარელს". მსახიობს, რომელიც არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, ათასზე მეტი საყვარელი ჰყავდა. როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ რატომ იცვლის ვარსკვლავი ქალებს ცხვირსახოცებივით, მან უპასუხა: „არ შემიძლია დიდი ხნის მანძილზე ვიკვებო მხოლოდ ერთი კერძით."



**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

6/VI — 20-22 სთ
9/VI — 20-23 სთ

2/VI — მთვარის I მეოთხედი

## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**

„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(23) **უფასო განცხადების ქვითარი**

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№23 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 8 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.






***

უნივერსიტეტის ეზოში:

— გელა, ბიჭო, დღეს გარიცხულებში გამოგაცხადეს!

— აუ, როგორ ტეხავს. არადა, დღესაც გაცდენას ვაპირებდი.



***

მონადირე მეზობელს შეხვდა.

— ზღარბები დავხოცე — აჩვენებს ჩანთას.

— რას ერჩოდი?

— სიდედრს უნდა ჩავუფინო ფეხსაცმელში.



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".